გიდის პროფესია

(პრაქტიკული სახელმძღვანელო)

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
საქართველო
2017

გიდის პროფესია

(პრაქტიკული სახელმძღვანელო)

ნაწილი 1

ძვირფასო გიდებო,
წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გიდის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. იგი შედგება ორი ნაწილისაგან:
I ნაწილი დაეთმო გიდის პროფესიის თეორიულ ნაწილს, რომელიც დამუშავდა ნიკო კვარაცხელიას სახელმძღვანელოს „გიდის ხელოვნება“ და სალექციო კურსის მიხედვით;
II ნაწილში საუბარია აჭარისა და ბათუმის ისტორიაზე და მის ძირითად ღირსსანიშნაობებზე. წიგნის ეს ნაწილი მთლიანად გადმოღებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოდან „აჭარა - ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“;
სახელმძღვანელოში ასევე გამოყენებულია ის მოქმედი ტურისტული მარშრუტები, რომლებიც შეიმუშავა აიპ ბათუმის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ.
სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს მოქმედ და დამწყებ გიდებს პროფესიის ათვისებასა და დახელოვნებაში. გამოიმუშაონ და შეინარჩუნონ ის ძირითადი უნარ-ჩვევები, რაც გიდის პროფესიისათვის არის საჭირო.
წიგნზე იმუშავეს - აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სერვისის განვითარების განყოფილების უფროსმა - თამარ კაიკაციშვილმა;
ამავე განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ეკატერინე აბესაძემ;
კონსულტანტმა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა - ნიკო კვარაცხელიამ.

სარჩევი

ტურიზმი და ეკონომიკა 6
ტურიზმის ინფრასტრუქტურა 10
სასტუმრო ინდუსტრია და ტურიზმის ინფრასტუქტურა 10
ტურიზმი და სატრანსპორტო საშუალებები 12
მოგზაურობების ორგანიზაცია 14
მომსახურების თავისებურებები ტურიზმში 18
მომსახურების არსი და ნორმები 18
მომხმარებელთა უფლებების დაცვა 21
მოგზაურობა და კულტურული შოკი 22
ექსკურსია და მისი არსი 23
ექსკურსიის ფუნქციები ექსკურსიის შემეცნებით-გაცნობითი ფუნქცია 25
საინფორმაციო ფუნქცია 26
თავისუფალი დროის დაგეგმვის ფუნქცია 26
კულტურული თვალსაწიერის გაფართოების ფუნქცია 27
ადამიანთა ინტერესების ფორმირების ფუნქცია 27
ექსკურსია, როგორც შემეცნების პროცესი 27
ექსკურსია, როგორც პედაგოგიური პროცესი 28
საექსკურსიო მეთოდი 29
ექსკურსიის თეორია 36
მოთხოვნები გიდის პროფესიისადმი 36
სივრცე, გაშიფვრა-აღქმა 38
გიდობა – მიზანი 39
საგნობრივი კომპეტენცია 40
ბუნებრივი და კულტურული გარემო - ყოველდღიურობა 40
რუკები 44
მასალის დამუშავება 45
საფოსტო ბარათები 45
საექსკურსიო პრაქტიკა — ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები 46
მაგიური ხუთკუთხედი 47
აჭარის ტურისტული მარშრუტების რუკები 51
მოგზაურობა აჭარულ სოფელში გოგრონეთი 52
ველომარშრუტი - ბათუმი-მირვეთი-ბათუმი 54
მაჭახელას თოფის გზა 56
ღვინის ტური აჭარაში 58
სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი 60
გიდის ქცევა და გარეგნობა - მხედველობითი კონტაქტი და ჟესტების ენა 62
კომუნიკაცია 62
ვერბალური კომუნიკაცია 62
სხეულის ენა 63
პოზა 63
ჟესტები 64
მზერითი კონტაქტი 64
მიმიკა 64
გარეგნობა 64
გიდის მიერ ექსკურსიის მომზადება 66
საჩვენებელი ობიექტების შერჩევა 67
ინფორმაციის მოპოვება და განაწილება 68
საექსკურსიო ტექსტის მომზადება 72
ექსკურსიის ჩატარების ხელოვნება 74

ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა - ტექნოლოგიური რუკა 74
ჩვენების მეთოდური ხერხები..... 77
ჩვენების საფეხურები..... 80
თხრობის ხერხები და ექსკურსიამძღოლის მეტყველება 82
პრეზენტაციის უნარი 84
მეტყველების კულტურა და მიკროფონის გამოყენება..... 84
ტურისტებთან ურთიერთობა და კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება 85
ექსკურსიის პედაგოგიკა და დიდაქტიკა..... 85
მოთხოვნები გიდისადმი 87
საჩვენებელ ობიექტზე მუშაობა..... 88
დროის მენეჯმენტის ცოდნა და გამოყენება..... 90
ჯგუფის გაძღოლა..... 91
პოზიციონირება გიდსა და ტურისტთა ჯგუფს შორის 91
ტურისტთა ძირითადი მოთხოვნილებები..... 91
მომხმარებლის მოლოდინი..... 92
ზრდილობიანი მოპყრობა და დიალოგი ტურისტთან..... 92
დამატებითი ცოდნა და უნარები 92
გიდის ჩაცმულობა 93
მზერითი კონტაქტი..... 93
ღიმილი 93
ჯგუფის მართვა 94
კონფლიქტის თავიდან აცილება და კრიზისის გადალახვა კონფლიქტი ჯგუფთან..... 94
სამედიცინო კომპეტენციები, პირველადი სამედიცინო დახმარება..... 97
სამედიცინო აფთიაქი..... 97
პირველი დახმარება თერმული დამწვრობისას 98
ჭრილობები მჭრელი ან მჩხვლეტავი იარაღით..... 99
პირველი დახმარება ჭრილობების დროს 99
ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა 100
კვების პროდუქტებით მოწამვლა და ნაწლავური დაავადებები 100
ქირურგიული დაავადებანი 101
კოჭრები და კანის დაზიანება..... 102
დაჟეჟილობა, ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა..... 102
გულის წასვლა, გულსისხლძარღვოვანი უკმარისობა..... 103
გიდისა და მძღოლის თანამშრომლობა ექსკურსიის მსვლელობისას
(ინსტრუქცია გიდისთვის და მძღოლისთვის)..... 104
ნაწილი II - აჭარის ისტორია..... 110
აჭარა უძველესი დროიდან ახ. წ. VI საუკუნემდე..... 111
აჭარა VI-XIX საუკუნეებში 118
აჭარა 1878-2010 წლებში..... 126
ქალაქი ბათუმი და მისი ღირსშესანიშნაობები ბათუმის უძველესი დასახლებები 135
ბათუმის განაშენიანება 140
თეატრები 143
მუზეუმები..... 143
კულტურული მემკვიდრეობა 144
დელფინარიუმი 144
აკვარიუმი 145
ბათუმის საკულტო არქიტექტურის ძეგლები 147
ებრაული სალოცავები – სინაგოგა 149
მუსლიმანური სალოცავები – მეჩეთები..... 150

ტურიზმი და ეკონომიკა

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მოწინავე და დინამიკურად განვითარებადი დარგია. ზრდის მაღალი ტემპების გამო იგი გასული საუკუნის ფენომენად აღიარეს, ხოლო XXI საუკუნეში ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (WTO) პროგნოზით, 2020 წლისათვის მსოფლიოში მოგზაურთა რიცხვი შთამბეჭდავ რაოდენობას, დაახლოებით 1.6 მილიარდს მიაღწევს.

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ახალი ათასწლეულის დასაწყისში ტურიზმი მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში დამკვიდრდა, როგორც სწრაფად განვითარებადი ეკონომიკური სექტორის ძირითადი დარგი, რომელიც ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოტანას ქვეყანაში. ტურიზმი ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ტურიზმის მიმართ ყოველდღიურად იზრდება ბიზნესმენთა ინტერესი. ყველაზე მიმზიდველი ბიზნესისათვის ის ფაქტია, რომ მცირე ინვესტიციებით შესაძლებელია ტურიზმის სფეროში ბიზნესის დაწყება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტურიზმის ბიზნესში თანაბარი წარმატებით ვითარდება მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები. გარდა ამისა, სწრაფად ხდება ჩადებული თანხების ამოღება და უცხოური ვალუტის დაგროვება.

ბუნებრივია, ტურიზმის ბიზნესში წარმატების მისაღწევად საჭიროა დარგის თავისებურებების დეტალური ცოდნა და კომპეტენტურობა. საერთაშორისო ტურისტულ ბიზნესში წარმატების მოსაპოვებლად საჭიროა საერთაშორისო ნორმებისა და წესების ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება ტურიზმის

მენეჯმენტსა და მარკეტინგში, ტურისტული ბაზრის კონიუნქტურის ცოდნა, ტურისტების მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე ტურისტული პროდუქტის შექმნისა და ბაზარზე გატანის ხელოვნების დაუფლება, რისთვისაც საჭიროა მომხმარებლის გემოვნების, მიდრეკილებების გათვალისწინება და ხარისხიანი მომსახურების გაწევა.

ექსპერტები გვთავაზობენ ტურიზმის ინდუსტრიის მომავლის მოდელებს, რომლებიც ემყარება ტექნიკურ პროგრესს და მისგან გამოწვეულ ცვლილებებს.

თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც XX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა, XXI საუკუნეში წარმატებით ვითარდება. საერთაშორისო ტურიზმი არის მსოფლიო ეკონომიკის დინამიკურად განვითარებადი სექტორი. საერთაშორისო ტურიზმი ეფუძნება ბაზარზე არსებულ მოთხოვნას, რომელიც ეკონომიკური და სოციალური კატეგორიაა. ინდუსტრიის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ტურისტულ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორების ცვლილება, ზოგადეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და კულტურული ფაქტორები. ყველაფერი გავლენას ახდენს ე.წ. მყიდველის შავ ყუთზე, რაც საბოლოო ჯამში არის მოგზაურის ქცევის განმსაზღვრელი სამომხმარებლო ბაზარზე.

თანამედროვე ტურიზმის წარმატებები დამოკიდებულია სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე, ესენია:

მასების კეთილდღეობის ზრდა: II მსოფლიო ომის შემდეგ ინდუსტრიული ევროპის საზოგადოების წევრთა წლიური შემოსავლების 25-ჯერ ზრდასთან ერთად გაიზარდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და შესაძლებლობები. გაუმჯობესდა ცხოვრების დონე, რაც აისახა თავისუფალი დროის დაგეგმვის სრულყოფაში. ადამიანებმა შეძლეს მეტი თანხები და დრო დაუთმონ დასვენებასა და მოგზაურობას.

დროის მზარდი ბიუჯეტი: ზემოაღნიშნულ პერიოდში ევროპაში შემცირდა სამუშაო კვირის საათები და შესაბამისად, გაიზარდა ადამიანის თავისუფალი დრო. ეს შესამჩნევი გახდა უქმე და გამოსასვლელი დღეების რაოდენობაში. კვირაში ხუთი სამუშაო და ორი გამოსასვლელი დღე, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, შვებულების დღეები, ყველაფერი ერთად იძლევა მეტ თავისუფალ დროს, რომელსაც დაგეგმვა და შინაარსიანად გატარებისთვის ზრუნვა სჭირდება.

მოგზაურობით ადამიანების გატაცება: სურვილი, რომელიც ადამიანს სამოგზაუროდ უბიძგებს, ცალკე შესწავლის ღირსი და არაერთგვაროვანია. ევროპის მოსახლეობის სამოგზაურო მობილურობა ნამდვილად თვალშისაცემი და მასობრივი ხასიათისაა. ექსპერტთა აზრით, ამას ხელი შეუწყო სატრანსპორტო სისტემისა და კომუნიკაციების გაუმჯობესებამ. ტურიზმის ინდუსტრია ღირსეულად მომზადებული შეხვდა მასების მოთხოვნებს და უზრუნველყო მათი სურვილები წარმოუდგენლად მრავალფეროვანი შეთავაზებებით. ტურიზმის ეკონომიკა კი სწორედ ამ მრავალფეროვნებას ეფუძნება.

სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, ტურიზმს განსაკუთრებული უპირატესობა აქვს. მისი განვითარება სტიმულს აძლევს ქვეყნის ინფრასტრუქტურაში მსხვილი ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა დიდი ნაწილი ხმარდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ტურისტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ტურიზმის სფეროში ახალი სამუშაო ადგილებისა და საწარმოების დიდი ნაწილის შექმნა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბალანსების საშუალებას იძლევა. იგი ასევე ხელს უწყობს მაღალმთიან რეგიონებში და სოფლად ადგილობრივი მოსახლეობის გადინების შეჩერებას, მათი ქალაქში გადასახლების, არასასურველი მიგრაციის აცილებას.

კულტურული და პირადი მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება ტურისტული გაცვლების შედეგად, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საერთაშორისო ურთიერთობებს და ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

შიდა ტურიზმი ანუ მოქალაქეთა ერთი ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობა, საერთაშორისო ტურიზმის მოცულობას რამდენჯერმე აღემატება, სამაგიეროდ, ადგილობრივი ტურისტების მიერ მოგზაურობისას დახარჯული თანხები საერთაშორისო ტურისტების დანახარჯებს მხოლოდ უტოლდება.

საინტერესოა, რა ცვლილებები ხდება დღეს მსოფლიო ტურიზმის სფეროში და რა ტენდენციები იკვეთება. ამ კითხვაზე პასუხს ნაწილობრივ იძლევა გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წელიწდეული, რომელიც, ტრადიციისამებრ, ყოველი შემდეგი წლის ივნისში ქვეყნდება WTO-ს ვებგვერდზე. 2016 წლის **მონაცემებით მსოფლიოს ტოპათეული შემდეგნაირად გამოიყურება:**

ტურისტების მიმღები ქვეყნების ტოპათეული (2016 წლის მონაცემები)

№	ქვეყანა	მილიონი ვიზიტორი		ცვლილება %-ში	
		2015	2016	15/14	16/15
1.	საფრანგეთი	84.5	82.6	0.9	-2.2
2.	აშშ	77.5	75.6	3.3	-2.4
3.	ესპანეთი	68.2	75.6	5.5	10.3
4.	ჩინეთი	56.9	59.3	2.3	4.2
5.	იტალია	50.7	52.4	4.4	3.2
6.	გაერთიანებული სამეფო	34.4	35.8	5.6	4.0
7.	გერმანია	35.0	35.6	6.0	1.7
8.	მექსიკა	32.1	35.0	9.4	8.9
9.	ტაილანდი	29.9	32.6	20.6	8.9
10.	თურქეთი	39.5	..	-0.8	..

ტურისტული ქვეყნების წარმატება იზომება არა მხოლოდ ჩასული ტურისტების რაოდენობით, არამედ მათგან მიღებული მოგებით და შემოსავლებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ტურიზმისგან მიღებული შემოსავლები მსოფლიოს მოწინავე ტურისტულ ქვეყნებში:

მსოფლიოს ტოპათეული ტურიზმისგან მიღებული შემოსავლების მიხედვით (2016 წლის მონაცემები)

№	ქვეყანა	მილიონი ვიზიტორი		ცვლილება %-ში	
		2015	2016	15/14	16/15
1.	აშშ	205.4	205.9	7.0	0.3
2.	ესპანეთი	56.5	60.3	-13.2	6.9
3.	ტაილანდი	44.9	49.9	16.9	11.0
4.	ჩინეთი	45.9	44.4	2.1	-1.2
5.	საფრანგეთი	44.9	42.5	-22.9	-5.3
6.	იტალია	39.4	40.2	-13.3	2.0
7.	გაერთიანებული სამეფო	45.5	39.6	-2.3	-12.9
8.	გერმანია	36.9	37.4	-14.8	1.4
9.	ჰონკონგი	36.2	32.9	-5.8	-9.1
10.	ავსტრალია	28.9	32.4	-8.2	12.3

სულ უფრო იზრდება ტურისტული ბაზრებისა და მათი სეგმენტების რიცხვი და შესაბამისად უფრო მეტი ტურისტი ნაწილდება აღნიშნულ ბაზრებზე. ბაზრის სეგმენტი არის პოტენციურ ტურისტთა სხვადასხვა კატეგორია, რომელთა დაჯგუფება ხდება ამ შემთხვევაში დემოგრაფიული პრინციპის მიხედვით: ასაკი, შემოსავლები, საცხოვრებელი ტერიტორია და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ტურისტული ინტერესები. მსოფლიოში სადღეისოდ თვალსაჩინოა სპეციალიზებული ტურიზმის მოცულობის ზრდა. სპეციალიზებული ტურიზმი არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტურისტების იმ კატეგორიას, რომლებიც სპეციფიკური მიზნების, პირადი გამოცდილებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად შერჩეულ გეოგრაფიულ რაიონში მოგზაურობენ. ამ შემთხვევაში, მთავარი ფაქტორია ადამიანების პროფესიული მიდრეკილებები და ინტერესები კულტურისა და ბუნების შესწავლის მიზნით.

ტურიზმის ინფრასტრუქტურა

ტურიზმის ინდუსტრია რთული, მრავალმხრივი წარმონაქმნია და შედგება მრავალი კომპონენტისაგან. მათ შორის უმთავრესია: ტრანსპორტი, განთავსების საშუალებები, ღირსშესანიშნაობები და მიმზიდველობები, გასართობი საშუალებები, მარკეტინგი და სახელმწიფო რეგულირება. თუ მათ პირობითად სექტორებს ვუწოდებთ, მაშინ წინა პლანზე გამოდის ოთხი მთავარი სექტორი:

1. სამოგზაურო: ტუროპერატორები და ტურისტული სააგენტოები, ავიაკომპანიები, მიწისზედა და საწყლოსნო ტრანსპორტი;
2. ტურისტული პროდუქტის შემადგენელი სექტორები: განთავსება და კვება, ღირსშესანიშნაობები და მიმზიდველობები, ატრაქციები;
3. ადამიანური რესურსების სექტორი: კვალიფიციური კადრები და მუშა-მოსამსახურეები;
4. საჯარო-საზოგადოებრივი: სახელმწიფო სააგენტოები, რეგიონული ტურისტული ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები და ასოციაციები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

სასტუმრო ინდუსტრია და ტურიზმის ინფრასტრუქტურა

სასტუმრო მეურნეობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ისტორიის განვითარებასთან. პირველი სასტუმრო დაწესებულებები, ისევე როგორც მოგზაურთა მომსახურების პროფესია შორეულ წარსულში, 2000 წლის წინ, ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციაში გაჩნდა.

უფრო გვიან ეპოქაში რომაელები აშენებდნენ სახლებს სპეციალურად იმ მოგზაურთათვის, რომლებიც ემსახურებოდნენ სახელმწიფოს. ეს შენობები, რომლებიც განთავსებული იყო გზის გასწვრივ, შეიძლება მივიჩნიოთ ქარვასლების წინამორბედებად.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ევროპისა და ამერიკის უმსხვილეს ქალაქებში გაჩნდა ბრწყინვალე (5-ვარსკვლავიანი — თანამედროვე ტერმინოლოგიით) სასტუმროები, რომლებიც გათვლილი იყო მდიდარ ფენაზე, რომელთათვის მოგზაურობა მოდური ჩვეულება გახდა. მსგავსი სასტუმროები გაჩნდა საქართველოშიც, თუმცა მაღალმთიან აჭარაში მოგზაურის მიღების ტრადიცია საუკუნეების მანძილზე არსებობდა, რისი დასტურია სპეციალური შენობა-ნაგებობები, რომლებიც საცხოვრებელი სახლის შემადგენელი ნაწილი იყო და მათ „მეიდან ოდის“ სახელით მოიხსენიებდნენ. მეიდან ოდაში შესაძლებელი იყო ღამის გათევა და საკვების მიღებაც, რასაც ხშირად მასპინძელი უზრუნველყოფდა.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რა დონის სასტუმროს სთავაზობენ, არსებობს სასტუმროს კატეგორიზაციის/კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც შესაბამისი სიმბოლოებით გამოიხატება სხვადასხვა ქვეყანაში, მაგ: ვარსკვლავი, გვირგვინი, კლასი, გასაღები და ა.შ. ამათგან ყველაზე გავრცელებული ვარსკვლავების სისტემაა.

ტურიზმი და სატრანსპორტო საშუალებები

მოგზაურობა ტრანსპორტით იწყება და ტრანსპორტი ტურიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მოგზაურობის დაწყებისა და დამთავრებისათვის აუცილებელია რომელიმე სატრანსპორტო საშუალების გამოყენება. ტურისტული მოგზაურობისას გამოიყენება სხვადასხვა სახის ტრანსპორტი: საჰაერო, საავტომობილო, საწყლოსნო და სარკინიგზო.

მნიშვნელოვანი ფაქტორია საავტომობილო გზები, აუცილებელია, რომ ტურისტულ ცენტრებსა და ქალაქებში ყველა გზა აღჭურვილი იყოს საგზაო ნიშნებით, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს ავტომაგისტრალებზე მოძრაობას. ხშირად ტურისტებს, განსაკუთრებით ინდივიდუალურად მოგზაურებს, უჭირთ ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობამდე მისვლა. საგზაო-ტურისტული ნიშნები საშუალებას იძლევა, ტურისტმა განსაზღვროს, სად არის ღირსშესანიშნაობამდე მისასვლელი გზა და რა მანძილითაა დაშორებული მისგან. საგზაო ნიშნები და საგზაო-ტურისტული ნიშნები სტანდარტიზებულია ეროვნული და საერთაშორისო მოგზაურობის წესებით, მათი ზომის, ფორმისა და სიმბოლიკის მიხედვით.

ავტობუსი — თანამედროვე ტურისტული ავტობუსი საკმაოდ კომფორტულია, აქვს კარგი აღჭურვილობა (მოსახერხებელი კომფორტული სავარძლები, დიდი პანორამული მინები, კონდიცირების სისტემა, მუსიკა, ტელევიზორი, მინიბარი და სხვა). 3-4-საათიანი მგზავრობის შემდეგ გათვალისწინებულია 10-30-წუთიანი გაჩერებები.

ავტომობილის გაქირავება — ეს ბიზნესი მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. მიღებული პრაქტიკაა პაკეტის შეძენა,

სადაც კომბინირებულია საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებისა და ავტომობილის არენდის ხარჯები (Fly-Drive Package). აღნიშნული პაკეტის შეძენა მოგზაურისათვის უფრო იაფი და ადვილად დასაჯავშნია.

საჰაერო ტრანსპორტი — საჰაერო ტრანსპორტიდან ყველაზე პოპულარულია თვითმფრინავი, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას. არსებობს მგზავრთა გადაყვანის ორი ფორმა: რეგულარული და ჩარტერული რეისები. ავიაკომპანია შედგება საჰაერო ხომალდებისა და მფრინავი შემადგენლობისაგან – ბორტპერსონალი, რომელიც ემსახურება მგზავრებს, როგორც ფრენის დროს, ასევე — მიწაზე. ავიაკომპანიები მუშაობენ სპეციალური განრიგით ანუ თითოეული გაფრენა და დაჯდომა წარმოებს მკაცრად განსაზღვრული დროის მონაკვეთში. მგზავრთა მომსახურება ბორტზე, თვითმფრინავის სალონში, შედის ავიაბილეთის ღირებულებაში.

სალონის კლასი — მრავალადგილიანი თვითმფრინავის სალონი დაყოფილია ორ ნაწილად მომსახურების კლასის შესაბამისად. არსებობს ბიზნეს და ეკონომკლასი. თვითმფრინავების სალონის კლასების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია სავარძლის კომფორტულობა, კვების ხარისხი და უფასოდ გადასატანი ტვირთების ზომა. თითქმის ყველა აეროპორტში ბიზნეს და ეკონომკლასის მგზავრების რეგისტრაცია ცალ-ცალკე წარმოებს და ხშირ შემთხვევაში მათთვის ცალკეა მოწყობილი მოსაცდელი დარბაზები, სადაც მგზავრი კომფორტულ გარემოში შეიძლება დაელოდოს რეისს და უფასოდ ისარგებლოს სხვადასხვა მომსახურებით.

კვება — მოკლე რეისების დროს მგზავრებს სთავაზობენ გამაგრილებელ წვენებს, წყალს, ჩაის, ყავას და ა.შ. თუ ფრენის ხანგრძლივობა აღემატება 2 საათს, მაშინ ყველა მგზავრისთვის გათვალისწინებულია სპეციალური კვება. შორეული მაგისტრალური და ტრანსკონტინენტური რეისების დროს მგზავრებს ყოველი 4 საათის ინტერვალით მიეწოდებათ ცხელი საჭმელი.

საწყლოსნო ტრანსპორტი — კრუიზები — საკრუიზო გემების მთავარი მიზანია არა მხოლოდ მგზავრების ტრანსპორტირება, არამედ მათი მომსახურება დასვენების, გართობისა და სხვადასხვა ტურისტული ატრაქციების დათვალიერების მიზნით. საკრუიზო გემები ხშირად ჩერდებიან სხვადასხვა პორტში, სადაც მგზავრებს ეძლევათ ხმელეთზე გადმოსვლის, ახლომდებარე გარემოს დათვალიერებისა და მაღაზიებში შესვლის საშუალება.

სარკინიგზო ტრანსპორტი

მგზავრთა შორ მანძილზე გადაყვანაში რკინიგზა მეორე ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტის შემდეგ. ისევე, როგორც თვითმფრინავს, სარკინიგზო ტრანსპორტსაც მაღალი თვითღირებულება აქვს. იგი სისწრაფით ბევრად ჩამორჩება საჰაერო ტრანსპორტს, სამაგიეროდ, არ არის დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე, მეტი მგზავრი გადაჰყავს და შეუძლია ერთ რეისზე ბევრ დასახლებულ პუნქტს მოემსახუროს.

მოგზაურობების ორგანიზაცია

მოგზაურობების ორგანიზაციას ანუ ორგანიზებულ ტურიზმს საფუძველი ჩაუყარა თომას კუკმა 1841 წელს დიდ ბრიტანეთში, რის შედეგადაც, პროგრამული ტურიზმის სამშობლოდ დიდ ბრიტანეთს მიიჩნევენ.

მიმღები ანუ რეცეპტიული ტურიზმის მსოფლიო სტანდარტმა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა პროგრამული ტურიზმის სახე, რომელმაც შეცვალა ადრე არსებული საშუალო, ყველასათვის მისაღები უნიფიცირებული ტურები. პროგრამულმა ტურიზმმა კი ტურისტული კომპანიები დააყენა პროგრამული ტუროპერეიტინგის შექმნის აუცილებლობის წინაშე.

საერთაშორისო ტურიზმში კონკურენციის გამძაფრების გამო ტურისტულმა კომპანიებმა ტურისტულ ბაზარზე დაიწყეს კომპლექსური მომსახურება, რომელსაც საფუძვლად შესაბამისი პროგრამა დაედო. ამ ღონისძიებამ გამოიწვია მიწოდების მკვეთრი და სწრაფი ზრდა, გააფართოვა არა მხოლოდ მიწოდების ბაზარი, არამედ მნიშვნელოვანწილად იმოქმედა მოთხოვნის ზრდასა და დახვეწაზეც, რამაც საბოლოოდ მოახდინა ტურისტული კომპანიების დიფერენციაცია და სპეციალიზაცია შესაბამისი პროგრამების მიხედვით, გაიზარდა მომსახურების ხარისხიც.

ამრიგად, პროგრამული ტურიზმი – ეს არის ტურისტების მომსახურებისადმი კომპლექსური მიდგომა, რომელიც მთლიანად ითვალისწინებს მათ ინტერესებს და შეესაბამება მოგზაურობის მიზნებს, ტურისტთა ასაკს, შემადგენლობას, სოციალურ წარმომავლობას და ა.შ. მომსახურების ასეთი ფორმა ნაკარნახევია თანამედროვე ტურისტულ ბაზარზე საკუთარი კლიენტის მოსაპოვებლად არსებული უმძაფრესი კონკურენციით, რომელიც არსებობს როგორც მეწარმეებს შორის, ასევე რეგიონულ დონეზე. იმისათვის, რომ საქართველოში მოვიზიდოთ ტურისტები, საჭიროა, არსებობდეს არა მხოლოდ ტურისტთა მისაღებად შექმნილი საერთაშორისო დონის პროგრამები, არამედ ბევრად უკეთესი, როგორც ფასით, ისე შინაარსით, ვიდრე მას ჩვენი მეზობლები სთავაზობენ.

პროგრამული ტურიზმის დამკვიდრება საქართველოში დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად. მას უკვე საკუთარი ისტორია და გამოცდილება აქვს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია, თამამად ვამტკიცოთ, რომ პროგრამული ტურიზმი, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის ახალი მოვლენაა და მისი განვითარებისათვის საჭიროა: 1. უკვე არსებული მსოფლიო და ქართული გამოცდილების შესწავლა და ანალიზი, თუ როგორ ადგენენ თემატურ პროგრამებს მსოფლიოს გამოცდილი ტუროპერატორები, აგრეთვე საქართველოში უკვე მოღვაწე კომპანიები, 2. მოპოვებული მასალის ღრმა ანალიზის საფუძველზე მიღწეული დასკვნების გათვალისწინება და საკუთარი პროგრამების შექმნა, საკუთარი რეცეპტიული ტუროპერეიტინგის დამკვიდრება.

საერთაშორისო ტურიზმში უკვე დამკვიდრდა ტურისტული ჯგუფების დიფერენციაციის ტრადიცია ტურისტთა ასაკის მიხედვით ან ჯგუფის შემადგენლობის გათვალისწინებით (ტურისტული ჯგუფები, მშობლები შვილებით, ან მათ გარეშე, მხოლოდ ქალები ან მხოლოდ მამაკაცები და ა.შ.); ამ

ჯგუფებისათვის ცალკე იქმნება შეთავაზებები, გარდა ამისა, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე პროგრამების ისეთი სიმრავლე და მრავალფეროვნებაა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეარჩიოს მისთვის საინტერესო და სასურველი პროგრამა.

გერმანელ ექსპერტ ვილჰელმ პომპლის აზრით, პროგრამულ ტურიზმს ოთხი ელემენტი გააჩნია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ტუროპერატორისთვის.

სქემა — პროგრამული ტურიზმის ოთხი ელემენტი

პროგრამული ტურიზმი

ორგანიზაციული ელემენტი	ეკონომიკური ელემენტი	სამართლებრივი ელემენტი	სოციალური ელემენტი
- დაჯავშნა	-ტურის ფასი	-გადახდის პირობები	-რჩევები
- ტურის დრო	-ფასი/ხარისხი	-დაჯავშნის წესი	-კომპანიის იმიჯი
- ტურის მიზანი	-ჯავშნის ხარჯი	-უკან დაბრუნება	-შუამავლის იმიჯი
- ტრანსფერი	-დამატებითი	-გარანტიები	-მომსახურების გამწევის იმიჯი
- განთავსება	-ხარჯების სიმცირე		-სამოგზაურო ადგილის იმიჯი
- კვება			-ჯგუფის სიდიდე
- თანხლება			-ჰომოგენურობა
- ხანგრძლივობა			-კონტაქტი
- პროგრამა			
- დაზღვევა			

შესაბამისად, პროგრამულ ტურიზმს აქვს შემდეგი ფორმები:

- არასრული პაკეტი: როცა დამკვეთი ტურის რომელიმე ნაწილზე უარს ამბობს, მაგრამ აუცილებლად ყიდულობს სატრანსპორტო და სასტუმრო მომსახურებას;
- სტანდარტული პაკეტი (inclusive tour, IT): როცა ტურს ყველა ძირითადი ელემენტი: ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება, გართობა ახლავს;
- ყოვლისმომცველი პროგრამა (all inclusive tour, AIT): როცა ტურის ფასში შედის ყველა ტიპის მომსახურება და ტურისტს კურორტზე ყოფნისას არ უხდება დამატებითი ხარჯების გაწევა. კუბას აქვს წესად AIT-ში ნებისმიერი სასმელისა და სიგარეტის შეტანა;
- ინდივიდუალური პაკეტი: როცა ტურისტი ყიდულობს ტუროპერატორის მიერ დადგენილ ინდივიდუალურ ტურს, მაგ. TUI-ის პროგრამას.

თითოეულს აქვს მიღებისა და მომსახურების თავისი სპეციფიკა. მაგ. საქმიანი ან საკონგრესო ტურიზმით დაკავებული ტუროპერატორის საქმიანობა დიამეტრულად განსხვავდება საკურორტო-გამაჯანსაღებელი ან რეკრეაციული ტურიზმით დაკავებული ტუროპერატორის საქმიანობისაგან. განსაკუთრებულია ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტუროპერატორის საქმიანობა, რადგან მან უკვე იცის, თუ რა მოთხოვნები აქვს მოგზაურობის მიმართ სტუდენტ ახალგაზრდობას. ახალგაზრდული ტურები დატვირთულია აქტიური გართობის უფრო მეტი ელემენტებით, ვიდრე სხვა სოციალური ჯგუფებისთვისაა განკუთვნილი. მესამე ასაკის (იგულისხმება ტურისტები 65 წელს ზევით) ტურისტები საოცრად ცნობისმოყვარენი არიან და მოგზაურობას გეგმავენ აქტიური დასვენების ელემენტების თანხლებით, მაგ. დღეში 5-7 კმ სეირნობა ბუნების წიაღში. მათ აინტერესებთ ექსკურსიები და საინტერესო შეხვედრები. უფრო პასიურები არიან საშუალო ასაკის (45-65 წლის) ტურისტები, რომლებიც ძირითადად ოჯახთან ერთად მოგზაურობენ. ტურისტების ამ ჯგუფს მოსწონს პასიური დასვენება და მყუდრო გარემო.

ტუროპერეიტინგული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ფუნქციონირების წესების ცოდნა და პროგრამული ტურიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობა, რომელიც გულისხმობს სათანადო ინფრასტრუქტურის, შესაბამისი მატერიალური ბაზის, საინფორმაციო ქსელისა და ტურისტთა ნაკადების არსებობას.

მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის (ტურის) შექმნა, რომელიც გაჯერებული იქნება მრავალფეროვანი პროგრამებითა და მომსახურებით, ტუროპერატორის მოღვაწეობის მთავარი ამოცანაა. მისი შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რას ყიდულობს ტურისტი. ცუდია, როცა ტურისტული კომპანია ფიქრობს, რომ ის ყიდის სასტუმრო მომსახურებას, სინამდვილეში კი ტურისტი ყიდულობს ახალ შთაბეჭდილებებს და სიახლეებთან გაცნობას. ტურისტული კომპანიისგან ტურისტი ყიდულობს ყურადღებას, სიმყუდროვეს, პატივისცემით მოპყრობას, სასიამოვნო გარემოში ყოფნას და თუ მას სამოგზაურო პუნქტებში ასეთი მომსახურება არ ხვდება, რა თქმა უნდა, ტურისტულმა კომპანიამ შეცდომა დაუშვა ტურის დაგეგმვისას. ამიტომ ტურისტული პროდუქტის შექმნა უნდა დაიწყოს ტურისტის მოთხოვნის შესწავლით — რა უნდა მას, როგორ ხარისხს და მომსახურებას ელოდება. ყველა შემთხვევაში უნდა გამოვავლინოთ ის მიმზიდველობები, რასაც ტურისტი ელოდება მოგზაურობისაგან და მათ საფუძველზე შედგეს ტური. ტუროპერატორი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს ადგილობრივ რესურსებს, საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს, რომ უზადოდ შეარჩიოს ტურისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. თანამედროვე ტურიზმი უფრო შორს წავიდა და თვითონ ქმნის ხელოვნურად დამატებით ტურისტულ მიმზიდველობებს. მაგ. აწყობს შოუს, ფესტივალს, აშენებს თემატურ პარკებს და სხვ.

ტურისტების მომსახურების საფუძველია ტურისტული პროგრამა, რომლის ფორმირებაც ხდება მომსახურების ისეთი კომპლექსიდან, როგორიცაა: განთავსება, კვება, ტრანსპორტირება, საექსკურსიო მომსახურება, გართობა, სპორტული, საკურორტო, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.

ტურისტული პროგრამების თავისებურება მათი თემატურობაა, შესაბამისად, ჯერ უნდა განვსაზღვროთ ტურის თემატიკა და შემდეგ შევარჩიოთ მომსახურების ნაკრები, რომელიც მოგზაურობის მიზნებიდან გამომდინარეობს, ამის შემდეგ კი დამატებითი ღონისძიებები. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: ძირითადი და დამატებითი მომსახურება. ძირითად მომსახურებად იწოდება საგზურის ღირებულებაში შესული მომსახურება, ხოლო დამატებითია თანმდევი და მსგავსი ღონისძიებები, რომლებსაც ტურისტი დამატებით უკვეთს.

ტურისტული პროგრამის ხერხემალი მოგზაურობის მიზანია. ტურისტი ვერ ჩათვლის მოგზაურობის მიზანს მიღწეულად, თუ ის მიიღებს უხარისხო მომსახურებას. მომსახურების ხარისხი განაპირობებს კლიენტის კმაყოფილებას. შესაბამისად, ტურისტული კომპანიის წინაშე დგას ამოცანა, დაარეგულიროს კლიენტის მოლოდინი და მიწოდებული ინფორმაციით საცნაური გახადოს, რას უნდა ელოდოს ტურისტი მოგზაურობისგან.

ტურიზმის ექსპერტების მიერ გაზიარებულია აზრი, რომ სტუმართმოყვარეობა ან სტუმართმოყვრული დამოკიდებულება კლიენტებისადმი ტურისტულ კომპანიაში, წარმატებით მუშაობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ყველა ეს ფაქტორი ორგანულად უნდა შევიდეს მომსახურების ტექნოლოგიაში. ტურის ორგანიზებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას არა მხოლოდ მომსახურე პერსონალის დამოკიდებულება კლიენტებისადმი, არამედ ტურისტის მიერ მომსახურების ტექნოლოგიების ფსიქოლოგიურად აღქმის ასპექტები. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ პლანზე დგას ტურისტის პიროვნება, მისი ინტერესები და განწყობილება და მისადმი გულითადი დამოკიდებულება. თანამედროვე პირობებში, როცა კონკურენცია ტურიზმის დარგში გამძაფრებულია, ეს ფაქტორი ტურისტული კომპანიის მიერ აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საერთაშორისო ტურიზმში არსებული პრაქტიკით მიღებულია ტურისტებისადმი შემდეგი სახის ყურადღების გამოჩენა:

- მისალმების სუვენირი – თითოეულ ტურისტს, განსხვავებით სასტუმრო მომსახურებისა, სადაც ასეთ სუვენირად ბალიშზე კანფეტი ხვდება, ტურისტული კომპანიის შემთხვევაში მიღებულია საგნობრივი სუვენირების (თანახმად ტურის შინაარსისა და ფორმისა) ჩუქება; მაგ. საქმიანი ტურიზმის შემთხვევაში ეს შესაძლოა იყოს საქმიანი პროსპექტები, იმ პროდუქციის ნიმუშები, რომელიც ტურისტს აინტერესებს. კულტურული და ეთნოგრაფიული ტურიზმისთვის დამახასიათებელია მცირეფასიანი ეროვნული შინაარსის სუვენირები და ა.შ.;
- ტურის დამთავრების შემდეგ სპეციალურად ტურისტებისათვის დამზადებული დიპლომების, ასევე სერტიფიკატების, ცნობების, ვიმპელებისა და საპატიო ნიშნების გადაცემა და ა. შ.

მომსახურების თავისებურებები ტურიზმში

მომსახურების არსი და ნორმები

ტურისტული მომსახურების ჯაჭვის სათავეში დგას ტურისტი. ის ექსკურსიამძღოლისგან განსაზღვრულ მომსახურებას ელოდება. მომსახურების ხარისხი განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ერთი უკმაყოფილო ტურისტი თავის უარყოფით განწყობას საშუალოდ 10-15 კაცს უზიარებს. მაღალხარისხიანი მომსახურების შესაქმნელად მხოლოდ გიდის კვალიფიკაცია არ არის საკმარისი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად მოტივირებულია ის. ამიტომ გიდი თავის საქმიანობას მხოლოდ შემოსავლის წყაროდ კი არ უნდა აღიქვამდეს, არამედ როგორც ადამიანური კაპიტალის ინვესტიციას.

საექსკურსიო მომსახურება შეიძლება 4 კატეგორიის მიხედვით გაანალიზდეს და დაიხვეწოს. ესენია:

1. პირველადი მოთხოვნილებები;
2. მოლოდინი;
3. სასურველი;
4. მოულოდნელი.

პირველადი მოთხოვნილება ის ძირითადი მიზეზია, რაც განაპირობებს მიწოდებას. ექსკურსიის შემთხვევაში ეს არის ორგანიზებული ტურის მოთხოვნილება. მას მოჰყვება მოლოდინი, რომელსაც ქმნის ტურისტების გამოცდილება. რაც უფრო ბევრს მოგზაურობს ტურისტი, მით უფრო მეტი რამ აქვს ნანახი და შესაბამისად, მისი მოლოდინიც იზრდება. ის მომსახურება, რომელსაც ტურისტი არ ელოდება, მაგრამ მისი გამოყენების სურვილი

აქვს, გაერთიანებულია სასურველ მომსახურებაში. ბოლოს, მოულოდნელი მომსახურებით შესაძლებელია ტურისტების სასიამოვნოდ გაოცება. ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი სამზარეულოს გასინჯვა, ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრა და ა.შ. რაც უფრო მეტი ადგილი უკავია სასიამოვნო, მოულოდნელ სიტუაციებს ექსკურსიაში, მით უფრო კმაყოფილია მომხმარებელი.

სანამ გიდი ტურისტებთან კონტაქტში შევა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე საკითხი მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მთავარი კითხვა ასე ჟღერს: რას ნიშნავს მომხმარებელი? ეს არის პიროვნება, რომელიც სარგებლობს მოცემული მომსახურებით. ის არის გიდის ეკონომიკური შემოსავლის განმსაზღვრელი. მომხმარებელი კი არ არის ჩვენზე დამოკიდებული, არამედ ჩვენ ვართ მასზე დამოკიდებულნი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის არის ჩვეულებრივი ადამიანი თავისი გრძნობებით, განცდებით, საზრუნავით და სურვილებით. მომსახურების მიმწოდებლის მთავარი ფუნქციაა, შეუმციროს მას საზრუნავი და აუსრულოს სურვილები. მომხმარებლისგან კრიტიკა აუცილებლად სერიოზულად უნდა მივიღოთ და გავაანალიზოთ, რადგან ის მომსახურების ხარისხის დახვეწის კარგი საშუალებაა. ამიტომ კრიტიკა ისე მიიღეთ, როგორც საჩუქარი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას უსამართლოდ თვლით.

რას ელოდება მომხმარებელი თქვენგან? პირველ რიგში, თავაზიანობას. გამოკითხულ ტურისტთა 72% კარგი გიდის მთავარ მახასიათებლად არა პროფესიონალიზმს, არამედ თავაზიანობას მიიჩნევს.

გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა კოსმოპოლიტიზმის როლი. ეს არის მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომლის მიხედვით, არ ხდება მომხმარებლის ეთნიკურ-რასობრივი დაყოფა.

როგორც ხედავთ, მომხმარებელი ითხოვს არა მხოლოდ ძალიან განათლებულ გიდს, არამედ მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხი.



მომხმარებელთა ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია
გერმანელი ექსპერტის, ჰაინც ჰანის, მიხედვით:

ტიპი	ტიპის დახასიათება
S	Sonne, Sand, See - ტიპიური დამსვენებელი, რომელიც უპირატესობას ზღვის კურორტებზე პასიურ დასვენებას ანიჭებს. უყვარს სიწყნარე და კომფორტი, თავს არიდებს აურზაურს, მაგრამ უარს არ ამბობს სასიამოვნო ადამიანებთან კონტაქტების დამყარებაზე.
F	Ferne- und flierorientierte Erlebnisbesucher - მოგზაური, რომელიც უპირატესობას ანიჭებს შორეულ მოგზაურობებს და არშიყობას. მას უყვარს შთაბეჭდილებების კალეიდოსკოპური ცვლილებები; ის ატარებს შვებულებას იქ, სადაც რაღაც საინტერესო ხდება, ის პლაჟზე არ დაისვენებს. მისი კრედოა საზოგადოება, სიამოვნება და შთაბეჭდილებათა ცვლილებები.
W1	Wald und wanderungsorientiert - ტყეებსა და მთებში სეირნობებისა და ლაშქრობების მოყვარული უპირატესობას აქტიურ დასვენებას და ქვეით ლაშქრობებს ანიჭებს. მისი კრედოა ფიზიკური აქტიურობა და ნებისმიერ ამინდში სუფთა ჰაერზე სეირნობა. იგი კარგ ფიზიკურ ფორმაშია, მაგრამ პროფესიონალი სპორტსმენი არ არის.
W2	იგი უფრო პროფესიონალი სპორტსმენია, ვიდრე მოყვარული, მას შეუძლია ხანგრძლივი ლაშქრობა მძიმე და ექსტრემალურ პირობებში. ხშირ შემთხვევაში ის ალპინისტი ან ყოფილი მფრინავია.
A	Abenteuer - თავგადასავლების მოყვარული. რისკი, ახალი განცდები, საკუთარი ძალების გამოცდა მოულოდნელ სიტუაციებში მისი მიზანია. ის სამოგზაურო მარშრუტს საშიშროების ფაქტორის გათვალისწინებით ირჩევს.
B	ildung-und Besichtigung - განათლება და ღირსშესანიშნაობების დათვალიერება: ის არის ცნობისმოყვარე ტურისტი. ეს ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა: ა) ექსპერტი, რომელიც არის შთაბეჭდილებებისა და ღირსშესანიშნაობების კოლექციონერი. მას წინასწარ აქვს რუკაზე მონიშნული ქვეყნები და ღირსშესანიშნაობები, რომლებიც უნდა მოინახულოს; ბ) ბუნებისა და კულტურის ემოციური მოყვარული, რომელიც ავტობუსში წინა სკამზე ფანჯარასთან ჯდება და ემოციებს შორისდებულებით – ოჰ, უჰ და ა.შ. ხმამაღლა გამოხატავს; გ) სპეციალისტი, რომელიც იღრმავებს ცოდნას კულტურის, ისტორიის, ხელოვნების სფეროში.

ჰაინც ჰანის სქემის გარდა არსებობს ბევრი სხვა კლასიფიკაცია მომხმარებელთა ფსიქოლოგიური ტიპების განსასაზღვრად, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურე პერსონალის, მათ შორის გიდებისათვის ტურისტთა ფსიქოლოგიური ტიპების ცოდნას და მათ კარგად გააზრებას, რათა უსწრაფესად ამოიცნოს ექსკურსანტის ფსიქოლოგიური ტიპი და გააკეთოს მისგან გამომდინარე ქცევების ანალიზი. მაგალითად, ჰ. ჰანის ბ-ჯგუფის კულტურული ტურიზმით დაკავებულ ბ-ქვეჯგუფის ტიპს ახასიათებს ავტობუსში წინა სკამზე ჯდომა და ფანჯრიდან გაფაციცებით, ემოციურად გარემოს თვალიერება. შესაძლებელია, ასეთ შემთხვევებში წარმოიშვას კონფლიქტი ტურისტთა ჯგუფის წევრებს შორის წინა რიგის სკამების დასაკავებლად. გიდმა ოსტატურად უნდა აღკვეთოს უსიამოვნება ტურისტებს შორის და დაარეგულიროს იგი რჩევებით, სხვა ტურისტებთან მოლაპარაკებით და ა.შ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

გაეროს გენერალური ასამბლეის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ რეზოლუციის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ხორციელდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა;
- მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
- მომხმარებლებისათვის ადეკვატური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რათა მათ გააკეთონ თავისუფალი არჩევანი;
- მომხმარებელთა განათლება.

უცხოეთის ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა ტურიზმში, როგორც წესი, რეგულირდება კანონით „ტურიზმის შესახებ“. მაგალითად, ლიტვის კანონი „ტურიზმის შესახებ“ ადგენს ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის პრიორიტეტებსა და პრინციპებს. ამ კანონში ასევე გაწერილია ტურისტული მომსახურების ტიპები და ფინანსური გარანტიები:

1. ტურისტული ინდუსტრია უნდა ფარავდეს კერძო და იურიდიულ პირთა საქმიანობას ტურისტთა მომსახურების სფეროში;

2. ზემოხსნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ტურისტთა მომსახურების განხორციელების უფლება (ლიცენზია).

კერძო და იურიდიულ პირთა საქმიანობის მიზანია, უზრუნველყონ ტურისტები საცხოვრებელი ადგილით, კვებით, გიდების მომსახურებით და ტურის ხელმძღვანელებით.

ასევე მომხმარებელთა კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ტურის მომწყობი;

ბ) პერსონალური მონაცემები და მისამართი;

გ) გამგზავრებისა და დაბრუნების ადგილი, მოსანახულებელ ადგილას ჩასვლის თარიღი და იქ ყოფნის ვადა;

დ) ტურის ჩატარების პერიოდში ტურის მომწყობმა უნდა გაითვალისწინოს მომხმარებლის სურვილი მოგზაურობის სახისა და ხასიათის შესახებ;

ე) ტურის საფასურის სახეები და ვადა;

ვ) ფინანსური გარანტიები და ჯანმრთელობის დაზღვევა.

რაც შეეხება ექსკურსიებს და ექსკურსანტებს, როგორც საექსკურსიო მომსახურების მომხმარებლებს, მათზე ვრცელდება აგრეთვე ხელშეკრულება, რეკლამა, საგზური ან ეძლევათ ექსკურსიისთვის შეძენილი დოკუმენტის პირობების პირნათლად შესრულების გარანტია. ანუ ექსკურსია უნდა შესრულდეს დადგენილ ვადებსა და დროში, დადგენილი ტრანსპორტით და მარშრუტით. ექსკურსია უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ დადგენილ ტექნოლოგიურ რუკას და დაცული იქნას მისი პუნქტები: გაჩერება, საჩვენებელი ობიექტი, დრო, თემა, ქვეთემა და ჩატარების მეთოდიკა.

მოგზაურობა და კულტურული შოკი

ნებისმიერ ადამიანს, რა თქმა უნდა, ტურისტსაც აქვს ჩვევები, რომლებიც მას სიცოცხლის მანძილზე ცხოვრების პირობების შედეგად გამოუმუშავდა. როცა ადამიანი უცხო გარემოში ხვდება, სადაც შესაძლებელია, იყოს განსხვავებული ცხოვრების წესი და ჩვევები, მაშინ მისი ფსიქიკა, როგორც წესი, განიცდის შოკს. განსაკუთრებით ძლიერია ეს შეგრძნებები უცხოეთში, უცნობ და უცხო კულტურასთან პირისპირ შეხვედრისას.

იმ განცდებსა და შეგრძნებებს, რომელიც ადამიანს უცხო ან განსხვავებული ცხოვრების წესთან და პირობებთან შეხვედრისას შეექმნება, მეცნიერები კულტურულ შოკს უწოდებენ.

ვინაიდან კულტურას ადამიანთა ჯგუფები ქმნიან და სწავლობენ, იგი ადამიანს ბიოლოგიური გზით არ გადაეცემა. ყველა თაობა მისთვის დამახასიათებელ კულტურას ქმნის და მომავალ თაობებს გადასცემს. ეს პროცესი სოციალიზაციის საფუძველია. ცხოვრების წესი, რწმენა, ღირებულებები, ნორმები და იდეალები განსაზღვრავენ ადამიანის პიროვნებას და არეგულირებენ მის ქცევას. განსხვავებული ქცევის წესები იპყრობენ პირველ რიგში ტურისტის ყურადღებას, რაც ხდება მისთვის კულტურული შოკის წყარო და საფუძველი. ამრიგად, კულტურული შოკი არის ემოცია, რომელიც ადამიანს უცხო და განსხვავებულ კულტურასთან შეხვედრისას შეექმნება.

თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, რომელსაც ქმნიან ადამიანები გარესამყაროსთან კავშირში. მოგზაურობისას ადამიანები ათვალიერებენ არა მხოლოდ ძეგლებსა და ქალაქებს, არამედ უპირველესად აღმოაჩენენ უცნობ სამყაროს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ განსხვავებული წესით, გრძნობებით და ემოციებით. ამიტომ უცხო კულტურასთან შეხვედრა ამდიდრებს ადამიანს არა მხოლოდ ახალი ცოდნით, არამედ ახლად შეძენილი გამოცდილებით.

ექსკურსია და მისი არსი

ექსკურსიები მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტურისტულ საქმიანობაში. ტურისტულმა კომპანიამ, რომელიც მუშაობს ადგილობრივი ან უცხოელი ტურისტების მიღებაზე, თავიდანვე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მათთვის საექსკურსიო მომსახურების გაწევის ფორმის შესახებ. ეს ფორმა შეიძლება იყოს გიდის მოწვევა გარედან ან უზრუნველყოფა საკუთარი ძალებით — კომპანიის ექსკურსიამძღოლების მეშვეობით ექსკურსიების მომზადება და ჩატარება. ორივე შემთხვევაში კომპანიის მენეჯერმა უნდა იცოდეს ექსკურსიის არსი, დანიშნულება, მისი მომზადებისა და ჩატარების ტექნოლოგია.

ნებისმიერი ტურისტული ორგანიზაცია ეწევა სხვადასხვა ფორმისა და სახის ტურისტულ მომსახურებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სასტუმროები, ტურისტული ბაზები, კემპინგები, ტურისტული კლუბები აწყობენ ლაშქრობებს, სპორტულ შეჯიბრებებს და ა.შ., რისთვისაც თითოეული მათგანი იყენებს ტურისტებთან მუშაობის საკუთარ ფორმებს. ეს ფორმები თავის მხრივ გამომდინარეობს შესაბამისი მომსახურების შინაარსიდან. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია პროფესიონალების წინასწარ დაგეგმილი და მიზანმიმართული მოქმედებები, უფრო ზუსტად, მოქმედებები დასახული მიზნის მისაღწევად.

ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში მიზანი განიხილება როგორც მოტივი, რომელიც მართავს და არეგულირებს ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან მასის მოქმედებას. მიზანი „გამსჭვალავს“ ადამიანის

პრაქტიკულ საქმიანობას, იგი ხშირად იქცევა შინაგანი კანონის ნორმად, რომელსაც პიროვნება ან ადამიანთა ჯგუფი თავის ნებას უმორჩილებს და რომლის გათვალისწინებითაც ის თავის სამოქმედო პროგრამას ახორციელებს. ის მიზანი იქცევა რეალურ ძალად, რომელიც ეფუძნება პრაქტიკაში მისი განხორციელების გარკვეულ პირობებს.

საექსკურსიო მომსახურების მიზანია, ტურისტთა მოთხოვნების გათვალისწინებით, გააცნოს მათ შესაბამისი ღირსშესანიშნაობა ან ღირსშესანიშნაობათა ჯგუფი. ამასთანავე, უნდა დაიცვას ტურისტებისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრინციპი და ერგონომიულობა.

საექსკურსიო საქმის ექსპერტები ასე განსაზღვრავენ ექსკურსიას:

„ექსკურსია არის ფორმა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობისა, რომლის დროსაც, ადამიანთა ჯგუფი (ექსკურსანტები) გათვითცნობიერების მიზნით, პიროვნების (გიდი) ხელმძღვანელობით, მიდის რა ადგილზე დასათვალიერებლად, სწავლობს საგანს ან მოვლენას, მისი ბუნებრივი მოცემულობის პირობებში“.

ექსკურსიის უმთავრესი ელემენტებია: ჩვენება და თხრობა. მაგრამ ობიექტების ყველანაირი დათვალიერება არ შეიძლება იყოს ექსკურსია. ექსკურსია ეწოდება კვალიფიცირებული ხელმძღვანელის – გიდის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, გარკვეული თანამიმდევრობით და შინაარსით, საექსკურსიო ობიექტების ისეთ დათვალიერებას, რომლის დროსაც, იგი ახსნის რომელიმე თემას. ამრიგად, ექსკურსიას განასხვავებს შემდეგი ექვსი ნიშანი:

I. ხანგრძლივობა დროში: ერთი აკადემიური საათიდან ერთი დღის ჩათვლით. ორდღიანი ექსკურსია არ არსებობს (ორდღიან ღონისძიებებს მოგზაურობა ეწოდება). ექსკურსია არის ღონისძიება ღამისთევის გარეშე;

II. საექსკურსიო ჯგუფის არსებობა (6-30კაცი);

III. კვალიფიცირებული ექსკურსიამძღოლის – გიდის არსებობა;

IV. საექსკურსიო ობიექტის არსებობა, რომელსაც წინასწარგანსაზღვრული თემის მიხედვით ათვალიერებენ;

V. ობიექტების დათვალიერება მოძრაობაში და გაჩერებებზე, მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე.

VI. დათვალიერება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ანუ როცა ექსკურსიაში საჩვენებელი თემები და ობიექტები წინასწარაა დაგეგმილი.

ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ნიშნის გარეშე ექსკურსია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად.

ექსკურსია არის გარე სამყაროს შემეცნების პროცესი. ეს შემეცნება იწყება უშუალოდ მხედველობითი აღქმიდან, როცა ადამიანი პირველად დაინახავს ობიექტს, შემდეგ მას უკავშირებს გარკვეულ მოვლენას, ფაქტს და ა.შ. ექსკურსანტი გონების მეშვეობით აღადგენს წარსულის ან მომავლის სურათებს, ადარებს სხვა ძეგლებს, აკეთებს დასკვნებს, ე.ი. აზროვნებს აბსტრაჰირებულად ანუ ერთი რომელიმე შთაბეჭდილება გადადის მეორე შთაბეჭდილებაში. ყველაფერი ეს მოითხოვს გონებრივ და ნერვულ

დაძაბულობას. ეს დაძაბულობა ბევრად მეტია, ვიდრე ბუნებაში გასეირნება ან დასვენება.

გიდი უნდა იღვწოდეს, რომ ექსკურსანტი არა მხოლოდ გაეცნოს ობიექტს, არამედ აღიქვას იგი სწორად და დარჩეს მასზე ობიექტური შთაბეჭდილება. ექსკურსანტს არ უნდა გაუჩნდეს ეჭვი, რატომ აჩვენებენ ამ ობიექტს და არა სხვას ან დარჩეს სხვა აზრი აღნიშნული ობიექტის მნიშვნელობაზე. ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ემოციურ მომენტებს. ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების ეს ხერხი ფართოდ გამოიყენება ექსკურსიის დროს. გიდი იყენებს ხერხებს, იმოქმედოს ექსკურსანტთა გრძნობებზე და გამოიწვიოს მათში თხრობის მეშვეობით სიხარულის, აღფრთოვანების, აღშფოთების და ა.შ. გრძნობები.

ექსკურსიის ფუნქციები

ექსკურსიის შემეცნებით-გაცნობითი ფუნქცია

უმთავრესი ფუნქცია, რომელიც ექსკურსიას ეკისრება, არის ქვეყნის აწმყოსა და წარსულის, მისი კულტურის, ისტორიის და ღირსშესანიშნაობების გაცნობა, რისთვისაც იგი იყენებს სხვადასხვა სახის ტექნოლოგიებს, რომელსაც საფუძვლად უდევს მეცნიერულობის, სამართლიანობის, თანამედროვეობის, მისაწვდომობისა და დამაჯერებლობის პრინციპები. აღნიშნული პრინციპების შემოქმედებითად გამოყენება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ექსკურსიის ეფექტიანობას.

მეცნიერულობის პრინციპი მდგომარეობს ექსკურსიის შინაარსის თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით გადმოცემაში. უფრო ზუსტად კი, ექსკურსია უნდა ჩატარდეს მეცნიერული მონაცემების შესაბამისად და არა ყურმოკრული ამბების თხრობით. ყველა ფაქტი, მოვლენა, თეორიული მოსაზრებები და დებულებები უნდა გადმოიცეს მეცნიერული მონაცემების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ექსკურსია ლექცია არ არის და მასში არ არის ადგილი მოვლენებისა და ფაქტების დეტალური ანალიზისათვის, გიდის თხრობა არ უნდა სცდებოდეს მეცნიერულობის ჩარჩოს და მას მიეცეს ობიექტური შეფასება.

თანამედროვეობის პრინციპი გამომდინარეობს საექსკურსიო მასალის დღევანდელობასთან უცილობელი კავშირიდან. თითოეული ექსკურსია ტარდება კონკრეტულ დროში და კონკრეტულ ადგილას, ამიტომ იგი უნდა ასახავდეს დღევანდელობას, არსებულ სიტუაციას და მდგომარეობას. ყოველგვარი ტყუილი არსებული მდგომარეობის შელამაზებისა, დიდ ზიანს აყენებს როგორც ექსკურსიას, ასევე ხელს უწყობს გიდისადმი უნდობლობის გაჩენას.

მისაწვდომობის პრინციპი. ექსკურსიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გასაგებად იქნა გადმოცემული საექსკურსიო მასალა, თავისი შინაარსით რამდენად იყო იგი გათვლილი მოცემულ აუდიტორიაზე. იგულისხმება ტურისტების ზოგადსაგანმანათლებლო დონე, ცხოვრებისეული გამოცდილება და აუდიტორიის მზადყოფნა მასალის შესათვისებლად.

დარწმუნების პრინციპი მნიშვნელოვანია იმით, რომ მის ოსტატურად გამოყენებაზეა დამოკიდებული, ირწმუნეს თუ არა ტურისტებმა გიდის ნათქვამი. დარწმუნების გაძლიერება შესაძლებელია ფაქტების და მაგალითების შერჩევით, რისთვისაც ექსკურსიამძღოლები იყენებენ თვალსაჩინო შედარებებს, ობიექტების მარჯვედ შერჩევის პრინციპს, დარწმუნების მიზნით ახდენენ ცნობილი გამონათქვამის ან ციტატის დროულად მოშველიებას, ფოტომასალის, რუკების, სქემების, დოკუმენტების დემონსტრირებას.

საინფორმაციო ფუნქცია

მიუხედავად თემისა, ნებისმიერი ექსკურსია შეიცავს ინფორმაციულ ხასიათს, რადგანაც ექსკურსიის მეშვეობით გადაიცემა ინფორმაცია. ექსკურსიის შედეგად მიღებული ინფორმაცია მრავალფეროვანია და შეეხება მეცნიერების სხვადასხვა სფეროს და დარგებს. უფრო ხშირია ექსკურსიაში არქეოლოგიური მიღწევების, სპორტსმენთა წარმატებების, ქვეყნის სამეურნეო და სამეცნიერო მიღწევების შესახებ საუბარი. მაგრამ ექსკურსიაში ძალიან მცირე ადგილი უნდა დაეთმოს საუბარს ჩვენების გარეშე, უფრო ზუსტად უნდა ვყვებოდეთ მხოლოდ იმაზე, რასაც ვაჩვენებთ. ამიტომ საექსკურსიო ობიექტის გარეშე არ უნდა არსებობდეს საექსკურსიო თემა. რა თქმა უნდა, ექსკურსია უნდა შეიცავდეს ახალ მასალას, სიახლეებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსკურსიამძღოლმა ექსკურსიაში შეიტანოს დილით წაკითხული, ტელევიზიით გაგებული ან რადიოში მოსმენილი მასალა. ექსკურსიაში უნდა შევიდეს წინასწარ დაგეგმილი და გადამოწმებული ინფორმაცია.

თავისუფალი დროის დაგეგმვის ფუნქცია

ექსკურსია განეკუთვნება იმ ტიპის საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად თვითგანათლება უდევს. მუდმივად იზრდება ექსკურსიის როლი ადამიანთა იმ კატეგორიაში, რომელსაც განათლების მიღების, ახალი კულტურისა და უცნობი ქვეყნის გაცნობის სურვილი აქვს. ახალი კულტურები და ქვეყნები კულტურული ტურიზმის უმთავრესი მოტივაციაა. კულტურული ტურიზმი კი ემყარება შემეცნებით ექსკურსიებს.

ექსკურსიების გარკვეული ნაწილი წარმოადგენს შაბათ-კვირის (Week-End) ღონისძიებებს, რაც თავისთავად თავისუფალი დროის გამოყენების ფუნქციაა. ცოდნის სისტემატური ხასიათი, რომელსაც ექსკურსიის შედეგად იღებენ ტურისტები, არის მოტივაცია შაბათ-კვირის კულტურულად გატარებისა.

უაღრესად მნიშვნელოვანია საექსკურსიო ციკლები, რომლებიც იძლევა საშუალებას, ერთი კომპანიის მეშვეობით ექსკურსანტი დაესწროს ერთი თემის სხვადასხვა ექსკურსიას. პრაქტიკაში მიღებულია აგრეთვე სააბონენტო სისტემის არსებობა, რომელიც გამოიყენება ტურისტული კომპანიების მიერ გარკვეული კატეგორიის მოსახლეობისთვის ერთი თემატიკის ექსკურსიების წინასწარ დაგეგმილ დროის მონაკვეთში ჩასატარებლად.

კულტურული თვალსაწიერის გაფართოების ფუნქცია

ეს ფუნქცია ექსკურსიის თვითმიზანი არ არის, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ექსკურსია ამ როლს წარმატებით ასრულებს. დმანისის, არმაზის, ვანის ან ძალისის არქეოლოგიური გათხრების დათვალიერება წარმოუდგენლად ამაღლებს ადამიანის შეხედულებებს საქართველოს წარსულზე, შესაბამისად, მის თვალსაწიერს. ამ მიზანს ემსახურება ისტორიული, ქალაქმცოდნეობითი, ლიტერატურული და კიდევ მრავალი სხვა სახის ექსკურსიები.

ტექნიკურ პროგრესთან ერთად შესაძლებელია ექსკურსიებში თვალსაჩინოების ახალი ფორმების დანერგვა, კინოფილმებისა და მულტიმედია პროექტორის სახით, საწარმოო და ხელოვნებათმცოდნეობით ექსკურსიებში გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზება და ა. შ.

ადამიანთა ინტერესების ფორმირების ფუნქცია

ექსკურსიების მეშვეობით ადამიანები არა მხოლოდ იძენენ ცოდნას, არამედ მათი ინტერესები ფოკუსირდება ერთ რომელიმე პრობლემაზე, დარგზე, მეცნიერებაზე. რომელიმე დიდი მწერლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ექსკურსია ხშირად გამხდარა ტურისტისათვის ამ მწერლის შემოქმედებით დაინტერესების მიზეზი. ასევე შეიძლება ითქვას იმ პრობლემებზე, რომლებსაც ექსკურსიის მსვლელობისას შეეხება გიდი და იგი ხდება მოსწავლისათვის პროფესიის არჩევის მიზეზი, მოზრდილთათვის აღნიშნული თემით მათი შემდგომი დაინტერესების საფუძველი.

ყოველ შემთხვევაში, თუ ექსკურსიის შემდეგ ტურისტმა მიაკითხა ბიბლიოთეკას და წაიკითხა ახალი ლიტერატურა ექსკურსიაზე მოსმენილი თემის შესახებ, ეს უკვე არის მისი ინტერესის ფორმირების ფუნქცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემეცნებითი ექსკურსიები ჩვენს სინამდვილეში ძალიან ცოტაა და ტურისტული კომპანიების მიზანია მათი არა მხოლოდ რიცხობრივად გაზრდა, არამედ ზრუნვა ექსკურსიების შინაარსზე, მათ შემეცნებით ღირებულებაზე.

ექსკურსია, როგორც შემეცნების პროცესი

ექსკურსია არის გარე სამყაროს, იქ არსებული საგნებისა და მოვლენების შემეცნების პროცესი. ამ შემთხვევაში შემეცნება იწყება უშუალოდ დასაკვირვებელი ობიექტის ან მოვლენის გრძნობებით აღქმით, იგულისხმება გრძნობის ორგანოები (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება, გემო). შემეცნება შედგება ორი საფეხურისგან, რომლებიც წარმოადგენენ ექსკურსიის საფუძველს: შემეცნება გრძნობების მეშვეობით (შეგრძნება, აღქმა, შეხედულება) და ლოგიკური შემეცნება (აზროვნება).

შეგრძნების მეშვეობით ადამიანი აღიქვამს საგნებს და მოვლენებს. ექსკურსიაზე შთაბეჭდილებები გროვდება მხედველობის, სმენის, შეხების, სუნის, გემოს მეშვეობით. შეგრძნებები აძლევს საშუალებას ადამიანს, ასახოს ცნობიერებაში საგნებისა და მოვლენების ისეთი თვისებები, როგორიცაა: მათი ფორმა, ზომა, ტემპერატურა, სუნი, სიჩქარე, სიმკვრივე, სიმძიმე და ა.შ. ადამიანისთვის შეგრძნებები აღქმისა და წარმოდგენის წყაროა.

ექსკურსიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღქმა, რომელიც არის შედეგი საექსკურსიო ობიექტის გრძნობათა ორგანოებზე ზემოქმედებისა.

ასე მაგალითად, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მოვლენები და ფაქტები, რაც ექსკურსიის ობიექტს წარმოადგენს, ან ექსკურსიაზე დაკვირვებისა და შესწავლის საგანია, გრძნობათა ორგანოებზე ზემოქმედების შედეგად აღიქმება. საექსკურსიო ობიექტების წარმოსახვაც მათი საშუალებებით ხდება.

შეგრძნებების შედეგად აღიქვამენ ტურისტები ობიექტის ისეთ უმთავრეს თვისებებს, როგორიცაა: ფერი, კონფიგურაცია, ზომა, განთავსების ადგილი, ობიექტთან მსგავსება და განსხვავება, გარეგნობა და ა.შ. სწორედ შემეცნებაში ასახული ამ თვისებათა ჯამი საშუალებას იძლევა, წარმოვსახოთ მთელი ობიექტი.

წარმოსახვა ხდება იმის საფუძველი, რომ ტურისტმა შექმნას თავისი შეხედულება ობიექტზე. შეხედულება შეგრძნებასა და აღქმასთან შედარებით უფრო მეტ განზოგადებას მოითხოვს. შეხედულება არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, რასაც ტურისტი უყურებს, იგი ყალიბდება სხვადასხვა დროს განცდილი და ნანახი შეგრძნებების შედეგად დაგროვილი გამოცდილებებისაგან.

ექსკურსია, როგორც პედაგოგიური პროცესი

ნებისმიერი ექსკურსია შეიცავს სწავლების ელემენტს, ამიტომ შეიძლება იგი გარკვეულწილად განვიხილოთ, როგორც პედაგოგიური პროცესი. რა თქმა უნდა, ექსკურსია არ არის ლექცია, გაკვეთილი ან სემინარი, მიუხედავად ამისა, როგორც ყოველგვარ პედაგოგიურ პროცესში, ექსკურსიაშიც მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც ცოდნას გადასცემს (ასწავლის) — გიდი და ის, ვინც ცოდნას იღებს (სწავლობს) — ექსკურსანტი. თანახმად საექსკურსიო მეთოდიკისა, გიდი გადასცემს ექსკურსიის მონაწილეებს წინასწარგანსაზღვრული გეგმების შესაბამისად გარკვეულ ცოდნას, რომლის მიღებითაც ექსკურსანტები არიან დაინტერესებული. ამ ორი მხარის ურთიერთმოქმედება წარმოადგენს სწორედ პედაგოგიურ პროცესს.

პედაგოგიური პროცესი ექსკურსიაში არ ამოიწურება მხოლოდ ცოდნის გადაცემით, არამედ მასში შედის აღმზრდელობითი ელემენტიც, რადგან ნებისმიერ ექსკურსიაში შესაძლებელია ვიპოვოთ აღმზრდელობითი ხასიათის ელემენტები. პედაგოგიკის ცოდნა და მისი მოთხოვნების გათვალისწინება ექსკურსიაში, განსაკუთრებით სასკოლო ექსკურსიაში, ხელს უწყობს ექსკურსიის ხარისხის ამაღლებას, მის სრულყოფას.

პედაგოგიური პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია ორივე მხარის აქტივობაზე. კარგად, გააზრებულად შექმნილ ექსკურსიას შეუძლია ბიძგი მისცეს აზროვნების გააქტიურებას, გარე სამყაროს უკეთ გაცნობას.

სასკოლო ექსკურსიებში ხშირად გვხვდება ექსკურსანტების მიერ დამოუკიდებლად აზროვნების (მუშაობის) ელემენტი. გიდი იძლევა რა ძირითად განმარტებას ობიექტის შესახებ, მარტო ტოვებს მოსწავლეებს ობიექტთან, რათა მათ დამოუკიდებლად გაიაზრონ მისი ღირსებები, გააანალიზონ იგი. ეს ერთგვარი პედაგოგიური პროცესის პირველი ნაწილია. მეორე ნაწილი წარმოადგენს ექსკურსანტებისათვის დამოუკიდებელი დაკვირვებისა და ანალიზის გაკეთების ხელოვნებასთან ზიარებას. ექსკურსია ჩვენების ხერხების, თვალსაჩინოების, თხრობის აქტიური ფორმების მეშვეობით ხელს უწყობს ექსკურსანტების აქტივიზაციას.

ასეთი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს გიდისაგან პროფესიონალიზმს,

ექსკურსანტისაგან კი გამოცდილებას, რადგან ექსკურსიაზე პირველად მყოფი ტურისტი ვერ ახერხებს ყველაფრის ადეკვატურად აღქმას, იგი უყურებს ობიექტს, მაგრამ ვერ ხედავს მას.

ექსკურსიის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი მასში მონაწილეთა აქტივობაა. ბევრი რამ არის დამოკიდებული გიდის ორგანიზატორულ უნარზე. ორგანიზატორული საქმიანობა იწყება გიდის მიერ ჯგუფის გაცნობიდან და მთავრდება მათთან დამშვიდობებით.

გიდის შესავალი სიტყვა ექსკურსანტებს აძლევს ორიენტაციას, თუ როგორია ექსკურსიის თანამიმდევრობა, რა თემებს განიხილავენ ექსკურსიის მარშრუტის დროს, როგორ უწყობენ ხელს ობიექტები თემის გაშლას, როდის აღწევს იგი კულმინაციას და როგორია ექსკურსიის ფინალი.

მეთოდურად გამართული ექსკურსია უნდა ემსგავსებოდეს სპექტაკლს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური პროცესი. როგორც პედაგოგის, ისე გიდის საქმიანობა აერთიანებს სამ ეტაპს:

1. ჯგუფისა და გიდის მომზადება ექსკურსიისათვის;
2. საკუთრივ ექსკურსიის ჩატარება;
3. ექსკურსიის შემდგომი მუშაობა, რაც საექსკურსიო მასალის განმტკიცებას შეეხება.

საექსკურსიო მეთოდი

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და გზას, კვლევისა და გადმოცემის ხერხს ნიშნავს. საექსკურსიო მეთოდისადმი მოთხოვნები არის შემდეგი სახის:

- გამოავლინოს შინაგანი კავშირები ცალკეულ მოვლენებსა და საგნებს შორის;
- განსაზღვროს საექსკურსიო ობიექტებსა და მოვლენებში არსებითი და უმთავრესი და მის გარშემო მოახდინოს მთელი მასალის კონცენტრირება.
- დააკავშიროს შესასწავლი მასალა ადრე შესწავლილთან, არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან.

საექსკურსიო მეთოდს აქვს ორი პრინციპი:

1. ობიექტების შესწავლა ადგილზე, მათი მდებარეობის შესაბამისად (ლოგიკური პრინციპი) და
2. მათი ჩვენება მოძრაობაში (მოტორული პრინციპი).

ამრიგად, საექსკურსიო მეთოდი არის ცოდნის გადაცემის მეთოდი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს: თვალსაჩინოება, ჩვენება და თხრობა, მოტორულობა ანუ ექსკურსანტების გადაადგილება წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით ობიექტების მდებარეობის მიხედვით მათი შესწავლის მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დავასკვნათ შემდეგი:

- ნებისმიერ ექსკურსიას საფუძვლად უდევს აუდიტორიისათვის ცოდნის გადაცემის საექსკურსიო მეთოდი;
- ჩვენება და თხრობა — ექსკურსიის ძირითადი ელემენტებია:
- მოძრაობა (მოტორულობა) — არის ექსკურსიის ერთ-ერთი ნიშანი. სულ ექსკურსიას ექვსი ნიშანი აქვს.
- ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა არის მეთოდური ხერხების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით იზრდება ექსკურსიის ეფექტიანობა.

ნებისმიერი ექსკურსია, რა თემაზეც უნდა იყოს ის ან რა ფორმითაც უნდა ჩატარდეს, წარმოადგენს სამი კომპონენტის ურთიერთმოქმედების – გიდის, ობიექტის და ექსკურსანტის – შედეგს.

აღნიშნულ ურთიერთმოქმედებაში ძირითადი არის შემადგენელ კომპონენტთა აქტიურობა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება ექსკურსიის ძირითადი ელემენტები – ჩვენება და თხრობა. ჩვენება აერთიანებს ექსკურსიაში სამივე კომპონენტის ურთიერთმოქმედებას. აქ უპრიანია, დაისვას კითხვა, თუ რა პირობები ზემოქმედებენ აღნიშნული სამი კომპონენტის აქტიურობაზე.

ასეთ პირობად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენება, რომლის სრულყოფაზეც უნდა იმუშაოს მეთოდიკამ. მეთოდიკა კი საჭიროა ჩვენებისა და თხრობის ხერხების დასახვეწად. ასევე შეუძლებელია, მივაღწიოთ აქტივიზაციას კარგად შესრულებული ინდივიდუალური ტექსტისა და დახვეწილი ტექნოლოგიური რუკის გარეშე.

სამ კომპონენტს შორის კავშირი შესაძლებელია სქემატურად გამოვსახოთ სამკუთხედის სახით:



სადაც: ა = ექსკურსანტებს;
ბ = გიდს;
გ = საექსკურსიო ობიექტს.

პრაქტიკაში გვხვდება ამ სამი კომპონენტის ურთიერთმოქმედების განსხვავებული ფორმები. განსხვავებულია თითოეული კომპონენტის არა მხოლოდ როლი, არამედ აქტიურობა, რაც გავლენას ახდენს ექსკურსიის ეფექტურიანობაზე.

სამი კომპონენტის პრაქტიკული ურთიერთმოქმედება არის ჩვენების საფუძველი, უფრო ზუსტად, საექსკურსიო ანალიზში ჩვენება არის გიდის, ექსკურსანტის და ობიექტის ურთიერთმოქმედების შედეგი.

თავისთავად დაკვირვება, შესწავლა და კვლევა არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ გიდის, ექსკურსანტის და ობიექტის ურთიერთმოქმედებამდე, რადგან ობიექტს ექსკურსანტები აღიქვამენ მხედველობით, სმენით, შეხებით და სუნით. განვიხილოთ ხუთი სქემის საშუალებით გიდის, ექსკურსანტის და ობიექტის ურთიერთმოქმედების ძირითადი ფორმები. ამ სქემებში სახეზეა თავიდან საექსკურსიო სიტუაციის გამოჩენა, შემდეგ ისე გაძლიერება, რომ ექსკურსანტების მიერ მიღებული შთაბეჭდილება ხდება უფრო ღრმა და

ქმედითი.

განვიხილოთ ვარიანტები, სადაც სამი კომპონენტის გააქტიურების ხარისხი თანდათან მაღლდება და შესაბამისად ძლიერდება საექსკურსიო სიტუაცია, იცვლება ურთიერთდამოკიდებულება კომპონენტებს შორის.

სქემა № 1



გიდის წინაშე დგას ამოცანა, გადახედოს საკუთარ ცოდნას თანახმად ექსკურსანტების კატეგორიისა. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ექსკურსანტების ცოდნის დონეს, ასევე საჩვენებელი ძეგლებისთვის საექსკურსიო ანალიზის სიღრმეს. პირველ სქემაზე გადმოცემულია სიტუაცია, როცა სამი კომპონენტიდან აქტიურია მხოლოდ პირველი – გიდი. ძეგლი გაუანალიზებელია, ექსკურსანტი – პასიური.

სქემა № 2



მეორე სტადიაზე ექსკურსიის წინაშე დასმული ამოცანა რთულდება. ამ სტადიაზე გიდი თავის ცოდნას ექსკურსანტებს ობიექტის პასიური ჩვენებით გადასცემს.

სქემა № 3



მესამე სქემაზე გიდი ააქტიურებს ჩვენებას. ჩნდება ექსკურსანტთა გააქ-ტიურების პირველი ნიშნებიც. ის ცდილობს მეთოდიკის გამოყენებას.

სქემა № 4



ამ სტადიაზე ჩნდება ჩვენებისა და თხრობის ხერხების გამოყენების შესაძლებლობა. იქმნება საექსკურსიო სიტუაცია. იზრდება გიდის როლი.

სქემა № 5



ამ შემთხვევაში ჩვენება და თხრობა ხდება უფრო სრულყოფილი. აქტიურია ექსკურსანტი. იგი არა მხოლოდ აღიქვამს ობიექტს, არამედ იმახსოვრებს მას, აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას. აქ სამივე კომპონენტი აღწევს მაქსიმალურ აქტივიზაციას. აქტიურად მუშაობს საექსკურსიო მეთოდი, მეთოდიკა და მეთოდოლოგია.

განვიხილოთ ცალ-ცალკე სამივე კომპონენტი:

გიდი

ხუთივე სქემაზე გადმოცემულია ექსკურსიის განვითარების სხვადასხვა სტადია. მაგრამ იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ ექსკურსიის განვითარების პროცესს, უნდა გავაანალიზოთ, როგორ აქტიურდება სამივე კომპონენტი. მაგალითად, პირველ სქემაზე გიდი გამოიყურება როგორც ლექტორი, რომელიც გადმოსცემს საექსკურსიო თემას, მაგრამ ჰყვება ობიექტის მოშველიების გარეშე.

მეორე სქემაზეც გიდი ისევ ლექტორის როლშია, მაგრამ იგი იყენებს საექსკურსიო მეთოდს, თხრობას ამაგრებს არგუმენტებით, რამდენადმე ძლიერდება თვალსაჩინოების როლი.

მესამე სქემაზე გიდი ისევ ლექტორის როლშია, მაგრამ მის მეტყველებაში უკვე ჩნდება თხრობის პირველი ხერხები. ზოგჯერ სიტყვიერ არგუმენტებს ჩაანაცვლებს მხედველობითი დემონსტრაციის ნიშნები, რითაც აუდიტორიას მიეწოდება ორი სახის – სიტყვიერი და მხედველობითი მტკიცებულებანი. ამ შემთხვევაში გიდი პირველად გვევლინება ობიექტის დემონსტრატორის როლში.

მეოთხე სქემაზე გიდი უკვე აღარ არის ლექტორი. მისი მეტყველება და მხედველობითი მტკიცებულებანი წინწამოწეული დებულებების მიმართ (ჩვენება) ერთმანეთში ცვლიან ადრე დაკავებულ ადგილებს. ძირითად მამოძრავებელ ძალას, მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გიდის მიერ

შემოთავაზებული მასალის აღქმას, წარმოადგენს ობიექტის ჩვენების მეთოდური ხერხები. მათ ამ სტადიაზე უკვე იყენებს გიდი, რომელიც ლექციას ექსკურსიად აქცევს.

მეხუთე სქემაზე გიდი სრულიად განსხვავებულია ლექტორისაგან, მას აქვს გიდის ყველა თვისება, საექსკურსიო თემის შესაბამისად აუდიტორიამდე მიჰყავს საკუთარი ცოდნა, რისთვისაც მაქსიმალურად იყენებს ჩვენების ხერხებს, როგორც თვალსაჩინოებას. თხრობა მთლიანად ემორჩილება ჩვენებას და მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. იგი მხოლოდ საჩვენებელი ობიექტების კომენტირებით შემოიფარგლება.

გიდს, როგორც მისი მონათესავე პროფესიის ადამიანებს: ლექტორებს, პროპაგანდისტებს, ინფორმატორებს შესაძლებელია ჰქონდეთ ერთგვაროვანი დამოკიდებულება აუდიტორიისადმი: ინფორმატორის, კომენტატორის, აღქმისა და შემეცნების პროცესის ხელმძღვანელის პოზიცია. თითოეული ექსკურსია არის ზემოაღნიშნული პოზიციების ერთობლიობა და მათი გამოყენება, თანახმად განსახილველი მასალისა, დასახული ამოცანების და ცოდნის შესაბამისად, დამოკიდებულია გიდის პროფესიონალიზმზე.

ობიექტი

ექსკურსიის ეფექტიანობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ობიექტზე. იგი უნდა შეირჩეს განსაკუთრებული განხილვისა და ანალიზის შემდეგ. უაღრესად მნიშვნელოვანია ობიექტების თანამიმდევრულად ჩვენება, ჩვენების მეთოდიკის შემუშავება და გიდის უნარ-ჩვევები, რაც მის პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

გიდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თხრობისა და მეთოდური ხერხების მეშვეობით „აალაპარაკოს“ ობიექტი.

ამ ამოცანის შესასრულებლად ექსკურსიამძღოლებმა უნდა წარმოადგინონ ობიექტის ბუნება და ხასიათი, მნიშვნელობა და დანიშნულება. თანამედროვეობიექტის ჩვენების თავისებურებანი ისაა, რომ მის შესახებ ინფორმაციას ექსკურსანტი ფლობს. ისიც ისევე მონაწილეობს თანამედროვე ცხოვრებაში და შესაბამისად მოვლენის თვითმხილველი და მონაწილეა. თანამედროვეობის ჩვენება არ უნდა გადაიზარდოს ლექციაში, ეს უნდა იყოს არგუმენტირებული, დამაჯერებელი და ცოცხალი ემოციური თხრობა. არც ერთ შემთხვევაში ობიექტი არ უნდა იქცეს იმ ღუზად, რომელზეც ტურისტებს აჩერებენ და იგი არ უნდა იყოს მხოლოდ მიზეზი რომელიმე თემის გამოცნობისათვის. მაგალითად, ბათუმის ზღვისპირა პარკის ჩვენებას გიდი იწყებს სიტყვებით: „თქვენ წინაშეა ქალაქ ბათუმის მშვენება ზღვისპირა პარკი, რომლის განაშენიანება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს...” და იწყებს თხრობას ქალაქის გამწვანების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ბათუმის მცენარეული საფარი და გამწვანების საკითხებს ზღვისპირა პარკში აუცილებლად უნდა შეეხოთ, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ საჩვენებელი ობიექტია თავად პარკი, რომლის მაგალითზეც უნდა შევძლოთ გამწვანებაზე თხრობა.

გიდის ამოცანაა, ექსკურსანტის მეხსიერებაში ჩაბეჭდოს ობიექტი, გააქტიუროს მისი ყურადღება. მაგალითად, ბათუმის ნავსადგურის

ჩვენებისას თავისუფლად შეიძლება ტურისტებს მივმართოთ სიტყვებით: „აქედან შესანიშნავად ჩანს ნავსადგურის აკვატორია, აბა გავადევნოთ თვალი და დავაკვირდეთ, რომელი გემები დგანან ნავსადგურში? რომელ ტექნიკას ხედავთ აქ? როგორ მოძრაობს ტექნიკა?“. ასეთი ხერხი ხელს უწყობს ობიექტის გააქტიურებას. ობიექტზე მიზანმიმართული დაკვირვება, რომელიც ეფუძნება ექსკურსანტებისათვის ამოცანის დასმის მეთოდურ ხერხს, ხელს უწყობს ობიექტის გააქტიურებას. ამასთან ერთად, ექსკურსანტების მიერ გამოვლენილი დეტალები და მახასიათებლები გამოიყენება გიდის მიერ, როგორც მხედველობითი მტკიცებულება.

ამ შემთხვევაში ობიექტის აქტივიზაციის მიღწევა შესაძლებელი ხდება გიდის პროფესიონალიზმის წყალობით. საკმარისი არ არის, მიმართულება მივცეთ ტურისტს დასაკვირვებლად, საჭიროა, ტურისტი დააკვირდეს ობიექტს ისე, რომ შეძლოს მისი სრულყოფილად აღქმა.

ექსკურსანტი

ექსკურსანტი მთლიანად დამოკიდებულია ექსკურსიამძღოლზე. თავისი თხრობით ობიექტისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ გიდი ზემოქმედებს ექსკურსანტებზე, ეხმარება მათ, დაინახონ ობიექტი ისე, როგორც თვითონ გიდი ხედავს.

გიდი ხელმძღვანელობს ობიექტზე დაკვირვებას, რისთვისაც იყენებს განსხვავებულ მეთოდურ ხერხებს: ამოცანის დასმას, ლოკალიზაციას, გამომსახველობითი ანალოგიებს, მასალებს, შთაბეჭდილებების დაგროვებას და ა.შ.

გიდი იყენებს ანალიზს, სინთეზისა და აბსტრაჰირების მეთოდს, გამოყოფს ობიექტის განსაკუთრებულ ნაწილს და აქცევს მას დაკვირვების ობიექტად. ექსკურსანტებს გადაეცემა გიდისაგან ცოდნა პედაგოგიური, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ელემენტების გათვალისწინებით. ეს ელემენტები თან ახლავს ნებისმიერ ექსკურსიას.

გიდის აქტიურობა უაღრესად მნიშვნელოვანია ექსკურსიაში. მხოლოდ მას შეუძლია გააააქტიუროს ექსკურსანტი და „აალაპარაკოს“ ობიექტი. ექსკურსანტის გააქტიურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გიდის მიერ მისი პიროვნების გათვალისწინება. ის ფაქტი, რომ ტურისტი ცხოვრობს თანამედროვე ცხოვრებით, ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და გააჩნია ცოდნა, რა თქმა უნდა, ექსკურსიამძღოლმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს. საკუთარი ცოდნით თავი არ უნდა გადაამეტოს და იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ მიწოდებული მასალა შესაძლოა უკვე ნაცნობი იყოს ტურისტისათვის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ექსკურსანტის ცოდნისგან, რომელსაც ის უკვე ფლობს, ავაგოთ ჩვენი თხრობა და მივაწოდოთ ის ახალი ინფორმაცია, რომელიც შეავსებს მის შეხედულებას საგანზე, ობიექტზე, მასთან დაკავშირებულ მოვლენაზე. ამ მიზნით გიდი იყენებს დაკვირვების, შესწავლისა და კვლევის მეთოდურ ხერხებს.

დაკვირვება – არის ექსკურსანტის აქტიურობის პირველი საფეხური, რომელიც მოჰყვება ობიექტისათვის ისეთ მზერას, როცა ექსკურსანტი ამჩნევს და აღიქვამს მის ცალკეულ დეტალებს და ნაწილებს. ექსკურსანტს

უნდა ჰქონდეს დაკვირვების უნარი, რომ მან შეძლოს დაინახოს და აღიქვას ეს დეტალები.

შესწავლა – არის ექსკურსანტის აქტიურობის მეორე უფრო მაღალი საფეხური. შესწავლა დაკვირვების ისეთი ფორმაა, როცა დამკვირვებელს სურს მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია ობიექტის, მისი დანიშნულების, სტრუქტურისა და მნიშვნელობის შესახებ. ზოგჯერ ტერმინს —„შესწავლა“ რაიმე ობიექტის საფუძვლიანი გაცნობის მიზნითაც ხმარობენ.

კვლევა – არის ექსკურსანტის აქტივობის მესამე, ყველაზე მაღალი საფეხური. ამ შემთხვევაში ექსკურსანტი წინასწარ დადგენილი სქემით მიზნობრივად შეისწავლის ობიექტის ცალკეულ თვისებებს, რათა მიიღოს პასუხი მისთვის საინტერესო საკითხზე, მოვლენაზე, ფაქტზე.

ექსკურსანტების აქტივიზაცია მნიშვნელოვანი პრობლემაა და ობიექტისა და გიდის აქტივობასთან ერთად ექსკურსიის ეფექტიანობის საფუძველია.

ექსკურსიის თეორია

ექსკურსიის თეორიის ცოდნა იძლევა საშუალებას, უკეთ დაისახოს ექსკურსიის ეფექტიანობის ღონისძიებები, ადამიანის შეგნებაზე ექსკურსიის ზემოქმედების მექანიზმები, ექსკურსიის ჩატარების სრულყოფის მეთოდები, მისი ძირითადი კანონზომიერებისა და თავისებურებების გამოყენებით.

ექსკურსიის თეორია განსაზღვრავს ექსკურსიის ფუნქციებს, მის ნიშნებს და ასპექტებს, ახასიათებს საექსკურსიო მეთოდს, ხსნის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის შინაარსს ჩვენებისა და თხრობის თავისებურებებს, ახდენს ექსკურსიების კლასიფიკაციას, განსაზღვრავს საექსკურსიო მომსახურებაში დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობას.

ექსკურსიის თეორია ვითარდება საექსკურსიო პრაქტიკასთან უწყვეტ კავშირში. იმ ქვეყნებში, სადაც ექსკურსიების განვითარებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა, ექსკურსიის თეორიაც ძლიერია და იგი ავითარებს საექსკურსიო პრაქტიკას. ექსკურსიის თეორია, როგორც ყველა სხვა თეორია, განვითარებადია და ერთ ადგილზე არ დგას. საექსკურსიო მომსახურების ახალი ფორმები, რომლებიც პრაქტიკაში ინერგება, ამდიდრებენ მას. შედეგად თვით ექსკურსია ხდება უფრო სრულყოფილი და მისი თეორია უფრო გამდიდრებული.

ექსკურსიის თეორიის განვითარება დამოკიდებულია პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებულ შედეგებზე. როგორც ყველა თეორია, ისიც წარმოიშობა პრაქტიკის საფუძველზე და განაზოგადებს პრაქტიკაში დაგროვილ გამოცდილებას, ხოლო შემდეგ მიღებული ანალიზით ეხმარება პრაქტიკას, დანერგოს ახალი მეთოდები ყოველდღიურ საქმიანობაში.

მოთხოვნები გიდის პროფესიისადმი

გიდის პროფესია უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს, ანტიკურ ხანაში გიდები ძირითადად მამაკაცები იყვნენ. მათ შემომტარებლები ეწოდებოდათ. ძველ რომში გიდი აუცილებელი იყო, რადგან იქ არც ქალაქის რუკა და არც ქუჩების დასახელება არ იყო მიღებული. ამიტომ მოგზაურებს გიდის

მომსახურების გარეშე არ შეეძლოთ ორიენტირება. წმინდა ადგილებში მღვდლები აწყობდნენ ტურებს, რომლებიც მრავალფეროვნებით თანამედროვე ტურისტულ ატრაქციებს არ ჩამოუვარდებოდა. გიდებს ანტიკურ ხანაში სპეციალური განათლება არ ჰქონდათ და ისინი ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ის ტერიტორია და ადათ-წესები, სადაც უხდებოდათ მომსახურების გაწევა.

გვიანფეოდალურ ხანაში გიდებად უკვე გვევლინებიან მოგზაური არისტოკრატები, რომლებსაც გამყოლად მუშაობის აკადემიური განათლება ჰქონდათ. ადგილობრივ ექსკურსიამძღოლებთან, რომლებიც ახალგაზრდა კაცებს ღირსშესანიშნაობებს აცნობდნენ და მთის გიდებთან ერთად, რომლებიც ალპებზე ამსვლელებს ემსახურებოდნენ, არსებობდნენ კიდევ საქმიანი ადამიანები, რომლებიც ქალაქში ჩამოსულ მოგზაურებს სასტუმროებში ხვდებოდნენ, რათა შეეთავაზებინათ მომსახურება. მოგზაურებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შესაბამისი ანაზღაურების შემდეგ, აერჩიათ ან ის მომსახურება, რაც მათ სურდათ (მაგ. ქალაქის ტური), ან მომსახურების მთელი კომპლექტი. ეს უკანასკნელი გულისხმობდა, მაგალითად, ექსკურსიას როგორც ქალაქის მიდამოებში, ისე შემოგარენში. გიდის მომსახურება გახდა აუცილებელი, როცა რეგიონების სისტემატური შესწავლა დაიწყეს. ზუსტად ეს იყო განათლებული ახალგაზრდა არისტოკრატების მოგზაურობის მიზანი. განსაკუთრებით საშიშ ადგილებში საჭირო იყო ე.წ. სკაუტის ტიპის გიდი, მაგალითად, გლეხი, რომელიც წარჩინებულ პირის და მისი მხლებლების მოგზაურობას უძღვებოდა.

თანამედროვე ტურიზმში გიდის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. ევროკომისიისა და სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის განკარგულებით გიდისა და ექსკურსიამძღოლის საქმიანობა სავალდებულოდ განისაზღვრა.

გიდი (ინგ. Tourist Guide) განიმარტება ასე: „პიროვნება, რომელიც ტურისტებს უძღვება მათ მიერ არჩეულ ენაზე და აცნობს მათ ტერიტორიის კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას“.

ლიდერი (ინგ. Tour Manager) განსაზღვრულია, როგორც „პერსონა, რომელიც ტუროპერატორების დაკვეთით ხელმძღვანელობს და აკონტროლებს მოგზაურობის მიმდინარეობას და უზრუნველყოფს პროგრამისგანხორციელებასისე,როგორცაღწერილიატუროპერატორების მიერ და განსაზღვრულია სამოგზაურო ხელშეკრულებით“.

გიდის ყოველდღიურ პრაქტიკაში მისი საქმიანობის გამოყოფა მენეჯმენტიდან იშვიათად ხდება. ერთდღიან ან ნახევარდღიან ტურებზე გიდი არა მხოლოდ ქალაქს ათვალიერებინებს ტურისტებს, არამედ აკონტროლებს ტურის პროგრამის დაცვას. მაგალითად, ის ზრუნავს ტურისტების ტრანსპორტირებასა და კვებაზე. ამ შემთხვევაში გიდი არის იგივე ლიდერი ანუ ტურმენეჯერი. პროფესიულ დასახელებათა და დეფინიციათა პრობლემატიკა გამოწვეულია იქიდან, რომ გიდის პროფესია ევროკავშირში მხოლოდ ავსტრიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგშია რეგლამენტირებული. ამ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭებათ ისეთ გიდებს,

რომლებსაც დამთავრებული აქვთ შესაბამისი სასწავლებელი და აქვთ ამის დამადასტურებლად დიპლომი. ეს ქვეყნები მოითხოვენ პროფესიული მოწმობის, ლიცენზიის ან ნებართვის ქონას, როცა მათ ტერიტორიაზე ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებიდან ჩამოდიან გიდები ტურისტთა ჯგუფებისთვის ექსკურსიის ჩასატარებლად. სამართლებლივად, ევროკავშირის წევრ ქვეყანას არა აქვს უფლება, გიდს სხვა წევრი ქვეყნიდან მოსთხოვოს ადგილობრივი სასწავლებლის დასრულება.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ევროკავშირი მიდის იმ გზით, რომ მომავალში ყველას ჰქონდეს სამუშაო მოვალეობის შესრულების უფლება, თუ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. მაგრამ საკითხავი ის არის, რა უნდა ჩაითვალოს სათანადო პროფესიულ ცოდნად. ეს კითხვები ხშირად ისმის და მათზე კამათობენ ევროკავშირის შესაბამის უწყებებში.

მომავალში, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, გიდის საქმიანობაც შეიცვლება. მათ ჩაანაცვლებენ ვირტუალური კოლეგები. Global-Positioning-System (GPS)-ის დახმარებით შესაძლებელია მოგზაურის მდებარეობის განსაზღვრა სამი მეტრის სიზუსტით. ციფრული მოლაპარაკე აპარატების გამოყენებით ნებისმიერ ობიექტზე სწრაფად მიიღებ ზუსტ ინფორმაციას. ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალი ტექნოლოგიის ვირტუალურ გიდს ეწოდება ვერა (Vera), ეს არის ერთგვარი კომპიუტერი, რომელსაც გააჩნია დიდი მოცულობის მონაცემთა საცავი, შეუძლია მისი დამუშავება და სპეციალური პროგრამის მეშვეობით ვირტუალური გიდის ფუნქციის შესრულება.

თანამედროვე გიდის პროფილი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ის არის აკადემიურად განათლებული, აქვს დეტალური ცოდნა იმ გარემოს შესახებ, რომელშიც მოღვაწეობს, არის სოციალურად კომპეტენტური და სრულყოფილად ფლობს უცხო ენას. გიდი არის ტოლერანტი და თავისუფლად ურთიერთობს სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ ჯგუფებთან.

სივრცე, გაშიფვრა-აღქმა

ლანდშაფტი არის დედამიწის ზედაპირის სამგანზომილებიანი ნაწილი. ეს სივრცობრივი წარმონაქმნი შეიძლება იყოს ბუნებრივი, კულტურული ან ქალაქის ლანდშაფტი. დღეისათვის თვით გლობალიზაციაა ლანდშაფტი, სადაც თანაბრად მოქმედებენ ეკოლოგიური და ეკონომიკური პროცესები. დღეს ლანდშაფტის ნებისმიერ ფორმაზე ადამიანი ზემოქმედებს თავისი საქმიანობით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეულწილად ლანდშაფტი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც „ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა“.

გარკვეული თვალსაზრისით ლანდშაფტს ქმნის საზოგადოების არქივი, რომელიც ირეკლავს მის კულტურას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სივრცის აღქმა ხდება ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული ფილტრის მეშვეობით.

არასრული ინფორმაცია ამახინჯებს კოგნიტურ სურათებს. რა გვახსენდება ამა თუ იმ ადგილზე, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რას ვთვლით მნიშვნელოვნად და რა მნიშვნელობას ვაწერთ ჩვენს გარემოს,

ეს ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს პიროვნულობაზე. კოგნიტურ წარმოდგენებს მხოლოდ ორიენტაციისა და ნავიგაციის ფუნქცია არა აქვს, ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს ქცევაზე. კოგნიტური სურათები იმდენად დეტალური და მრავლისმომცველია, რომ მათი მეშვეობით პიროვნება ძალიან ბევრ ინფორმაციას იღებს გარემოზე.

ამ თვალსაზრისით გიდი ორმაგად უფრო მოთხოვნადია. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა შეეძლოს სივრცის წაკითხვა, ინფორმაციის შეგროვება და ინფორმაციის სხვა წყაროების აღმოჩენა. მეორე მხრივ, ის ეხმარება ტურისტებს სივრცის გაშიფვრასა და წაკითხვაში, უხსნის სივრცის კოდებს. ლანდშაფტებს, სივრცეებს და ადგილებს თავისი კოდები აქვთ, გიდის ამოცანაა, გაშიფვროს ისინი და საინტერესოდ გადასცეს ტურისტებს.

გიდობა – მიზანი

ტურისტი გიდისგან ელოდება საინტერესოდ გადმოცემულ ინფორმაციას და გართობას. ინფორმაციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, გიდი საგნობრივად კომპეტენტური იყოს. მას უნდა შეეძლოს ტერიტორიების გაშიფვრა. გიდის დიდაქტიკური კომპეტენცია ითვალისწინებს, რომ ინფორმაცია სასიამოვნოდ იყოს გადმოცემული.

გიდის მეორე მიზანი ორიენტირებაა. ყველა ტურისტის სურვილია, უცხო ქალაქში (გარემოში) ადვილად შეძლოს ორიენტირება, თუ ის ამას შეძლებს, ექსკურსიამძღოლის გარეშეც მოახერხებს ქალაქის რაღაც ნაწილის დათვალიერებას. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ტურისტი ხშირად ხვდება უკვე ნაცნობ ადგილებში, რადგან დანარჩენ ქალაქს არ იცნობს და ამიტომ გადაადგილება უჭირს.

ტურისტის პირველი შეხვედრა უცნობ ქალაქთან გადამწყვეტი მომენტია, რადგან ამ დროს ყალიბდება მისი წარმოდგენა ქალაქის შესახებ. პირველივე წუთებში ტურისტი უკვე გრძნობს, თუ რამდენად საინტერესო და მოსაწონია მისთვის ეს ქალაქი. პირველი შთაბეჭდილების შეცვლა საკმაოდ რთულია. წარმოდგენის შექმნაში დიდ როლს თამაშობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. გლობალიზაციის პროცესში მასმედიამ შეძლო ჩვენი სამომხმარებლო ქცევის შეცვლა. მისი საშუალებით წინა პლანზე წამოვიდა ვიზუალური მოხმარება. ახალი ვიზუალური შთაბეჭდილებების მოხმარებას ტურისტული ინსტიტუტები გიდის მომსახურებას უკავშირებენ. ექსკურსია ხელს უწყობს ქალაქის დადებითი იმიჯის შექმნას. ის ქალაქის ან რეგიონის მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიდმა ინფორმაცია უნდა გაალამაზოს ან უარყოფითი ცნობები არ მიაწოდოს ტურისტებს. წარსულის ბნელი მხარეებიც ისევე მიმზიდველი შეიძლება იყოს ტურისტებისთვის, როგორც საგმირო და პოზიტიური. კრიტიკული ტურისტის მახვილი თვალი აუცილებლად შეამჩნევს მანიპულაციის და შელამაზების ფაქტს. რატომ უნდა ავიცილოთ თავიდან კრიტიკა? კრიტიკული კამათი თანამედროვეობისა და წარსულის შესახებ უფრო მიმზიდველია ტურისტებისთვის, ვიდრე უარყოფითი ინფორმაციის

გამოტოვება ან შელამაზება. ამიტომ გიდი ასეთ შემთხვევას ძალიან სათუთად უნდა მოეპყრას.

ექსკურსიის წარმატებისთვის ერთმანეთს უნდა შევუთავსოთ ობიექტის შესახებ ინფორმაცია, ისტორია, დასვენება და სახალისო ისტორია, თუნდაც ანეკდოტები. ქალაქისადმი ტურისტის კეთილგანწყობის მოპოვებით ვიღებთ ორმაგ ეფექტს. თუ ის გიდის მიერ ჩატარებული ექსკურსიით კმაყოფილია, დიდი შანსია, რომ კიდევ ჩამოვიდეს. მეორე მხრივ, ის აუცილებლად გააცნობს თავის შთაბეჭდილებებს და დააინტერესებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ გიდის პოტენციური მომხმარებლები გახდებიან.

დიდია ექსკურსიის როლი ამა თუ იმ ქალაქის ან რეგიონის ეკონომიკაში. თუ ტურისტი კეთილგანწყობილია ქალაქისადმი და გიდის მომსახურებითაც კმაყოფილია, დიდი შანსია, რომ კიდევ უფრო მეტი ხნით დარჩეს ქალაქში. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკისთვის. ამ დროს იყიდება ადგილობრივი პროდუქტები და მომსახურება, რაც დამატებით შემოსავალს აძლევს ქალაქის მოსახლეობას.

საგნობრივი კომპეტენცია

საგნობრივი კომპეტენცია გიდობის კოგნიტური საფუძველია. ყოველ გიდს გააჩნია ე.წ. შინაგანი ბიბლიოთეკა, რომელიც ასახავს მის ცოდნას. გიდი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს „შინაგანი ბიბლიოთეკის“ შინაარსზე. მის გასამდიდრებლად საჭიროა მონდომება და დრო. ამ მიმართებით უმნიშვნელოვანესი კითხვაა: რა უნდა იცოდეს გიდმა?

„შინაგანი ბიბლიოთეკის“ საძირკველს წარმოადგენს ზოგადი განათლება, რომლის გამომუშავება სკოლაში ხდება. თუმცა, ის ფაქტი, რომ პიროვნებამ დაამთავრა სკოლა, სულაც არ გულისხმობს, რომ ის კვალიფიციური გიდია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ამ ცოდნის ინტენსიური გაღრმავება. „შინაგან ბიბლიოთეკაში“ ბაზისს წარმოადგენს არა მხოლოდ ზოგადი განათლება, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებაც.

სწორედ ზოგად განათლებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აგებს გიდი „სპეციალურ განყოფილებებს“ თავის „შინაგან ბიბლიოთეკაში“. განყოფილებები სხვადასხვა მოცულობისაა. ის დამოკიდებულია რეგიონზე, ქალაქსა და ობიექტზე, რომლებიც მისი მოღვაწეობის სფეროში შედის. სხვადასხვა გიდისთვის განსხვავებულია სამი უდიდესი განყოფილებაც: ბუნებრივი გარემო, კულტურული გარემო და ყოველდღიურობა. ამ განყოფილებებში შენახულია ყველა ძირითადი ფაქტი მოსანახულებელი ობიექტების შესახებ.

ბუნებრივი და კულტურული გარემო, ყოველდღიურობა

ბუნებრივი გარემოს ქვეშ იგულისხმება ის თემები, რომლის დახმარებითაც გიდს შეუძლია რეგიონის ან ქალაქის ბუნებრივი პირობების აღწერა, მაგალითად:

- **კლიმატი:** რეგიონის კლიმატი, ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, მდებარეობა ზღვის დონიდან, ძირითადი სიმაღლეები,

ჰაერის ტემპერატურა, ეკოლოგიური მდგომარეობა, ჰაერის გამჭვირვალობა.

- **გეოლოგია:** ნიადაგის აგებულება, ქანები, მინერალები, ენდოგენური პროცესები.
- **რელიეფი:** ეგზოგენური (წყალი, ქარი, მყინვარი) და ენდოგენური პროცესების შედეგები, სანაპიროს ფორმირება, ნიადაგის გამოყენების შესაძლებლობები, ქალაქის მდებარეობა, რელიეფი.
- **ჰიდრორესურსები:** მდინარეები, ტბები, ზღვები, მყინვარები, წყლის ხარისხი.
- **მცენარეულობა:** პოტენციური ბუნებრივი მცენარეულობა, არსებული მცენარეულობა, მცენარეული საფარის გავლენა გარემოზე.
- **ცხოველთა სამყარო:** რეგიონისთვის დამახასიათებელი შინაური და გარეული ცხოველები, გადამფრენი ფრინველები.
- **ეკოლოგია:** ეროვნული პარკები, ნაკრძალები, ბოტანიკური და ზოოლოგიური პარკები, ბუნების მუზეუმები, ბუნების ძეგლები, ეკოლოგიური კატასტროფები (წყალდიდობა, გვალვა, ხანძარი, გრიგალი, მწერების შემოსევა და ა.შ.).

კულტურულ გარემოში იგულისხმება ის თემები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებთან და მათ საქმიანობასთან:

- **ისტორია:** ქალაქის დაარსების თარიღი, ისტორიული მოვლენები (ომები, ხანძრები, ეპიდემიები), ქალაქის დაარსების მიზეზები, გაშენების თარიღები და არქიტექტორები, ქალაქის გაფართოება, განახლება, ნაგებობების სტილი და განსაკუთრებულობა (მაგალითად, საშენი მასალები).
- **მოსახლეობა:** მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა, მოსახლეობის სტრუქტურის განვითარება (მიგრაცია), ასაკობრივი და სხვა დემოგრაფიული მონაცემები (შობადობა, სიკვდილიანობა).
- **არქიტექტურა/ხელოვნება:** მოედნები, თავდაცვითი ნაგებობები (გალავანი, კოშკები, ჭიშკარი), სასახლეები, ციხესიმაგრეები, რეზიდენციები, ტაძრები, ეკლესიები, მონასტრები, სინაგოგები, მეჩეთები, სასაფლაოები, ძეგლები, ინდუსტრიული ძეგლები, ისტორიული და ხელოვნების მუზეუმები, დიზაინი, ხელოვნების ნიმუშები, ნაციონალური ხელოვნება.
- **ეკონომიკა:** ეკონომიკის სექტორის უმნიშვნელოვანესი მონაცემები (საწარმოების და დასაქმებულთა რაოდენობა), უმუშევრობის დონე, სოფლის მეურნეობა, სარწყავი სისტემები, ინდუსტრიული საწარმოები (მნიშვნელობა და განვითარება), ტექნოლოგიური ცენტრები და მუზეუმები, ელექტროსადგურები, საწარმოთა

მმართველები, ისტორიული პროფესიები, ბაზრები, სავაჭრო ცენტრები, ბაზრობები, ბანკები, კვლევითი ინსტიტუტები, ცნობილი პიროვნებები ეკონომიკასა და მეცნიერებაში.

- **ტრანსპორტი:** ისტორიული სატრანპორტო გზები, ნავსადგურები, არხები, სანაოსნო მდინარეები, აეროპორტები, რკინიგზის სადგურები, ხიდები, გვირაბები, მაგისტრალები და ავტობანები, საბაგირო გზები, ტურისტული და საველოსიპედო ბილიკები.
- **პოლიტიკური ძალები:** პოლიტიკური დაწესებულებები და შენობები, შეხვედრის ადგილები, საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, რელიგიური მმართველობა, დემონსტრაციები, პარტიები, გლობალური საკითხები სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, ჯანმრთელობის პოლიტიკა, ენერგიის გამოყენების პოლიტიკა, გამოჩენილი ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკოსები, ქალაქისა და ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა.
- **სოციალური ჯგუფები:** კორპორაციები, გილდია, საზოგადოება, რელიგიური გაერთიანებები, პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა, სამხედროები და მათი როლი ქვეყნის/ქალაქის წარსულში.
- **ენა:** კუთხეები და კუთხური დიალექტი, კილო, ტიპური ანდაზები და გამოთქმები (მათი წარმოშობა და მნიშვნელობა), ანეკდოტები.
- **ლიტერატურა:** ცნობილი ავტორები, მათი შემოქმედება და ბიოგრაფიული მონაცემები, კომიკოსები, მოცეკვავეები და მსახიობები, თეატრები, ღია სცენები, წიგნისა და გაზეთის გამომცემლობები, ბიბლიოთეკები და წიგნის გამორჩეული მაღაზიები.
- **მუსიკა:** გამოჩენილი მუსიკოსები, მათი შემოქმედება და ბიოგრაფიული მონაცემები, პრემიერები, ოპერა, ბალეტი, ფესტივალები, კონცერტები, როკჯგუფები და ტრადიციური სიმღერები.
- **კინო:** გამოჩენილი მსახიობები, ფილმები, კინოფესტივალები, რადიო და სატელევიზიო არხები.
- **სპორტი:** რეგიონისთვის დამახასიათებელი სპორტის სახეობები, სტადიონები, არენები, გამოჩენილი სპორტსმენები, განსაკუთრებული შეჯიბრებები (ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები).

ბიბლიოთეკის მესამე ნაწილს წარმოადგენს ყოველდღიურობა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებთ ტურისტებს. მას განეკუთვნება ის თემები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ძირითად მოთხოვნილებებთან.

- **საკვები:** რეგიონისთვის დამახასიათებელი კერძები და რეცეპტები, სასმელი, საცხობები, ლუდსახარში საწარმოები, ღვინის მარნები, ნაციონალური რესტორნები.

- **სამოსი:** ნაციონალური სამოსი, უნიფორმები, ცხოვრების დონის გამომხატველი სამოსი, თანამედროვე სამოსი.
- **საცხოვრებელი სახლები:** სხვადასხვა ჯგუფებისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლები: გლეხების, მუშების, ჩვეულებრივი მოქალაქეების, რაინდების, თავადებისა და არისტოკრატების. დღევანდელი საცხოვრებელი სიტუაცია, სამშენებლო ტექნოლოგიები (მშენებლობის სტილი, აგური, მასალები), გამოჩენილი პიროვნებების სახლები.
- **სამუშაო:** განსხვავებული პროფესიები (მაგ. მევენახე, მეტალურგი, მეზღვაური და ა.შ.), ისტორიული პროფესიები და ხელობები, შემოსავლები, დაზღვევა.
- **ჯანმრთელობა:** დაავადებები, ეპიდემიები, სასმელად ვარგისი წყლის ხელმისაწვდომობა, საავადმყოფოები, კლინიკები, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, უზრუნველყოფილი სიბერე.
- **თავისუფალი დრო:** დასასვენებელი და გასართობი პარკები, დისკოთეკები, ღამის ცხოვრება, დღესასწაულები, რეგიონისთვის დამახასიათებელი კარნავალები და ღონისძიებები), რელიგიური ღონისძიებები და პროცესიები.

„შინაგან ბიბლიოთეკას“ ახასიათებს ის თვისება, რომ ის დროთა განმავლობაში ძველდება. ამიტომ ცოდნას სჭირდება პერიოდული განახლება. გიდები ამას აღწევენ სხვადასხვა ლიტერატურის კითხვით, სემინარებსა და ლექციებზე დასწრებით, სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცოდნის გაღრმავებით.

მნიშვნელოვანია, გიდს სახლში ჰქონდეს მდიდარი ბიბლიოთეკა, ყველა საჭირო წიგნი მისთვის ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს, მაშინ იგი უპრობლემოდ გაიღრმავებს „შინაგან ბიბლიოთეკას“.

რუკები

„შინაგანი ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია „რუკების განყოფილება“. გიდისთვის აუცილებელია არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნა, არამედ მას ასევე კარგად უნდა შეეძლოს სივრცეში გადაადგილება. ამისთვის მას სჭირდება კარგი სივრცითი წარმოდგენის შექმნა ქალაქზე ან რეგიონზე. რუკის გამოყენებით ბევრად მარტივია ორიენტირება გარემოში.

გეოგრაფიული რუკა არის დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულება სიბრტყეზე. სამგანზომილებიანი ობიექტები მოცემულია ორგანზომილებიან ნახაზში. რუკის შინაარსი გამარტივებულია და რაიმე თემის მიხედვით არის შედგენილი. შინაარსის მიხედვით გამოიყოფა რუკის ორი დიდი ჯგუფი: ტოპოგრაფიული და თემატური.

ტოპოგრაფიულ რუკაზე აისახება ტერიტორიის რელიეფი, მდინარეები, ხევები, რელიეფის სიმაღლეები და ტერიტორიის სხვა თავისებურებები. თემატური რუკები კი ასახავენ იმ სივრცით თემებს, რომლებიც არ არიან ტოპოგრაფიული ხასიათის. თემატური რუკებია, მაგალითად, გეოლოგიური, კლიმატური, ნიადაგის, რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის რუკები. ისინი გიდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია ნებისმიერ თემას მოუძებნოს შესაბამისი რუკა.

ტოპოგრაფიულ რუკებს თან ერთვის მასშტაბი, რომელიც შეფარდებაა ერთი და იმავე ობიექტის რეალურად და ქაღალდზე გამოსახულ სიდიდეებს შორის, ე.ი. გვიჩვენებს, რამდენჯერ არის შემცირებული ან გადიდებული ობიექტი მისი ქაღალდზე გამოსახვისას.

კარგი რუკა ადვილად უნდა იკითხებოდეს. მას უნდა მოჰყვებოდეს გამოყენების ინსტრუქცია, მაგრამ მისი წაკითხვის გარეშეც უნდა შეიძლებოდეს რუკის განმარტება.

სხვადასხვა რუკის გამოყენებით გიდი ავრცობს და ასწორებს საკუთარ შინაგან სივრცულ ხედვას. ეს ინდივიდუალურია, რადგან ყველა ადამიანი სივრცეში გადაადგილებისას სხვადასხვა ობიექტს აქცევს ყურადღებას და იმახსოვრებს. გიდი, რომელიც ქალაქში ექსკურსიას ატარებს, ის ადგილები, რომელსაც ყოველდღიურად გადის, ზედმიწევნით აქვს გონებაში ნათლად ჩაბეჭდილი.

გარემოში დეტალებზე დაკვირვება ინდივიდუალურია და ინტერესების შესაბამისად ხდება. როცა გიდს ნაცნობი ბილიკის ნაცვლად უცნობზე უწევს გადაადგილება, მის შინაგან სივრცულ წარმოდგენაში ლაქები ჩნდება. იმისთვის, რომ ადვილად გადაადგილდეს უცნობ გარემოში, მას სჭირდება რუკა. სწორედ მისი გამოყენებით არის შესაძლებელი უკვე კარგად გაცვეთილი ბილიკების ახლით შეცვლა.

მასალის დამუშავება

ადამიანი ყოველდღიურად უამრავ ინფორმაციას იღებს, მაგრამ იმისთვის, რომ მან შეძლოს მისი გამოყენება, აუცილებელია დიდი მოცულობის მასალის ისე დამუშავება, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადვილად აღიდგინოს მეხსიერებაში. მასალის დამუშავებას გიდი ახერხებს ინდივიდუალური სასწავლო ქცევებისა და მეთოდების გამოყენებით.

საფოსტო ბარათები

A6 სიდიდის ბარათებზე დაწერეთ ფაქტები, ციტატები და ა.შ. ყველა ბარათი დაასათაურეთ, მაგალითად: მერია-არქიტექტურა, თეატრი-ანეკდოტი და ა.შ. ამოიწერეთ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. თუ ერთი ბარათი არ გყოფნით, დანომრეთ ბარათები (მაგალითად: მერია-არქიტექტურა 1.). გახაზეთ მნიშვნელოვანი საკითხები მარკერით. გამოიყენეთ სხვადასხვა ფერი ინფორმაციის დალაგებისას. მაგალითად, აიღეთ წითელი ბარათი მერიისთვის, მწვანე — სადგურისთვის და თეთრი — ქალაქის ეკლესიებისთვის. შეგიძლიათ ცალკეული თემები ფერების მიხედვით დაახარისხოთ: არქიტექტურა — წითელი, ანეკდოტები — ყვითელი, ბიოგრაფიები — ლურჯი. გამოიყენეთ თქვენი კრეატიულობა შეუზღუდავად.

ბარათების შექმნა:

- გამოიყენეთ A6 ზომის ბარათები.
- გამოიყენეთ სხვადასხვა ფერის ბარათები.
- ყველა ბარათს გაუკეთეთ სათაური.
- ყველა თემის ან ქვეთემისთვის აიღეთ ახალი ბარათი.
- ერთი თემის ბევრ ბარათზე განაწილების შემთხვევაში დანომრეთ ისინი.
- დაწერეთ ისე, რომ ადვილად იკითხებოდეს.
- საკვანძო სიტყვები გააფერადეთ.

ამ მეთოდის გამოყენებით შეძლებთ წიგნის ან სტატიის ინფორმაციის დახარისხებას. თუ ამ თემაზე სხვა ცნობებსაც მოიპოვებთ, შეგიძლიათ უკვე შექმნილ ბარათებში ჩაამატოთ. თუ რაღაც ინფორმაცია მოძველდა ან აღარ არის მნიშვნელოვანი, შეგიძლიათ ის ნაწილი მარტივად ამოშალოთ ბარათიდან. ბარათებზე შეგიძლიათ დააკრათ რუკები ან გრაფიკები. ეს გაგიადვილებთ მათ გამოყენებას.

Mind Mapping არის კრეატიული სამუშაო მეთოდი ჩანიშვნების გასაკეთებლად. ის გამოიყენება დაგეგმვის, პრობლემების გადაწყვეტისთვის, იდეების ჩამოსაყალიბებლად (Brainstorming), ინფორმაციის შესაჯამებლად და კავშირების დადგენისთვის. ამ მეთოდის გამოყენებისას გავარჯიშდება ტვინის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნახევარი. ტვინის მარჯვენა ნახევარი პასუხისმგებელია სურათების, ფერების, მსგავსების, რიტმის და ერთდროული ინფორმაციის გადამუშავებაზე. ადამიანები, რომელთათვის ტვინის მარჯვენა ნახევარია წამყვანი, ძირითადად ხელოვანები, გამომგონებლები, მედდები ან ჟურნალისტები არიან. ტვინის მარცხენა ნახევარს ეხება ენა, ლოგიკა, ანალიზი, დასკვნები და ანგარიში. ადამიანები, რომელთათვის ტვინს მარცხენა მხარეა დომინანტი, ძირითადად აკადემიკოსები, მეცნიერები, ინჟინრები, იურისტები და ეკონომისტები არიან. თუ პროცესში ჩართულია ტვინის ორივე ნახევარი, დამახსოვრება უფრო ეფექტიანად ხდება. ამიტომაც ითვლება, რომ Mind Mapping გონებას ხვეწს. ეს არის მეხსიერების ბარათი, რომელიც ბადისებრი, ქსელისებრი ნახაზით უზრუნველყოფს ოპტიმალურ წარმოდგენას. მის გასაკეთებლად საჭიროა რამდენიმე წესს მიექცეს ყურადღება:

- აიღეთ დაუხაზავი A4 ფორმატის ფურცელი.
- მთავარი თემის სახელი დაწერეთ ფურცლის შუაში (მაგ. ისტორიული მუზეუმი).
- მთავარი თემის დასახელებიდან გაავლეთ შტოები და დაწერეთ მასთან დაკავშირებული სიტყვები (მაგ.: ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, ფეოდალური ხანა).
- შემდეგ მათ დაუკავშირეთ სხვადასხვა სიტყვები წვრილი შტოებით (მაგ.: შუა საუკუნეებს დაუკავშირეთ თავადაზნაურობა, რაინდები, ვაჭრები და ა.შ.).
- მთავარ თემასთან დაკავშირებული სიტყვების განლაგების იერარქია შეესაბამება პრინციპს: ზოგადიდან კონკრეტულისკენ.
- თუ Mind Mapping ძალიან გადაიტვირთება, დაასრულეთ.
- გააფორმეთ Mind Mapping სხვადასხვა ფერით, სიმბოლოებით და სურათებით.
- შტოების თანამიმდევრობის აღსანიშნავად შეგიძლიათ ისინი დანომროთ.
- Mind Mapping შექმნისას იყავით, რაც შეიძლება, კრეატიულები. რაც უფრო მეტად ფერადი და დასურათებულია ის, მით მეტ ინფორმაციას დაიხსომებთ.

საექსკურსიო პრაქტიკა:
ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები

წარუმატებელი ექსკურსიის 5 შეცდომა არის შემთხვევები, როდესაც ექსკურსიისას დაღლილი ტურისტები მორჩილად ჩამოდიან ავტობუსიდან და მიჰყვებიან ექსკურსიამძღოლს, რომელიც ცდილობს, მიჰყვეს ექსკურსიის გეგმას. ექსკურსანტები ისმენენ გიდის მიერ ცუდად მომზადებულ ტექსტს, სვამენ კითხვებს ზრდილობის გამო, იღებენ ფოტოებს, აგროვებენ ბროშურებს

და შემდეგ ისევ გადაადგილდებიან შემდეგ ობიექტამდე. მათი მეხსიერება უკვე ძალიან გადატვირთულია და გონება ინფორმაციის ნაკადს ახშობს, ჯგუფს სძინავს და პასიურობს.

ექსკურსიები ყოველთვის ასე ცუდად არ მიმდინარეობს, მაგრამ არსებობს რამდენიმე შეცდომა, რომელიც აუცილებლად უნდა აირიდოს თავიდან ახალბედა გიდმა:

1. ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაცია

ექსკურსია და მოგზაურობა ძირითადად ძვირი ჯდება. ეს აქეზებს ორგანიზატორებს, პროგრამა, რაც შეიძლება, მეტი ობიექტით დატვირთონ, რათა დანახარჯი ჩაანაცვლონ შემოსავლით.

2. გაუგებარი მარშრუტი და ობიექტები

საუბრები, ობიექტის მონახულება და გიდის პრეზენტაცია ხშირად ისეა ერთმანეთს მიყოლებული, რომ არ არის დაკავშირებული დიდაქტიკურ ან საგნობრივ კომპეტენციასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აკლია ერთიანობა და თემატური რუკები, რომლებიც ტურისტებს საჭირო ორიენტაციას აძლევენ. გახსოვდეთ: მარშრუტში ყველა ობიექტს უნდა ჰქონდეს ლოგიკური ადგილი.

3. ლოჯისტიკის ბატონობა ადამიანურ მოთხოვნილებებზე

„სული გაცილებით ნელა მოძრაობს, ვიდრე ადამიანის სხეული და ამიტომ ადგილზე უფრო გვიან მიდის“, ამბობს ჩინური ანდაზა. ხშირად მოგზაურობის ლოჯისტიკა ტურისტებს აღარ უტოვებს საკმარის დროს საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გახსოვდეთ: არ დაიწყოთ თხრობა მანამ, სანამ ყველა ტურისტი არ მოვა ობიექტამდე და საკუთარი თვალით არ ნახავს მას.

4. ტურისტების სამომხმარებლო ქცევა

„არასდროს წაიკითხო ისეთი წიგნი, რომელზეც შეკითხვა არ გაგიჩნდება“, ასე ჟღერს პედაგოგიური გამოთქმა, რომელიც შეგვიძლია ექსკურსიებსაც დავუკავშიროთ. ხშირად ექსკურსიისას „მშობლის და შვილის“ სიტუაციას წავაწყდებით ანუ ორგანიზატორები წყვეტენ, რა არის „კარგი“ ჯგუფისთვის ან ეს უკანასკნელნი შემოთავაზებას იღებენ ინდიფერენტულად. გახსოვდეთ: ტურისტებს მიეცით კითხვის დასმის საშუალება, ჩათვალეთ მათი აზრი ანგარიშგასაწევად.

5. არასაკმარისი სივრცე რეფლექსიისა და ტრანსფერისთვის

ტურისტი ახალ ინფორმაციას და გამოცდილებას იღებს, რომ ამ ყველაფერს გადაამუშავებს და საკუთარ სამუშაოს მიუსადაგებს. ძალიან ხშირად ექსკურსიის გეგმა არ ითვალისწინებს ამას. გახსოვდეთ: ჰკითხეთ ტურისტს, რას განიცდის იგი ობიექტის დათვალიერების შემდეგ, შეძლო კი მან ობიექტის აღქმა?

მაგიური ხუთკუთხედი

პენტაგრამა ევროპულ კულტურაში საუკუნეებია, რაც უარყოფითი ზეგავლენისგან თავდასაცავად გამოიყენება. შესაძლებელია, ის ცუდად დაგეგმილი ექსკურსიის თავიდან ასაცილებლადაც გამოვიყენოთ.

ექსკურსიის დიზაინის პენტაგრამა:



პენტაგრამის ხაზები ელემენტების ურთიერთკავშირს გამოხატავს და ცდილობს ამ კავშირის ოპტიმიზაციას. ოპტიმიზაციის ეს პროცესი ექსკურსიის დაგეგმვით არ მთავრდება, მან თანამიმდევრულად უნდა წაიყვანოს ექსკურსია. პენტაგრამის ეს ხუთი ელემენტი მუდმივად იცვლება, ისინი არ უნდა განვიხილოთ შეუცვლელად ან მკაცრად დადგენილად.

მიზნები

ექსკურსიის მიზნები ძირფესვიანად განსხვავდება კლასიკური საგანმანათლებლო ღონისძიების მიზნებისგან:

- ისინი აფართოებენ რეალობის წინანდელ აღქმას და ცვლიან მას.
- იძლევიან რეალობაზე საკუთარი წარმოდგენის ახლებურად ინტერპრეტაციის საშუალებას.
- მათი მეშვეობით შესაძლებელია პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში ახალი მეთოდების, გეგმისა და ინსტრუმენტების გამოყენება.
- ისინი იძლევიან ადამიანების ქცევისა და ორგანიზაციის ალტერნატიულ ფორმებზე დაკვირვების საშუალებას.
- ექსკურსიის მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა, ის ითვალისწინებს ტურისტის პიროვნებასაც.

შინაარსი

ექსკურსიის არსი არა მხოლოდ ცალკეული ობიექტების დათვალიერებაა, არამედ ხელს უწყობს სისტემური ცოდნის შეძენას, ე.ი. ის იძლევა გარკვეული თემების კვლევის საშუალებას. ეს გულისხმობს მუდმივად მაკრო, მეზო და მიკროგარემოში წინ და უკან მოძრაობას.

სამწუხაროდ, საკმაოდ რთულია ამ გარემოების განცალკევება და დაყოფა, რადგან ლოჯისტიკის მოთხოვნილება წარმოშობს გარემოებებსა და საგნობრივ თემებში არეულობას. იმისთვის, რომ მონაწილეებმა და

ორგანიზატორებმა ექსკურსიის შინაარსზე სწორი წარმოდგენა შეიქმნან, სასურველია თემატური რუკის შედგენა, რომელიც გამოსახული იქნება, როგორც Mind-Map, რომლის ცენტრშიც, წრეში, მოცემულია მთავარი თემა და მასთან დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტები, ადგილები და მოსაუბრეები.

დიდაქტიკა

დიდაქტიკას ექსკურსიის დროს 5 ფუნქცია აქვს:

- **ორიენტაცია:** გზამკვლევებისა და სიგნალების გამოყენება, რომლებიც ექსკურსანტებს დაეხმარება სწორად ორიენტირებაში.
- **ფოკუსირება:** ის ეხმარება ექსკურსანტებს დიდი მოცულობის ინფორმაციიდან გადაარჩიონ, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რა — უმნიშვნელო.
- **აქტივაცია:** მისი მიზანია, ტურისტები პასიური მსმენელების ნაცვლად აქტიურ მკვლევარებად აქციოს.
- **რეფლექსია:** მიღებული ინფორმაციისა და გამოცდილების შეფასება და დამუშავება.
- **ტრანსფერი:** ექსკურსანტებს უწყობს ხელს, ნანახი და გამოცდილი საკუთარ სამუშაო რეალობაში გადაიტანონ.
- ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მეთოდი, რომლებიც დიდაქტიკური ამოცანების განხორციელებაში გვეხმარება:
- **საუბრები ბუხართან:** ეს მეთოდი გულისხმობს მოცემულ თემაში გათვითცნობიერებულ ტურისტებთან 2-3-საათიანი ინფორმაციული საუბრების მოწყობას. ჯგუფის დანარჩენ წევრებს მასპინძლების როლი აქვთ. ბუხრის როლი შეიძლება შეასრულოს წყარომ, ტბამ და სხვა ობიექტებმა. არ შეიძლება ასეთი საუბრები საკვების (სასმელები და მსუბუქი საჭმელი) მიღების გარეშე.

იმისთვის, რომ ამ საუბრებმა ფუჭი ყბედობის სახე არ მიიღოს, აუცილებელია გიდის, როგორც ტრენერის მხარდაჭერა, რომელიც წაუძღვება საუბარს. ჯგუფის ერთი ან ორი წევრი შეიძლება საუბრების მოდერატორებად დავნიშნოთ. საუბრის დასრულების შემდეგ შედეგ გებს აფასებს და აანალიზებს ტურისტთა ჯგუფი:

- **მკვლევართა ჯგუფები:** ექსკურსიის დროს შესაძლებელია ტურისტთა რამდენიმეკაციან ჯგუფებს შორის თემის დანაწილება. მათ მიეცემათ დავალება, ექსკურსიის დროს პასუხი გასცენ მათ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს და შემდეგ გააცნონ ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ეს მეთოდი იმით არის კარგი, რომ უფრო ღრმა ცოდნას აძლევს ტურისტებს და მათ აქტიურად რთავს ექსკურსიის პროცესში.
- **კონტრასტის მეთოდი:** ექსკურსიის განმავლობაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული რამდენიმე ობიექტის მონახულება ტურისტებს დიფერენცირების შესაძლებლობას აძლევს და უბიძგებს მათ კამათისკენ.

- **რეფლექსი:** ხშირად ტურისტები იმდენად არიან დაკავებულები გარემოს შეცნობით, რომ დისკუსიისთვის დრო აღარ რჩებათ. ეს არ არის კარგი, რადგან მათ უნდა შეძლონ მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, რათა ახალი აითვისონ.

ექსკურსანტები

ექსკურსიის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ადამიანი. მათზე ბევრი რამ ახდენს ზეგავლენას. მაგალითად, ტრანსპორტი: რამდენად დროულად და შეუფერხებლად გადაადგილდებიან ა-დან ბ პუნქტამდე.

ადამიანებს აქვთ სხვადასხვა მოთხოვნილებები, მაგ., სუვენირების ყიდვა, გართობა, განმარტოებით წყნარად ჯდომა, ფოტოების გადაღება, სუფთა ჰაერზე გადაადგილება ან ძილი, სამწუხაროდ, ექსკურსიის დროს, ისინი ხანდახან ყურადღების გარეშე რჩებიან.

ლოჯისტიკა

ექსკურსიის ლოჯისტიკის შეუფერხებელი და მშვიდი მიმდინარეობა ორგანიზატორების მთავარი სურვილია. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა:

- **სარეზერვო დროის დაგეგმვა:** ექსკურსიის რაიმე ეტაპმა შეიძლება უფრო მეტი დრო მოითხოვოს, ვიდრე განსაზღვრული იყო, მაგალითად ავტობუსმა დაიგვიანოს, რესტორანში შეკვეთის მოტანა გაჭიანურდეს და ა.შ. საჭიროა გათვალისწინებული გვქონდეს სარეზერვო დრო, რათა ნერვების მოშლა თავიდან ავიცილოთ.
- **ნდობით აღჭურვილ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირება:** ამ ადამიანებს აქვთ საჭირო კონტაქტები, იციან ტრანსპორტის განრიგი, კარგად იცნობენ ტერიტორიას, ადგილობრივ რესტორნებს და სასტუმროებს. ამ გზით ტურისტებს შეუძლიათ პირველწყაროსგან მიიღონ ინფორმაცია.
- **გეგმა ბ:** ექსკურსიის ყველა სიტუაციისთვის აუცილებელია გეგმა ბ-ს შემუშავება. ალტერნატიული გეგმის ქონის შემთხვევაში, თუ ექსკურსიის რაიმე ნაწილი ჩავარდა ან პროგრამას გადავუხვიეთ, საჭიროა აღარ არის პრობლემის აღმოფხვრაზე ფიქრი და ნერვიულობა, საკმარისია სათადარიგო გეგმის ამოქმედება.
- **ცხელი ხაზი:** როგორ უნდა მოიქცეთ, როცა გზაში უცბად რაიმე წამალი დაგჭირდებათ, თვითმფრინავის ბილეთი გაქვთ დასაჯავშნი ან სხვა რაიმე პრობლემა გაგიჩნდათ? დიდი ბედნიერებაა, როცა ამ დროს შეგიძლიათ დარეკოთ ვინმესთან და ის მოაგვარებს თქვენს პრობლემებს.
- **სცენარი:** ეს არის კომუნიკაციისა და დაგეგმვის საუკეთესო საშუალება. უმჯობესია ექსკურსიის გეგმაში არა მხოლოდ დროების, ადგილების, თემების და მოსაუბრე პირების ქრონოლოგიურად ჩამოწერა, ასევე ნებისმიერი ობიექტისთვის მიზნების განსაზღვრა.

აჭარის ცურისცული მარშუცების რუკები

მოგზაურობა აჭარულ სოფელში - გობრონეთი

მარშრუტის ტიპი - საავტომობილო

მანძილი ბათუმიდან - 55 კმ

მანძილი ქედიდან - 10 კმ

მგზავრობის ხანგრძლივობა – 1,15 სთ.

სირთულე - მარტივი

გზის ტიპი – ასფალტირებული (50 კმ),

სოფლის გრუნტი (5 კმ)

სიმაღლე ზღვის დონიდან - 806 მ

ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა: სრულად

მარშრუტის აღწერა

გობრონეთი აჭარის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. სოფელი მთის ფერდობზე მდებარეობს, საიდანაც ულამაზესი ხედი იშლება აჭარისწყლის ხეობაზე. სოფელში მისვლამდე შეგიძლიათ ნახოთ ისტორიული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: მახუნცეთის ჩანჩქერი, თამარის ხიდი, ზვარეს ეკლესია, მუზეუმები. გობრონეთის ტურისტული მარშრუტი იწყება ქედის ტურისტული საინფორმაციო ცენტრიდან მიუყვება საავტომობილო გზას და 12 კმ-ში უხვევს მარცხნივ, საიდანაც 5 კმ-იანი სასოფლო გრუნტის გზის გავლის შემდეგ ვხვდებით გობრონეთის საოჯახო სასტუმროებს. აქ შეგიძლიათ გასინჯოთ აჭარული ტრადიციული კერძები და დაესწროთ მათი მომზადების პროცესს, ასევე მოისმინოთ ტრადიციული პოლიფონიური სიმღერა, ადგილობრივებთან გასაუბრებით შეიტყოთ საინტერესო ამბები სოფლის ნეს-ჩვეულებებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მონაწილეობა მიიღოთ სოფლის სამეურნეო საქმიანობაში როგორიცაა: ყველის ამოყვანა, თამბაქოს დაჭრა და არყის გამოხდა.

გობრონეთში მოგზაურობისას სასურველია ერთი დღე დაუთმოთ სოფლის შემოგარენის დათვალიერებას. წრიული საფეხმავლო მარშრუტით მოინახულებთ ჩანჩქერს, კოლხურ ტყეს და ლატევრის მთის მიდამოებს. მარშრუტზე მსვლელობის დროს შეხვდებით აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულ კოლხური ტიპის მცენარეულობას, გზაზე შეიძლება წაწყდეთ გარეული ცხოველების კვალს, მდიდარია ფრინველთა სამყაროც. 6 კმ - ის გავლის შემდეგ მიადგებით გობრონეთის ჩანჩქერს. ჩანჩქერის ვარდნის სიმაღლე დაახლოებით 22 მ-ია. საფეხმავლო მარშრუტის შემდეგი პუნქტი ლატევრას მთაა. მთაზე ასასვლელი გზა რთულია და 1 კმ-ის გავლა მთლიანად მთის ციცაბო ფერდობზე მოგიწევთ, რის შემდეგაც აღმოჩნდებით ლატევრაში. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ სამეურნეო ტრადიციებს და მთის საზაფხულო სახლებში მიირთვათ ეკოლოგიურად სუფთა რძის ნაწარმი, ადგილზე შესაძლებელია ღამისთევაც. აქვეა წყარო და საპიკნიკე ადგილიც. ლატევრიდან ხუთიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ წრიული მარშუტი მთავრდება და ბრუნდებით უკან, სოფ. გობრონეთში.

ლატევრის მთის წრიულ მარშრუტზე შესაძლებელია ნახვიდეთ ლატევრის იალაღებამდე მაღალი გამავლობის ავტომობილით ან ცხენით და შემდგომ ფეხით დაეშვათ გობრონეთამდე (6 კილომეტრი).




747863
748863
749863
750863
751863
752863
753863
754863
4618843
4617843
4616843
4615843
4614843
4613843
4612843
4611843
4610843
4609843
4608843
1362
762
1419
935
1290
1212
1123
652
830.7
223.4
228.2
425
761.8
884.6
844.9
975.3
737.4
952.8
918.8
458.3
676
655.9
878.7
1058
726
730
1322
1142.8
12.0 კმ
15.0 კმ
გობრონეთის ჩანჩქერი"
წონიარისი
ჩეტკიძეები
"სოფიკო"
"ნყაროსთვალი"
"ზეპრ"
გობრონეთი
ახო
ვარჯანისი
ნონიარისი ხევი
ნონიარისი ხევი
ბაბუეთ-ცხმორისი
აბუქეთა
ცხმორისი
სირბილაძეები
კინტაური
ზვარე
კვაშთა
ვაიო
ბაბუეთ-ცხმორისი ხევი
ბაბუეთ-ცხმორისი ხევი
პირობითი აღნიშვნები
ტურისტული ობიექტები
გეოგრაფიული ადგილები
საინფორმაციო ცენტრი
განთავსება
ბანკი/ვალუტის გაცვლა
ეკლესია/მონასტერი
ბენზინგასამართი სადგური
ისტორიული ხიდი
მუზეუმი
საპიკნიკე ადგილი
მეჩეთი
ბუნების ძეგლი
პოლიცია
თავშესაფარი
ჩანჩქერი
ციხე-სიმაგრე
წყარო
სალაშქრო ბილიკი
ღვინის მარანი/ქარხანა
საავადმყოფო
რესტორანი
საცხენოსნო ბილიკი
ფრინველებზე დაკვირვება
მუნიციპალური საზღვარი
ცენტრალური გზა
სასოფლო გზა
ბილიკი
მდინარე
ტყე
დაცული ტერიტორია
ადმინისტრაციული ცენტრი
სოფელი
1187.1 უმაღლესი ნერტილი
გობრონეთი
ზვარეს ეკლესია
45 კმ. 58 წთ.
ინფორმაციო ცენტრი
კმ. 52 წთ.
40 km
55 km
სამანქანე გზა 15 კმ.
მგზავრობის ხანგრძლივობა - 20 წთ.
საფეხმავლო ბილიკი - 12 კმ.
ხანგრძლივობა - 5 სთ.
Idea
Design Group
info@ideadesigngroup.ge
www.ideadesigngroup.ge

ველომარშრუტი
ბათუმი-მირვეთი-ბათუმი

მარშრუტის ტიპი: წრიული

მარშრუტის სიგრძე - 50 კმ

გზის საფარი - ასფალტირებული, სასოფლო გრუნტიანი გზა

მარშრუტის სირთულე - საშუალო

მანძილი ბათუმიდან - 27 კმ

მანძილი ბათუმამდე - 23 კმ

სიმაღლე ზღვის დონიდან: დასაწყისში 3 მ, დასასრულს 50 მ

ველოსიპედის სადგომი: 2

საპიკნიკე ადგილი: 1

მარშრუტის აღწერილობა:

ველომარშრუტის ფარგლებში შესაძლებლობა გაქვთ გახვიდეთ ქალაქგარეთ, მოინახულოთ ულამაზესი ადგილები, გზად დათვალიერით ბათუმის ღირშესანიშნაობები, ზღვისა და მთის უმშვენიერესი პანორამული ხედები, ასევე მდინარეები, მთები და ტყეები.

მარშრუტი იწყება ბათუმის ბულვარიდან და მიუყვება ბულვარის ველობილიკს (6 კმ) აეროპორტის გადასახვევთან შევუხვევთ მარცხნივ და გავივლით აეროპორტის ტერიტორიას, მდინარე ჭოროხზე (1) საავტომობილო ხიდის გავლით ვაგრძელებთ გზას ახალსოფლის მიმართულებით, ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გაყოლებით გავივლით ულამაზეს სოფლებს, ხეხილისა და მანდარინის ბაღებს და მახოს ხიდის (2) გადაკვეთის შემდეგ, გადავდივართ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, საიდანაც გზა გრძელდება ბათუმი-ახალციხის მთავარ საავტომობილო მაგისტრალზე და აუყვება მაჭახელას ხეობას. მაჭახელას ხეობისკენ მიმავალი მთავარი გზიდან მარშრუტი უხვევს სოფ. მირვეთისკენ (5). გადაკვეთს მდინარე ჭოროხზე არსებულ დაკიდულ ხიდს (4) და სასოფლო გრუნტოვან გზაზე დაახლოებით 1 კილომეტრის გავლის შემდეგ, მივდივართ დანიშნულების პუნქტთან - სოფელ მირვეთის საპიკნიკე ტერიტორიასთან, სადაც მოინახულებთ მირვეთის ჩანჩქერს (7), XII საუკუნეში აგებულ თაღოვან ხიდს (6) და ბზების ხეივანს (8). აქვე შესაძლებელია კარვების გაშლა, მწვადის შეწვა და მდინარეში ბანაობა.

უკანა გზა - მარშრუტი უკან ეშვება ბათუმი-ახალციხის მთავარ ავტომაგისტრალზე მახოს ხიდის (4) გავლით, ხელვაჩაურის მიმართულებით. ნახევარ გზის გავლის შემდეგ გზა უხვევს მარცხნივ, მეჯინისწყალზე (9), სადაც დგას ნიშნული, მოასფალტებული გზით მივდივართ აეროპორტის გზაჯვარედინთან და ამის შემდეგ გზა სრულდება იქ, საიდანაც დაიწყო მარშრუტი თავდაპირველად.

* * *

მარშრუტის დაწყება შესაძლებელია, როგორც ბათუმიდან, ასევე სოფელ აჭარისწყლიდან (3) (10) (11) (12) რომელიც მდებარეობს ბათუმიდან 17 კმ მოშორებით. იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობას დაიწყებთ სოფელ აჭარისწყლიდან, საჭირო ველოსიპედების მიტანა სპეციალური ტრანსპორტით დანიშნულ ადგილამდე შემდეგ კი ველოსიპედებით მოგზაურობის გაგრძელება სოფელ მირვეთისკენ.

პირობითი აღნიშვნები

- ველო მარშრუტი ბათუმი-მირვეთი
- ველო მარშრუტი მირვეთი-ბათუმი
- საინფორმაციო ცენტრი
- სამედიცინო ცენტრი
- ისტორიული ხიდი
- მუზეუმი



ეკლესია/მონასტერი
ციხე-სიმაგრე
ველოსადგომი
საკარვე ადგილი
საბაჟო
საპიკნიკე
რესტორანი
ბანკი
აეროპორტი
პორტი
ჩანჩქერი

მაჭახელას თოფის გზა

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მარშრუტის დასაწყისი / დასასრული:
ბათუმი - სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

მანძილი ბათუმიდან: 47კმ

ხანგრძლივობა: ერთი ან რამოდენიმე დღე

მარშრუტის ტიპი: საავტომობილო

სიტუაცია: მარტივი

გზის საფარი: ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტიანი გზა (17 კმ)

მარშრუტის აღწერილობა:

მაჭახელას ხეობა ბათუმიდან სამხრეთით, მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას შესართავიდან იწყება. ხეობა ცნობილია თოფი მაჭახელას და საოჯახო ხანჯლების ისტორიით, კულტურულ-ისტორიული ძეგლებითა და ეროვნული პარკით.

„მაჭახელას თოფის გზის"-ს მარშრუტი საშუალებას გაძლევთ მოინახულოთ თოფი „მაჭახელას" მონუმენტი (1) გვარას ციხე (2), მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი სოფელ სკურდიში (3) ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), ულამაზესი ჩანჩქერი (5) და ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (6).

ტურისტული მარშრუტი ბათუმიდან იწყება, მიუყვება ბათუმი ახალციხის გზატკეცილს. სოფ. ჭარნისწყლიდან გზა მიემართება მდინარე ჭოროხისა და მაჭახლისწყლის შესართავთან საიდანაც 300 მეტრის მოშორებით გვხვდება გვარას ციხის ნანგრევები, აქედან გზა გრძელდება მდინარე მაჭახელას ხეობის მიმართულებით და სოფელ სკურდიდში ისტორიულ ქვემეხსა და ამბრაზურასთან მივყავართ. გზად გვხვდება ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), რომელიც XII საუკუნეშია აგებული. ხეობის აყოლებით მივდივართ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. აქ დამთვალიერებელს ულამაზესი ჩანჩქერი ელის, რომლის ფორმა გამორჩეულია და კიბის საფეხურებს წააგავს. მარშრუტი გრძელდება ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიმართულებით (6), რომელიც ყოფილი მეჩეთის სამსართულიან შენობაშია განთავსებული. გზიდან მაჭახლის ხეობის შთამბეჭდავი ხედები იშლება.

ხეობაში შესაძლებელია მაჭახელას ეროვნული პარკის მონახულება. პარკი ზღვის დონიდან 300-350 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. პარკის ტერიტორიის 95% ნაბლის, წიფლის, რცხილის და მურყანის ტყეებს უკავია. ფუნქციონირებს ორი, სამანქანოსთან ინტეგრირებული საფეხმავლო ბილიკი. ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრები განლაგებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. აჭარისაღმართის ცენტრში (7).

ქვედა და ზედა ჩხუტუნეთსა და კოსტანეთში შესაძლებელია ღამისთევა და ტრადიციული კერძების დაგემოვნება საოჯახო სასტუმროებში, სადაც გაეცნობით ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაისეირნებთ მიმდებარე ადგილებში და მოინახულებთ ღირშესანიშნაობებს (8) (9) (10) (11) (12).

პირობითი აღნიშვნები

- მთავარი მარშრუტი
- ვიზიტორთა ცენტრი
- ისტორიული ხიდი
- საინფორმაციო ცენტრი
- სამედიცინო ცენტრი
- სასტუმრო სახლი
- მუზეუმი

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ/ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ
ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ
ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ
ᲡᲐᲙᲐᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ
ᲡᲐᲑᲐᲯᲝ
ᲡᲐᲞᲘᲙᲜᲘᲙᲘ
ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ
ᲑᲐᲜᲙᲘ
ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘ
ᲞᲝᲠᲢᲘ
ᲩᲐᲜᲩᲘᲭᲔᲠᲘ
ᲥᲕᲔᲛᲔᲑᲘ

ღვინის ტური აჭარაში

მარშრუტის დასაწყისი: სოფ. აჭარისწყალი

მარშრუტის სიგრძე ბათუმიდან სოფელ აჭარისწყლამდე: 18 კმ

მარშრუტის ტიპი: საავტომობილო

მარშრუტის სირთულე: მარტივი

გზის საფარი: ასფალტირებული გზა და სასოფლო გრუნტიანი გზა

ფიქრი ძალის დაფარვის ზონა: სრულად

აჭარაში მევენახეობის კერად მიჩნეულია ქედის რაიონი. ადგილობრივი წარმოების ყველაზე გავრცელებული ღვინის სახეობებია ცოლიკაური და ჩხავერი. ჩხავერი ვარდისფერ-ყურძნიანი ვაზის ჯიშია, მისგან დამზადებული ღვინო ვარდისფერი ელვარებით, ნაზი, ჰარმონიული ბუკეტით და არომატით გამოირჩევა.

ქედაში ასევე გავრცელებულია თეთრყურძნიანი სალვინე ვაზის ჯიში ცოლიკაური, რომლისგანაც მზადდება სუფრის ღვინო ცოლიკაური. მევენახეობის გარდა ქედა ულამაზესი ბუნებითა და ისტორიული ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა.

ღვინის მარშრუტი იწყება სოფელ აჭარისწყლიდან, საიდანაც შესაძლებელია გზის გაგრძელება შვიდი სხვადასხვა მიმართულებით. მიუხედავა იმისა, თუ რომელ მიმართულებას აირჩევთ, მარშრუტის დასაწყისი გაივლის ერთ და იმავე გზას. გზად გაივლით თამარის თალვან ხიდს (10) და ჩანჩქერს (13) ორივე ღირსშესანიშნაობა მდებარეობს სოფელ მახუნცეთში. აქვე შეგიძლიათ დაადგემოვნოთ ან შეიძინოთ ადგილობრივი წარმოების თაფლი.

ღირსშესანიშნაობები

ზვარეს ეკლესია (8)

ზვარეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ქედაში, სოფელ ზვარეში. ეკლესია აგებულია თანამედროვე ეპოქაში. აშენებულია კლდის პირზე და გადმოჰყურებს მდინარე აჭარისწყალს.

დანდალოს ხიდი (XII საუკუნე) (9)

დანდალოს ხიდი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მახლობლად ამავე დასახელების სოფელში მდებარეობს. ხიდი ბუნებრივი კლდის ბურჯებს ეყრდნობა. მის ასაშენებლად ვულკანური ნარმოშობის კლდის ქვაა გამოყენებული.

მუზეუმები

მახუნცეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი (11)
ქედა, სოფ მახუნცეთი
ტელ: +995 591 71 42 53
სამუშაო საათები: ყოველდღე, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე

ქედის ისტორიული მუზეუმი (12)
ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №10
ტელ: +995 425 25 00 19
სამუშაო საათები: ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე

მუზეუმებში წარმოდგენილია აჭარის ეთნოგრაფიის მრავალი ასპექტი: შრომის იარაღები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი, აჭარული ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები.



მახუნცეთის ჩანჩქერი (13)

მახუნცეთის ჩანჩქერი ულამაზესი და შთამბეჭდავია, ამიტომაც უამრავ მნახველს იზიდავს. ჩანჩქერზე ვიზიტისას შესაძლებლობა გაქვთ ეწვიოთ სხვა ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის, თამარის თაღოვან ხიდს (10). აქვეა განლაგებული რესტორნის ტიპის კვების ობიექტები და საპიკნიკე ადგილები. ჩანჩქერის სიმაღლე 36 მეტრია.

აქტივობები

ტურის ფარგლებში ღვინის დაგემოვნების გარდა გაისეირნებთ ვენახში, დაესწრებით კულინარიულ მასტერკლასებს, მონანილეობას მიიღებთ ფელამუშის მომზადებასა და ჩურჩხელების ამოვლებაში, გაეცნობით უნიკალურ აჭარულ ტრადიციებს, ადგილობრივთა ყოფაცხოვრებას, მონანილეობას მიიღებთ ყურძნის კრეფაში.

კვება

აჭარული სამზარეულო გამოირჩევა მრავალფეროვანი და უგემრიელესი კერძების სიმრავლით, რომელთა დამზადების ტრადიცია ეფუძნება უნიკალურ და საუკუნოვან გამოცდილებას. ღვინის ტურის ფარგლებში დიასახლისის დახმარებით მოამზადებთ და დაგემოვნებთ როგორც აჭარულ, ასევე ქართულ ტრადიციულ კერძებს.

რესტორნები და კვების ობიექტები

სიღნაღი (ვენისი-ოქტომბერი)

რესტორანი „ჯადრები"
ქედა, სოფელი ზუნდაგა
ტელ: +995 577 26 04 05 / +995 571 26 00 00

რესტორანი „ბალა"
ქედა, სოფელი პირველი მაისი
ტელ: +995 558 40 54 01 / +995 558 24 74 74

რესტორანი „თამბატის ხიდი"
ქედა, სოფ. მახუნცეთი
ტელ: +995 558 33 66 95 / +995 558 45 92 39

რესტორანი „ბვეტაბი"
ქედა, სოფელი პირველი მაისი
ტელ: +995 593 63 39 75

რესტორანი „ბარი"
ქედა, სოფელი ზვარე
ტელ: +995 593 99 30 62 / +995 555 79 65 84

მთელი წლის განმავლობაში

აჭარული ღვინის სახლი
ხელვაჩაური, სოფელი აჭარისწყალი
ტელ: +995 577 21 40 02

სამთო-სათხილამურო კურორტი
გოდერძი

მდებარეობა: აჭარა, ხულო
მანძილი ბათუმიდან: 106 კმ
მანძილი ხულოდან: 25 კმ
ზღვის დონიდან: 1700 მ
მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან: 2350 მ
სათხილამურო ტრასის საერთო სიგრძე: 8 კმ
მარშრუტის ტიპი: საავტომობილო, 4x4
სეზონი: დეკემბერი-აპრილი
ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა: სრულად

სამთო-სათხილამურო კურორტი 2015 წელს გაიხსნა. კურორტი ბათუმიდან 106 კმ-ში, გოდერძის უღელტეხილის მახლობლად მდებარეობს. გოდერძი იდეალური ადგილია ზამთრის ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის. კურორტს რეგიონში ყველაზე გრძელი სათხილამურო ტრასა აქვს. საბაგირო გზის ყველაზე მაღალი ადგილი კი ზღვის დონიდან 2350 მეტრზეა.

გოდერძი საქართველოს სხვა სამთო-სათხილამურო კურორტებისგან უხვთოვლიანობით გამოირჩევა. პირველი თოვლი აქ ნოემბერში მოდის და სათხილამურო სეზონი დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. გოდერძის დათოვლილი ფერდობები გაუკვალავ თოვლში სრიალის მოყვარულებს განსაკუთრებით იზიდავს.

გიდის ქცევა და გარეგნობა მხედველობითი კონტაქტი და ჟესტების ენა

კომუნიკაცია

ადამიანები ყოველდღიურად უამრავ ინფორმაციას გასცემენ და იღებენ. ეს ხორციელდება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური (სხეულის ენის) კომუნიკაციის გამოყენებით. მიმიკა, ჟესტები და სხეულის მოძრაობა უფრო მეტად გადმოსცემს ადამიანის სათქმელს, ვიდრე სიტყვები.

უმარტივესი კომუნიკაციური მოდელი შედგება სამი ელემენტისგან: გამგზავნი, მიმღები და გზავნილი. გამგზავნი ამ შემთხვევაში არის გიდი, ხოლო მიმღები ტურისტი. გზავნილი შეიძლება შედგებოდეს როგორც სიტყვებისგან, ასევე სხეულის მოძრაობისგან.

კომუნიკაციის სირთულეებს ვხვდებით მაშინ, როცა გამგზავნი უშვებს სიგნალს, მაგრამ მიმღები მას ვერ იგებს. სიგნალის გაგზავნისას ბარიერი შეიძლება იყოს გიდის ხმა, მაგალითად, უსიამოვნო ჟღერადობა ან მონოტონური საუბარი. ასევე მზერითი კონტაქტის არარსებობას ტურისტი აღიქვამს კომუნიკაციის დარღვევად. ამიტომ გიდი უნდა ეცადოს, ისეთივე ყურადღება მიაქციოს ვერბალურ კომუნიკაციას, როგორიც არავერბალურს.

ვერბალური კომუნიკაცია

გიდი სრულყოფილად უნდა ფლობდეს მშობლიურ ენას. მან უნდა იცოდეს სხვადასხვა პროფესიული ტერმინი, რათა ტურისტების განსხვავებულ ჯგუფებს შესაბამისად მიუდგეს. მისი სასაუბრო ენა უნდა განსხვავდებოდეს მაშინაც, როცა ის ბავშვებთან ან რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებთან საუბრობს.

თუ გიდი უცხო ენაზე უძღვება ექსკურსიას, მას ეს ენა სრულყოფილად

უნდა ესმოდეს და თავისუფლად უნდა საუბრობდეს. გიდმა აუცილებლად უნდა იცოდეს ინგლისური და დამატებით კიდევ ერთი უცხო ენა. ცოდნის განსამტკიცებლად ის ხშირად უნდა ეწვიოს ენის კურსებს და სკოლებს. ასევე ცოდნის გასაღრმავებლად კარგი საშუალებაა სპეციალიზებული ლექსიკონები, რომელიც გიდს დაეხმარება, კარგად მოემზადოს იმ საკითხში, რომელიც მას სჭირდება.

სხეულის ენა

კომუნიკაციაში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სხეულის ენას. მოხსენების მოსმენისას მსმენელზე მხოლოდ 7%-იან გავლენას ახდენს შინაარსი, წარმდგენის ხმა 38 %-ს, ხოლო უდიდესი წილი აღქმაში სხეულის მოძრაობას, მზერას, მიმიკას და ჟესტებს აქვს — 55%. ეს უცნაური დასკვნა ამ უკანასკნელის მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

სწორედ ასეთივე როლი აქვს ინფორმაციის გაცემაში გიდის სხეულის ენას — მოძრაობები, მიმიკა და ჟესტები, აქტიურად გამოიყენეთ ისინი ინფორმაციის გაცემისას. ამით ტურისტების ყურადღებას მიიპყრობთ.

სხეულის ენის ელემენტებია: პოზა/მოძრაობა, ჟესტები, მზერითი კონტაქტი, მიმიკა, გარეგნობა და ხმა.

პოზა

პოზა არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ჩვენს ქცევას შეუძლია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური სიგნალების გაცემა.

დგომისას შეეცადეთ არ იყოთ დაძაბული, ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე და შეეცადეთ, დატვირთვა გაანაწილოთ თანაბრად ორივე ფეხზე. ასე თქვენი თავდაჯერებულობა უფრო განმტკიცდება. იმ შემთხვევაში, თუ გიდი ქალია და მას მოკლე კაბა აცვია, ეს პოზა არც ისე ლამაზად გამოიყურება. ჯობს ფეხები შეატყუპოს და ეცადოს, წონა თანაბრად გადაანაწილოს ორივე ფეხზე. თავი მიმართული უნდა იყოს პირდაპირ, ხოლო ხელები დაძაბვის გარეშე უნდა მოძრაობდნენ. დაუშვებელია ხელების წაღება ზურგს უკან ან გადაჯვარედინება.

ექსკურსიის ჩატარებისას გიდს გამუდმებით უწევს მოძრაობა ობიექტიდან ობიექტამდე. დანიშნულების ადგილთან მისვლისას იგი თავდაპირველად უნდა დამშვიდდეს, სული მოითქვას, დაიკავოს საწყისი პოზიცია და მხოლოდ ამის მერე შეუძლია საუბრის დაწყება. ის უნდა ცდილობდეს, უსარგებლო, არაფრისმთქმელი მოძრაობების თავიდან აცილებას, რადგან ისინი ტურისტებს ყურადღებას უდუნებენ.

შესაძლებელია ადგილის შეცვლაც ექსკურსიის გაძღოლისას, როცა სიტუაცია ამას მოითხოვს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საჩვენებელი ობიექტები ერთმანეთის საპირისპირო მხარეს არიან განლაგებული. გიდი დგას ობიექტისგან ზურგშექცევით და პირდაპირ უყურებს ჯგუფს, ამით ტურისტებს საშუალება აქვთ, კარგად დაინახონ საჩვენებელი ობიექტი. ამის შემდეგ გიდს შეუძლია შემოუაროს ჯგუფს და ახლა მეორე ობიექტის პირდაპირ დადგეს. აუცილებელია, ობიექტი ყოველთვის გიდის ზურგს უკან, ხოლო ჯგუფი პირდაპირ იყოს. თუმცა შესაძლებელია სამკუთხედის გაკეთებაც: ჯგუფი-ობიექტი-გიდი. გიდმა არასდროს არ უნდა შეაქციოს ჯგუფს ზურგი.

ჟესტები

ყველა ადამიანს აქვს საკუთარი ჟესტიკულაცია - ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. არ ჩაახშოთ თქვენი ჟესტები, პირიქით, თამამად გამოიყენეთ ისინი, რადგან ეს მონათხრობის შინაარსს უსვამს ხაზს. ჟესტები ყველასთვის ნათელი, მარტივად აღსაქმელი უნდა იყოს. აუცილებელია უაზრო, არაფრის მომცემი ჟესტების თავიდან აცილება, როგორიცაა თმაზე ხელის გადასმა, ხელების სრესა, ბიბილოებისა და ცხვირის შეხება, ხელების ჯიბეებში ჩაწყობა და სხვა. ეს ტურისტების ყურადღებას წაგართმევთ და მხოლოდ თქვენს ნევროზზე მიუთითებს. საკუთარი გაუაზრებელი ჟესტების უკეთ შესასწავლად კარგი მეთოდია ვიდეოგადაღება და შემდეგ მისი გარჩევა.

მზერითი კონტაქტი

მზერითი კონტაქტი არის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი კომუნიკაციაში. გამაღიზიანებელია, როცა ვინმეს ელაპარაკებით და ის თქვენ არ გიყურებთ. ექსკურსიის ჩატარება დაიწყეთ მზერითი კონტაქტით. მზერა შეაჩერეთ თითოეულ ტურისტზე რეგულარულად. მზერითი კონტაქტი მსმენელის ყურადღების დონეს ზრდის, ის უკეთ აღიქვამს მოსმენილს. თუ თავიდან არ გამოგდით მზერითი კონტაქტის შენარჩუნება ჯგუფის ყველა წევრზე, ეცადეთ მზერა შეაჩეროთ ჯგუფის მარცხენა და მარჯვენა მხარეს მდგომ სიმპათიურ პიროვნებებზე, ასე გადანაწილდება მზერა მთელ ჯგუფზე. როცა უფრო მეტად თავდაჯერებული გახდებით, ხშირად შეხედეთ ჯგუფის იმ წევრებსაც, რომლებიც ნაკლებად გესიმპათიურებათ.

მზის სათვალე ხელს უშლის მხედველობით კონტაქტს, მით უმეტეს მკვეთრად დაბურული მინები. ამიტომ, უმჯობესია, არ ატაროთ სათვალე, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას არ მოითხოვს.

მიმიკა

მიმიკა გამოხატავს თქვენს განწყობას. ეს არის ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომხატველი. ბუნებრივი მიმიკები ერთნაირია და მთელ მსოფლიოში ერთნაირად აღიქმება. ადამიანის გამომეტყველებით ადვილად ამოიკითხავ, ის ბედნიერია, კმაყოფილია, მოწყენილია, გაბრაზებულია თუ გაოცებულია. გამომეტყველებისა და მიმიკის კონტროლი ისე, რომ განწყობა და ემოციები არ შეგეტყოს, ძალიან რთულია. ადამიანს, რომელსაც უემოციო გამომეტყველება აქვს, „პოკერის სახეს“ (Pokerface) უწოდებენ. ისე აქვს გამჯდარი ნიღაბი, რომ მასთან საუბრისას, ვერც კი ხვდებით, მოსწონხართ თუ არა. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან რთულია. ადამიანთა უმეტესობა გაუცნობიერებლად უფრო იყენებს მიმიკებს, ვიდრე გაცნობიერებულად.

გიდს შეუძლია მიმიკის მიხედვით მიხვდეს, მოსწყინდათ ტურისტებს თუ სიამოვნებთ მისი მოსმენა. მან ეს სიგნალი აუცილებლად უნდა დაიჭიროს და რეაგირება მოახდინოს. გიდი უნდა ცდილობდეს სითბოს გამომხატველი მიმიკების გამოყენებას, როგორიცაა, მაგალითად, ღიმილი. ტურისტი ხედავს, რომ თქვენი სამუშაო სიამოვნებას განიჭებთ და თვითონაც პოზიტიურად იმუხტება.

ცივ ამინდში სახის კუნთები იყინება, ხშირად უნდა იტარებდეთ სახის მასაჟებს კუნთების გასათბობად. ხშირად ივარჯიშეთ სარკესთან.

გარეგნობა

ჩაცმის სტილით და მანერით ადამიანი მრავალ სიგნალს გასცემს. ჩაცმულობით პიროვნების რეალურ ან სასურველ სოციალურ მდგომარეობასა და როლზე გვექმნება შთაბეჭდილება.

გიდი დღის პროგრამის და ჯგუფის შემადგენლობის შესაბამისად იცვამს. თუ ექსკურსანტები არიან სკოლის მოსწავლეები, მაშინ ის არ გაიკეთებს ჰალსტუხს და ბოლომდე არ შეიკრავს საყელოს, ხოლო თუ ბანკირებთან უხდება ურთიერთობა, სამოსი, რა თქმა უნდა, აკადემიური უნდა იყოს. სამოსი განსხვავდება წელიწადის დროის და ამინდის მიხედვით. მაგალითად, წვიმისას უმჯობესია, გიდს ეცვას საწვიმარი და სქელი ფეხსაცმელი.

აუცილებელია, ტანსაცმელი მოვლილი იყოს. ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიექცეს გიდის ფეხსაცმელს, ცუდი სანახავია, როცა ის გაცვეთილი ფეხსაცმლით დადის. ბუნებაში ექსკურსიების ჩატარებისას გამძლე ფეხსაცმელია საჭირო! გიდი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ტურისტებისთვის, ამიტომ დაუშვებელია ბუნებაში სანდლებით და ღია ფეხსაცმლით სიარული. იმ შემთხვევაში, თუ მას ასეთი ფეხსაცმელი მოგვიანებით სჭირდება, მანქანაში უნდა შეინახოს.

გიდის მიერ ექსკურსიის მომზადება

არსებული პრაქტიკის თანახმად, ექსკურსიას ტურისტულ კომპანიაში ამზადებენ. ახალი ექსკურსიის დამუშავებას ესაჭიროება საექსკურსიო ბიუროში მომუშავე გიდი-ექსკურსიამძღოლები. სასურველია, ახალი ექსკურსიის დასამუშავებლად შედგეს გიდების ჯგუფი 4-6 კაცის შემადგენლობით. ექსკურსიის მოსამზადებელი დრო შეიძლება 6-თვიდან ერთ წლამდე პერიოდს მოიცავდეს. ექსკურსიის მოსამზადებელ ჯგუფს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც თანაბრად ანაწილებს მოსამზადებელ სამუშაოებს ჯგუფის თითოეულ წევრზე, მათი მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ახალი ექსკურსიის მოსამზადებლად საჭიროა შემდეგი ეტაპების სისრულეში მოყვანა:

1. მასალების, რომლებშიც შედის არსებული ლიტერატურის: წიგნების, პერიოდული ლიტერატურის (ჟურნალ-გაზეთები) და საარქივო მასალების მოძიება/დამუშავება;
2. ექსკურსიაში ჩასართავი მუზეუმების მასალების გაცნობა და შესწავლა;
3. საექსკურსიო ობიექტების შერჩევა (ეს ყველაზე ხანგრძლივი ეტაპია). ექსკურსიის მომზადებისას საჭიროა, თავდაპირველად მოიძიოს, რაც შეიძლება მეტი შესაძლო ობიექტი, რათა ექსკურსიის მარშრუტის დადგენისას გაკეთდეს თავისუფალი არჩევანი;
4. საექსკურსიო ბარათის შედგენა თითოეულ ობიექტზე, რომელიც შეიცავს შემდეგი შინაარსის მასალებს:

ა) ობიექტის დახასიათება, მისი ღირსებები, ავტორი და სრული ისტორია;
ბ) რეკომენდაციები, თუ რომელ ექსკურსიაში შეიძლება ობიექტის ჩართვა;
გ) ობიექტის დათვალიერების ზუსტი ვადები (როდის იხსნება, როდის

იხურება, ღირებულება, დათვალიერება, საკონტაქტო პირი);

5. საექსკურსიო მარშრუტის შედგენა: ექსკურსიამცოდნეობაში არსებობს რამდენიმე ხერხი მარშრუტის შესადგენად:

ა) ქრონოლოგიური, რომელიც გულისხმობს ობიექტების შერჩევის წესს მათი სიძველის მიხედვით;

ბ) გეოგრაფიული, რომლის დროსაც ობიექტები შეირჩევა სიახლოვის პრინციპით;

6. ობიექტის შემოვლა — საჭიროა მათი მნიშვნელობის დადგენის მიზნით და იმის განსასაზღვრავად, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ზოგიერთი მათგანი ექსკურსიაში;

7. ექსკურსიის საბოლოო მიზნის განსაზღვრა. გამომდინარე საჩვენებელი ობიექტების შინაარსიდან, აუცილებლად უნდა დადგინდეს ექსკურსიის თემა და მიზანი;

8. საექსკურსიო ტექსტის მომზადება. პირველად დგება დიდი საექსკურსიო ტექსტი, რომელიც შეიცავს ექსკურსიის თემის დეტალურ გადმოცემას. ასეთ ტექსტს ბიუროს ტექსტი ეწოდება;

9. თვალსაჩინოების – „ექსკურსიამძღოლის ჩანთის“ დაკომპლექტება. ეს არის ფოტომასალა ან თვალსაჩინოება, რომელსაც ექსკურსიის მსვლელობისას ვაჩვენებთ ტურისტებს;

10. ექსკურსიის ჩატარების მეთოდური ხერხების განსაზღვრა თითოეული ობიექტის მიხედვით, თუ რა ჩვენების, ან თხრობის ხერხს გამოიყენებს ექსკურსიამძღოლი;

11. ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის შედგენა;

12. ექსკურსიის ინდივიდუალური ტექსტის შედგენა ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, რომელიც გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ბიუროს ტექსტი;

13. ტექსტისა და ტექნოლოგიური რუკის ლიცენზირება (ლიცენზიის არარსებობის შემთხვევაში შეთანხმება მრჩეველთა საბჭოსთან);

14. საცდელი ექსკურსიის ჩატარება. ახალი თემის მოსამზადებლად საჭიროა შედგეს ლიტერატურის ნუსხა, რომელშიც შევა წიგნები, სტატიები, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

საჩვენებელი ობიექტების შერჩევა

ობიექტების საჩვენებლად შერჩევა მნიშვნელოვანი პროცესია და იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. შემოქმედებითმა ჯგუფმა საჩვენებელი ობიექტების შესარჩევად უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები. პირველი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას სავარაუდო ობიექტის მიმართ, ასეთი უნდა იყოს: „ვისთვის შეიძლება საინტერესო იყოს ეს ობიექტი?“ რა თქმა უნდა, არსებობს ობიექტების ნუსხა, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება. უპირველეს ყოვლისა, ესაა იუნესკოს ნუსხაში შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან სხვა კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ძეგლები, რომლებიც ეროვნული მნიშვნელობის მემკვიდრეობად არის მიჩნეული. რომელი ძეგლი უნდა შევიდეს საექსკურსიო მარშრუტში და რომელი არა, ეს ძნელი

გადასაწყვეტია.

თითოეულ საექსკურსიო ობიექტთან დაკავშირებით ტურისტულ კომპანიაში უნდა არსებობდეს ე.წ. საექსკურსიო ობიექტის ბარათი, რომელსაც გიდები ავსებენ და სისტემატურად ანახლებენ. ქვემომოყვანილი ბარათი უნდა შეივსოს კონკრეტულ ობიექტებზე. ეცადეთ, დავალება ისე გადაინაწილოთ, რომ მაქსიმალურად მოიცვათ ის ობიექტები, რომლებიც სასწავლო ექსკურსიისთვის დაგჭირდებათ.

საექსკურსიო ობიექტის ბარათი

ობიექტის ფოტო

1. ობიექტის სახეობა — „ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ობელისკი, ქანდაკება და ა.შ.“
2. ობიექტის ზუსტი სახელწოდება — „პირველადი და თანამედროვე, ზედწოდება, რომლითაც ის ცნობილია ხალხში“;
3. ისტორიული მოვლენის, ფაქტის, რომელიც დაკავშირებულია ობიექტთან, თარიღი;
4. ობიექტის ადგილმდებარეობა, მისი საფოსტო მისამართი და რეკვიზიტები, დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან ან სხვა ცნობილი ობიექტიდან;
5. ობიექტის დეტალური აღწერა — „ავტორი, თარიღი, რა მასალისგანაა დამზადებული, მემორიალური წარწერის ტექსტი“, ობიექტის დახასიათება;
6. მონაცემები ობიექტის შესახებ: ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა, სადაც ობიექტია აღწერილი, საარქივო მასალები, ზეპირი გადმოცემები;
7. ობიექტის მდგომარეობა „როგორ არის იგი შენახული“ — ბოლო რესტავრაციის, ან რემონტის თარიღი;
8. ძეგლის დაცვა და უსაფრთხოება;
9. რეკომენდაციები, თუ რომელ ექსკურსიაში შეიძლება მისი გამოყენება;
10. შევსების თარიღი და შემდგენლის სახელი და გვარი.

ინფორმაციის მოპოვება და განაწილება (თემის შესასწავლად საჭიროა ინტერნეტის გამოყენება)

როდესაც ვიწყებთ საექსკურსიო ტექსტისათვის მასალების მოპოვებას, თავდაპირველად ვადგენთ ამ მასალების ტიპოლოგიას. მოსაპოვებელი მასალები შესაძლებელია იყოს, როგორც საარქივო, სამუზეუმო, პერიოდული პრესიდან, წიგნებიდან, ისე ინტერნეტწყაროდან. ამ შემთხვევაში საჩვენებელი ობიექტები პირობითად შეიძლება ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ობიექტებად დავყოთ.

ცნობილ და პოპულარულ ობიექტებზე შესაბამისად ბევრი ინფორმაცია არსებობს და პრობლემა ინფორმაციის დახარისხებაა. აქ დღის წესრიგში დგება მთავარი და მეორეხარისხოვანი მასალების გადარჩევის საკითხი. ეს ურთულესი პროცედურაა, რადგან შემსრულებელი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, მიანიჭოს კონკრეტულ ინფორმაციას ვარგისიანობის ხარისხი. ინფორმაციის მოცულობა გონივრულად ზომიერი უნდა იყოს. მასალები არ უნდა შეიცავდეს დუბლირებულ ინფორმაციას. ამასთანავე,

მასალა უნდა იყოს გადამოწმებული და სანდო.

მეორე შემთხვევაში, როცა ნაკლებად ცნობილ საექსკურსიო ობიექტზე გროვდება ინფორმაცია, პრობლემას ინფორმაციის სიმწირე წარმოადგენს. არის შემთხვევები, როცა ობიექტი საინტერესოა, ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ ინფორმაცია მის შესახებ თითქმის არ არსებობს. საჭიროა, თითოეულ გიდს გააჩნდეს გამოცდილება ინფორმაციის მოძიებაში. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საძიებო სისტემებში მუშაობის უნარ-ჩვევები. გიდს უნდა შეეძლოს სხვადასხვა წყაროდან საჭირო მასალის მოძიება.

როგორ მოვიძიოთ საჭირო წიგნი და პერიოდული ლიტერატურა? საქართველოში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა გახლავთ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. შევიდეთ მის ვებგვერდზე: www.nplg.gov.ge და ვნახავთ, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს. იგი წარმოადგენს საქართველოს მთავარ სახელმწიფო წიგნსაცავს, ქართული ნაბეჭდი ერთეულის დეპოზიტარიუმს, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო-მეთოდურ ცენტრს. ბიბლიოთეკა დაარსებულია 1846 წელს, მას ჰყავს 45 450 მკითხველი, რომელსაც ემსახურება 476 თანამშრომელი. ბიბლიოთეკის ფონდებში ინახება 3 641 456 ერთეული წიგნი, 233 383 წლიური კომპლექტი ჟურნალი; 55 124 წლიური კომპლექტი გაზეთი, 96 610 ერთეული ნოტი, 23 992 ცალი გრამფირფიტა. ეს შთამბეჭდავი ციფრები საკმარისია იმისათვის, რომ ირწმუნოთ მისი მასშტაბი. მაშ, როგორ ვიპოვოთ ამ ბიბლიოთეკაში დაცული მასალებიდან ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია?

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნების ფონდში სასურველ თემატიკაზე წიგნის საპოვნელად ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს წინასწარ დასახული მიზანი. მაგალითისთვის ავირჩიოთ შესანიშნავი ქართული ძეგლი – გონიოს ციხე და მას მივუძღვნათ ამ პარაგრაფის ყველა საძიებო საკითხი. გიდის პირველი ნაბიჯი ამ შემთხვევაში არის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების მოძიება. გთავაზობთ ერთად გავიაროთ საძიებო გზა ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკის ვებგვერდის მისამართის - www.nplg.gov.ge ინტერნეტში შეყვანით კომპიუტერის ეკრანზე გამოვიყვანთ ბიბლიოთეკის ვებგვერდის მთავარ გვერდს. აღნიშნული გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში არის საძიებო ფანჯარა (ფანჯრის ადვილად საპოვნელად იხილე ისარი), რომელშიც ქართული შრიფტით ვწერთ ჩვენთვის საინტერესო საძიებო სიტყვას — გონიოს ციხე.

აი, რა მივიღეთ ეკრანზე:



ძიებამ მოგვცა 1 530 შედეგი. პირველი მონაცემი ეხება ნაბეჭდ წიგნებს. ვნახოთ, რამდენი წიგნია ბიბლიოთეკაში გონიოს ციხეზე:

აღმოჩნდა, რომ გონიოს ციხესთან დაკავშირებით 26 წიგნია დაცული ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ნახეთ, როგორაა ისინი აღწერილი: პირველად მოცემულია წიგნის სახელწოდება, გამოცემის წელი და გვერდები, სადაც გონიოს ციხის შესახებაა ინფორმაცია დაცული, შემდეგ მოცემულია წიგნის შინაარსის მოკლე ანოტაცია. ამდენად, ადვილად აკეთებთ შეუცდომელ

დასკვნას – გჭირდებათ, თუ არა ეს წიგნი.

გიდის შემდეგი აქტივობა იქნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი, რომელიც ხუროთმოძღვრების ძეგლებზეა ორიენტირებული:http://www.heritagesites.ge/. ამ ვებგვერდზე საძიებო ფანჯარაში ისევ ,,გონიოს ციხეს" ვწერთ და ვიღებთ ორ მნიშვნელოვან შედეგს:

ორივე ინფორმაცია ფრიად მნიშვნელოვანია გიდისთვის. მათი დახმარებით გიდი არა მარტო შეისწავლის გონიოს მუზეუმს, არამედ ახდენს საკუთარი საექსკურსიო მასალის კორექტირებას იმის გათვალისწინებით, თუ რა ინფორმაციას აწვდიან ტურისტს მუზეუმში და რა განსხვავებული ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მას აღნიშნულ ობიექტზე. ექსკურსიის

(საექსკურსიო ტურის) გამართულად ჩატარების ერთ-ერთი პირობაა – არ მოხდეს ინფორმაციის გაუთავებელი დუბლირება სხვადასხვა დანიშნულების გიდების მიერ. თუ გიდები მოგზაურობის დროს იცვლებიან (ან სამუზეუმო და საქალაქო ექსკურსიების გიდების შემთხვევაში) და სხვადასხვა მარშრუტზე ერთსა და იმავე მასალას აწვდიან, ამან შეიძლება ტურისტების უკმაყოფილება გამოიწვიოს. ამიტომ გიდმა, რომელიც საქართველოს მასშტაბით ატარებს ექსკურსიას და მის ტურში გონიოს ციხეც შედის, უნდა იცოდეს, რა

ინფორმაციას აწვდის ტურისტს მუზეუმის გიდი და როგორ გააგრძელოს და გაამდიდროს მისი მონათხრობი თვითონ.

სპეციალიზებული საიტების ცოდნა აუცილებელია და მათი გამოყენება გიდს უნდა შეეძლოს თემატური პრინციპით. მაგალითად, თუ გვაინტერესებს მოქმედი ეკლესია, მაშინ უპრიანია, ვნახოთ საპატრიარქოს ვებგვერდი http://www.patriarchate.ge/, რომელსაც გააჩნია ჩამონათვალი ეკლესია-მონასტრების აღწერილობებისა.

გარდა ამისა, გიდისთვის მნიშვნელოვანია იცნობდეს ვებგვერდს: http://saunje.ge/, აქ ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ქართულ ძეგლებსა და მათ შორის, გონიოზეც:

აღნიშნულ ვებგვერდზე გიდს საშუალება აქვს, მოიპოვოს სურათები გონიოს ციხის შესახებ, ასევე გაეცნოს რუბრიკას ფოტოგალერეაში. გარდა ამისა, საძიებო სისტემა google-საც აქვს სურათების ძიების სისტემა, რომლის დახმარებით გიდმა შეიძლება მოიპოვოს მისთვის სასურველი სურათები სასურველი ობიექტის შესახებ.

საექსკურსიო ტექსტის მომზადება

ტურისტულ კომპანიას ან საექსკურსიო ბიუროს უნდა გააჩნდეს ბიუროს ტექსტი, ხოლო გიდს – ინდივიდუალური. თუმცა არც ერთი ნორმატიული აქტი არ არეგულირებს საექსკურსიო ტექსტისადმი წასაყენებელ მოთხოვნებს. საბჭოთა პერიოდში არსებობდა საექსკურსიო ტექსტისადმი ორი განსხვავებული მიდგომა:

1. საექსკურსიო ბიუროებს უნდა ჰქონდეთ ე.წ. ბიუროს ტექსტი, რომელიც იყო მასალების ნაკრები, ხოლო გიდებს გააჩნდათ ინდივიდუალური ტექსტი, რომელიც საექსკურსიო მარშრუტის თანხვედრით იწერებოდა.
2. „ინტურისტის“ მიდგომა იყო განსხვავებული. ამ კონცეფციის თანახმად, ყველა გიდს ერთი ტექსტით უნდა ელაპარაკა, ტექსტი კი მოსკოვში მტკიცდებოდა!

რა შეიძლება ეწოდოს ასეთ მიდგომას? გიდს ვერ ანდობდნენ ტექსტის შინაარსზე მუშაობას, ის მხოლოდ სხვისი დაწერილის დაზეპირებული ტექსტით ატარებდა ექსკურსიას, რაც სრულიად გამორიცხავს გიდის ინდივიდუალობას. გარდა იმისა, რომ ეს იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოს მახინჯი გამოვლინება, იგი აჩვევდა ადამიანს, ამ შემთხვევაში გიდს, ყოველგვარი კრიტიკისა და განსჯის გარეშე სხვისი აზრის უყოყმანოდ გაზიარებას.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ წარსულიდან მხოლოდ საუკეთესო უნდა ავიღოთ და განვავითაროთ, ხოლო მანკიერი გამოცდილება უარვყოთ. ამჟამად ტურისტული კომპანიები ყალიბდებიან, როგორც

ორგანიზაციები და მათთან ერთად ყალიბდება წესები და მოთხოვნები ექსკურსიებისადმი. უპრიანია, შემუშავებულ იქნას საექსკურსიო ტექსტის მომზადების ისეთი მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს ექსკურსიის მაღალ დონეზე ჩატარებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ

შემდეგი:

- ტურისტულ კომპანიაში უნდა არსებობდეს საექსკურსიო ტექსტი, გაჯერებული მასალებით, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ექსკურსიის მოსამზადებლად და ჩასატარებლად;
- თითოეულ საექსკურსიო მარშრუტზე გიდს უნდა გააჩნდეს საკუთარი ინდივიდუალური ტექსტი იმ კონკრეტულ ენაზე, რომელზეც ატარებს ექსკურსიას;
- შესაძლებელია საექსკურსიო ტექსტის გუნდური პრინციპით შედგენა და სასურველია ექსპერტის ან ექსპერტთა მიერ მისი რეცენზირება.

გიდი უნდა იყოს ინტელექტუალური პიროვნება, რომელსაც შესწევს საექსკურსიო ტექსტის დამოუკიდებლად შედგენის უნარი. საექსკურსიო ტექსტი უნდა მისდევდეს ექსკურსიის ტექნოლოგიურ რუკას და მოცულობით უნდა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიური რუკის მესამე და მეოთხე გრაფებს: „საექსკურსიო ობიექტი“ და „ჩვენების დრო“. საექსკურსიო ტექსტი უნდა შემუშავდეს იმ ენაზე, რომელზეც განზრახულია ექსკურსიის ჩატარება. ტექსტი უნდა იყოს სამეტყველო ენით დაწერილი, ყოველგვარი რთული თანწყობილი ან ქვეწყობილი წინადადების გარეშე. დაუშვებელია გრძელი, მრავალფარდოვანი სიტყვებით გაჯერებული ან ორაზროვანი წინადადებებით მეტყველება.

ექსკურსიის ჩატარების ხელოვნება

ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა – ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკა

ტექნოლოგიური რუკა არის კომპანიის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კონკრეტული ექსკურსია, როგორ უნდა მოხდეს საჩვენებელი ობიექტის სანიმუშო ჩვენება, რა ტექნიკა და მეთოდიკა უნდა გამოიყენოს ამისთვის ექსკურსიამძღოლმა. ტექნოლოგიურ რუკაში მოცემულია საექსკურსიო მეთოდიკის მოთხოვნები საჩვენებელი ობიექტების თავისებურებებისა და მათ შესახებ გადმოსაცემი ზეპირი მასალის შინაარსის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ტექნოლოგიური რუკა ხელს უწყობს ექსკურსიამძღოლის ორგანიზებულობას, არ აძლევს მას ექსკურსიის გეგმებიდან გადახრის საშუალებას, რადგან მუდმივად ახსენებს, რა ილაპარაკოს, რამდენ ხანს და რა პირობებში; მასში ასევე მკაფიოდაა ასახული ექსკურსიის ორგანიზაციული საკითხები, გათვალისწინებულია ექსკურსანტთა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები; იგი ერთ მთლიანობაში მოაქცევს თხრობასა და ჩვენებას.

ტურისტულ კომპანიაში თითოეულ ექსკურსიასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს ცალკე ტექნოლოგიური რუკა. უფრო მეტიც, იგი უნდა არსებობდეს დიფერენცირებული სახით, რომელიმე ტურისტული ჯგუფისათვის. მისი შედგენა არ არის რთული, რადგან ასეთ ვარიანტში განსხვავებული იქნება ექსკურსიის მხოლოდ ცალკეული მონაკვეთი და არა მთლიანად შინაარსი. ტექნოლოგიური რუკა უნდა ითვალისწინებდეს ექსკურსანტთა ასაკს, პროფესიას და სხვა ინტერესებს. წინამდებარე თავს

თან ერთვის ჩვენ მიერ შედგენილი მიმოხილვითი ექსკურსიის „ქალაქ ბათუმის" ნიმუში. ოთხსაათიანი ექსკურსია ტურისტულ ქალაქში, სადაც მრავალფეროვანი საჩვენებელი ობიექტებია, უაღრესად რთული შესადგენია. თუ თქვენ შეგიძლიათ ბათუმში სრულყოფილი ექსკურსიის ჩატარება, მაშინ ფლობთ საქალაქო ექსკურსიის ჩატარების ტექნიკას. შეეცადეთ, ჯერ შეადგინოთ ტექნოლოგიური რუკა ერთ რომელიმე ობიექტზე, შემდეგ კი მთელი მარშრუტი შეიტანეთ ტექნოლოგიურ რუკაში.

ტექნოლოგიური რუკა უნდა გაფორმდეს შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

- ტექნოლოგიური რუკის ტიტულზე უნდა აისახოს ტურისტული კომპანიის დასახელება, საექსკურსიო თემის დასახელება, ექსკურსიის სახე, მარშრუტის სიგრძე, ექსკურსიის ხანგრძლივობა, შემადგენლობა, შემდგენლის გვარი და სახელი;
- შემდგომ გვერდზე უნდა აისახოს: ექსკურსიის მიზანი და ამოცანები, მარშრუტის სქემა, რომელზეც გაჩერებები იქნება აღნიშნული;

ტექნოლოგიური რუკა სამი ნაწილისგან შედგება: შესავალი, ექსკურსიის ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესავალი და დასკვნა ცალკე გრაფებად არ გამოიყოფა. შესავალში, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება, ექსკურსიამძღოლი ასახელებს თემის ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებს, მათი დათვალიერების თანამიმდევრობას, წარადგენს საკუთარ თავს და მძღოლს, ხოლო დასკვნაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია, თუ რა ნახეს ტურისტებმა მთავარი და რა პერსპექტივები გააჩნია იმ ღირსშესანიშნაობას, რომელსაც მიეძღვნა საექსკურსიო თემა, რისი ნახვა შეუძლიათ დამატებით ექსკურსანტებს.

ტექნოლოგიური რუკის ეფექტურობა დამოკიდებულია მისი შვიდივე გრაფის სწორად შევსებაზე. მისი სიდიდე 6-12 გვერდით შეიძლება განისაზღვროს, რაც დამოკიდებულია საექსკურსიო ობიექტების რაოდენობასა და მნიშვნელობაზე, თემებისა და ქვეთემების რაოდენობაზე, მარშრუტის ხანგრძლივობაზე.

გრაფაში „ექსკურსიის მარშრუტი" უნდა აღინიშნოს ექსკურსიის დასაწყისი ადგილი, შემდეგ I ქვეთემის დამთავრების ადგილი, შემდეგ II ქვეთემის და ა.შ.

გრაფაში „გაჩერება" აღნიშნულ უნდა იქნას ექსკურსიის ის ადგილები, სადაც სატრანსპორტო ექსკურსიის დროს ავტობუსი გაჩერდება და ობიექტის დასათვალიერებლად ტურისტები გადმოგვყავს ავტობუსიდან ან ავტობუსიდან გადმოუსვლელად ვაჩვენებთ ღირსშესანიშნაობას, ან კიდევ ქვეითი ექსკურსიების დროს მიგვყავს ექსკურსანტები ობიექტის დასათვალიერებლად. ჩანაწერი უნდა იყოს გარკვეული, არ შეიძლება დაუკონკრეტებელი ჩანაწერების გაკეთება, მაგ. „გაჩერება ზღვის სანაპიროზე". ჩანაწერი უნდა დაკონკრეტდეს ადგილის მითითებით: წმ ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან.

გრაფაში „საჩვენებელი ობიექტი" საჭიროა, ჩამოითვალოს ექსკურსიის ამ მონაკვეთზე საჩვენებელი ყველა საექსკურსიო ობიექტი. ეს ეხება იმ ობიექტებს, რომლებსაც აჩვენებენ როგორც გაჩერებებზე, ისე ავტობუსის მსვლელობისას, აგრეთვე ძირითად და მეორეხარისხოვან საჩვენებელ

ობიექტებს.

განსხვავებულია ობიექტები საქალაქო და ქალაქგარე ექსკურსიებში, ვინაიდან ქალაქგარე ექსკურსიებში ეს შეიძლება იყოს მთელი სოფელი ან დასახლებული პუნქტი, ხოლო საქალაქო ექსკურსიაში ქუჩა, მოედანი ან ნაგებობა.

გრაფაში — „დრო“ — უნდა აღინიშნოს ექსკურსიის ერთი მონაკვეთის მსვლელობის დრო. ასეთი დრო არის ჯამი შემდეგი კომპონენტებისა: ექსკურსიამძღოლის თხრობა + თავისუფალი დრო + დრო ობიექტიდან ობიექტზე გადასაადგილებლად.

გრაფაში „თემა, ქვეთემა“ საჭიროა ჩამოითვალოს ექსკურსიის ამ მონაკვეთზე განსახილველი თემები და ის საკითხები, რომლებიც დასახელებულია მეორე გრაფაში, ხოლო მათი მოცულობა განსაზღვრულია მესამე გრაფაში. პირველ რიგში უნდა დასახელდეს თემა, შემდეგ ქვეთემა და ის საკითხები, რომელთა განხილვაც აუცილებელია თემის გასავრცობად. მაგალითად, ჩვენ მიერ შესასწავლ ექსკურსიაში — „ქალაქი ბათუმი” — საკრუიზო ტურისტები ბათუმში საზღვაო ნავსადგურში ჩამოდიან. შესაბამისად, ექსკურსია იწყება ბათუმის, როგორც უძველესი საპორტო ქალაქის ჩვენებითა და თხრობით. ეს გრაფა ძალიან მნიშვნელოვანია და შემდგენელს არ უნდა გამორჩეს არც ერთი განსახილველი საკითხი, კერძოდ, ბათუმის დაარსების ისტორია, ბათუმის დაგეგმარება და განაშენიანება. ხაზი უნდა გაესვას ქალაქის ღირსებებს როგორც ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს. ცალკე თემაა ბათუმი, როგორც კურორტი და ბათუმის კურორტების ჯაჭვი.

გრაფაში — „ორგანიზაციული მითითებანი“ — უნდა აღინიშნოს მონაცემები ექსკურსიის ერთ მონაკვეთზე ექსკურსანტების გადაადგილების მიმდინარეობის შესახებ. აქ იგულისხმება ისიც, თუ სად იმყოფებიან ტურისტები — ავტობუსში, თუ მის გარეთ, როგორ და სად დგანან ისინი, სად უნდა იმყოფებოდეს ექსკურსიამძღოლი, როგორ უნდა შესრულდეს რიტუალი, თუ ასეთი რამ ექსკურსიაში გათვალისწინებულია. ეკოლოგიურ ექსკურსიებში მითითებები შეეხება პარკის ტერიტორიაზე ტურისტთა ქცევის წესებს, ქალაქგარე ექსკურსიებში სანიტარიულ-ტექნიკურ გაჩერებებს და ა.შ.

გრაფაში — „მეთოდური მითითებანი“ — უნდა აღინიშნოს, რა მეთოდური ხერხები გამოიყენება ექსკურსიის ერთ მონაკვეთზე. ასეთი ხერხები ნებისმიერ ექსკურსიაში მრავლადაა, ამიტომ შემდგენლებმა ზუსტად უნდა მიუთითონ, თუ რა ხერხი გამოიყენონ ექსკურსიაში და რა საშუალება არსებობს თემის გავრცობისათვის. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს ექსკურსანტებისათვის ნაცნობი მწერლის ან პოეტის ციტატა, ფრთოსანი სიტყვა და გამონათქვამი, ზოგჯერ ეს იქნება შედარების, ანალიზის, გამომსახველობითი რეკონსტრუქციის, ან ლოკალიზაციის ხერხი. ეს უკანასკნელი გვჭირდება ადგილის უკეთ დამახსოვრების მიზნით. მაგალითად, ბათუმის ბულვარის გაცნობისას უპრიანი იქნება, ტურისტებს გავახსენოთ ციტატა ცნობილი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ ჯონ სტეინბეკის წიგნიდან „რუსული დღიური“, რომელიც მან 1946 წელს ბათუმში ნანახი და განცდილი შთაბეჭდილებების შემდეგ დაწერა: „ბათუმი — ძალიან სასიამოვნო ქალაქია, შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტი და პლაჟების და სასტუმროების ქალაქი. ეს არის ქალაქი, ჩაძირული პარკებისა და სიმწვანის ჩრდილში - ზღვის ნიავი ანიჭებს მას სასიამოვნო სიგრილეს“.

„ქალაქ ბათუმის საფეხმავლო ტური“ ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკა

მარშრუტი	გაჩერება	საჩვენებელი ობიექტი	დრო	თემა, ქვეთემა	ორგანიზაციული მითითებები	მეთოდური მითითებები
1	2	3	4	5	6	7
გოგებაშვილის ქ.3	ბათუმის საზღვაო სადგურის მოედანი	ბათუმის საზღვაო სადგური	20 წთ	ბათუმის დაარსების ისტორია, ბათუმის დაგეგმარება და განაშენიანება. ბათუმი — ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. ბათუმი, როგორც კურორტი. ბათუმის კურორტების ჯაჭვი	გიდ ტურისტებს აყენებს საზღვაო ვაგზლის წინ მდებარე მოედანზე	სასურველია, თხრობა დამთავრდეს გამოჩენილი პიროვნების გამონათქვამით, რომელიც შეეხება ბათუმის ბულვარს
ზღვის სანაპირო	პარკი	ბათუმის ბულვარი	30 წთ	ბათუმის ბულვარის ისტორია; ბულვარის მწვანე საფარი; გასართობი ობიექტები ბულვარში; ქანდაკებები და მონუმენტები; ბულვარის შადრევნები და ზოოკუთხე	ავტობუსიდან გადმოსვლა და ქვეითად გასეირნება	სასურველია გამოვიყენოთ ჩვენების ხერხი -თვალსაჩინოების ჩვენება, რისთვისაც გიდს უნდა ჰქონდეს პლანშეტზე, ან საქაღალდეში ისტორიული ბულვარის სურათები

ჩვენების მეთოდური ხერხები

ჩვენება არის ექსკურსიის ძირითადი ელემენტი, რომლის საშუალებითაც ხდება საექსკურსიო ობიექტზე მიზანმიმართული დაკვირვება. ამავდროულად იგი არის თვალსაჩინოების პრინციპის რეალიზაციის პროცესი და ექსკურსანტებისათვის ობიექტების გაცნობის ძირითადი საშუალება. ჩვენება ასევე უნდა განვიხილოთ, როგორც ექსკურსიამძღოლის ქმედება ან ქმედებების ჯამი, რომელიც მიმართულია ობიექტის არსის გადმოსაცემად.

ჩვენება ექსკურსიაში მრავალმხრივი პროცესია, რომლის დროსაც ხდება ობიექტიდან მხედველობითი ინფორმაციის მიღება, რისთვისაც ექსკურსიამძღოლს სჭირდება მიზანმიმართული ქმედებების განხორციელება.

დემონსტრაცია არის საზოგადოებრივი ჩვენება, რომელიც გათვლილია ობიექტის ჯგუფისთვის სახალხოდ ჩვენებაზე, ექსკურსანტთა ჯგუფისთვის ობიექტის განსახილველად გამოტანაზე.

ობიექტის ჩვენება არის ექსკურსიამძღოლის მიერ ჩატარებული მიზანმიმართული მოქმედება, მისი ხელმძღვანელობით ობიექტზე

დაკვირვება.

ვაჩვენოთ ობიექტი ექსკურსანტს, ნიშნავს, მოვახდინოთ ობიექტის დემონსტრირება, გავხადოთ იგი მისაწვდომი ტურისტისათვის, მისკენ მივმართოთ ექსკურსანტთა ყურადღება.

ჩვენების თავისებურებაა ობიექტის ახალი თვისების, უნარის აღმოჩენა. ყოველ შემთხვევაში ისეთი თვისების დანახვა, რომელიც ზედაპირზე არ დევს და ყველასთვის საცნაური არ არის.

თვალსაჩინოების ეფექტურობა დამოკიდებულია ჩვენების ტექნიკაზე, თუ რამდენად სწორად არის ორგანიზებული ექსკურსანტთა დაკვირვება ობიექტზე. ბევრი ადამიანი სწავლობს ექსკურსიაზე ობიექტზე დაკვირვებასა და ანალიზს. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენების ამოცანაც. ის, ვინც ექსკურსიას ქმნის, ითვალისწინებს კიდეც, ანდა უნდა ითვალისწინებდეს, რომელი ობიექტი უნდა აჩვენოს, რა არის ჩვენების მიზანი და როგორ ამომწურავად უპასუხებს საექსკურსიო თემას.

ყურება და დათვალიერება ობიექტის ჩვენების საწინდარია. თუკი ყურება/ჭვრეტასა და დათვალიერებაში ექსკურსიამძღოლი არ მონაწილეობს, ის ბევრად პასიური იქნება, ვიდრე ის, ვინც გამოცდილი ადამიანის მითითებს ითვალისწინებს.

დათვალიერება, ჩვენებისაგან განსხვავებით, უნდა განვიხილოთ, როგორც ზედაპირული, სასხვათაშორისო გაცნობა ძეგლისა. თითოეულ ადამიანს სხვის დაუხმარებლად შეუძლია დაათვალიეროს შენობის ფასადი ან გარეგნული იერი.

განსხვავება ჩვენებასა და დათვალიერებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ დათვალიერებისას ტურისტი აღიქვამს მხოლოდ გარეგნულ ფორმებს, ჩვენებისას კი ექსკურსიამძღოლის დახმარებით აკეთებს ანალიზს.



ჩვენების დროს არის სამი ელემენტის ჯამი:

- ექსკურსანტების მიერ ღირსშესანიშნაობების დამოუკიდებელი დაკვირვება;
- ექსკურსანტების მიერ ექსპონატების გაცნობა „ექსკურსიამძღოლის ჩანთის“ მეშვეობით;
- ექსკურსიამძღოლის მიერ ექსკურსანტებისათვის ჩვენების მეთოდური ხერხების გამოყენებით ობიექტების გაცნობა.

ჩვენების ვარიანტები და ამოცანები:

1. ჩვენება იმ ობიექტების, რომლებსაც ტურისტები ათვალიერებენ;
2. ჩვენება იმ ობიექტების, რომლებიც უკვე აღარ არსებობს (შემორჩენილია ფოტოზე, ან ნახატზე);
3. ჩვენება ისტორიული მოვლენების, რომელიც მოცემულ ადგილას მოხდა, მოვლენის გამომსახველობითი რეკონსტრუქციის მიზნით;
4. ცნობილი ისტორიული პიროვნების (მწერალი, მხატვარი, პოლიტიკოსი, მხედართმთავარი), რომელიც დაკავშირებულია საჩვენებელ ობიექტთან;
5. ობიექტის იმ სახით ჩვენება, რომელ პერიოდსაც ექსკურსია ეხება.

ჩვენების პირობები:

საექსკურსიო ობიექტების ეფექტური ჩვენება მოითხოვს გარკვეულ პირობებს:

ა) სწორად შერჩეული ჩვენების ადგილი;
ბ) ჩვენების დრო, რომელიც წინასწარ უნდა შეირჩეს;
გ) ექსკურსანტების ყურადღებას არ უნდა იპყრობდეს ობიექტებისგან განსხვავებული თემები;
დ) ექსკურსანტების მოძრაობის გამოყენება, როგორც მეთოდური ხერხი ობიექტის საჩვენებლად;
ე) ექსკურსიამძღოლისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
ვ) ექსკურსანტების მზადყოფნა ობიექტებზე დასაკვირვებლად.

ხუროთმოძღვრული ძეგლების დასათვალიერებლად საჭიროა განსაკუთრებული პირობები. მაგალითად, მიღებულია მნიშვნელოვანი ნაგებობის, ხელოვნების ნიმუშის ჩვენება არა პირდაპირ, ცენტრალური ფასადიდან, არამედ გვერდიდან, ისე, რომ ჩანდეს მისი სამი განზომილება: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია განათებაც. თუ ძეგლის აღქმას ხელს უშლის მზის სინათლე, მაშინ უნდა დაწესდეს ჩვენების საათები, როდის არის საუკეთესო პერიოდი ამისთვის.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩვენების დროსთან მიმდევრობის დაცვა.

ქვემოთ მოცემულია სანიმუშო სქემა თანამიმდევრული ჩვენებისა:

1. ექსკურსიამძღოლი განსაზღვრავს, რომელი ობიექტი უნდა აჩვენოს ექსკურსანტებს	განსაზღვრება
2. ექსკურსიამძღოლი უხსნის ტურისტებს, რას წარმოადგენს საჩვენებელი ობიექტი	დახასიათება
3. ექსკურსიამძღოლი საუბრობს ობიექტის დანიშნულებაზე	მიზნის განსაზღვა
4. ექსკურსიამძღოლი განიხილავს ობიექტის გარკვეულ ნაწილებს	საექსკურსიო ანალიზი
5. ექსკურსიამძღოლი ჰყვება ძეგლის ავტორის შესახებ	ცნობა
6. ექსკურსიამძღოლი ჰყვება ძეგლთან დაკავშირებული მოვლენებისა და ფაქტების შესახებ	ფაქტის შეფასება

ჩვენების საფეხური

პირველი საფეხური	ექსკურსანტების მიერ ობიექტის პირველად აღქმა, რაც მოჰყვება გიდის სიტყვებს: „თქვენ ნინაშეა...“	ობიექტის გარეგნული სახის ათვისება
მეორე საფეხური	მოვლენებისა და ფაქტების გადმოცემის შემდეგ უფრო დეტალური დათვალიერება	ობიექტის თავისებურებების აღქმა
მესამე საფეხური	ობიექტზე დაკვირვება ანალიზის მეშვეობით	ცალკეული დეტალების აღქმა
მეოთხე საფეხური	ექსკურსანტების მიერ ობიექტის დამოუკიდებელი დათვალიერება	ხდება ობიექტის დამახსოვრება
მეხუთე საფეხური	ექსკურსიამძღოლის მიერ ნანახის განზოგადება	კეთდება ქვეთემის დასკვნები
მეექვსე საფეხური	ექსკურსანტები ტოვებენ ობიექტს. საბოლოოდ აფიქსირებენ მას	რწმუნდებიან გაკეთებული დასკვნის სისწორეში

ჩვენების საფეხურების საშუალებით ხდება შთაბეჭდილებების გაღრმავება, ობიექტის შესახებ ექსკურსანტის დასკვნებამდე მისვლა. მაგრამ არ შეიძლება ნებისმიერ ექსკურსიაში ჩვენების ისე ორგანიზება, რომ დავიცვათ ზემოთ აღნიშნული საფეხურები. თუ ობიექტი ექსკურსანტებიდან შორს, მაგალითად, ჰორიზონტზე ჩანს, მაშინ, ცხადია, ჩვენება ვერ იქნება სრულყოფილი.

ყველაზე სრულყოფილი ჩვენება გამოდის საქალაქო ექსკურსიების დროს, როცა ობიექტი არის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი და მისი აღქმა შესაძლებელია, როგორც შორიდან, ისე ახლოდან. მაშინ ექსკურსიამძღოლს უჩნდება შანსი, გამოიყენოს მეთოდური ხერხები და ექსკურსიის მსვლელობისას გააკეთოს არქიტექტურული ანალიზი.

ჩვენების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ექსკურსიამძღოლის ცოდნაზე, არამედ მის უნარ-ჩვევებზე, თუ როგორ ფლობს ჩვენების ტექნიკას და როგორ ეხმარება ექსკურსანტებს შენობის აღქმაში.

პრაქტიკაში საყოველთაოდ ცნობილია ჩვენების 9 ხერხი: წინასწარი დათვალიერება; ობიექტის დემონსტრაცია; ანალიზი ექსკურსიაში; ლოკალიზაციის ხერხი; გამომსახველობითი რეკონსტრუქციის ხერხი; შედარება; თვალსაჩინოების ჩვენება; პანორამული ჩვენება; ჩვენება მოძრაობაში.

1. წინასწარი დათვალიერება არის ჩვენების ისეთი ხერხი, რომლის საშუალებით ექსკურსანტების ორიენტირებენ მოცემულ სივრცეში და გამომსახველობით შთაბეჭდილებებს განაზოგადებენ. ეს ხერხი საჭიროა იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ ჩვენებიდან ობიექტების ის ნაწილი, რომელიც ექსკურსიის თემაში არ შედის. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმში რომელიმე ცნობილი ნიმუშის ჩვენებისას, მან უნდა აღწეროს ნიმუში და შემდეგ გადავიდეს დეტალურ ხელოვნებამცოდნეობით ან კიდევ, ლიტერატურულ ანალიზზე.
2. ობიექტის დემონსტრაცია არის ჩვენების ხერხი, რომლის მეშვეობითაც ხდება ობიექტის გარეგნული სახის ან მისი ზოგიერთი დეტალის დახასიათება. ექსკურსიის მიზნების და ამოცანების შესაბამისად ობიექტის დემონსტრაციის ხერხი ეხმარება ექსკურსიამძღოლს, გააერთიანოს საექსკურსიო მასალა და დააკავშიროს ისინი ერთიანი ქვეთემით. ამ ხერხის საშუალებით გროვდება ექსკურსიის მხედველობითი შთაბეჭდილებები, რაც აუცილებელია თხრობის თემის გახსნისათვის. მაგალითად, არქიტექტურულ ექსკურსიაში, რომელიც ეძღვნება არქიტექტურულ სტილებს, ექსკურსიამძღოლი იყენებს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ დეტალებს.
3. საექსკურსიო ანალიზი არის ჩვენების ხერხი, რომლის მეშვეობითაც საექსკურსიო ობიექტს დეტალურად აკვირდებიან და შეისწავლიან, გადმოცემენ მის არსს და თვისებებს. პრაქტიკაში ცნობილია ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული და საბუნებისმეტყველო ანალიზი. ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი გვეხმარება ობიექტის მხატვრული დონის დახასიათებაში, მისი ხერხები დამოკიდებულია ხელოვნების ამა თუ იმ სახეობაზე, მაგალითად, არქიტექტურული, ლიტერატურული, მუსიკალური და ა.შ. ისტორიული ანალიზი გვეხმარება, დავადგინოთ ისტორიის გარკვეული მონაკვეთის ან ეპოქის დამახასიათებელი თვისებები, ან საექსკურსიო ობიექტის კავშირი ისტორიასთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მიღებული ცოდნის საფუძველზე საბუნებისმეტყველო ანალიზი გვეხმარება დავადგინოთ ობიექტთან დაკავშირებული კანონზომიერებანი.
4. ლოკალიზაცია არის ჩვენების ხერხი, რომლის საშუალებითაც ხდება მოვლენის ან ობიექტის ლოკალიზება ანუ კონკრეტულ ადგილთან დაკავშირება. ლოკალიზაციის ხერხის მეშვეობით ექსკურსიამძღოლი აკავშირებს ყველასათვის ცნობილ მომხდარ ფაქტს კონკრეტულ საჩვენებელ ობიექტთან. ამისათვის შეიძლება გამოიყენოს ჟესტი და სიტყვა „აქ“, „ამ ადგილას“, „აქედან“, „ამ მიმართულებით“ და ა.შ. შესაძლებელია, ეს ხერხი წინ უძღოდეს ობიექტის დახასიათებას ან მის შესახებ თხრობას.
5. გამომსახველობითი რეკონსტრუქციის ხერხი გამოიყენება შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ადრე მომხდარი ფაქტის, მოვლენის ან ობიექტის პირვანდელი სახის აღსადგენად. ექსკურსიამძღოლმა ისეთი გამომსახველობითი ფორმებით

უნდა აღწეროს ობიექტი, მოვლენა, ფაქტი, რომ ექსკურსანტებს თვალწინ წარმოუდგეს მისი პირვანდელი სახე ან საკუთარი არსით გახდნენ მოვლენის, ფაქტის თანამონაწილენი. მაგალითად: პორტო ფრანკოს დროინდელი ბათუმის ყოფა, ნავსადგური და მასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. ამ ხერხის გამოყენებისას სასურველია ექსკურსიამძღოლმა მიმართოს თვალსაჩინოების, ე.წ. ექსკურსიამძღოლის ჩანთის ჩვენებას.

6. შედარება არის საყოველთაოდ გავრცელებული ხერხი, რომლის დროსაც ხდება მსგავსი ან სრულად განსხვავებული ობიექტის მოვლენებისა ფაქტების შედარება. შესადარებელი ობიექტები უნდა იყვნენ სრულიად მსგავსნი ან განსხვავებულნი. სრულიად განსხვავებულთან საქმე გვაქვს კონტრასტთან, რათა დავანახვოთ საპირისპირო თვისებები, ხოლო ერთნაირი მოვლენის ჩვენებისას ვამტკიცებთ, რომ ამ მოვლენას, ფაქტის, ობიექტის ჩვენებაშიც გააჩნია ანალოგი. მაგალითად, ძველი და ახალი ბათუმის არქიტექტურული კონტრასტი და ა.შ.
7. თვალსაჩინოების ჩვენება – თითოეულ ექსკურსიამძღოლს აქვს თვალსაჩინოების ნაკრები, რომელსაც ექსკურსიამძღოლის ჩანთას უწოდებენ. ეს შეიძლება იყოს დოკუმენტები, ფოტომასალა, პროექტები, მაკეტები, და ა.შ., რომელთა გამოყენება გვეხმარება ეპოქის, მოვლენის დახასიათებაში.
8. პანორამული ჩვენება გამოიყენება დიდი მოცულობის სივრცის საჩვენებლად და ეს ხერხი ექსკურსიამძღოლმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ტურისტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მოსახდენად.
9. ჩვენება მოძრაობაში გამოირჩევა მიზანდასახული, თანამიმდევრული, წინასწარ გამიზნული თვისებებით, ვინაიდან ტრანსპორტის მოძრაობისას ტურისტებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ ობიექტის აღსაქმელად. საჭიროა რომელიმე დამახასიათებელი თვისების წინ წამოწევა, რათა ობიექტი ადვილად გასარჩევი გახდეს სხვებისგან, მაგალითად: შენობა, „შპილით" ან წითელი ფერის, თუკი მის გვერდით სხვა ფორმის ნაგებობაა, სამშენებლო მასალის მაგ. შუშის ჩვენება უნდა შეესაბამებოდეს მოძრაობის ტემპს.

თხრობის ხერხები და ექსკურსიამძღოლის მეტყველება

თხრობა, ისევე, როგორც ჩვენება, ექსკურსიის ძირითადი ელემენტია. მისი საშუალებით გადმოიცემა ობიექტთან დაკავშირებული მოვლენები და ფაქტები. იგი ხელს უწყობს ექსკურსანტს მონაყოლისაგან მიღებული ასოციაციის მეშვეობით უფრო სრულად დააკვირდეს იმ ცვლილებებს, რომლებიც მიმდინარეობს საექსკურსიო ობიექტში. თხრობა შესაძლებელია სრულყოფილი იყოს მხოლოდ სათანადო მეტყველების კულტურის შემთხვევაში.

ექსკურსიათმცოდნეობაში საყოველთაოდ იყენებენ თხრობის შემდეგ ხერხებს: 1. აღწერა; 2. დახასიათება; 3. ახსნა-განმარტება; 4. კომენტარი; 5. ცნობა; 6 საუბარი; 7. ლიტერატურული მონტაჟი; 8. ციტატა ან ციტირება; 9. ლოგიკური ხიდი ანუ ლოგიკური გადასვლა.

1. აღწერა თხრობის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობითაც თანამიმდევრულად გადმოიცემა ობიექტების თავისებურებანი, მათი გარეგნული დახასიათება. ექსკურსიის თემიდან და მიზნებიდან გამომდინარე იყენებენ აღწერის სხვადასხვა ფორმებს, მაგალითად, ძმები ნობელების სამუშაო კუთხის აღწერა მუზეუმში, ორთა ჯამეს აღწერა ძველ ბათუმში და ა. შ.
2. დახასიათება თხრობის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობითაც ობიექტის ყველაზე

არსებით მხარეებს აჩვენებენ, ასევე გამოავლენენ ობიექტთან დაკავშირებული სხვა ობიექტთა ჯგუფების, პროცესების, მოვლენების, ფაქტების არსებით მხარეებს. მაგალითად, ლიტერატურულ ექსკურსიებში ახასიათებენ ამა თუ იმ პერიოდის ლიტერატურულ გმირებს, მათ სოციალურ ბუნებას.

3. ახსნა-განმარტება თხრობის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობითაც გადმოიცემა ობიექტის შინაგანი კავშირები. მათი მიზეზშედეგობრივი ურთიერთობები მოვლენასთან, ფაქტი. ყველაზე ხშირად ახსნა-განმარტების ხერხი გამოიყენება ბუნებათმცოდნეობით, არქიტექტურულ, ხელოვნებათმცოდნეობით ექსკურსიებში, განსაკუთრებით, სასკოლო ექსკურსიებში, მაგალითად, დმანისის ჰომო ერექტუსის ან სათაფლიაში დინოზავრის ნაკვალევის ჩვენებისას საჭიროა ახსნა-განმარტება, თუ როგორ შემორჩა მილიონობით წლების წინ არსებული ნაშთები დღევანდლამდე (დმანისელი ჰომო ერექტუსი 1 700 000 წლითაა დათარიღებული, დინოზავრის ნაკვალევი კი 6 000 000 წლის წინანდელია). ორივე შემოინახა ვულკანის ლავამ, რისი ახსნა-განმარტებაც აუცილებელია ექსკურსიაში.
4. კომენტარი ანუ კომენტირება არის თხრობის ხერხი, რომლის მეშვეობით ობიექტის დემონსტრაცია ხდება მოძრაობის ან განვითარების პროცესში.
5. ცნობა არის თხრობის ისეთი ხერხი, რომლის მეშვეობით შეკუმშულად გადმოიცემა ობიექტსა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ფაქტობრივი მასალა. ექსკურსიებში ობიექტის შესახებ ცნობები მიეწოდებათ იმ შემთხვევაში, თუ ეს ობიექტი არ არის ჩართული მარშრუტში, მაგრამ დაკავშირებულია თემასთან, მაგალითად, ქალაქგარეთ ექსკურსიაში, როცა ობიექტი დაკავშირებულია რაიმე საინტერესო მოვლენასთან ან ფაქტორთან და იგი რაღაც მიზეზით არ შედის მარშრუტში, ექსკურსიის შინაარსის სრულყოფის მიზნით, ტურისტებს უნდა მიეწოდოს მოკლე ცნობები ასეთი ობიექტის შესახებ.
6. საუბარი თხრობის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობითაც ხდება მოვლენის მონაწილეებთან შეხვედრა. საუბარი იშვიათი ხერხია და შესაბამისად, ექსკურსიებში იშვიათად გამოიყენება. მასში შეიძლება ჩავრთოთ ტურისტები და ობიექტთან დაკავშირებული ის პირები, რომლებიც ექსკურსიის დროს შეიძლება შემთხვევით შეგვხვდნენ, მაგალითად, როცა ძველ ბათუმში ტურისტები ათვალიერებენ ტიპურ ბათუმურ ეზოს, შესაძლებელია მათი ინტერესი გამოიწვიოს აივანზე ან ეზოში გამოსულმა ზოგიერთმა მცხოვრებმა (რამდენი ცხოვრობს ერთ ოჯახში, რითი იკვებებიან, როგორი საცხოვრებელი პირობები აქვთ და ა.შ).
7. ლიტერატურული მონტაჟის მეშვეობით მხატვრული ხერხებით ხდება საექსკურსიო თემის გადმოცემა, ნაწარმოების ციტატების მეშვეობით ქალაქის, სოფლის პეიზაჟის დახასიათება და ა. შ. ლიტერატურული მონტაჟი წინასწარ გულმოდგინედ უნდა დამუშავდეს ექსკურსიამძღოლის მიერ. მან უნდა ამოიწეროს ეს ციტატები მხატვრული ნაწარმოებიდან და გააკეთოს მონტაჟი.
8. ციტირება ან ციტატა თხრობის ისეთი ხერხია, რომლის მეშვეობითაც ექსკურსია უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია. ციტატა უნდა ეკუთვნოდეს გამოჩენილ ადამიანს, ავტორიტეტს, რომლის სიტყვები ობიექტის, მოვლენისა და ფაქტის შესახებ ანგარიშგასაწევია. კარგია, როცა ექსკურსიამძღოლმა ციტატა იცის ზეპირად, მაგრამ აუცილებელი არ არის შეიძლება მისი ამოწერა და ტურისტებისათვის წაკითხვა, მაგალითად, დიუმას გამონათქვამები ქართველი

ხალხის შესახებ წიგნიდან „კავკასია“, პუშკინის, ლევ ტოლსტოის, ჩაიკოვსკის, ჯონ სტაინბეკის და სხვათა ციტატების მოყვანა.

9. ლოგიკური ხიდი ან ლოგიკური გადასვლა არის თხრობის ისეთი ხერხი, რომლის მეშვეობით ორი განსხვავებული ან მსგავსი ობიექტი (წინა და შემდგომი) ერთმანეთს უკავშირდება. ამისათვის საჭიროა მოვძებნოთ ის საერთო, რომელიც ობიექტებს აკავშირებს.

პრეზენტაციის უნარი

მეტყველების კულტურა და მიკროფონის გამოყენება

გიდის პროფესიონალიზმი დამოკიდებულია მეტყველების კულტურაზე. მას უნდა შეეძლოს სწორად მეტყველება, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე. მას უნდა შეეძლოს თითოეული ბგერის სწორად წარმოთქმა. იგი უნდა ფლობდეს ენის, სუნთქვის და ამასთანავე სმენითი მახსოვრობის ტექნიკას. ამის მიღწევა შესაძლებელია ენის გასატეხის საშუალებით. აუცილებელია, ყველა ბგერა ითქვას ბოლომდე, გამართულად, ცოტა გაზვიადებულად, რომ სამეტყველო აპარატი ფორმაში მოვიდეს და მომავალში არ შეგვექმნას ამ სახის პრობლემა. თითოეულ ბგერას გააჩნია თავისი წარმოთქმის ტექნიკა. დიდი მნიშვნელობა აქვს ენის მდებარეობას, სუნთქვას, ბაგეების განლაგებას. გიდი მუდმივად უნდა მუშაობდეს როგორც თავის თავზე, ასევე მიკროფონის მეშვეობით საუბრის მეთოდის გაუმჯობესებაზე.

ავტობუსით მგზავრობის დროს გიდი ტურისტებს უკავშირდება მიკროფონით ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მან იცოდეს მისი სწორად გამოყენება. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- მიკროფონი, როგორც წესი, გიდის და მძღოლის ადგილებს შორის არის დამაგრებული. გიდმა ის მარცხენა ხელში უნდა დაიჭიროს. აუცილებლად შესამოწმებელია კაბელის სიგრძე, რომ განისაზღვროს დგომის პოზიცია. საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ხელმა არ დაფაროს მიკროფონის თავი.
- როცა არ გჭირდებათ მიკროფონი, დადეთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდოთ კალთაში.
- მიკროფონი დაიჭირეთ მუდმივად პირიდან დაახლოებით 2-15 სმ-ის მანძილზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტობუსი მოძრაობს, მარცხენა ხელის ცერა თითი ნიკაპის ქვეშ გაიჩერეთ, ამით ადგილზე დააფიქსირებთ მიკროფონს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ თავის მოძრაობის დროს იცვლება ბგერა, ამიტომ თავთან ერთად მიკროფონიც ისე უნდა გადააადგილოთ, რომ მას და პირს შორის მანძილი იგივე დარჩეს.
- ხმის სიძლიერე მიკროფონზე საუბრის დაწყებამდე გაასწორეთ, შეეკითხეთ ტურისტებს, ესმის თუ არა ყველა მათგანს. მიკროფონი ჩართეთ მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფთან საუბრობთ, რადგან მათთვის არ არის საინტერესო თქვენი და მძღოლის საუბარი.
- მუდმივად ისაუბრეთ ხმის ერთი ტემბრით. ყურადღება მიაქციეთ თქვენს არტიკულაციას. ისუნთქეთ ცხვირით და არა პირით. მოერიდეთ ჩართულ მიკროფონთან დახველებას.
- თუ ხალხმრავალ, ხმაურიან ადგილებში გიწევთ ექსკურსიის ჩატარება, უმჯობესია ყურსასმენების გამოყენება.

  ეს არის ის ძირითადი რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც წარმატებული ექსკურსიის ჩატარების წინა პირობაა.

ცურისცეგთან ურთიერთობა და კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება

ექსკურსიის პედაგოგიკა და დიდაქტიკა

ექსკურსიების შესახებ ჯერ კიდევ უმეტესწილად აღიარებული და გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით, გიდი, ექსკურსიამძღოლი თავისი დანიშნულებით მონოლოგიზირებულია და მიბმულია საჩვენებელი ადგილის მნიშვნელობის ახსნასთან, თანამედროვე საექსკურსიო დიდაქტიკა აფართოებს მის მნიშვნელობას და გარდა საჩვენებელი ობიექტისა, უყენებს მას ახალ მოთხოვნებს ექსკურსიის გაძღოლისა და ექსკურსანტების მიმართ დამოკიდებულების შესახებ. თუმცა საჩვენებელი ობიექტისა და ადგილის ცოდნას მნიშვნელოვანი პოზიცია უჭირავს სწავლების თანამედროვე ეტაპზეც.

ექსკურსიები

თვითშემოქმედება
„Learning by doing“ ე.წ. მოქმედებით, საქმიანობით, ინტელექტით მართვადი, აღმოჩენებით სწავლება

სწავლების მთლიანობა:
სწავლება გონებითა და გრძნობით პირველადი გამოცდილება მიღებული „თავით, გულით და ხელებით“ (პესტალოცი)

ექსკურსანტებზე ორიენტირება და ინტეგრაცია
კომპეტენციების დაგეგმვა, გამომდინარე ექსკურსანტთა კატეგორიებიდან. ინტერესებისა და კითხვების ინტეგრაცია

სწავლების პრივილეგირებული და კოოპერაციული ფორმები
გუნდური მუშაობისთვის უპირატესობის მინიჭება

თვითშემოქმედება

თუ ექსკურსია ფენომენალურად შესრულებულია ან თუ ის ჰიპოთეზას ამოწმებს, ორივე შემთხვევაში თვითშემოქმედებისა და აღმოჩენებით სწავლის მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოქმედება არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ აქტივობას, ეს არის გონების მიერ მართვადი საქმიანობა.

მაგალითად, ტურისტთა ჯგუფი შემდეგი სახით იკვლევს წინასწარ ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ საკითხებს: ნაკადულის წყლის სიღრმეს, დინების სიჩქარეს და სხვა მონაცემებს. წყლის სინჯების, შესაბამისი მაკროსკოპული ინდიკატორებისა და ელემენტარული ქიმიური ანალიზების მეშვეობით ჯგუფს პირველი წარმოდგენა ექმნება მოცემულ საკითხებზე.

თვითშემოქმედება ხელს უწყობს ინფორმაციის გაძლიერებულად დამახსოვრებას და გადამუშავებას.

ექსკურსანტებზე ორიენტირებულობა და ინტეგრაცია

ექსკურსანტებზე ორიენტირებულობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსკურსიის დროს ტურისტული ფირმის მიერ ტურისტების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება. ის გულისხმობს ექსკურსანტების ექსკურსიის ყველა ნაწილში, პირველ რიგში, დაგეგმვის პროცესში ჩართვას.

ექსკურსიის მიზანია, ახალი ცოდნა და გამოცდილება შესძინოს ექსკურსანტს, მნიშვნელოვანია, მიღებული ინფორმაცია მან ადვილად შეითვისოს, გადაამუშაოს და დაიმახსოვროს. ადამიანი გარემოდან ინფორმაციას იღებს შეგრძნებების გამოყენებით, ქვემოთ მოცემულია დამახსოვრების ეფექტურობა. ამ მონაცემების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს ექსკურსია.

ადამიანი იმახსოვრებს (საშუალოდ):



მოთხოვნები გიდისადმი

მნიშვნელობა არა აქვს, ექსკურსია სასკოლო ხასიათისაა, თუ არასასკოლო, ის მაინც სასწავლო პროცესია. გიდს, ექსკურსიამძღოლს მოეთხოვება დიდაქტიკურ-მეთოდური კვალიფიკაცია:

- სწავლების მიზნის განსაზღვრის შემდეგ გიდმა სწორად უნდა შეარჩიოს საჩვენებელი ადგილი.
- უნდა გამოიყენოს საგნობრივი ცოდნა და ის დაუკავშიროს არჩეულ ადგილს. დიდაქტიკური ანალიზით მან უნდა შეარჩიოს ის ინფორმაცია, რასაც მიაწვდის ტურისტებს და შემდეგ ეს არჩევანი დაასაბუთოს.
- უნდა მოიფიქროს, თუ როგორ ჩართოს ექსკურსიის დაგეგმვის პროცესში ექსკურსანტები.
- უნდა განსაზღვროს ის მეთოდები და ხერხები, რომელსაც გამოიყენებს ექსკურსიის დროს.
- უნდა განიხილოს ინფორმაციის ყველა შესაძლო საშუალება, რომელიც ექსკურსიის დროს დასჭირდება. ასევე უნდა გადაწყვიტოს, რა ფორმით მიაწოდებს ამ ინფორმაციას ექსკურსანტებს (სურათი ან დიაგრამა, პლაკატი ან დაფა და ა.შ.)
- ბოლოს მან უნდა მოიფიქროს მიწოდებული ინფორმაციის შეფასების, ინფორმაციის დამუშავების ფორმები:



დიდაქტიკურ-მეთოდურ გადაწყვეტილებებს, თემებისა და მიზნების თანამიმდევრობის დასადგენად, როგორც წესი, ბევრი დრო მიაქვს. ექსკურსიის თითოეული ფაზა გიდისგან მაღალორგანიზატორულ უნარს მოითხოვს:

ექსკურსიამდე	საექსკურსიო თემის არჩევა და სივრცის თემატური და საგნობრივი დამუშავება. ექსკურსიის თარიღის შერჩევა. სამუშაო მეთოდების არჩევა: ჯგუფური მუშაობა, პროექტები, სიტუაციური თამაშები, საჭირო პირებთან დაკავშირება, მარშრუტის შერჩევა. საჭირო მასალების მოძიება, ყველა შესაძლო გარემოების განსაზღვრა. ექსკურსიის გეგმის შედგენა, ჯგუფის დაყოფა.	მატერიალური უზრუნველყოფა. სკოლის დირექციასთან, მშობლებთან და კოლეგებთან შეთანხმება. განთავსების, ხარჯების, კვების და სატრანსპორტო საკითხების გარკვევა.
ექსკურსია	დაკვირვება, აღწერა, ჩანიშვნა, გამოკითხვა, პროექტის გაკეთება, ხმის ჩაწერა, ფოტოების გადაღება და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის შეგროვებას. შედეგების დემონსტრაცია, შედარება, გავრცობა, წარდგენა ჯგუფისთვის. შედეგების მნიშვნელობის ფორმულირება.	კვლევის დროის განსაზღვრა
ექსკურსიის შემდეგ	შედეგების წარმოდგენა, ჩვენება, გადატანა ბარათებზე, ცხრილებზე და ა.შ. პრობლემის მოგვარება. პასუხგაუცემელი კითხვების მოძიება. გამოფენების, ფოტოჩვენების, საინფორმაციო აქციების მოწყობა. მომავალი სამუშაოს დაგეგმვა. მიღებული ინფორმაციის გადამუშავება.	ხარჯების ანგარიშსწორება. მოხსენება კოლეგებისთვის. გამოყენებული მასალის მოწესრიგება.

საჩვენებელ ობიექტზე მუშაობა

საჩვენებელ ობიექტზე მუშაობისას პირველ ადგილზე დგას ორიენტირება და დაკვირვება. ორიენტირება სხვადასხვა საშუალებით (რუკა, კომპასი, GPS და ა.შ.) და დაკვირება გარემოს სწორად აღქმის საშუალებას იძლევა.

საჩვენებელ ობიექტზე მუშაობის მოდელი



უმნიშვნელოვანესი წესი, რომელიც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი: ერთი საჩვენებელი ობიექტი — ერთი თემა! საჩვენებელ ობიექტზე მუშაობის მზადებისას შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი:

- რას შეუძლიათ თავად დააკვირდნენ და აღიქვან ექსკურსანტებმა საჩვენებელ ობიექტზე?
- რომელ იმპულსებზე სტიმულირებენ ექსკურსანტები დაკვირვების დროს?
- როგორ უნდა დაიმახსოვრონ დაკვირვების შედეგები?
- რა ნიშნით უნდა დაჯგუფდეს, დაიყოს მიღებული ინფორმაცია?
- რამდენად შესაძლებელია დასკვნის გამოტანა?

მიუხედავად რთული სამუშაოსი, ექსკურსია, როგორც წესი, ერთნაირად მომგებიანია როგორც ექსკურსანტების, ისე ექსკურსიამძღოლისთვის. ტურისტები დიდაქტიკური მეთოდების და ხერხების გამოყენებით საჭირო ცოდნას და გამოცდილებას იძენენ.

დიფერენცირებული მიდგომა ტურისტებისადმი — ექსკურსიის მსვლელობისას ტურისტებისადმი დიფერენცირებული მიდგომა უნდა დაიყოს ორ განსხვავებულ ჯგუფად:

1. მიდგომა, რომელიც წინასწარ იქნება გათვალისწინებული ფირმისა და გიდის ერთობლივი ძალისხმევით და შესაბამისად აისახება ტექნოლოგიურ რუკაში;
2. იმპროვიზებული მიდგომა, რომელსაც, ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე, გიდი ადგილზე გადაწყვეტს.

როცა ექსკურსია იძლევა ტურისტების კონკრეტული ჯგუფებისათვის იმ განსაკუთრებული ობიექტების შეთავაზების უფლებას, რომელიც მხოლოდ მათთვის იქნება საინტერესო, შესაძლებელია ექსკურსიის შემდგენლებმა დაუშვან მათთვის ექსკურსიის ექსკლუზიური ვარიანტი. მაგალითად, გერმანელი ტურისტებისათვის საინტერესო იქნებოდა გერმანული ეკლესიისა და სასაფლაოს მონახულება გერმანელებით ადრე დასახლებულ უბანში. ქართულ-გერმანული, ქართულ-სომხური, ქართულ-რუსული და სხვა ურთიერთობები შესაძლებელია იყოს საექსკურსიო თემა, თუნდაც რამდენიმე წუთით სალაპარაკო მხოლოდ აღნიშნული ეთნიკური ჯგუფებისათვის.

მეორე ვარიანტი დიფერენცირებული მიდგომისა არის გიდის ოსტატობაზე დამოკიდებული იმპროვიზაცია, თუ როგორი ოსტატობით მიიტანს იგი სათქმელს ტურისტამდე, რათა მასალა მისთვის გასაგები და საინტერესო იყოს და გაითვალისწინებს აუდიტორიის თავისებურებებს. დიფერენცირებული მიდგომისათვის მთავარია, რომ ტურისტების კონკრეტული ჯგუფისათვის საექსკურსიო მასალა იყოს მისაწვდომი, სასიამოვნო და გასაგები. ექსკურსია უნდა დაიწეროს რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფისათვის. სკოლის მოსწავლეებისათვის საექსკურსიო მასალა შეძლებისდაგვარად უნდა მიესადაგებოდეს სკოლის პროგრამას.

დროის მენეჯმენტის ცოდნა და გამოყენება

ტურისტებთან თანხლებისას გიდს სჭირდება დროის განსხვავებული მენეჯმენტის გამოყენება. ექსკურსიის მსვლელობისას გიდის პროფესიისათვის უპირველესია დაიცვას ტექნოლოგიურ რუკაში, კერძოდ, მის მეოთხე გრაფაში მოცემული დრო. ამ შემთხვევაში გიდს დიდი თავისუფლება არ გააჩნია და იგი დამოკიდებულია უკვე აპრობირებულ და დადგენილ დროის გრაფიკზე. გიდს უხდება აგრეთვე ტურისტთა თანხლება მთელი ტურის განმავლობაში, ხოლო ტურის შინაარსის მიხედვით მას შეხება აქვს სხვადასხვა სიტუაციასთან, რომელიც განპირობებულია ტურის პროფილით. ასე, მაგალითად, სათავგადასავლო და ექსტრემალურ ტურიზმში დროის მენეჯმენტი სხვა ფორმას იღებს, ვიდრე კულტურული ტურის ან ღვინის ტურიზმის შემთხვევაში. თუმცა, შესაძლებელია, იმ საერთო მახასიათებლების დადგენა, რომელიც ზოგადია ყველა ფორმის ტურებისათვის და რომელიც დაეხმარება გიდს, იცოდეს დროის მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა. ქვემოთ გადმოცემულია 9 დეტერმინანტი, რომელიც გასათვალისწინებელია ტურის ან ექსკურსიის დაგეგმვისას.

ტურისტული ფირმები ტურის აღწერისას სხვადასხვა ხერხს იყენებენ. ყველაზე გამოცდილი და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით დაწინაურებული კომპანიები საათობრივ და წუთობრივ დეტალიზაციას მიმართავენ. ამ შემთხვევაში, ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის მსგავსად, გიდმა უნდა იმოქმედოს განერილი პროგრამის ფარგლებში. მაგრამ ზოგიერთი ტური მხოლოდ დღიური გეგმით შემოიფარგლება და არ არის მოცემული დეტალიზაცია, თუ როგორ განაწილდება დრო ცალკეულ ობიექტებსა და ღონისძიებებზე. აქ გიდს თითქოს მეტი თავისუფლება ეძლევა და მან საკუთარი შეხედულებით უნდა განკარგოს დრო. შესაბამისად, გიდმა უნდა იცოდეს, რის საფუძველზე დაადგინოს საექსკურსიო დრო.

1. უპირველესად ეს არის ერგონომიულობის პრინციპი. რა არის ერგონომიულობა? ერგონომიკის საერთაშორისო ასოციაციის (IEA) განმარტებით, ერგონომიკა არის მეცნიერება, რომელიც ადამიანისა და სხვა სისტემის ელემენტების ურთიერთმოქმედებას შეისწავლის. იგი აგრეთვე შეისწავლის ადამიანის კეთილდღეობისთვის მიმართულ თეორიასა და პრინციპებს, მონაცემებსა და მეთოდებს, რათა ერგონომიკის მეშვეობით მიღწეულ იქნას ადამიანის შესაძლებლობების ოპტიმიზაცია და მწარმოებლობის უნარი. ექსკურსიის შემთხვევაში ეს არის ადამიანის შესაძლებლობების გათვალისწინება, რომ მას შეეძლოს ფიზიკურად აიტანოს ექსკურსიით გათვალისწინებული დატვირთვა და სულიერი კმაყოფილება მიიღოს ნანახისა და განცდილისაგან.
2. დასაბუთებულობა – გულისხმობს, რომ ტურში ან ექსკურსიაში შემავალი ნებისმიერი მომსახურება განპირობებული იყოს ტურისტის მოთხოვნილებებზე დაფუძნებული სამოგზაურო მიზნებით;
3. საიმედოობა – ტურის ან ექსკურსიის რეალური შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს რეკლამასა და პროდუქტზე გავრცელებულ სხვა ინფორმაციას;
4. ეფექტიანობა – ტურისტის მხრიდან მინიმალური დანახარჯებით

მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. ტურისტი ეფექტიანად ჩათვლის იმ ტურს ან ექსკურსიას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მის მოლოდინს;

5. მთლიანობა – ტურის ან ექსკურსიის სრულყოფილება, რაც გამოიხატება მის უნარში, სრულად დააკმაყოფილოს ტურისტის მოთხოვნები;
6. სიცხადე – ტურსა და ექსკურსიაში შემავალი ღონისძიებები გასაგები უნდა იყოს, როგორც ტურისტების, ისე მომსახურე პერსონალისთვის;
7. უბრალოება – ექსპლუატაციისას ტურით ან ექსკურსიით ადვილად სარგებლობა;
8. სარგებლიანობა – ტურის ან ექსკურსიის უნარი, ერთდროულად დააკმაყოფილოს ტურისტის ერთი ან რამდენიმე მიზანი (მაგ. დასვენება, შემეცნება, გართობა);
9. მოქნილობა – ტურის ან ექსკურსიის უნარი, შეეგუოს ტურის ცვლილებას (როცა ტურისტი ვერ ამჩნევს პროგრამის ან მომსახურე პერსონალის ცვლილებას).

ტურის ან ექსკურსიის შედგენისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ტურისტების სურვილები და მოთხოვნები, აგრეთვე მათი წარმომავლობა და შრომისუნარიანობა. იმ ქვეყნების ტურისტებს, სადაც შუადღისას ხანგრძლივად ისვენებენ და მცირე ხნით იძინებენ კიდეც, ძალიან უჭირთ ექსკურსიაზე ყოფნა მთელი დღის განმავლობაში. შესაბამისად, მიწოდება ანუ ჩვენ მიერ შეთავაზებული ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს მათთვის დამახასიათებელ ჩვევას.

ტური ან ექსკურსია უნდა პასუხობდეს დანიშნულებას. არ შეიძლება სათავგადასავლო ტურიზმის შემთხვევაში — ავტობუსებით ექსკურსიების ჩართვა ან ეკოლოგიური ტურიზმის შემთხვევაში მუზეუმებისა და არქეოლოგიური გათხრების შეთავაზება.

ჯგუფის გაძღოლა

ექსკურსიის წარმატება დამოკიდებულია გიდის ხელოვნებაზე, გაუძღვეს ჯგუფს, როგორც ლიდერი, იყოს საინტერესო მათთვის, იცოდეს რა სურს ჯგუფს, რისთვისაც საჭიროა სწორი პოზიციონირება.

პოზიციონირება გიდსა და ტურისტთა ჯგუფს შორის

გიდის სწორი პოზიციონირებისათვის საჭიროა, მან ზედმიწევნით კარგად იცოდეს ტურისტთა მოთხოვნები.

ტურისტთა ძირითადი მოთხოვნებია:

- კვება;
- უსაფრთხოება (ჩასაცმელი, თავშესაფარი, საცხოვრებელი გარემო);
- ყურადღება.

ადამიანები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ მაშინ, როცა მათ ძირითად მოთხოვნილებებს საფრთხე ემუქრება.

მომხმარებლის მოლოდინი

წინასწარ დაჯავშნილი მომსახურებისას:

- ტრანსპორტი;
- განთავსება;
- კვება;
- პროფესიონალი გიდის მომსახურება;
- ინკლუზიური პროგრამა;
- ექსკლუზიური პროგრამის შეთავაზება.

შეკვეთილი, დაჯავშნილი მომსახურება ხშირად არ შეესაბამება მომხმარებელთა მოლოდინს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს:

1. გაურკვეველი ან გაზვიადებული რეკლამა;
2. ტურისტული სააგენტოს პერსონალის მიერ მომხმარებლისთვის არასრული ინფორმაციის მიწოდება;
3. მომხმარებლის მხრიდან დაჯავშნის საბუთების ნაწილობრივ გაცნობა ან მისი იგნორირება;
4. როცა მომხმარებელს ნაწილობრივ ან საერთოდ არ ესმის დაჯავშნის საბუთების არსი;
5. მომხმარებლის მოლოდინი გადაჭარბებულია.

ზრდილობიანი მოპყრობა და დიალოგი ტურისტთან

გიდის ძირითადი ცოდნა და უნარები:

- ადამიანის შეცნობის უნარი;
- აღქმის უნარი;
- ორგანიზება;
- ადმინისტრირება;
- გეოგრაფია;
- უცხო ენები;
- ტურისტული ხელშეკრულების სამართლებრივი ნორმების ცოდნა.

დამატებითი ცოდნა და უნარები საჭიროა შემდეგ სფეროებში:

- კულტურული ტურები;
- ენის შემსწავლელი ტურები;
- დიეტური/კულინარიული ტურები;
- სპორტული ტურები;
- ახალგაზრდული ტურები;
- სათავგადასავლო ტურები;
- ფოტოტურები;
- ექსპედიციები;
- თემატური ტურები;
- ანიმაციური ტურები (სპორტი, კულტურა, მუსიკა, ბავშვები, გართობა).

გიდის ჩაცმულობა

გიდის ამოცნობა შესაძლებელი უნდა იყოს მისი ჩაცმულობის მიხედვითაც. მას ყოველთვის შესაფერისი სამოსი უნდა ეცვას. იმ შემთხვევაში, თუ მას სააგენტო არ ავალდებულებს უნიფორმის ჩაცმას, გიდმა მაინც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამოსს. ტურისტების სურვილია, გიდის ჩაცმულობა ადვილად შესამჩნევი იყოს.

გიდმა არ უნდა ჩაიცვას სამოსი, რომელიც:

- ძალიან ექსტრავაგანტურია;
- ძალიან სპორტულია;
- ძალიან მოდურია;
- ჭუჭყიანია.

სამოსის არჩევისას გიდმა თავის თავს ასეთი კითხვა უნდა დაუსვას: „ვიქნები ამ ტანსაცმელში ძალიან ექსტრავაგანტური, თუ გამოვიწვევ ტურისტებში კეთილგანწყობასა და ნდობას?“

ზოგჯერ უნიფორმა გიდს თავისუფლებას უზღუდავს, შესაბამისად, მისი განწყობაც უარყოფითად იცვლება და ექსკურსიის მსვლელობაზეც აისახება.

გიდის სამოსის შემადგენელი ნაწილებია: ტურისტული ფირმის ემბლემა და ბარათი, რომელიც მიმაგრებულია ტანსაცმელზე, სადაც გარკვევით წერია გიდის სახელი და გვარი.

მზერითი კონტაქტი

1. გიდმა ტურისტებთან უნდა იქონიოს მზერითი კონტაქტი, მაგრამ არ უნდა მიაჩერდეს ჯგუფის წევრებს, რადგან ეს აღიქმება, როგორც აგრესია, პროვოცირება.
2. თვალი მოავლეთ ყველა ტურისტს, ეს იწვევს დამატებით ინტერესს მათი მხრიდან.
3. ტურისტთან საუბრისას გიდმა მზერა უნდა შეაჩეროს:
- ტურისტის სახეზე (თვალებში მიჩერების გარეშე);
- სხეულის ზედა ნაწილზე;
- ტურისტის სხეულზე მთლიანობაში.
4. მზერა, მიმიკა და ჟესტიკულაცია უამრავ სიგნალს გასცემენ, ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია მათი მეშვეობით უფრო მარტივად ვრცელდება, ვიდრე სიტყვების გამოყენებით.
5. თავიდან აიცილეთ ტურისტებთან საუბრისას თვალებში „ღრმად ჩახედვა”, რადგან ეს შეიძლება ნეგატიური სახის სიგნალად იქნას აღქმული.

ღიმილი

1. მეგობრული ღიმილი ტურისტებზე სასიამოვნო ზეგავლენას ახდენს და კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვაში განსაკუთრებულად ეხმარება გიდს;
2. ნამდვილი მეგობული ღიმილი მხოლოდ პოზიტიური შინაგანი მდგომარეობის ადამიანისგან არის მოსალოდნელი;
3. ღიმილი (ისევე, როგორც ზოგადად მიმიკა) ადამიანის შინაგანი

მდგომარეობის სარკეა.

4. ბუნებრივი ღიმილისთვის:
   - შეიქმენით პოზიტიური განწყობა საკუთარი თავისა და გარემოსადმი. ამ შემთხვევაში დაგეხმარებათ აუტოსუგესტია;
   - თუ ადამიანს საკუთარი ღიმილი არ ახარებს, მაშინ ის ყალბი და ხელოვნურია, რომელიც საშინლად გამოიყურება და უარყოფითად აღიქმება სხვების მიერ.

ჯგუფის მართვა

1. გიდი ყველა ტურისტს ერთნაირად უნდა მოექცეს. არც ერთი მომხმარებელი არ უნდა გამოარჩიოს ან უგულებელყოს;
2. ტურისტის მიმართ ანტიპათიას, გულგრილობასა და კეთილგანწყობას შორის უნდა აირჩეს ურთიერთობის შუალედური ფორმა, რომელიც უფრო მეტად სიმპათიისა და მეგობრული დისტანციისკენ იხრება. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ფორმა ჯგუფის ყველა წევრზე უნდა გავრცელდეს;
3. საექსკურსიო ჯგუფის მართვისას ავტორიტეტულობასა და ანტიავტორიტეტულობას შორის შუალედური ფორმა უნდა აირჩეს;
4. გიდმა ტურისტებთან არასდროს უნდა ისაუბროს უარყოფითად სხვა კლიენტებზე, სხვა ტურისტებზე „ჭორაობა“ შესაძლებელია, მაგრამ ამ თემაში ჩაღრმავება არ არის მიზანშეწონილი;
5. იმ შემთხვევაში, როცა გიდს არ შეუძლია ტურისტის შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მან უნდა გამოიყენოს ფრაზა: „ახლა, ამ მომენტში ზუსტად არ ვიცი“ და უნდა შეეცადოს ამ თემაზე ინფორმაციის სწრაფ მოძიებას.
6. ტურისტებისთვის არასწორი, დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდება (იმისთვის, რომ გიდმა დაფაროს თავისი უცოდინარობა რაიმე საკითხზე) თავიდან უნდა იქნას აცილებული. ის, რომ შეუძლებელია, გიდმა ყველაფერი იცოდეს, ტურისტებისთვის არ არის გასაკვირი. რაიმე საკითხის არცოდნა და შეცდომების აღიარება ტურისტებში დადებითად აღიქმება.

კონფლიქტის თავიდან აცილება და კრიზისის გადალახვა

კონფლიქტი ჯგუფთან

ჯგუფთან კონფლიქტის დროს მხედველობაშია მისაღები ის, რომ ჯგუფი ინდივიდების, წყვილებისა და სხვადასხვა წრეებისგან შედგება. წრეების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, ყოველთვის ერთი პიროვნება დომინირებს, ლიდერობს. ის წარმართავს წრეში შემავალი ადამიანების ქცევას. იმის გამო, რომ ტურისტთა ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი სხვადასხვანაირად რეაგირებენ კონფლიქტებზეც. ამის გამო პროგრამა და ინფორმაციაც შესაბამისად განსხვავებულად აღიქმება და მუშავდება მათ მიერ.

ტურისტებთან ნებისმიერი სახის კონფლიქტისას, გიდმა თავის თავს კითხვა უნდა დაუსვას: „მხოლოდ ახლა, ამ მომენტში მიშლიან ხელს ტურისტები ექსკურსიის ჩატარებაში, თუ მათი ქცევა ზოგადად მიმართულია

კონფლიქტისაკენ?“ კონფლიქტის მოგვარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ კითხვას გაეცეს პასუხი.

1. გიდის მოხსენების (მოსაყოლი ტექსტის) გაშლა

მიზეზები:

- მოხსენება (ტექსტი) უინტერესოა ხელშემშლელი ტურისტისთვის;
- ტურისტი ხელს უშლის გიდს, საკუთარი სიამოვნების მიზნით;
- ხელშემშლელმა ტურისტმა ვერ დაიკმაყოფილა მოთხოვნილებები (მოლოდინი).

იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს მესამე შემთხვევასთან, სიტუაციის შეცვლა შესაძლებელია, თუ გიდი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ტურისტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ხოლო პირველ და მეორე შემთხვევაში გიდი უნდა ეცადოს, უკმაყოფილო კლიენტებთან დიპლომატიური გზებით მიაღწიოს შეთანხმებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი არგუმენტების გამოყენება:

„როგორც შევამჩნიე, ჩემი მოხსენება/ტექსტი ყველასათვის საინტერესო არ არის. მართალია, აქ არიან ისეთი სტუმრებიც, რომლებიც ყურადღებით მისმენენ, მაგრამ მე მაინც მაქვს შემოთავაზება ნაკლებად დაინტერესებული ტურისტებისთვის. მე შევამცირებ მოხსენებას, ვისაუბრებ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, თუ ნაკლებად დაინტერესებული ტურისტებიც ყურადღებით მომისმენენ და მშვიდად მოიქცევიან“.

ბოლოს გიდი ყველა დაინტერესებული ტურისტის სახელით მადლობას გადაუხდის ხელშემშლელ ტურისტებს, რომლებიც უკვე დამშვიდებულნი არიან და ნორმალურად იქცევიან.

2. „ყველაფრისმცოდნე“

„ყველაფრისმცოდნე“ ადამიანი სიამოვნებით აძლევს შენიშვნებს სხვებს. მისი ასეთი ქცევა გიდმა შეიძლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს შენიშვნები გამომდინარეობს სრულყოფილი საგნობრივი ცოდნიდან, თუ ზოგადად მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილიდან. პროფესიონალმა გიდმა მას მადლობა უნდა გადაუხადოს შინაარსიანი კომენტარებისთვის. ამით გიდს შეუძლია, „ყველაფრისმცოდნის“ მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს და თან ტურისტებს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს.

იმ შემთხვევაში, თუ „ყველაფრისმცოდნის“ კომენტარები ჯგუფის სხვა წევრებისთვის მომაბეზრებელი და გამაღიზიანებელია, გიდმა მას შენიშვნებისთვის მადლობა უნდა გადაუხადოს და ამავდროულად სთხოვოს, ზუსტად, დეტალურად გამოთქვას თავისი მოსაზრება, რამდენადაც ეს შეიძლება იყოს საყოველთაო ინტერესი. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ის უარს იტყვის კომენტარზე და შეამცირებს შენიშვნებს.

3. ყბედი

ძალიან რთულია ყბედის მუდმივი საუბრების შეზღუდვა. როგორც წესი, ის ხელს უშლის ჯგუფს და ექსკურსიის მსვლელობას. ის კარგად გრძნობს თავს მაშინ, როცა საკუთარი საუბრის ხმა ესმის. ხშირ შემთხვევაში ეს დაუსრულებლად გრძელდება.

მოთმინების და მეგობრული დამოკიდებულების შემთხვევაში, გიდისთვის ასეთი ადამიანი შეიძლება გამოსადეგიც იყოს, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი, ვინც ბევრს ლაპარაკობენ, მეგობრულები და კარგი დამხმარეები არიან. ეს კი გიდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მას უნდა მიეცეს საშუალება, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები და ამის შემდეგ ის ჯგუფს ხელს აღარ შეუშლის.

4. ქოლერიკი

ქოლერიკი თანამედროვე ადამიანია, რომელსაც თანაგრძნობა და გულისხმიერება სჭირდება. მისთვის დამახასიათებელია შედარებით მტკიცე, ხანგრძლივი და ღრმა გრძნობები. ქოლერიკი მიდრეკილია უარყოფითი განცდებისაკენ. იგი გამოირჩევა მომეტებული აღგზნებადობით, გაუწონასწორებელი ქცევით, აგრესიულია, ფეთქებადი და საქმეში ძალიან ენერგიული. მწვავე სიტუაციის, რომელშიც ქოლერიკია ჩართული, მოგვარება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ის ყოველთვის ეცდება კონფლიქტის განახლებას. „აფეთქების“ შემდეგ, როცა ქოლერიკი დაიცლება ემოციებისგან, გიდი უნდა ეცადოს მშვიდი საუბრით მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ის მადლობელი იქნება იმის გამო, რომ მიუხედავად მისი გამაღიზიანებელი ქცევისა, მაინც გაგებით მოეკიდნენ.

5. მუდმივად არაპუნქტუალური

იმისთვისაც კი, ვინც სულ აგვიანებს, საკუთარი არაპუნქტუალობა ძალიან გამაღიზიანებელია, მაშ, რა გასაკვირია, რომ სხვებისთვის კიდევ მეტად. პროფესიონალმა გიდმა უნდა ეცადოს, ჯგუფის წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საფრთხე არ შეექმნას. ამისთვის:

- ექსკურსიისა და მრავალდღიანი ტურების დროს გიდი უნდა შეუთანხმდეს სასტუმროს პერსონალს, ჯგუფის არაპუნქტუალური წევრი დილით დროულად გააღვიძოს. თავის დაზღვევის მიზნით, სჯობს, ჯგუფთან შეხვედრის დრომდე ნახევარი საათით ადრე დავიბაროთ;
- იმ შემთხვევაში, თუ არაპუნქტუალურ ტურისტს სასტუმროს პერსონალი დროულად აღვიძებს და თქვენც შეხვედრისთვის გათვალისწინებულ დრომდე ნახევარი საათით ადრე იბარებთ, მაგრამ ის მაინც მუდმივად იგვიანებს, გიდმა ტურისტულ ხელშეკრულებაში გაწერილი მოვალეობები უნდა შეახსენოს. დაუშვებელია, ჯგუფი მუდმივად ელოდებოდეს არაპუნქტუალურ ტურისტს. ჯგუფის ყველა წევრს აქვს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოვალეობები. მომავალში, თუ ის კიდევ დაიგვიანებს, სხვები აღარ დაელოდებიან და მას მოუწევს საკუთარი ხარჯებით მიჰყვეს ჯგუფს, რადგან გადაწყვიტა, ჯგუფს ჩამოშორდეს და ამით სხვები არ უნდა დაზარალდნენ.

6. თვითკრიტიკა

ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციას პროფესიონალი გიდი თვითკრიტიკულად უნდა მიუდგეს. მან თავის თავს უნდა დაუსვას შეკითხვა – სწორად ვიქცევი, თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე შეცდომას ვუშვებ:

- ხომ არ არის ჩემი მოთხოვნილებები გადამეტებული?
- დაუდევრად ხომ არ ვიქცევი?
- კონფლიქტის მონაწილეების მოთხოვნილებებს სათანადო ყურადღებას ვაქცევ?

სამედიცინო კომპეტენციები, პირველადი სამედიცინო დახმარება

სამედიცინო აფთიაქი

16-18 კაციანი ჯგუფური მოგზაურობისას უნდა გვქონდეს სამედიცინო აფთიაქი

მედიკამენტის დასახელება	რაოდენობა	გამოყენება და დოზები
სტერილური ბინტი	8-10 ც	გადასახვევად
ელასტიკური ბინტი	1-2 ც	გადასახვევად
რეზინის მომჭერი	1 ც	სისხლდენის შესაწყვეტად
სამედიცინო ბამბა	200 გ	სისხლდენის შესაწყვეტად
ლეიკოპლასტირი	10-20 ც	დასაკრობად
თერმომეტრი	1 ც	სიცხის გასაზომად
მაკრატელი	1 ც	ჭრილობის დასამუშავებლად
იოდის ნაყენი	1 ბოთლი	თვალის სავლები
ბრილიანტის მწვანე	1 ბოთლი	სასუნთქებლად
ბორის მჟავა	50 გ	ფაღარათის საწინააღმდეგო
ნიშადურის სპირტი	1 ბოთლი	სპაზმებისსაწინააღმდეგო
ენტეროლი	20 ტაბლეტი	
ნო-შპა	20 ტაბლეტი	
ანტიბიოტიკი	10 ც	
ქაფურის ზეთი	1 ბოთლი	
ანალგინი ამპულაში	10ც	
კოფეინი	10 ც	

ტურისტულ ბილიკებზე შეიძლება შეგვხვდეს სიძნელეები და საშიშროებები. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია რეალურ წინაღობებთან (უღელტეხილების, ჭაობების და სხვათა გავლა), მეორენი შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ ამინდის ცვლილებასთან და ატარებენ ეპიზოდურ ან საზონურ ხასიათს, მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვანი კი გამოწვეულია ტურისტების არასწორი მოქმედებებით.

საშიშროებები, ტრავმები და დაავადებები, განპირობებულია ტურისტების არასწორი მოქმედებებით: თერმული დამწვრობები, კოცონთან, საველე გაზქურებთან არაფრთხილი მოქცევა, ცხელი საჭმლით სავსე ჭურჭლის გადაყირავება და მდუღარე წყლით დაწვა მოგზაურობებში ტრავმების ძალზე გავრცელებული მიზეზებია.

თერმული დამწვრობის პროფილაქტიკა. დამწვრობასთან დაკავშირებული ტრავმების თავიდან ასაცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესებით:

- კოცონის მორიგეებს უნდა ეცვათ ფეხსაცმელი, ხელთათმანები და გრძელი შარვალი;
- კოცონზე ვედროს დასაკიდი გვარლი (ტროსი) უნდა იყოს საიმედო;
- მზა, ცხელი საჭმელი უნდა დაიდგას მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც მას არავინ შეეხება;
- ზამთარში ჭურჭელი ცხელი საჭმლით თოვლში არ უნდა ჩავდგათ, რადგან ამ უკანასკნელის დნობისას ის შეიძლება გადაყირავდეს;
- უნდა ვერიდოთ ნაპერწკლებიან შეშას;
- არ უნდა დავუშვათ თამაში და გართობა ცეცხლთან.

პირველი დახმარება თერმული დამწვრობისას. ალით დამწვრობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩავაქროთ დაზარალებულზე ცეცხლმოდებული ტანსაცმელი (გავახვიოთ ის მჭიდრო ქსოვილში, ჩავუშვათ წყალში, ან თოვლი მივაყაროთ) და მერე სწრაფად გავხადოთ ეს ტანსაცმელი. მდუღარე წყლით ან ცხელი საჭმლით დამწვრობისას სწრაფად უნდა გავხადოთ ცხელი სითხით გაჟღენთილი ტანსაცმელი.

მცირე სიდამწვრის დროს რეკომენდებულია დაშავებული ადგილის გაწმენდა წყალბადის ზეჟანგში დასველებული ტამპონით, შემდეგ კი უნდა შევუხვიოთ კალიუმის პერმანგანატის ხსნარში ან სასმელ სოდაში დასველებული სტერილური ბინტით. პირველი და მეორე ხარისხის ლოკალური დამწვრობის შემდგომი მკურნალობა მდგომარეობს კანის დამწვარი მონაკვეთების დამუშავებაში სინტომიცინის ემულსიით ან ვიშნევსკის მალამოთი, დასახლებულ ადგილებში ტურისტების გამოსვლისას კი მივმართოთ ექიმს. სხეულის მნიშვნელოვანი ზედაპირის დამწვრობისას ან ქსოვილების ღრმა დაზიანებისას (III, IV ხარისხის დამწვრობა), დაზარალებული სწრაფად უნდა გადავიყვანოთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში. თუ დამწვრობა შეეხო კანის მონაკვეთს სახსრებთან ახლოს, მაშინ ტრანსპორტირების წინ კიდურზე ადებენ სალტეს ხელთ არსებული მასალისგან; გარდა ამისა, რეკომენდებულია, დაზარალებულმა მიიღოს, ან უკეთესია, გაუკეთდეს ტკივილგამაყუჩებელი და საგულე საშუალებების ინიექცია. წამლების უქონლობისას, ექიმის ჩარევამდე დაზარალებულს შეიძლება მივცეთ მაგარი, ტკბილი ჩაი.

დამწვრობის დროს, პირველი ექიმამდელი დახმარების აღმოჩენისას, არ უნდა გაკეთდეს ისეთი რამ, რაც ხელს შეუშლის შემდგომ მკურნალობას. მაგალითად, არ შეიძლება დამწვარ კანზე მიკრული ტანსაცმლის მონაკვეთების მოცილება, კანზე გაჩენილი ბუშტების დარღვევა, დამწვარი ზედაპირის დამოუკიდებლად შეზეთვა ზეთით ან ცხიმებით; არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი „ხალხური საშუალებები“, როგორიცაა აბლაბუდა ან შარდი. ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობის დაჭუჭყიანება ან გააძლიეროს ქსოვილის დაზიანება.

ჭრილობები მჭრელი ან მჩხვლეტავი იარაღით. მოუხერხებელი ან არადისციპლინირებული ტურისტის ხელში ნებისმიერი მჭრელი ან მჩხვლეტავი იარაღი პოტენციურად საშიშია და შეიძლება გახდეს ჭრილობის არსებობის მიზეზი. ჩვეულებრივ, ეს ხდება შეშის ჭრის დროს, ხელიდან ცულის ან დანის გავარდნისას ან უბრალოდ ცელქობისას.

ბასრი იარაღით ჭრილობების პროფილაქტიკა.
ტურისტებმა უნდა დაიცვან შემდეგი წესები:

- მარშრუტზე ცული, ხერხი, დანები უნდა წავიღოთ მხოლოდ შალითებში გახვეული;
- შესვენებაზე ბასრი იარაღი მოვათავსოთ ერთ შეთანხმებულ ადგილზე;
- ღამით ბასრი იარაღი მოვათავსოთ კარვის ქვეშ;
- ცულით და ხერხით ვიმუშაოთ თათმანებით;
- დაუშვებელია ყველანაირი გართობა დანით ან ცულით (ხეებზე დარჭობა).

პირველი დახმარება ჭრილობების დროს. მცირე ჭრილობის დროს ჭრილობიდან უნდა მოვაცილოთ ჭუჭყი წყალბადის ზეჟანგში დასველებული ტამპონით. ჭრილობის ირგვლივ კანი დავამუშაოთ იოდის ნაყენით ან ბრილიანტის მწვანით, ჭრილობას დავადოთ ასეპტიკური ნახვევი. გაკაწრულ ადგილებს შეიძლება დავაწებოთ ბაქტერიოციდული პლასტირი. წამლების უქონლობისას, კანი უნდა მოვბანოთ ბენზინით, წყლით და საპნით. ვენური ან კაპილარული სისხლდენისას, როცა სისხლი ფარავს ჭრილობას, ადებენ დამწოლ ნახვევს ინდივიდუალური პაკეტის გამოყენებით; ამასთან დაზიანებული კიდური უნდა ავწიოთ მაღლა.

არტერიული (პულსირებადი) სისხლდენა შეიძლება შევაჩეროთ ჭრილობის ზევით სისხლძარღვზე ხელის დაჭერით. ძნელად შესაჩერებელი სისხლდენისას უნდა გამოვიყენოთ ჩალიჩი (ჟგუტი). ჩალიჩის დადების სისწორე განისაზღვრება სისხლდენის შეჩერებით და პულსის დაკარგვით პერიფერიისკენ; ჩალიჩის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ღვედი, თოკი, პირსახოცი, მაგრამ მათ ქვეშ აუცილებლად უნდა ამოვუდოთ რამდენჯერმე დაკეცილი ხელსახოცი, მარლა და ა.შ. ჩალიჩი უნდა იმყოფებოდეს კიდურზე არა უმეტეს 1-1,5 სთ; ამ დროის გავლის შემდეგ ის უნდა შევასუსტოთ და თუ სისხლდენა არ შეჩერდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩალიჩი კვლავ დავჭიმოთ. რეკომენდებულია, დაზარალებულისთვის ტკივილგამაყუჩებლის ინიექცია და მისი მდგომარეობის შესაბამისად უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა.

ჩირქოვანი ჭრილობების მკურნალობა, პირველ რიგში, ითვალისწინებს ჭრილობის გათავისუფლებას ჩირქისგან; ამას ხელს უწყობს სუფრის მარილის მაგარი ხსნარის (1 ჩაის კოვზი მარილი 0,5 ჭიქა წყალზე) ნახვევი. რაც უფრო ძლიერაა დაჩირქებული ჭრილობა, მით უფრო ხშირად უნდა გაკეთდეს შეხვევები, მაგრამ მხოლოდ 2-3-ჯერ დღეში. მას შემდეგ, რაც ჭრილობა გაიწმინდება ჩირქისგან და მისი ზედაპირი გავარდისფრდება, უნდა გადავიდეთ მალამოთი შეხვევებზე და ვცვალოთ ის ერთხელ დღეში.

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა

თუ მგზავრობისას ტურისტს თან მიაქვს სანადირო თოფი (სამონადირეო ტურიზმი), მასთან არაფრთხილ მოპყრობასა და ნადირობისას უსაფრთხოების წესების იგნორირებას შეიძლება მოჰყვეს მძიმე ტრავმები ჭრილობებით და დამწვრობით.

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ტრავმების პროფილაქტიკა. მარშრუტზე გასვლამდე წესად უნდა ვაქციოთ, რომ:

- თოფს ეხება მხოლოდ მისი პატრონი;
- მოგზაურობისას დაუშვებელია იარაღთან თამაში, მისი ლულის ხალხისკენ მიშვერა;
- დაუშვებელია თოფის გამოყენება არადანიშნულებისამებრ, მაგალითად, საყრდენად ან ბერკეტად;
- დასახლებულ პუნქტებში თოფი უნდა იყოს დაცლილი (განმუხტული) და შეფუთული;
- ჩახმახის შემართვა შეიძლება მხოლოდ გასროლის წინ;
- არ შეიძლება სროლა ხმაურზე სიბნელეში ან გაურკვეველი მიზნის არსებობის დროს.

ნადირობის დრო და ცეცხლის მიმართულება ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ჯგუფის სხვა მონაწილეებისგან არავის შეეძლოს შემთხვევით მოხვედრა სროლის არეში.

პირველი დახმარება ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების დროს. დაზარალებულს უნდა შეუჩერდეს სისხლდენა (იხ. ზემოთ) და ჭრილობაზე დაედოს სტერილური ნახვევი. შესაძლებლობის შემთხვევაში დაჭრილს უკეთებენ შოკის საწინააღმდეგო საშუალებებს, რომლებიც არის საველე აფთიაქში და გადაჰყავთ ექიმთან. დამოუკიდებლად საფანტის მოცილება ან მკურნალობა სხვა საშუალებებით არ შეიძლება.

კვების პროდუქტებით მოწამვლა და ნაწლავური დაავადებები

უხარისხო პროდუქტების მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს საკვებით მოწამვლა ან კუჭის მწვავე გაღიზიანება. დაავადების სიმპტომებია: შეტევითი ტკივილები მუცლის არეში, ფაღარათი, გულისრევა, ტემპერატურის მომატება. რადგან საჭმელი მზადდება ყველა ტურისტისთვის, მოწამვლამ შეიძლება დააზარალოს ჯგუფის დიდი ნაწილი ყველაზე მოულოდნელ მომენტში (მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკვებით მოწამვლის ფარული პერიოდი რამდენიმე საათს გრძელდება).

კუჭის დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე კვების რეჟიმის დარღვევამ, მათ რიცხვში საკვების დიდი დაგვიანებით მიღებამ, მშრალმა კვებამ, ძალიან ცხელმა ან ცხიმიანმა საჭმელმა, ცუდმა წყალმა. განსაკუთრებით ხშირად ავადდებიან ახალბედა ტურისტები, რომელთაც არ შეუძლიათ წყურვილთან ბრძოლა, იკლავენ წყურვილს გაჭუჭყიანებული ნაკადულიდან, ჭაობიდან ან გუბიდან და ამით ორგანიზმში შეაქვთ საშიში მიკრობები ან ქიმიური ნივთიერებები.

კვების პროდუქტებით მოწამვლის პროფილაქტიკა. ასეთი მოწამვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მარტივი ჰიგიენური წესების დაცვა. სალაშქრო პირობებში არ შეიძლება მოხარშული ძეხვის, სახლში დამზადებული შეუმოწმებელი ხორცის და რძის პროდუქტების მოხმარება, ამობურცული სახურავის მქონე (ბომბაჟიან) ქილებში არსებული კონსერვების გამოყენება. სასმელი წყალი მხოლოდ სუფთა წყაროებიდან უნდა იქნას აღებული და ადუღდეს. არ შეიძლება გახსნილი დაკონსერვებული პროდუქტების მეორეჯერ მოხმარება, განსაკუთრებით მათი, რომლებიც ლითონის გახსნილ ქილებშია. არ შეიძლება მძაღე სუნის, არადამახასიათებელი ფერის და სახის პროდუქტების ჭამა.

პირველი დახმარება კვების პროდუქტებით მოწამვლისას. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს კუჭი რამდენიმე ჭიქა თბილი, სოდიანი წყლის მიღებით. სანამ არ დაიწყება გულისრევა, კუჭის რეცხვა უნდა გავიმეოროთ რამდენჯერმე, შემდეგ მივცეთ დაზარალებულს სასაქმებელი, ღია ვარდისფერი კალიუმპერმანგანატის 0,5 ჭიქა ხსნარი. საჭიროა დიეტის მკაცრი დაცვა, მაგარი ცხელი ჩაის მიღება. ავადმყოფის მდგომარეობიდან გამომდინარე, ის გადაყვანილ უნდა იქნას სამედიცინო დაწესებულებაში. ტკივილების შემთხვევაში რეკომენდებულია საგულე და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიცემა.

კუჭის წვის (გულძმარვის), ტკივილების და ფაღარათობისას პირველი დახმარება. მკურნალობა ითვალისწინებს კვების რეჟიმის დაცვას. გულძმარვისას უნდა გამოირიცხოს ან შეიზღუდოს მჟავე პროდუქტები, შავი პურის ორცხობილა, კისელი, კომპოტი, ტკბილეულობა, აგრეთვე შემწვარი ფრინველი და სანელებლები, მათ რიცხვში მარილიც. უნდა მივიღოთ რძე, ბრინჯის, წიწიბურას, მანანის ფაფები. გულძმარვას ამცირებს აგრეთვე სოდა ან დაფქული ნახშირი (კარბოლენი). მუცელში ტკივილის დროს კარგია ცხელი სათბური, პრეპარატებიდან კი – 1 ტაბლეტი ბესალოლი 2-3-ჯერ დღეში, ანესტეზინი 1 ტაბლეტი.

კუჭის აშლილობისას ავადმყოფმა უნდა მიიღოს ფაღარათის საწინააღმდეგო, შემკვრელი საშუალებები

ქირურგიული დაავადებანი

კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებები არ უნდა შეგვეშალოს მუცლის ღრუს მწვავე ქირურგიულ დაავადებებში (აპენდიციტი, გაუვალობა, წყლული და სხვა). მწვავე აპენდიციტის ყველაზე დამახასიათებელი გამოვლენაა მუცლის ზედა არეში სუსტი ტკივილები, გულის რევა, იშვიათად 1-2-ჯერ ღებინება. რამდენიმე საათის შემდეგ (ზოგჯერ კი მაშინვე) ტკივილები გადაადგილდება მუცლის მარჯვენა ნახევარში, დაბლა; შეტევითი ტკივილები და ფაღარათი აპენდიციტისთვის დამახასიათებელი არ არის. ექიმის დახმარებამდე მუცლის მარჯვენა მხარეზე უნდა დავადოთ ცივი საფენი (თოვლი, ცივი წყალი). მწვავე ქირურგიულ დაავადებებზე ვარაუდის დროს აუცილებელია აბსოლუტური შიმშილი, არ შეიძლება ავადმყოფს მივცეთ სასაქმებელი საშუალებები,

არ შეიძლება რაიმეს დალევა. ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს საავადმყოფოში.

კოჟრები და კანის დაზიანება

აღჭურვილობისადმი, განსაკუთრებით კი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლისადმი, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაუცველობა შეიძლება გახდეს ლაშქრობაში კოჟრების, კანის გაყვლეფის, გაცრეცის მიზეზი. უფრო ხშირად ამით ზარალდებიან ის ტურისტები, რომელნიც ატარებენ ძალიან ვიწრო შარვალს, ვიწრო ფეხსაცმელს მაღალ ქუსლებზე (მოდის მოტრფიალენი), ან უქუსლო ფეხსაცმელს, ან სხვა, ლაშქრობისთვის მოუხერხებელ ტანსაცმელს. ასეთ პირობებში ადვილად წარმოიქმნება მტკივნეული გაცრეცვები; ეს შეიძლება შეემთხვეს მასაც, ვინც არ იცავს ლაშქრობაში სხეულის სისუფთავეს, ცუდად აწყობს ზურგჩანთას, დაუდევრად იცვამს წინდებს ან იცვამს დაუკემსავს, შიშველ ფეხზე იცვამს ფეხსაცმელს.

კოჟრების, გაყვლეფის პროფილაქტიკა. ყველაზე მთავარია, მოგზაურობის პირობების შესაბამისად, სწორად შევარჩიოთ აღჭურვილობა, მოვირგოთ და შევამოწმოთ ის მარშრუტზე გასვლამდე. მოგზაურობის დროს უნდა მოვახდინოთ სწრაფი რეაგირება ამინდსა და სხვა პირობებზე და შესაბამისად ვცვალოთ ტანსაცმელი და მოძრაობის ტემპი. არ უნდა დავუშვათ სხეულის ხანგრძლივი გადახურება, მოძრაობა სველ ტანსაცმელში. ფეხსაცმელში ან ტანსაცმელში მცირე უხერხულობის შენიშვნისთანავე, უნდა შევეცადოთ გამოვრიცხოთ მისი გამომწვევი მიზეზი. ამისთვის მიზანშეწონილია ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, წინდების გამოცვლა. ზოგჯერ შეიძლება ელასტიკური ბინტით შევახვიოთ კიდურები. ნავში ნიჩბის მოსმისას აუცილებელია ხელთათმანების ტარება, ზურგჩანთასა და ზურგს შორის რბილი საგნის დადება და ა.შ. პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა რეგულარული ჰიგიენური პროცედურები და სხეულის სისუფთავის დაცვა.

პირველი დახმარება კოჟრების, გაყვლეფის, გაცრეცის დროს. თუ გაყვლეფა დროულად შევნიშნეთ, საკმარისია, ავიცილოთ მისი გამომწვევი მიზეზი და წავისვათ კანზე დამარბილებელი, ანტისეპტიკური მალამო. კანის გაწითლების შემთხვევაში ის უნდა გავიპოხოთ იოდის ნაყენით, ბრილიანტის მწვანით ან სპირტით, შემდეგი დატვირთვის დროს შემოვიხვიოთ ბამბა. თუ ეპიდერმისის განშრევებისა და მის ქვეშ სითხის დაგროვების გამო წარმოიქმნა მტკივნეული ბუშტები, შეიძლება ბუშტების ჩხვლეტა სტერილური ნემსით და მალამოთი შეხვევა.

დაჟეჟილობა, ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა

მრავალი ტრავმის მიზეზი დაკავშირებულია ტურისტის არასწორ ქცევასთან, მის უდისციპლინობასთან. მოგზაურობაში ყველაზე დიდი საშიშროება არის ტურისტის უდისციპლინობა.

ტრავმატიზმის პროფილაქტიკა. უდისციპლინობით გამოწვეული ტრავმები მოიცავს საკითხთა წრეს, დაკავშირებულს მოგზაურობის მომზადებასა და ჩატარებასთან. ამაში იგულისხმება შეკავშირებული კოლექტივი, მეგობრებისადმი პასუხისმგებლობა, საკუთარი თავის მიმართ

მომთხოვნელობა და უსაფრთხოების ნებისმიერი წესის დარღვევისადმი შეურიგებლობა. მარშრუტზე პროფილაქტიკის ღონისძიებებს ეკუთვნის: ჯგუფის უდისციპლინო წევრის დასჯა (მაგალითად არარიგითი მორიგეობა), უკიდურეს შემთხვევაში დისციპლინის დამრღვევი შეიძლება მოიხსნას მარშრუტიდან.

პირველი დახმარება დაჟეჟილობის დროს. დაჟეჟილობა ხასიათდება რბილი ქსოვილების დაზიანებით და შიგა სისხლჩაქცევებით. დაჟეჟილობისას რეკომენდებულია დაზიანებულ ადგილას კანზე იოდის ნაყენის წასმა და მცირე დროით ცივი კომპრესის დადება, შემდეგ კი შეხვევა. ტრავმის მეორე დღეს უკვე სითბო უნდა გამოვიყენოთ. თავში, მკერდში, მუცელში სისხლჩაქცევისას აუცილებელია დაზარალებულის სრული სიმშვიდის უზრუნველყოფა, უნდა მივცეთ შოკის საწინააღმდეგო საშუალებები და გადავიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

პირველი დახმარება ნაღრძობის დროს. საჭიროა არტაშანის დადება და ტკივილგამაყუჩებლის მიცემა. სახსრების დამოუკიდებლად გასწორება არ არის რეკომენდებული, რადგან მუხლის, იდაყვისა და სახსრების ღრძობა ხშირად შეთანწყობილია ძვლების წანაზარდების მოტეხილობასთან. აუცილებელია დაზარალებულის ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებაში.

პირველი დახმარება მოტეხილობის დროს მდგომარეობს ხელთ არსებული მასალისგან არტაშანის დადებაში, რათა დავაფიქსიროთ გადატეხის ადგილი. ავადმყოფს აძლევენ ტკივილგამაყუჩებელს და გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში. უტყეო ადგილას არტაშანის დასადებად შეიძლება ვერაფერი (ჯოხიც კი) ვერ მოიძებნოს. მაშინ დაზიანებული ხელი უნდა მივამაგროთ ბინტით სხეულს, ფეხი კი ჯანმრთელ ფეხს. ღია მოტეხილობის დროს არტაშანის დადებასთან ერთად ჭრილობის გარშემო კანი უნდა დავამუშაოთ იოდის ნაყენით, შევუხვიოთ ბინტით და შეძლებისგვარად გავუკეთოთ ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.

განსაკუთრებით საშიშია ხერხემლის, თავის ქალის, მენჯის დაზიანება. ამ დროს აუცილებელია ექიმის სასწრაფო ჩარევა, მაგრამ დაზარალებულის ტრანსპორტირება სამკურნალო დაწესებულებაში შეიძლება მხოლოდ სრული სიმშვიდის პირობებში (სპეციალურ საკაცეზე, ხის ფარზე და ა.შ.).

პირველი დახმარება ტვინის შერყევისას. ტვინის შერყევის დამახასიათებელი ნიშნებია: გონების დაკარგვა (მოკლევადიანიც) და ღებინება, შემდეგ კი ძლიერი თავის ტკივილი. დახმარების აღმოჩენა მდგომარეობს დაზარალებულისთვის სრული სიმშვიდის შექმნაში, ავადმყოფს თავს წამოუწევენ და ადებენ ცივ კომპრესს თავზე. უნდა შეიზღუდოს სითხის მიღება, კარგია ტკბილი ჩაი; უნდა მიეცეს ტკივილგამაყუჩებელი საშუალება და გადავიყვანოთ საავადმყოფოში.

გულის წასვლა, გულსისხლძარღვოვანი უკმარისობა

ნაკლებნავარჯიშევი ტურისტების დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ შეიძლება გამოიწვიოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობა, რაც გამოიხატება მკვეთრ სისუსტეში, გახშირებულ გულისცემაში, გულის არეში ტკივილში. ადამიანს ულურჯდება ტუჩები, ცხვირი, თითის წვერები, უხშირდება პულსი. იგი გრძნობს ჰაერის უკმარისობას.

გულის წასვლის მიზეზი შეიძლება იყოს ორგანიზმის გადახურება სალაშქრო რეჟიმის დარღვევის გამო და საკვების მიღებამდე დიდი ინტერვალი; გულის წასვლა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე შიშმა, სისხლის დაკარგვამ, ძლიერმა ტკივილმა ან მოტეხილობამ.

გულსისხლძარღვოვანი უკმარისობის პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ტურისტის კარგი ფიზიკური მომზადება ლაშქრობისათვის, ტურისტის მიერ თავისი ჯანმრთელობის შემოწმება სპეციალისტებთან და მათი რეკომენდაციების დაცვა, კარგი აკლიმატიზაცია, მუშაობისა და დასვენების რეჟიმის დაცვა მარშრუტზე.

პირველი დახმარება სისხლძარღვოვანი უკმარისობის დროს. დაზარალებული უნდა იყოს ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში, უზრუნველვყოთ მისი ფიზიკური და სულიერი სიმშვიდე, გავათავისუფლოთ უხერხული ტანსაცმლისაგან, მივცეთ საგულე, სპაზმისმომხსნელი საშუალებები. ტურისტი უნდა გავათბოთ და ფრთხილად გადავიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში, მაგრამ აწეული თავით.

პირველი დახმარება გულის წასვლისას. გულწასულ მდგომარეობაში (მკვეთრი გაფითრება, ცივი ოფლი შუბლზე, მხედველობის დაბინდვა, ყურებში ხმაური, გონების დაკარგვა) დაზარალებული ისე უნდა დავაწვინოთ, რომ თავი ფეხებზე დაბლა ჰქონდეს, ტანსაცმელი უნდა შევუხსნათ, მკერდსა და სახეზე მივასხუროთ ცივი წყალი, ცხვირთან მივუტანოთ ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბა. გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებულს მივცეთ მაგარი ჩაი, ყავა, გულის საშუალებები.

გაფრთხილება: ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ დარეკოთ გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცხელ ხაზზე 112.

გიდისა და მძღოლის თანამშრომლობა ექსკურსიის მსვლელობისას (ინსტრუქცია გიდისა და მძღოლისთვის)

გზიდან გადახვევა

გზიდან გადახვევა პროგრამით გათვალისწინებული არ არის, მისი აუცილებლობის შემთხვევაში სააგენტოს უნდა შევატყობინოთ. მძღოლის სამუშაო საათების გახანგრძლივება არ შეიძლება. გზიდან გადახვევისას აუცილებელია მძღოლის თანხმობაც.

ტურისტების გადათვლა

მგზავრობის დაწყებისას გიდმა ყოველთვის უნდა გადაითვალოს ჯგუფის წევრები. ეს ტურისტთა უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი და სტუმართა რაოდენობის კონტროლის კარგი საშუალებაა.

ალკოჰოლი

სამუშაო საათებში გიდსა და ავტობუსის მძღოლს ეკრძალებათ ალკოჰოლის მიღება. დასვენების დღეებშიც მძღოლმა მხოლოდ იმდენი უნდა დალიოს,

რამდენიც შემდეგ მუშაობაში ხელს არ შეუშლის. მძღოლისთვის სამუშაო დრო გრძელდება მანამ, სანამ ექსკურსიის დამთავრებისას უკანასკნელი ტურისტი არ დატოვებს ავტობუსს.

სასტუმროში/რესტორანში მისვლა

გიდი ტურისტებს სთხოვს ავტობუსში დარჩენას, სანამ რესტორანში ან სასტუმროში ყველა დეტალს არ მოაგვარებს. ყველა ფორმალობის შესახებ ჯგუფს მიკროფონის გამოყენებით აი, რა უნდა შეატყობინოს:

- როდის და სად გავჩერდებით საჭმელად?
- სად არის განთავსებული ლიფტი?
- სად არის განლაგებული რესტორნის ან სასტუმროს ტუალეტები?
- როდის უნდა ჩაალაგონ ბარგი ავტობუსში?
- როდის არის გასვლის დრო?
- ვინ რომელ ოთახშია განთავსებული?
- სად არის აუზი, საუნა, ბარი?
- როგორია საღამოს/ღამის პროგრამა და სად გაიმართება ესა თუ ის ღონისძიება?

ავტობუსის მძღოლის მითითებები ტურისტებისთვის

მძღოლმა ტურისტებს ისეთი მითითებები არ უნდა მისცეს, რაც გიდის კომპეტენციაში შედის. ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როცა გიდი სათანადო თხოვნით მიმართავს მას დახმარებისთვის.

გიდის მითითებები ტურისტებისთვის

გიდმა ტურისტებს ისეთი მითითებები არ უნდა მისცეს, რაც მძღოლის კომპეტენციაში შედის. ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როცა მძღოლი სათანადო თხოვნით მიმართავს მას დახმარებისთვის.

ავტობუსით მგზავრობა დილით

ავტობუსი შეხვედრის ადგილზე გასვლისთვის განსაზღვრულ დრომდე 20 წუთით ადრე უნდა გამოცხადდეს, რათა საბარგულში შეინახოს ტურისტების ბარგი.

ავტობუსით მგზავრობა საღამოს

სანამ გიდი სასტუმროს მიმღებში ყველა აუცილებელ დეტალს არკვევს, მძღოლი ავტობუსიდან იღებს ტურისტების ბარგს და ალაგებს ან ავტობუსის გვერდით, ან სასტუმროს შესასვლელთან. იმ შემთხვევაში, თუ სტუმრები საკუთარი სურვილით მის დახმარებას მოინდომებენ, მძღოლმა ეს სასიამოვნო წინადადება მადლიერად უნდა მიიღოს.

დაზიანებული ავტობუსი

იმ შემთხვევაში, თუ ავტობუსი დაზიანებულია, გიდმა ან მძღოლმა სასწრაფოდ უნდა შეატყობინოს სააგენტოს.

სახიფათო ნივთები

ნივთები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურისტებს, ავტობუსს ან სხვა ნივთებს, მძღოლმა ავტობუსში არ უნდა აიტანოს.

ბარგის დაზიანება

იმ შემთხვევაში, თუ ბარგი მგზავრობისას დაზიანდება, გიდმა ტურისტულ სააგენტოს აუცილებლად უნდა მოახსენოს ამის თაობაზე.

მძღოლის სამუშაო მოვალეობები

- ავტობუსის მართვა;
- ორიენტაცია (რუკის კითხვა და ა.შ.);
- საგზაო ნიშნებზე ყურადღების მიქცევა;
- ავტობუსის მოვლა:
- საფერფლეების ყოველდღიური დაცლა;
- ნაგვის ურნების ყოველდღიური დაცლა;
- ავტობუსის დასუფთავება;
- ფანჯრების გაწმენდა;
- ავტობუსის ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ტურისტების ბარგის ჩალაგება და ამოლაგება.

მაგნიტოფონი

როცა ტურისტები ავტობუსში სხედან, მაგნიტოფონის ჩართვა-არჩართვის საკითხი მხოლოდ გიდმა უნდა გადაწყვიტოს. მუსიკის ხმის სიძლიერე უნდა დარეგულირდეს ცარიელ ავტობუსში, სანამ სტუმრები დაიკავებენ ადგილებს.

ტურისტების გამორჩევა

გიდმა და მძღოლმა არც ერთი ტურისტი არ უნდა გამოარჩიონ. ისინი ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირად უნდა მოექცნენ.

მაცივარი

მინერალური წყლის, ლიმონათისა და კოკა-კოლას გვერდით მაცივარში ლუდი, ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელებიც შეიძლება განთავსდეს. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოცემულ ქვეყანაში დაშვებულია. მაგალითად, ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთში ეს აკრძალულია, გიდებს და მძღოლებს სამუშაო დღეებში ალკოჰოლის ყიდვის უფლება არ აქვთ.
ზემოჩამოთვლილი სასმელების გარდა, მაცივარში შეიძლება ტურისტების მედიკამენტების შენახვაც, რომლებიც სიგრილეს საჭიროებენ. სხვა არც ერთი ნივთი, თუ პროდუქტი არ უნდა მოვათავსოთ ავტობუსის მაცივარში.

ავტობუსის ვენტილაცია

- მგზავრობის დროს მძღოლის ფანჯარა დაკეტილი უნდა იყოს, თუ ავტობუსში ტურისტები არიან, მნიშვნელობა არ აქვს, რა სიჩქარით მოძრაობს ავტობუსი;

- ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ვენტილაციის ჩართვისას ცივი ჰაერი არ უბერავდეს გიდის სკამს წინიდან ან უკნიდან;
- ფანჯრის გაღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ტურისტი თანახმა იქნება.

გაითვალისწინეთ: სჯობს, ავტობუსში ისე გაოფლიანდეთ, როგორც საუნაში, ვიდრე გაცივდეთ.

მიკროფონი

მიკროფონს იყენებს მხოლოდ გიდი და არა მძღოლი ან ტურისტი. გამონაკლისი: ექსკურსიის დასრულებისას მძღოლს შეუძლია, ტურისტებს მიკროფონით მადლობა გადაუხადოს.

მუსიკა

მუსიკალური პროგრამა მძღოლმა გიდს უნდა შეუთანხმოს. უმჯობესია, მუსიკა შეესაბამებოდეს იმ რეგიონს, სადაც ექსკურსია ტარდება.

ერთობლივი მუშაობა:

- გიდს არ უნდა ჰქონდეს მძღოლის დახმარების პრეტენზია;
- თუ მძღოლს თან აქვს საკუთარი კასეტა/დისკი, მას სრული უფლება აქვს, მისცეს ან არა გიდს მისი გამოყენების უფლება;
- თუ მძღოლი გადაწყვეტს საკუთარი კასეტის ან დისკის გამოყენებას, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ტურისტებმა ვერ შენიშნონ;
- გიდზეა დამოკიდებული ჩართავს თუ არა შემოთავაზებულ კასეტას/დისკს;
- ტურისტების კასეტების ან დისკების გამოყენება არ შეიძლება.

რადიო

იმ შემთხვევაში, როცა ტურისტები ავტობუსში სხედან, რადიოს ჩართვა არ არის მიზანშეწონილი. გამონაკლისი შესაძლებელია, თუ ეს ჯგუფის ყველა წევრის სურვილი იქნება.

ექსკურსიის დასრულებისას

ექსკურიის დასრულების შემდეგ გიდს ევალება შემდეგი ფორმალობების დაცვა:

- შემოსავლების და დანახარჯების დაანგარიშება;
- ყველა ქვითრის ჩაბარება;
- ანგარიშის ჩაბარება;
- ყველა დოკუმენტის და ნივთის ჩაბარება, რაც სააგენტომ გიდს მისცა ექსკურსიის დროს გამოსაყენებლად;
- სამუშაო სამოსის ჩაბარება;
- საინფორმაციო მასალის ჩაბარება (ბროშურები, ფლაერები და ა.შ.).

ორიენტირება

სწორი ორიენტირება მთლიანად ეკისრება მძღოლს. იმ შემთხვევაში, თუ მან პროგრამით გათვალისწინებული მარშრუტი არ იცის, დროულად უნდა მოიძიოს ინფორმაცია ყველა იმ ობიექტზე, რომლებიც ჩართულები არიან ექსკურსიაში. დაუშვებელია ის, რომ მან ინფორმაცია მიიღოს ტურისტებისგან.

ერთობლივი მუშაობა:

- მძღოლს არ უნდა ჰქონდეს გიდის დახმარების პრეტენზია და იმედი ექსკურსიის დაწყებამდე ან განმავლობაში;
- იმ შემთხვევაში, თუ გიდს სათანადო ცოდნა აქვს, სრული უფლება აქვს, დაეხმაროს ან არ დაეხმაროს მძღოლს;
- მძღოლზეა დამოკიდებული შემოთავაზებული დახმარება მიიღოს ან არ მიიღოს.
- პუნქტუალობა
- გიდი და მძღოლი ვალდებულები არიან, სააგენტოს მიერ მათთვის განკუთვნილი დრო ზუსტად დაიცვან;
- გიდმა და მძღოლმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ალოდინონ ტურისტები;
- გიდი ვალდებულია, ყოველთვის პირველი გამოცხადდეს შეხვედრის ადგილზე;
- იმ შემთხვევაში, თუ გიდი ან მძღოლი რაიმე მიზეზით აგვიანებს, ჯგუფს დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამის შესახებ. თუ ეს შეუძლებელია, შეხვედრისას აუცილებლად უნდა ავუხსნათ ტურისტებს დაგვიანების მიზეზი.

მოწევა

ავტობუსში მოწევა არ შეიძლება. ეს ეხება მთლიანად ექსკურიისთვის განკუთვნილ დროს, სანამ ჯგუფის ბოლო წევრი არ დატოვებს მას. ტურისტულ ავტობუსში არ უნდა იყოს თამბაქოს სუნი. მძღოლი უნდა ეწეოდეს ავტობუსის გარეთ, გაჩერებებზე. იგივე წესი ვრცელდება გიდზეც.

როცა ტურისტი აზიანებს რამეს

ავტობუსის დაზიანების შემთხვევაში გიდი ატყობინებს ტურისტულ სააგენტოს და ავტობუსის მფლობელს.
ბარგის ან რაიმე ნივთის დაზიანების შემთხვევაში, გიდი ან თავად ადგენს, ან დამნაშავეს ადგენინებს დოკუმენტს, სადაც წერია, რა დაზიანდა და ვინ არის დაზარალებული. დოკუმენტის ერთ ასლს ინახავს დამნაშავე და მეორეს გიდი.

ბენზინის ჩასხმა

ექსკურსია არ უნდა შეწყდეს თუნდაც საწვავის ჩასასხმელად. ტურისტი არ უნდა იცდიდეს ბენზინგასამართ სადგურზე. ბენზინი უნდა ჩაისხას მაშინ, როცა ტურისტები ავტობუსში არ არიან: ექსკურსიის დაწყებამდე (საუკეთესო ვარიანტი), ან როცა ტურისტები მუზეუმში იმყოფებიან, ან ქვეითად მოძრაობენ განსაზღვრულ მარშრუტზე.

ცხოველები

ძაღლების, კატების, ფრინველებისა და სხვა ცხოველების ავტობუსით გადაყვანა დაუშვებელია.

ურთიერთობის ფორმები

- გიდი და მძღოლი ერთმანეთს თავაზიანად და ყურადღებით უნდა მოეპყრან;
- გიდი და მძღოლი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან პროფესიონალებად, თუ ტურისტებს, დამსაქმებლებს და სხვა ადამიანებს თავაზიანად და ყურადღებით ეპყრობიან.

დაკარგვა

დაკარგული და დაზიანებული ნივთების შესახებ სააგენტოს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს. გიდმა უნდა შეინახოს დოკუმენტის ერთი ასლი.

ნათესავები

გიდმა და მძღოლმა არ უნდა წაიყვანონ ნათესავები და ახლობლები ექსკურსიაზე. ისიც დაუშვებელია, რომ რომელიმე მათგანმა ახლობლისგან ექსკურსიის ფული აიღოს.

ძვირფასი ნივთები

- გიდმა ჯგუფი უნდა გააფრთხილოს, რომ ძვირფასი ნივთები ღამით არ დატოვონ ავტობუსში. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტები, გაფრთხილების მიუხედავად, მაინც დატოვებენ ავტობუსში ძვირფასეულობას, გიდს პასუხისმგებლობა ეხსნება.
- გიდს შეუძლია, პასუხისმგებლობა აიღოს ტურისტების ძვირფასი ნივთების შენახვაზე.

ნაწილი 2

აჭარის ისტორია



აჭარა უძველესი დროიდან

ახ. წ. VI საუკუნემდე

უძველესი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ აჭარა განეკუთვნება უძველეს განსახლებათა არეალს. ხულოს მუნიციპალიტეტის ალპურ მდელოებზე (ადგილი ბულულა), არსიანის ქედის დავაკებულ ადგილზე, მიკვლეულია ძველი ქვის ხანის სადგომი (ნუკლეუსები, ანატკეცები, საჩეხი იარაღი და სხვა), რომელიც ე.წ. აშელის ეპოქის, 400-300 ათასი წლის წინა ეპოქებით თარიღდება.

აჭარის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ახალი ქვის ხანა (ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულები). ზღვისპირეთსა თუ მთიანეთში აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით (კვირიკე, ჯიხანჯურ-ჩოლოქი, ჩოლოქ-მაკვანეთი, ბეშუმი, ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი, მაწყვალთა, მახვილაური და სხვა) დასტურდება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სხვა ადრე დაწინაურებული კერების მსგავსად, თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე ნეოლითური საფეხურიდან დაწყებულა არამწარმოებლური, მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ, კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა. ჩაისახა და თანდათანობით განვითარდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ფეიქრობა და მეთუნეობა, დაწინაურდა თევზჭერა. ამავე დროს, მითვისებითი მეურნეობის წიაღში განვითარებული მონადირეობის ბაზაზე, საფუძველი ჩაეყარა ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას, შემგროვებლობა ნიადაგს უმზადებდა მიწათმოქმედების ადრეული ფორმების ჩასახვასა და განვითარებას.

რიგი ნოვაციებით აღინიშნა ენეოლით-ბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე (ძვ. წ. V-III ათასწლეულები). აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტის იაილებ „ჯანჯღარში“ ენეოლითური ხანის მასალების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ამიერკავკასიის საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ლოკალურ ვარიანტთან. იგი ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებითა და თვითმყოფადობით. იგივე ითქმის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურის ადრებრინჯაოს ხანის მონაპოვრების მიხედვითაც. განსაკუთრებით მდიდარი მასალაა მოპოვებული კურორტ ქობულეთთან

არსებულ ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე.

ენეოლითის ხანის შესანიშნავად დამუშავებული კაჟის ისრისა და შუბის პირები აღმოჩენილია ერგეს თავში (ადგილი ტალახნარა) და სოფელ კვირიკეში. აჭარის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის, კერძოდ, ძვ. წ. III ათასწლეულის ლითონის ნაწარმის უძველესი ნიმუში აღმოჩენილია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაომარში. ესაა ყუადაქანებული ცული. მისი ნაირსახეობა სოფელ აჭყვისთავშიცაა მოპოვებული.

შუაბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) ისპანის დაჭაობებისა და სამოსახლოს თითქმის 2 მ სისქის ფენით დაფარვის გამო, აყრილი მოსახლეობა ინაცვლებს ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისისაკენ. ამ პერიოდის ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული აღმოჩენილია ხელვაჩაურში, მახუნცეთში. ასევე მახუნცეთში აღმოაჩინეს ბრინჯაოს თოხის უძველესი ნიმუშიც.

ბრინჯაოს ცულების ნაირსახეობანი ცნობილია ქობულეთიდან, სახალვაშოდან, ერგედან, ზემო ჯოჭოდან, ნიკიტაურიდან, მახოდან, თხილნარიდან, ხერთვისიდან, კირნათიდან, ზუნდაგიდან, საღორეთიდან, სიხალიძეებიდან, დიდაჭარიდან, ფუშრუკაულიდან, მარადიდიდან და სხვა, რაც იმის დასტურია, რომ ეს მხარე წარმოადგენდა მაღალგანვითარებული, თვითმყოფადი კოლხური კულტურის უძველეს კერას. ამასთან, ჭოროხის აუზის ქვემო წელშია საძებარი კოლხური კულტურის უმთავრესი საწარმოო რაიონი. ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები დაიაენი (დიაოხი) და კულხა (კოლხა, კოლხახალი) ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის წარმონაქმნები იყო. ამავე ადგილებს შეიძლება უკავშირდებოდეს მითი არგონავტების შესახებ.

რა ურთიერთობა ჰქონდა ამ პერიოდის აჭარის მოსახლეობას ანატოლიის ცენტრალურ რაიონებში არსებული უძლიერესი და უდიდესი სამეფოების მოსახლეობასთან — ხათებთან და ნესიტ ხეთებთან — ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეთნიკურ კავშირსა და პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას აუცილებლად განიცდიდა. ამ სამეფოებში დომინირებადი ტომების კავშირი და ურთიერთობა აჭარის უძველეს მოსახლეობასთან უეჭველია ტოპონიმიკური და ანთროპონიმური მასალების ფონზე. ასევე, საინტერესოა ხეთების სამეფოს პარალელურად (ძვ. წ. XVII-XII სს.), მათ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით არსებული მეგრული ტომების ძლიერი გაერთიანების ქაშქა-აბეშლას ტერიტორია ხომ არ მოიცავდა აჭარის ტერიტორიასაც. ხათურ-ქაშქური ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალები სრულ თანხმობაშია ისტორიული ეგრისისა და დღევანდელი სამეგრელოს შესაბამის მასალებთან.

ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებისა და აჭარის არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც დასტურდება აჭარის ტერიტორიისა და ხეთების სამეფოს ურთიერთობა ბრინჯაოს ხანის გარკვეულ ეტაპზე. ხატუსილ III-ის მიერ ასურეთის მეფისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია: „მე მივწერე, რომ შესდგომოდნენ კარგი რკინის დამზადებას“. წერილის თანახმად, რკინის წარმოება სადღაც შორს იყო. ასეთ ადგილად მკვლევრები აჭარის ტერიტორიას მოიაზრებენ, სადაც ამავე პერიოდში არსებობდა მეტალურგიის სამი მძლავრი კერა. მათ შორის გამოირჩეოდა ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში მოქმედი

ახალსოფლისა და გონიო-კვარიათის რკინის სადნობი სახელოსნოები.

აჭარა ერთ-ერთი დაწინაურებული მხარეა მომდევნო ეპოქებშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის ანტიკური ხანის შესახებ (ძვ. წ. VI - ახ. წ. IV საუკუნეები). ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში იწყება პონტოსპირეთის დიდი ბერძნული კოლონიზაცია. ბერძნული დასახლებები ჩნდება საქართველოს ზღვისპირეთშიც. წარმოიქმნა კოლხეთის სამეფო, რომელიც წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ აღორძინებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარამ. შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ კოლხეთის სხვა სკეპტუხიების მსგავსად, აქაც განვითარდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ეკონომიკა, კულტურა, საშინაო და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. ამ მიმართებით განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლებია მოპოვებული ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სამაროვნების, ციხისძირის ნამოსახლარისა და სამაროვნის, ურბანიზებული გორასამოსახლოების, ბათუმისციხის და მახვილაურის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად. კლასიკურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV სს.) ეკონომიკის საფუძველს კვლავაც მიწათმოქმედება შეადგენდა. მოჰყავდათ სხვადასხვა სახის პურეული, გამოკვეთილი დარგია მევენახეობა-მეღვინეობა, განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ნადირობა, თევზჭერა. კიდევ უფრო დაწინაურდა რკინის მეტალურგია, აყვავებას განიცდიდა ოქრომჭედლობა. მოქმედებდა კერამიკული წარმოების მძლავრი კერები. ტრადიციული დარგია ფეიქრობა. კოლხური სელის საუკეთესო თვისებები კარგადაა ასახული ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვები). იგი ექსპორტის საგანიც ყოფილა. სტრაბონის გადმოცემით, „მიწა ზღვის სანაპიროზე".

შლამიანია და მდინარეთა შეერთების ადგილებში ჭორომიანი (ჭაობიანი). ქვეყანა განთქმულია არა მხოლოდ ნაყოფით (თაფლის გარდა, რომლის დიდი ნაწილი მწარეა), არამედ გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალით. აქ აწარმოებენ ბევრ ხეტყეს და აცურებენ მდინარეებით. მოსახლეობა ამზადებს ბევრ სელს, ტილოს, საბაწრე მასალას. ამუშავებენ თაფლის სანთელს და ფისს. ადგილობრივი წარმოების სელის ქსოვილი სარგებლობს აგრეთვე ფართო მოთხოვნილებით. ნამდვილად, მათ გაჰქონდათ სელის ქსოვილები სხვა ქვეყნებში".

ძვ. წ. VI საუკუნეში აჭარის ტერიტორია შევიდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომლის საზღვრები სხვადასხვა პერიოდების მიხედვით ვრცელდებოდა ძველი ლაზიკიდან (ნიკოფსიის მიდამოები), ხან ბიჭვინთის მიდამოებიდან სამხრეთისაკენ ოფიუნტის წყლამდე (ჰეროდოტეს მონაცემების გათვალისწინებით), მდ. ჭოროხამდე (ფსევდოსკილაქსი), ტრაპეზუნტამდე (სტრაბონი), კერასუნტამდე (ქსენოფონტი), თერმოდონტამდე და არქეოლოგიური მონაპოვრების (კოლხური ცულები) მიხედვით, კოლხური კულტურის გავრცელების არეალი ქალაქ ორდუმდე (ძველი კოტიორა) გადიოდა.

ჰეროდოტეს ცნობით, კოლხები წინა აზიის ოთხ დიდ ხალხთა სიაში შედიოდნენ სპარსელებთან, მიდიელებთან და სასპერ-იბერებთან ერთად. ძვ. წ. XIII საუკუნიდან, აიეტის

სამეფოდან მოყოლებული, ძვ. წ. IV-III საუკუნეებამდე კოლხეთი წარმოადგენდა წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ამ დროის კოლხეთი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული მხარეა. განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება, ჰქონდა საკუთარი ფული (კოლხური თეთრი) და სხვა.

ბერძნული და რომაული წყაროების მიხედვით, აჭარისა და შესაძლებელია, სამცხე-გურიის მნიშვნელოვან ნაწილზეც მოსახლეობდნენ ბიძერები (ვიზარები), რომლებიც სამხრეთის მიმართულებით ვიწემდე (ძველი ბიზერი) ვრცელდებოდნენ. ამ დროის აჭარაში ცხოვრება ჩქეფდა: ქობულეთ-ფიჭვნარი (ანტიკური კიკნოსი), ჩაქვი-ციხისძირი (ანტიკური სებასტოპოლისი) და ბათუმის ციხის მიდამოები (ანტიკური ბათისი) ამის დასტურია. ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი, სავარაუდოა, მოიხსენიება კიკნოსის (გედი) ფორმით პომპონიუს მელას (I ს.) თხზულებაში „ქრონოგრაფიაში“. ფიჭვნარის ნაქალაქარის გვერდით მდებარეობდა ბრინჯაოს სამივე პერიოდის, ადრერკინის, ანტიკური ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. მას, არქაული ხანიდან მოკიდებული, მჭიდრო კონტაქტები ჰქონია საბერძნეთის როგორც მატერიკულ ნაწილთან, ისე კუნძულებთან და მცირე აზიის საქალაქო ცენტრებთან (მილეტი, ქიოსი, ათენი, სინოპე, ლესბოსი, ჰერაკლია, პანტიკაპეიონი და ა.შ.). ადგილობრივი და უცხოური მონეტები ადასტურებენ, რომ აქ კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა, და საერთოდ, ეკონომიკა, არსებობდა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე. მიკვლეულია ადგილობრივი და უცხოური კერამიკული ნაწარმი, კოლხური თუ სინოპური მონეტები, ფერადი მინები, მძივები (მინის, ოქროს, გიშრის, სარდიონის, ქარვის, ტყვიის, ბრინჯაოს, თიხის) და სხვადასხვა სახის ნაწარმის მაღალმხატვრული ნიმუშები. სხვა სახის სამკაულთაგან მნიშვნელოვანია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რგოლსაკიდები, საყურეები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, ბეჭდები და ა.შ.

ციხისძირის დასახლება საისტორიო წყაროებში პირველად ჩანს კლავდიუს პტოლემაიოსთან (90-178 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“, სებასტოპოლისის ფორმით. შესაძლებელია, ეს იგივე ქალაქი იყოს, რაც „ტაბულა პევტინგერიანასა“ (IV ს.) და „ნოტაცია დიგნატატუმის“ (415 წ.) ქალაქი სებასტოპოლისი. სებასტოპოლისი ციხისძირის ადგილას დატანილია გვიან შუა საუკუნეების ერთ-ერთ ევროპულ რუკაზეც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა ევროპიდან ჩამოიტანა.

ციხისძირი-ბობოყვათი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ საქალაქო ცენტრს. III-IV საუკუნეებში ის შედიოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გამაგრებული ქალაქების სისტემაში.

ციხისძირი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, რასაც ადასტურებს კოლხური ბრინჯაოს ცულების, თოხების, წალდისა და სხვა

სახის იარაღთა რამდენიმე განძის აღმოჩენა. აქვეა მიგნებული ძვ. წ. I ათასწლეულის (წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური ხანის) ნამოსახლარი, ხოლო ქალაქის გარე ტერიტორიაზე — გვიანარქაული, კლასიკური, ელინისტური და ადრე შუა საუკუნეების ვრცელი სამაროვანი.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ბათუმი, როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად მოიხსენიება არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) „მეტეოროლოგიაში“. პლინიუსის (23-79 წწ.) „ბუნების ისტორიაში“ კი იგი დაფიქსირებულია „მატიუმის“ ფორმით. იქვე დასახელებულია მდ. ბათისიც, რომელიც ფლავიუს არიანეს(95-175წწ.)ბათუსსშეესატყვისება.პლანიუსის მატიუმის შესაბამისი შეიძლება იყოს კლავდიუს პტოლემაიოსთან (90-170 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ დასახელებული მადია. ბათუმი დატანილია კასტორიუსის რუკაზე, ე.წ. ტაბულა პევტინგერიანაზე, პორტუს ალტუსის სახელწოდებით, რაც თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბათუმი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო საზღვაო გზის მონაკვეთში იყო ჩართული. ბათუმი ანტიკურ ხანაში კიდევ ერთხელ ჩანს ევსები კესარიელის თხზულებაში მენტეს ფორმით.

ბათუმის მოსახლეობას ამ პერიოდში ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა იონურ ქალაქებთან და ეგეოსის ზღვის კუნძულებთან. მის მიდამოებში განვითარებული ჩანს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, დაწინაურებულია ხელოსნური წარმოებაც. აქ იყო კერამიკული წარმოების ლოკალური კერაც. ამ დროის ბათუმი კვლავ რჩებოდა მსხვილ ადგილობრივ სამეურნეო, სახელოსნო, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად.

ბათუმის გორის პარალელურად, ძვ. წ. V საუკუნეში აჭარის ტერიტორიაზე სოფელ კვაშტაში (ქედის მუნიციპალიტეტი) არსებობდა დასახლება. სოფელ კაპნისთავსა და ბერაძეებს შორის გამოვლენილ იქნა ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები, სოფელ პაქსაძეებში (ხულოს მუნიციპალიტეტი) მიკვლეულია ძვ. წ. V-IV საუკუნეების ნამოსახლარი. ამათგან სოფელ კვაშტის დასახლება წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთ უძველეს საფორტიფიკაციო სისტემაში შემავალ პუნქტს. გათხრების შედეგად აქ გამოვლინდკერამიკული ნაწარმის (ქვევრის, ქოთნის, დერგის, კეცის, ლანგრის, სასმისის, ჯამების და სხვა სახის ჭურჭლის) ნატეხები. მცირე რაოდენობით აღმოჩნდა იმპორტული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებიც. მოპოვებული იქნა რკინის წალდი, ბრინჯაოს სამაჯური, რკინის შუბის ფრაგმენტები, თიხის საბეჭდავები, სალესები, ხელსაფქვავები, შურდულის ქვები, სარდიონის მძივები და ა.შ.

ძვ. წ. VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ქართველები ქართლის სამეფოს, ხოლო

უცხოელები (ბერძნები, რომაელები, სომხები) იბერიას, ივერიას უწოდებდნენ. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ამ სამეფოს სათავეში ჩასდგომია აზო (აზონი), ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ცნობით — ფარნავაზიანთა დინასტიიის ფუძემდებელი ფარნავაზი. ფარნავაზს აჭარა სამცხესთან ერთად ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოში – ოძრხეში გაუერთიანებია. „ფარნავაზიანის“ ავტორის ცნობით, ამ საერისთავოს (თუ საერისთავთერისთავოს) საზღვრები ნოსტეს თავიდან (მდ. ნოსტი, სამცხე-ჯავახეთის გამყოფი საზღვარი) ზღვამდე ვრცელდებოდა (ამ უკანასკნელში, უეჭველია, აჭარის დასავლეთი მიჯნები იგულისხმება). აჭარის საზღვრების ასეთ განვრცობას, არსიანის მთიდან დასავლეთისაკენ შავ ზღვამდე, მკვლევრები უფრო ადრეული ხანებიდან გულისხმობენ.

ქართლის სამეფო ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან სუსტდება. კოლხეთის სამეფოც ჯერ სკეპტუხიებად დაიშალა, ხოლო შემდეგ, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში, მცირე აზიაში მოსახლე ქართველ ტომთა მიერ შექმნილმა პონტოს სამეფომ დაიპყრო. ამ მოვლენებს თან დაერთო რომაელების შემოსვლა (ძვ. წ. 66-65 წლები) კოლხეთსა და იბერიაში. აჭარა, შესაბამისად, ჯერ პონტოს მეფის — მითრიდატეს ხელში, მოგვიანებით — პალემონისა და ბოლოს — კაპადოკიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველივე წლებიდან ქართლის სამეფო ისევ ძლიერდება. მისმა მეფემ ფარსმან I-მა ახ. წ. 35 წელს სომხეთიდან გააძევა პართიელები (სპარსელები) და სომხეთის სამეფო ჯერ ძმას მითრიდატეს, ხოლო შემდეგ თავის ვაჟიშვილს — რადამისტს გადასცა.

ამ დროიდან მოყოლებული, ქართლის სამეფო აჭარისწყლის ხეობის გზით შავ ზღვაზე გასვლას ცდილობს. პლინიუს უფროსის ცნობით, ახ. წ. 78 წლისათვის იბერიას უკვე აჭარის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნებული აქვს. რომაელი მწერლის ცნობით, „ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯზე მდინარე აფსაროსია, იმავე სახელის ციხესიმაგრით შესართავთან. იმ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა, სანაპიროზე კი — ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მდინარე აკამფსეონი, ისისი, მოგრისი, ბათისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიუმი“.

ქართლის სამეფოს, ფლავიუს არიანეს ცნობით, ახ. წ. 131 წლისათვის აჭარის ზღვის სანაპირო ზოლიც აქვს დაკავებული და აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ძიდრიტები (ძარიტები, ჭარიტები) ფარსმანის ვასალები არიან. რომაელი მწერლის გადმოცემით, „მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“. საერთოდ ფლავიუს არიანე აჭარის ზღვის სანაპიროს შემდეგნაირად ახასიათებს: „არქაბედან აფსაროსამდე — სამოცი სტადიონია (ერთი სტადიონი დაახლოებით 180 მ-ს შეეფარდება). აფსაროსიდან გავიარეთ მდინარე აკამფსისი ღამით, იგი აფსაროსს დაშორებულია 15 სტადიონით. აკამფსისიდან მდინარე ბათისამდე 75 სტადიონია. მდინარე აკინასე ბათისიდან 90 სტადიონითაა დაშორებული, აკინასედან ისისი 90 სტადიონით. აკამფსისი და ისისი სანაოსნო მდინარეები არიან და მათგან დილაობით ძლიერი ქარი უბერავს“.

აკამფსისი ჭოროხის რომაული სახელწოდებაა, ბათისი — ყოროლისწყლის, აკინასე — კინტრიშის, ისისი — ნატანების და ა.შ. არიანეს მიერ მოხსენიებული ფარსმანი ქართლის ძლევამოსილი მეფე ფარსმან ქველია (დაახლ. ძვ.წ. 120-165 წწ.).

ციხესიმაგრე აფსარუნტი იმ დროისათვის რომაელების მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა იყო. იგი მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ აქცია სამხედრო ბანაკად და სახელოვან ქალაქად, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. სახელწოდება აფსაროსი პირველად გვხვდება ძვ.წ. IV საუკუნის პერიპლუსის ბერძენ ავტორთან, სკილაქს

კარიანდელთან, მაგრამ, არა როგორც დასახლებული პუნქტისა, არამედ მდინარისა („აფსაროს პოტამოს“), რომელიც გაიგივებულია მდინარე ჭოროხთან. თავად დასახლებული პუნქტის სახელად აფსაროსი პირველად მოხსენიებული აქვს პლინიუს უფროსს (ცნობა 78 წლისაა), მაგრამ, ეს არაა მოწმობა იმისა, რომ ასეთი სახელის მქონე პუნქტი მანამდე არ არსებობდა. ანტიკური წყაროების მიხედვით, მისი სახელი უკავშირდება კოლხეთის მეფის აიეტის (ძვ. წ. XIII ს.) ვაჟის აფსირტეს (იგივე არპაგა, ფაეტონტი, აიგიალევსი) სახელს, რომელიც ამ პუნქტის სიახლოვეს, ველზე თუ ზღვაში მოკლეს ბერძნებმა. ფლავიუს არიანეს დროს (ახ. წ. 131 წ.) ადგილობრივები აჩვენებდნენ აფსირტეს საფლავს. პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობით, აფსირტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის.

არიანეს გადმოცემით, აფსაროსში იდგა 5 კოჰორტა, ე.ი. 2-3 ათასი ჯარისკაცი. მას აქ დაურიგებია ხელფასი, დაუთვალიერებია იარაღი, კედელი, თხრილები, ავადმყოფები და პურის მარაგი. პროკოპი კესარიელის ცნობით, ქალაქი აფსარუნტი „მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა შენობათა საძირკველებისა“. აფსაროსი სქემატური გამოსახულებითაა დატანილი რომაულ საგზაო რუკაზე, ე.წ. ტაბულა პევტინგერიანაზე. აფსაროსი არაერთხელაა მოხსენიებული ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. ციხესიმაგრე მოგვიანო პერიოდში არაერთხელ გამოუყენებიათ ბიზანტიელებს, თურქ-ოსმალებს და თავად ქართველებსაც. მოკლე დროით — სავრომატებს, გენუელებს, კაზაკებსა და სხვებს. ციხესიმაგრე თავისი მოყვანილობითა და ფორმით თითქმის სწორკუთხედია. სიგრძე – 222 მ-ია, ხოლო სიგანე — 195. ფართობი შეადგენს 4,4 ჰექტარს.

ქართლის სამეფომ მეფე მირიანის (307–361 წწ.) დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა — 326 წლის მიწურულში. ამავე ხანებში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად მიიღეს კოლხეთის მესვეურებმაც. პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ლაზეთის მხრიდან მონაწილეობა მიიღო ბიჭვინთის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ. მოვსეს ხორენაცის (V ს.) გადმოცემით, წმინდა ნინომ იქადაგა ქრისტეს რჯული კლარჯეთიდან მოყოლებული დარიალანის კარამდე. თუმცა ყოველივე ამას წინ უძღოდა ქრისტეს რჩეულ მოწაფეთა აჭარაში მოღვაწეობა, როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მაღალმთიან რაიონებში. ბერძენ-რომაელ ავტორებს (დოროთეოს ტვირელი, სოფრონი, ეპიფანე კვიპრელი, პასქალური ქრონიკა, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, ნიკოლოზ პაფლაგონიელი, ბასილ კეისარი და სხვა) დაუცავთ არაერთი გადმოცემა წმ. ანდრია პირველწოდებულის, მატათასა და სიმონ კანანელის მოღვაწეობის შესახებ აჭარაში. მათი ქადაგების ადგილად დასახელებულია მდინარეები ფასისი და აფსაროსი, ქალაქები: აფსაროსი, ჰისოსი (სურმენე) და დიდი სებასტოპოლისი. მატათა აქვე გარდაიცვალა და

იგი აფსაროსში დაუმარხავთ. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, ანდრიას ქვეყანა დიდაჭარაც მოუნახულებია: „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა“. ანდრიას აჭარაში დაუნიშნავს მღვდლები და დიაკვნები, ღვთისმშობელ მარიამის სახელზე ეკლესიაც აუგია. წასვლის წინ ფიცარზე გამოუსახავს ღვთისმშობლის სახე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სიხარულითა და პატივით დაუსვენებია მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში.

პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის — მირიანის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფოს ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. რომაული წყაროს (ამიანუს მარცელინუსი) ცნობით, 368 წელს ქართლი რომისა და სპარსეთის იმპერიებმა გაიყვეს, რომის მოსაზღვრე დასავლეთი ქართლი რომის სახელმწიფოს ერგო. „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ გადმოცემით, რომის კუთვნილ ქართლში შედიოდა ყოველი კლარჯეთი, წუნდა და ოძრხის საერისთავო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, სამცხესთან ერთად აჭარაც შედიოდა. ასეთი ვითარება გაგრძელდა 464 წლამდე, ვიდრე ვახტანგ გორგასალმა (457-502 წწ.) არ გარეკა ბიზანტიელი დამპყრობლები ჭოროხისა და აჭარის მხარეებიდან.

აჭარა VI-XIX საუკუნეებში

ახ. წ. V საუკუნიდან იწყება ფეოდალური ხანა, რომელიც პირობითად რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე გრძელდება. ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. პირველი მოიცავს V-X საუკუნეებს (ადრეფეოდალური ხანა), მეორე — XI საუკუნის დასაწყისიდან XVI საუკუნის შუახანებამდე მონაკვეთს ანუ ოსმალთა მიერ აჭარის ინკორპორაციამდე ხანას. მესამე ქვეპერიოდი გრძელდება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე და იგი ოსმალთა ბატონობის ხანად იწოდება.

აჭარა ადრეფეოდალურ ხანაშიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაწინაურებული რეგიონი იყო და ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 464 წლიდან, ვახტანგ გორგასლის მიერ ბიზანტიელებზე გამარჯვების შემდეგ, ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილია.

ამ გამარჯვების საფასურად ქართლის მეფემ მიიღო „ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღუითგან ვიდრე არსიანთამდე, და სამივენი, რომელნი მოსდგმანან ღადოთა...“ რა თქმა უნდა, ვახტანგ მეფის მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიებში აჭარაც მოიაზრება.

VI საუკუნეში თანამედროვე აჭარის ნაწილი (ზღვისპირა მხარე ჭოროხამდე) შედიოდა ეგრის-ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში და ეგრისისათვის გამართულ ბიზანტია-ირანის ომების დროს მძაფრი შეტაკებების ასპარეზს წარმოადგენდა. ქალაქმა აფსაროსმა

(გონიო) ამ პერიოდში დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი ფუნქციები ნაწილობრივ გადავიდა პეტრა-ციხისძირზე, ლაზიკის ამ მეტად დაწინაურებულ პუნქტზე. პეტრას როლი კარგად შეაფასა ს. ჯანაშიამ. პეტრამ, — წერდა იგი, — იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ისეთივე დიდი როლი ითამაშა, როგორსაც თბილისი ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. იგი თავისი დედაციხით, გარე დასახლებული უბნებით ამ პერიოდის ციხე-ქალაქის კლასიკური ნიმუში იყო.

ბიზანტია-ირანის ოცწლიანი ომის დროს (542-562 წწ.) პეტრას ციხე-ქალაქმა განსაკუთრებული სტრატეგიული დატვირთვა შეიძინა და ხელიდან ხელში გადადიოდა, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა მის საფორტიფიკაციო ნაგებობებს. მიუხედავად ამისა, VI-IX საუკუნეებში იგი კვლავ ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციას რეგიონში, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეპისკოპოსო-საკათედრო და საქალაქო ცენტრი.

VI საუკუნის ბოლოდან გამოცოცხლების გზაზეა გონიო-აფსაროსი, ამავე ხანაში მოზრდილი დასახლება არსებობდა ფიჭვნარშიც.

პეტრა-ციხისძირში, გონიო-აფსაროსსა და ფიჭვნარში გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, რომლებითაც, წინა პერიოდების მსგავსად, მყარდებოდა მჭიდრო კონტაქტები როგორც ხმელთაშუა, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან.

აღსანიშნავია, რომ წერილობით წყაროებში სახელწოდება „აჭარა“ პირველად სომეხი სწავლულის, ანანია შირაკაცის „სომხურ გეოგრაფიაში“ გვხვდება. „სომხური გეოგრაფია“ VII საუკუნის ძეგლია, მაგრამ ცნობილია, რომ ანანია რამდენიმე საუკუნით უადრეს წყაროებს ეყრდნობოდა. ამდენად, სრულიად დასაშვებია, რომ აღნიშნული სახელწოდება უფრო ადრეულ ხანაში წარმოქმნილიყო.

VII საუკუნის I ნახევარში ისტორიის ასპარეზზე არაბები გამოვიდნენ. 654 წელს მათ ქართლის საერისმთავრო დაიმორჩილეს და დახარკეს. რაც შეეხება აჭარას, დ. მუსხელიშვილის აზრით, იგი ამ პერიოდისათვის ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არაბთა სტაბილური ხელისუფლება მყარდება, დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება არაბებმა ვერ შეძლეს. თუმცა, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, დასავლეთ საქართველოს დარბევის შემდეგ მურვან ყრუ გურიიდან სპერის მიმართულებით გაემართა. გზად იგი აუცილებლად გაივლიდა აჭარას, რაც ამ კუთხის სასტიკ აოხრებას ნიშნავდა.

XIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ანტიარაბული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აქტიურდება. საქართველოს განაპირა მხარეებში ჩამოყალიბებას იწყებს ახალი სამეფო-სამთავროები. 809 წლიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების გაერთიანების შედეგად, აშოტ ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) სამეფოს,

რომლის შემადგენლობაში შედიოდა აჭარაც. ფართოდ გაშლილი სამონასტრო მშენებლობა, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს იწყება, ამ კუთხესაც მოიცავდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის საფუძველზე (IX საუკუნის 80-90-იანი წლები), რომელშიც ჩამოთვლილია იბერიის კურაპალატისადმი დაქვემდებარებული ერთეულები საერისთავოებისა და მათი მმართველების სახით, მათ შორისაა აჭარის ერისთავიც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ამ დროისათვის აჭარის ცალკე საერისთავოდ არსებობის ფაქტი ტაო-კლარჯეთის სამეფოს შემადგენლობაში. ეს ცნობა აჭარის ერისთავის მოხსენიების პირველი შემთხვევაა.

XI საუკუნიდან XIII საუკუნის 60-იან წლებამდე აჭარა ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია საერისთავოს სტატუსით და მას აბუსერისძეთა გვარი განაგებს. 1046-47 წლებში აჭარის ერისთავად აბუსერ იოანეს ძე აბუსერისძე გვევლინება, რომელიც ამავდროულად შავშეთ-კლარჯეთსა და სამცხის დიდ ნაწილსაც მართავდა. მთავარი რეზიდენცია მას ში ჰქონდა („დიდი თურქობის“ დროს სელჩუკებმა შინაგამცემლების წყალობით შეძლეს ხიხანის ციხის აღება და დარბევა). მოგვიანებით, აბუსერისძეები თანდათან კარგავენ სამფლობელოებს და მხოლოდ საკუთრივ ზემო აჭარის მმართველები არიან.

XII-XIII საუკუნეებში აბუსერისძეები ერისთავთერისთავებად იწოდებიან. აჭარა ამ დროისთვისაც საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში არის მოქცეული და მისი მმართველები მეფის ერთგულებით გამოირჩევიან.

აბუსერისძეთა სამფლობელო ანუ სააბუსერისძეო ტერიტორიულად უშუალოდ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა და გააჩნდა სათავადოებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ატრიბუტები — მონასტერი, კარის ეკლესია, ციხე, სასახლე, საგვარეულო სასაფლაო. აქ გადიოდა საგზაო მაგისტრალი, რომელიც უძველესი დროიდან აჭარისწყლის ხეობას მიუყვება და ზღვისპირეთიდან სამცხეში გადადის. იგი ითვლება მსოფლიო მნიშვნელობის მქონე „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ განშტოებად, რაც უდავოდ მრავლისმეტყველი ფაქტია.

აბუსერისძეთა საგვარეულოს ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია XIII საუკუნის პირველი ნახევრის ენციკლოპედიური განათლების მწერალი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე აბუსერისძე ტბელი. მის თხზულებებში ძვირფასი ცნობებია დაცული იმდროინდელი საქართველოს (მათ შორის აჭარის) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისმა ასტრონომიულ-კალენდარულმა ნაშრომმა „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“ (1233 წელი), რომელშიც ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი ასტრონომიული მიგნებაა გაკეთებული.

XIII საუკუნის II მეოთხედში საქართველოს ჯერ ხვარაზმელები შემოესივნენ ჯალალედინის მეთაურობით, შემდეგ — მონღოლები. მონღოლთა ბატონობის ხანაში, 1268 წელს (მეორე ვერსიით — 1269 წელს), აჭარის საზღვართან, ჯნალისთავს (არსიანის ქედი) შეტაკება მომხდარა ურთიერთდაპირისპირებულ მონღოლებს — უფლისწულ თეგუდარსა და აბაღა ყაენს შორის. ბრძოლაში დამარცხებული თეგუდარის ჯარის ერთი ნაწილი სწორედ აჭარის გავლით გადასულა დასავლეთ საქართველოში.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, როგორც ჩანს, XIV საუკუნის შუახანებისათვის, გიორგი ბრწყინვალის მიერ სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობის გაუქმებით, აჭარა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია და აბუსერისძეთა გვარის ცნობილი წარმომადგენელი ივანე

აბუსერისძე ქვეყნის სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობს, ამირსპასალარია.

XV საუკუნის შუახანებში ყვარყვარე II ათაბაგმა გააუქმა აჭარის საერისთავო და იგი გურიელს გადასცა საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული დახმარებისათვის. XVI საუკუნის დამდეგს მზეჭაბუკ ათაბაგმა უკანვე წაართვა ეს კუთხე გურიელებს. ამ ხანებში აბუსერისძენი თავიანთი „სასაფლაოითა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ მოხსენიებულნი არიან სამცხე-საათაბაგოს „საეპისკოპოსოთა და სათავადოთა“ სიაში. თუმცა, ამავე დროს, აჭარა ეკლესიურად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მისი ზედა ნაწილი ანუ „აჭარა დანდალოს ზეითი“ ტბეთის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა, ხოლო ქვემო ნაწილი ანუ „დანდალოს ქვეითი აჭარა“, ქუთათელის სამწყსო იყო.

1535 წლიდან აჭარა კვლავ გურიელის ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მალე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ისიც ოსმალების მფლობელობაში მოექცა.

შუა საუკუნეებში, ვიდრე ოსმალთა დაპყრობამდე, აჭარა საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მთისა და ბარის ტიპის მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა.

მაღალ დონეზე იყო აყვანილი მრავალდარგოვანი ხელოსნობა (მეტალურგია და მჭედლობა, ხითხუროობა, ქვითხუროობა, მეთუნეობა, ფეიქრობა, რთვა-ქსოვა), რომელთა ნაწილმა ოსმალთა მფლობელობის ხანასაც გაუძლო. მაჭახლის ხეობაში მზადდებოდა ამავე სახელწოდების კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები, აგრეთვე, ცივი საბრძოლო იარაღები (დანები, ხანჯლები, ხმლები). ისინი გასაყიდად გაჰქონდათ სხვადასხვა მხარეში. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა თოფი „მაჭახელა“, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდნენ სტამბოლური და ყირიმული წარმოების იარაღთან შედარებით. ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღის დამზადებით ცნობილი იყვნენ ნაგერვაძეები (სოფ. ჩხუტუნეთი), ქავთარაძეები (სოფ. ქავთარეთი), გვიანიძეები და გორგაძეები (სოფ. გორგაძეთი). ვერცხლით მოსევადებული თოფები და დამბაჩები მზადდებოდა აგრეთვე აჭარის სხვა სოფლებშიც (ახო, ცხმორისი, საღორეთი).

აჭარაში თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ძველი მეტალურგიული ტრადიციები. ამაზე მიუთითებს მეტწილად აჭარის მთის ზონაში (თაგო, ყინჩაური, ფაჩხა, წაბლანა და სხვ.) ხალხური მეტალურგიის მრავლად მიმოფანტული ნაშთები რკინის წიდების სახით.

აჭარის წარსული დიდების, მისი ეკონომიკური ძლიერებისა და განვითარებული კულტურის მაჩვენებელია ეკლესიები, ციხე-კოშკები, ქვის თაღოვანი ხიდები, რომლებიც, ნანგრევებისა თუ თითქმის მთელი სახით, დღემდე შემორჩა.

იშვიათია კუთხე საქართველოში, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე ამდენი ციხესიმაგრე თუ სხვა სახის თავდაცვითი ნაგებობანი არსებობდეს. ამათგან ზოგი

უძველესია, ზოგის მშენებლობის თარიღი კი ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანას ემთხვევა. ესენია: გონიოს, პეტრას, ხიხანის, დარჩიძეების, ჭვანის, ზენდიდის, ციხისყელის, ოქროპილაურის, ვარდციხის, ცივასულას, ძენწმანის, ზესოფლის, ზვარეს, ჩხუტუნეთის და სხვა ციხეები.

მრავლად არის აჭარაში მართლმადიდებლური ეკლესიების ნაშთებიც. ფაქტობრივად, არ არის სოფელი, რომლის მიდამოებშიც, მეტ-ნაკლებად შემოჩენილი სახით, სხვა სახის ძეგლებთან ერთად საყდარი, ეკლესია ან ტაძარი არ ფიქსირდებოდეს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სხალთის, აჭყვის, ჩაიხედანას, ვერნების, თხილვანის, თიკანაურის, კალოთის, ხიხაძირის, კვატიის და სხვ. ეკლესიები. მათი მშენებლობა, საფორტიფიკაციო, საგზაო და სხვა ნაგებობების მსგავსად, ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეებზე (IX-XIII სს) მოდის. ეს კანონზომიერიცაა, რადგან საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მისი ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური დაწინაურება სწორედ ამ ეპოქაში ხდება. ბუნებრივია, ქვეყნის დაწინაურებას თან მოჰყვა მისი ცალკეული კუთხეების აყვავებაც.

აჭარაში დღეისათვის შემორჩენილ არქიტექტურულ სიძველეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვისთაღოვან ხიდებს, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ღირსეულად უდგანან გვერდში ციხე-კოშკებსა და საკულტო ძეგლებს. თაღიანი ხიდების მშენელობის სათავე IV-V საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს. მთელ საქართველოში და მათ შორის, აჭარაში ქვისთაღოვანი ხიდების მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აქ გამავალი დიდი აბრეშუმის გზის გამო. ასეთი ხიდები აჭარაში უმთავრესად მდინარეების — აჭარისწყლისა და კინტრიშის ხეობებშია შემორჩენილი. დღეისათვის დაფიქსირებულია 35-მდე დიდი და პატარა ქვისთაღოვანი ხიდი. მეცნიერები განსაკუთრებით გამოარჩევენ დანდალოს ხიდს, ასევე მნიშვნელოვანია მახოს, მახუნცეთის, ფურტიოს, მირვეთის, საღორეთის და სხვა ხიდები.

XV საუკუნის II ნახევრიდან აჭარას ოსმალეთი დაუმეზობლდა. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს. მალე იგი გახდა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი საქართველოზე თავდასასხმელად. საქართველოზე შეტევის მეორე ასეთ ბურჯად არზრუმის საბეგლარბეგო (საფაშო) იქცა, რომელიც 1535 წელს დააარსეს. 1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით, აჭარა, სხვა მეზობელ ქართულ კუთხეებთან ერთად, ოსმალეთს ერგო.

ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობა ერთბაშად არ მომხდარა. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობით იყო გამოწვეული.

ოსმალური წერილობითი წყაროების მიხედვით, აჭარისწყლის ხეობაში ოსმალეთის დამკვიდრება 1552 წლიდან იწყება. ადგილობრივი ქართველი ფეოდალი ბეჟანი კიდევ 10 წელზე მეტხანს იბრძოდა მომხვდურთა წინააღმდეგ. საბოლოოდ იგი იძულებული გახდა უხეშ ძალას დამორჩილებოდა. 1563 წელს იგი სტამბოლში ჩავიდა, ისლამი მიიღო და მეჰმედად იწოდა. იმავე წლის 15 დეკემბრის ბრძანებით სულთანმა აჭარის ტერიტორიაზე სანჯაყი დააარსა და სანჯაყბეგად გამაჰმადიანებული ბეჟანი (მეჰმედი) დანიშნა. სანჯაყი ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად) დაიყო და მალე ახალციხის (ჩილდირის) საფაშოში გაერთიანდა, რომელიც სულთნის განკარგულებით 1579 წლის 25 ივნისს შეიქმნა.

ამავე ხანებში გაბატონდნენ ოსმალები გონიოს მხარესა და მაჭახელში. თანამედროვე ზღვისპირა აჭარის დანარჩენი კუთხეები ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისუფლებას.

1550-იანი წლების დასაწყისში ოსმალებმა ბათუმს შემოუტიეს, რომელიც ამ დროს

გურიელს ემორჩილებოდა და აქ ციხის შენება დაიწყეს. გურიელმა სწრაფი „თავდასხმით აოტნა ოსმალნი ხმელეთსა ზედა და მოსრა ისინი“. დამარცხებულმა ოსმალებმა „დაუტევეს ბათომი“.

1647 წელს ბათუმი ჯერ კიდევ ქართველთა ხელშია. ეს დასტურდება თურქი მოგზაურისა და ისტორიკოსის ევლია ჩელების ცნობით, რომლის მიხედვით, საქართველო-ოსმალეთის საზღვარი ამ დროს მდინარე ჭოროხზე გადიოდა და გონიოში საბაჟო პუნქტი იყო მოწყობილი. ამასვე ადასტურებს ფრანგი ნეგოციანტი ჟან შარდენი, რომელმაც 1673 წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და ქალაქი გონიოც მოინახულა.

ბათუმისა და ჩაქვის მხარეების დაპყრობა ოსმალეთმა 1703 წლის შემდეგ შეძლო. 1712 წელს სულთნის ბრძანებით ეს მხარეები ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს და სახელმწიფო დავთრებში გაატარეს. უფრო გვიან ეს ბედი გაიზიარა ქობულეთის მხარემაც — იგი 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მოექცა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

ოსმალთა გაბატონება უარყოფითად აისახა აჭარის მოსახლეობის ბედზე როგორც კულტურული, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. დამპყრობელი თავისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობდა და დაუნდობლად ებრძოდა ყოველივე ქართულს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო მიზნის მიღწევა. ოსმალებმა ვერც მიწის მფლობელობის თავიანთი წესები დაამკვიდრეს ბოლომდე და ადმინისტრაციულადაც აჭარის მოსახლეობა მთლიანად ადგილობრივ ქართველ ბეგებს ემორჩილებოდა. მიზეზი ამისა იყო ის შეურიგებელი წინააღმდეგობა, რასაც აჭარის ქართველობა უწევდა მტერს. ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აქ არასდროს შეწყვეტილა. აჭარლებმა, სხვა სამხრეთელ ქართველებთან ერთად, მრავალჯერ მოაწყვეს დიდი აჯანყება სულთნის წინააღმდეგ (მაგ.: 1660-იან, 1690, 1737, 1774, 1815, 1840, 1843-44, 1846, 1855-56, 1859, 1875 და სხვა წლებში) და არ მისცეს მას მათი ეროვნული გადაგვარების საშუალება.

ასიმილატორულმა პოლიტიკამ XIX საუკუნის დასაწყისამდე ფაქტობრივად ვერც აჭარელთა რელიგიურ მრწამსზე მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთი უდავოდ საინტერესო დოკუმენტი.

1774 წლის 5 ივლისით დათარიღებულ მოხსენებაში გრაფ ნ. პანინისადმი, რუსეთის რწმუნებული ქართლ-კახეთის სამეფოში — კაპიტანი ი. ლვოვი, ეხება რა იმავე წელს აჭარაში მომხდარ ანტიოსმალურ აჯანყებას, აღნიშნავს: „მებრძოლი ქრისტიანი ხალხი, აჭარლებად სახელდებული, მცხოვრები მთებში გურიასა და თურქეთს შორის, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით, თურქთა ქვეშევრდომობიდან სრულიად განდგა; ასე რომ, როცა ახალციხის ფაშა თურქთა გარკვეული რიცხვით ამ ხალხის დასამორჩილებლად აჭარაში შევიდა, მათ იგი დაამარცხეს და აჭარიდან განდევნეს“.

ანუ ამ დროისათვის აჭარაში ჯერ კიდევ იმდენად მტკიცე ყოფილა ქრისტიანული სარწმუნოება და იმდენად აშკარა ანტიოსმალური განწყობილება, რომ ეს ფაქტი გარეშე თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევი გამხდარა. აქ საუბარია მოსახლეობის ფართო მასებზე, რაც შეეხება არისტოკრატიულ ელიტას, ის, როგორც ყველგან, აქაც სხვებზე ადრე გადავიდა სახელმწიფოში გაბატონებულ რელიგიაზე.

აღნიშნული ვითარების გამო აჭარელი გამუსლიმანებული ბეგები საშინაო პოლიტიკაში ერთგვარი შეუვალობითა და დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ამავე დროს სულთნის ხელისუფლებისაგან მთელ რიგ შეღავათებსა და პრივილეგიებს იღებდნენ. ისინი XVIII საუკუნის ბოლოსთვისაც კი მთელი სისრულით არ ცნობდნენ სულთნის უზენაესობას და XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ე.ი. თანზიმათამდე, ვასალურ დამოკიდებულებას

ინარჩუნებდნენ. ამის გამო ოსმალებმა ვერ მოახერხეს სრულად დაემკვიდრებინათ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. სულთნის ძალაუფლებამ აჭარაში თანზიმათის რეფორმების შემდგომ იწყო განმტკიცება.

XIX საუკუნეში ოსმალთა წინააღმდეგ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან განსაკუთრებით ზემო აჭარის მმართველის — სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის მოღვაწეობაა აღსანიშნავი. საუკუნის დასაწყისში იგი სერიოზულ ანტიოსმალურ მოძრაობას ედგა სათავეში და მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის გამოყენებასაც ცდილობდა. სამწუხაროდ, იგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდნილს, 1815 წლის 3 ივნისს, სოფ. ბაკოში, არზრუმის სერასკირ ფეხლევან-ბაბა-ფაშას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ სელიმს განუცხადებია: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამ ხსოვნას მე ჩემს შვილებს ვუტოვებ“. სელიმის საქმე მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუმიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისათვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე აჭარის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის სანჯაყში (ცენტრით ბათუმში) და შედგებოდა ბათუმის, ჩურუქ-სუს, გონიოს, მაჭახლის, ქვემო აჭარისა და ზემო აჭარის კაზებისაგან.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აჭარა, განსაკუთრებით, ციხისძირის მიდამოები, მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების არენად გადაიქცა. აჭარით რუსეთის დაინტერესების უმთავრეს ფაქტორს ბათუმის პორტი წარმოადგენდა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და არის დღესაც შავი ზღვის აკვატორიაში თავისი ბუნებრივი მონაცემებით. ამ ომში, ე.წ. ოსმალოს საქართველოს გამოსახსნელად, რუსეთის არმიის რიგებში 30 ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა. ამ საქმეს გულშემატკივარი და ხელშემწყობი აჭარაშიც მრავლად ჰყავდა. ასეთ პატრიოტებად წარმოგვიდგებიან შერიფ ხიმშიაშვილი, იბრაჰიმ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, დედე ნიჟარაძე, ახმედ ხალიფაშვილი (სურმანიძე) და სხვ.

განსაკუთრებით დიდია შერიფ ხიმშიაშვილის დამსახურება. ოსმალეთის მთავარსარდლობის სურვილი, გამოეყენებინა შერიფის 8000-კაციანი რაზმი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ, წარუმატებელი აღმოჩნდა. პირიქით, მან აჭარის გათავისუფლებისა და დედასამშობლო — საქართველოსთან დაბრუნების მიზნით, კავშირი დაამყარა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და მათი მეშვეობით — რუსეთის არმიის სარდლობასთან. მონაწილეობას იღებდა ერთობლივი სამოქმედო გეგმების შედგენაში. შერიფ ხიმშიაშვილის

პოზიციამ თავისი გავლენა იქონია აჭარის მოსახლეობის ორიენტაციაზე.

საინტერესოა, რომ ბრწყინვალე პორტაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარას და კარგად ჰქონდა იგი გამაგრებული. ამიტომ რუსეთმა მისი ბრძოლით დაუფლება ვერ შეძლო. საბოლოოდ, ანატოლიასა და ბალკანეთში განცდილი დამარცხების შემდეგ, ოსმალეთმა საომარი მოქმედების გაგრძელების უნარი დაკარგა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19(31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. 9 (21) თებერვალს ოსმალეთმა დათმო ერზერუმიც, რომელიც რუსეთის ჯარის მიერ ალყაშემორტყმული იყო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და 1878 წ. 19 თებერვალს
(3 მარტს) ორივე მხარემ ზავს ხელი მოაწერა. ამ ხელშეკრულებით აღიარეს სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. ბულგარეთის ნაწილს ავტონომია ეძლეოდა ოსმალეთის მფლობელობაში, ხოლო მეორე ნაწილში დამოუკიდებელი სამთავრო იქმნებოდა.

ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ დიდი კონტრიბუციაც დაეკისრა — 1 410 მლნ რუბლი. მაგრამ, ვინაიდან ბრწყინვალე პორტას, ფინანსური სიძნელეების გამო, ამ თანხის სრულად გადახდა არ შეეძლო, იგი, ნაწილობრივ, ტერიტორიული დათმობებით შეიცვალა. აზიაში რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ყარსი, ბაიაზეთი, ერზერუმი, ალაშკერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი, ხოლო ევროპაში — ბესარაბიის ნაწილი, რომელიც მან ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შედეგად დაკარგა.

რაც მთავარია, რუსეთმა მოიპოვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლის უფლება. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგინდა, აგრეთვე, რუსეთის მფლობელობაში გადასული მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადაც.

რუსეთის ამ მიღწევებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა, დასთანხმდებოდა ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ. 1 (13) ივნისი - 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ბერლინის ტრაქტატით, რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ბაიაზეთს, ერზერუმს, ალაშკერტს; სამაგიეროდ, კონგრესმა დაადასტურა რუსეთის შემადგენლობაში ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ლაზისტანის ნაწილის, აგრეთვე, ბესარაბიის გადასვლა. ბათუმიც რუსეთს რჩებოდა, მაგრამ პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად ცხადდებოდა.

მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ოსმალეთი აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარისა და ბათუმის გადაცემას. ამ საკითხზე ქუთაისში 1878 წ. აგვისტოში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლობას შორის მოლაპარაკებაც გაიმართა. რუსეთის სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად, ოსმალები იძულებულნი გახდნენ 25 აგვისტოდან აჭარა დაეტოვებინათ.

ქობულეთში რუსეთის არმია 17 (29) აგვისტოს შემოვიდა. წინ მოუძღოდა გურიის სახალხო ლაშქარი, რომელსაც, ადგილობრივი მოსახლეობის სახელით, მგზნებარე სიტყვით მიმართა გულო კაიკაციშვილმა. „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი

ძმები... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა" — აღფრთოვანებული წარმოთქვამდა იგი და ამით მთელი სამუსლიმანო საქართველოს აზრს გამოხატავდა.

ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შემოვიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთიდან — კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) — ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით, გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ზემო აჭარიდან — გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით.

აჭარა ბათუმითურთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი.

აჭარა 1878-2010 წლებში

რუსეთ-საქართველოს 1877-1878 წლების ომის შედეგად შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ყარსისა და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შედიოდა — აჭარა, მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ლაზისტანის ნაწილი (გონიო, სარფი, მაკრიალი, ლიმანი).

ბათუმის ოლქში შემოიღეს სამხედრო-საპოლიციო მმართველობა, სადაც ოლქის გუბერნატორი, ოკრუგის უფროსები და მათი თანაშემწეები მხოლოდ კადრის სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ.

1883 წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი და მის ნაცვლად შეიქმნა ორი — ბათუმისა და ართვინის ოკრუგები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1903 წ. 17 მარტის დადგენილებით, ამავე წლის პირველი ივლისიდან აღადგინეს ბათუმის ოლქი — ამჯერად ორი ოკრუგითა და შვიდი საპოლიციო უბნით. 1903-1905 წლებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი ფონ-პარკაუ, 1906 წ. ეს თანამდებობა ეკავა გენერალ-ლეიტენანტ მიხეევს, ხოლო 1907-1917 წლებში — რომანოვსკი-რომანკოს.

ბათუმის მხარის მმართველობაში მონაწილეობდა თითო-ოროლა ქართველი. მის პირველ უფროსად დაინიშნა გრიგოლ გურიელი, რომელიც 1880 წლის აპრილში სამსონ ლორთქიფანიძემ შეცვალა და ამ თანამდებობაზე 15 წელი მსახურებდა. 1879-1900 წლებში ქვემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსი იყო თუფან-ბეგ შერვაშიძე. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მსახურობდნენ: გ. ბერიძე, ს. ჯაფარიძე და მეფისაშვილი, 1910-1912 წლებში — ჯემალ შერიფისძე ხიმშიაშვილი. ართვინის საპოლიციო უბნების უფროსებად იყვნენ ახმედ ხალვაში და იასონ აბაშიძე, გონიოს უბნისა — ივანე მახვილაძე.

რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ამ მხარის პოლიტიკური დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსული სახელმწიფოს ორგანიზმთან მის საბოლოო მიერთებას და ეს ამოცანა მაშინ გადაწყდებოდა, როდესაც მას სოციალ-ეკონომიკურად და დემოგრაფიულად აითვისებდა, ადგილზე მოხდებოდა რუსული ენის, ფსიქოლოგიის, წესების დამკვიდრება და რუსული ახალშენების მოწყობით მკვეთრად შეიცვლებოდა დემოგრაფიული სურათი საქართველოში.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაიზარდა რუსეთის

საკოლონიზაციო მიწის ფონდი საქართველოში. რუსეთის მთავრობა მაშინვე შეუდგა ადგილ-მამულების სახაზინო საკუთრებაში გადარიცხვას და რუსული ახალშენების მოწყობას.

მცირემიწიანობის მიუხედავად, ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების მოსაწყობად სავარგულები მაინც გამონახეს და აქ რუსული ახალშენი 1881 წელს გაშენდა ქობულეთის მახლობლად, ფიჭვნარში. მისთვის შერჩეულ 2400 დესეტინა მიწაზე შექმნილ დასახლებას, ბათუმის სამხედრო გუბერნატორ სმეკალოვის საპატივცემულოდ, სმეკალოვკა უწოდეს. აქ მოახალშენეთა 114-ოჯახიანი პირველი ჯგუფი 1881 წელს ჩამოასახლეს და თითოეულ კომლს 14 დესეტინა სავარგული გადასცეს, გამოუყვეს საერთო სარგებლობის საძოვრები და სათიბები, დაეხმარნენ მნიშვნელოვანი კრედიტით (1917 წ. აქ 234 კომლი, 1031 სული სახლობდა).

აჭარაში მეორე რუსულ ახალშენს 1892 წელს ჩაეყარა საფუძველი ბათუმის შემოგარენში (ბარცხანა). მას „ხოლოდნაია სლობოდა“ შეარქვეს. აქ დასახლებულ რუს მოახალშენეებს მუჰაჯირებისა და სახაზინო მიწები გადასცეს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მთავრობის მოხელეებმა დეტალურად შეისწავლეს ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების შექმნის შესაძლებლობანი, მაგრამ კოლონიზაციისათვის თავისუფალი მიწები ვერ გამონახეს, რაც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის კავკასიის მთავარმართებლისადმი 1898 წლის 21 ოქტომბრის მოხსენებაში აისახა.

რუსული კოლონიური ახალშენების ნაირსახეობას წარმოადგენდა საუფლისწულო მამულები. რუსეთის საიმპერატორო კარის საუფლისწულო მამულები იყო მსხვილი მეურნეობები, რომელთა სამმართველო აპარატის მოსამსახურენი და მუდმივი მუშახელის ძირითადი ნაწილი რუსები იყვნენ. მარტო ჩაქვის საუფლისწულო მამულში 100-მდე რუსი ეროვნების ოჯახი ჩამოასახლეს. რუსული ახალშენების მოწყობის სპეციალური დებულებაც კი შეიმუშავეს, რომელსაც საფუძვლად დაედო კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის 1907 წლის 13 თებერვლის ცირკულარი.

საკოლონიზაციო მიწები ბათუმის ოლქშიც გამონახეს. მიუხედავად მისი განსაკუთრებული მცირემიწიანობისა, 1909 წ. აქ 2 485 დესეტინა საკოლონიზაციო ნაკვეთები შეარჩიეს. მდინარე კინტრიშის დაბლობში, ყოროლისწყლის ხეობაში, ჭოროხის ორივე ნაპირზე ერგედან დაწყებული ზღვის შესართავამდე განლაგებულ სოფლებში (თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო) კოლონისტების ჩასახლებისათვის საკმარისი მიწები გამოყვეს. ახალსოფელსა და დონღუზადეში (მდ. ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპირო) რუსული ახალშენების მოწყობის მიზნით, ჯერ კიდევ 1899 წ. 580 დესეტინა მიწა შეარჩიეს და 69 არაქართველი კოლონისტის ოჯახი ჩამოასახლეს. 1914 წ. კი აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად სექტანტები და ბაპტისტები მოსახლეობდნენ.

ყოროლისწყლის ხუთ სოფელში — ყოროლისთავი, ორთაბათუმი, აგარა, კაპრეშუმი, ყარადერე — ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე 567 კოლონისტს გადასცეს 1 151 დესეტინა მიწა. 900-იან წლებში ბათუმის შემოგარენშივე, მდ. ჭოროხის მარჯვენა მხარეს, შეიქმნა ახალშენი ალექსეევკა, სადაც 1917 წ. 46 კომლი (117 სული) ცხოვრობდა, ხოლო ქობულეთის მახლობლად ზღვისპირა ზოლში ახალშენ კომაროვკაში 106 კომლი 362 სულით. ქობულეთის მახლობლადვე, 1912 წელს შექმნილი რუსული ახალშენი რომანოვკაც მსხვილი კოლონიური დასახლება იყო.

აჭარაში, რუს კოლონიზატორ მოახალშენეების გარდა, ვაჭარ-მრეწველების, ცარიზმის ჩინოვნიკების, კადრის თადარიგის სამხედროთა აგარაკები ვრცელი ბაღ-პარკებით

მოეწყო მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში, ყარადერეში (განთიადი), ახალშენში, ანგისაში და სხვა. 1905 წ. ციხისძირში მოახალშენეების 85, მახინჯაურში — 70 ოჯახი ცხოვრობდა. 1914 წ. მწვანე კონცხზე — 195, ჩაქვში — 840 მოახალშენე აღირიცხა, რაც აღნიშნული სოფლების მკვიდრ მოსახლეობას საგრძნობლად აღემატებოდა.

საქართველოში კოლონიზაციის შედეგად დიდძალი ადგილ-მამულები არამკვიდრი მოსახლეობის ხელში მოექცა. მარტო აჭარის ზღვისპირა ზოლში კოლონისტებმა 70 000 დესეტინა მიწა დაისაკუთრეს. ამან საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში. თუ 1800 წ. საქართველოს საერთო მოსახლეობის 80% ქართველი იყო, 1865 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 73,8%-ს, 1897 წ. — 69,4%-ს, ხოლო 1926 წ. — 66,9%-ს. რაც შეეხება აჭარას, მისი მოსახლეობა 1914 წელს. პირველი იანვრის მონაცემებით 134 926 სულს ითვლიდა. აქედან 46 589, ე.ი. საერთო რაოდენობის 35%-მდე არაქართველი იყო: მათ შორის რუსები — 22 383 (17%), სომხები — 18 853 (14%) და სხვები — 5 353 (4%).

ამის შედეგად, ბათუმი ტიპურ კოლონიურ ქალაქად გადაიქცა. 1878-1914 წლებში მისი მოსახლეობა თითქმის თერთმეტჯერ (3 ათასიდან 32 038 სულამდე) გაიზარდა, მაგრამ ქართველები მხოლოდ 9 919 სულს (მოსახლეობის საერთო რიცხვის მესამედზე ნაკლებს) შეადგენდა. მოსახლეობის 2/3 (20 048 სული) რუსები და სომხები იყვნენ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1878 წლიდან 1917 წლამდე ბათუმის მოსახლეობამ თორმეტჯერ მოიმატა, თუმცა 1918 წლისათვის მისი რაოდენობა 35 048-დან 15 375-მდე შემცირდა (1917 წ.), რაც აქ თურქების ოკუპაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ; 1920 წელს ბათუმში, საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, მოსახლეობა 1918 წელთან შედარებით გასამმაგდა და 45 446-ს მიაღწია, ხოლო 1922 წელს 60 810 შეადგინა. რაც შეეხება ქ. ბათუმის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მისი დინამიკა 1897 წლიდან 1922 წლამდე ასე განვითარდა: ქართველების რაოდენობა გასამმაგდა და 1897 წელს 6 087, ხოლო 1922 წელს 18 252 მცხოვრები შეადგინა (მთლიანი მოსახლეობის დაახლ. 29%), სომხების — 6 839-დან 14 969-მდე გაიზარდა (დაახლ. 24,5%) რუსების — 7 144-დან 10 720-მდე (დაახლ. 17,6%), ებრაელების — 1 064-დან 3 699-მდე (დაახლ. 2,9%), ბერძნების — 2 764-დან 7 629-მდე (დაახლ. 12%), დანარჩენების კი — 4 610-დან 5 514-მდე (დაახლ. 9%).

აჭარის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ამ რეგიონის უდიდეს უბედურებას წარმოადგენდა მუჰაჯირობა — მოსახლეობის ნაწილის გადასახლება ოსმალეთში. ომის დამთავრებას თითქოს ეს პროცესი უნდა შეეჩერებინა, მაგრამ ამის მაგივრად მან ახლა ოფიციალური სახე მიიღო და თან მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებიც განისაზღვრა (1879 წლის 3 თებერვლიდან 1883 წლის 3 თებერვლამდე) სამი წლით.

1878 წლის 15 ოქტომბერს, თავის მიმართვაში ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი, დ. სვიატოპოლკ-მირსკი მოითხოვდა შემოერთებული მოსახლეობის დაუყოვნებლივ ასიმილაციას და მისი აზრით, უმჯობესი იყო „ადგილობრივი მოსახლეობის მოცილება“.

მაშასადამე, ცარიზმი ისევ აგრძელებდა კავკასიის ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისადმი მტრულ დამოკიდებულებას და ახალდაპყრობილი რეგიონიდან კვლავ მათ გასახლებას გეგმავდა. ეს პასუხობდა ოსმალეთის ინტერესებსაც. ამიტომაც ოსმალეთმაც ყველაფერი გააკეთა საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის აყრისათვის. შემდეგ კი რუსეთმაც თავისი მიზანდასახული პოლიტიკით ცეცხლზე ნავთი დაასხა და ისედაც გაურკვევლობით აღელვებულ ხალხს პირი ოსმალეთისკენ აქნევინა.



ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირობის დროს გასახლებულთა რიცხვს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად მიუთითებს. ამ ციფრთა კრიტიკული შეჯერებით პროფ. შ. მეგრელიძე მივიდა დასკვნამდე, რომ ბათუმის ოლქიდან, კერძოდ აჭარიდან, გასახლებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 10 ათას სულს. მკვლევარი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ მონაცემს და აღნიშნავს, რომ ამ გასახლებულთა რიცხვში, სავარაუდოდ, 2-3 ათასი აფხაზი და ათასზე მეტი ლაზი ლტოლვილიცაა საგულვებელი. აქვე გასათვალისწინებელია უკან მობრუნებული მრავალი მუჰაჯირიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მკვლევარი აჭარიდან გასახლებულ ქართველთა რაოდენობას 5 ათასი სულით განსაზღვრავს. ბოლო გამოკვლევების მიხედვითაც, აჭარიდან წასულთა რიცხვი მართლაც არ უნდა აღემატებოდეს 7-8 ათას კაცს.

საქართველოსთან დაბრუნებამდე, ბათუმი ოსმალეთის იმპერიის განაპირა, პატარა ქალაქი იყო, სადაც 1872 წლისათვის ითვლებოდა 5 ათასამდე მცხოვრები. აქედან 4 500 მუსლიმანი (ქართველი და თურქი), 350 ბერძენი და 120 სომეხი იყო. იქვე ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ჩერქეზი და აფხაზი. 1878 წელს, როცა მუსლიმანი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბათუმი დატოვა, იქ აღირიცხა 3 ათასამდე მცხოვრები. 1882 წლისათვის ბათუმში აღირიცხა 8 671 მცხოვრები, ხოლო 1890 წელს უკვე 18 123 სული.

რუსეთის იმპერიის 1897 წლის საყოველთაო აღწერამ ბათუმში დააფიქსირა 28 508 მუდმივი და 2 ათასამდე დროებითი მცხოვრები; აქედან 7 154 იყო რუსი, უკრაინელი და ბელორუსი, 6 687 — ქართველი, 6 839 — სომეხი, 2 762 — ბერძენი, 1 654 — თურქი, 1 064 — ებრაელი, 722 — პოლონელი, 299 — გერმანელი, ხოლო 1934 კაცი — სხვა დანარჩენი.

ბათუმელთა უმრავლესობა იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი (15 495), 6 150 — გრიგორიანელი, 2 007 — კათოლიკე, 334 — სხვადასხვა მიმართულების პროტესტანტი, 3 156 — მაჰმადიანი და 1 179 — იუდეველი.

ბათუმი ოციოდე წელიწადში საშუალო სიდიდის სამრეწველო ქალაქად გადაიქცა, ხოლო მის მახლობლად აღმოცენდა საგარეუბნო მეურნეობები. სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებები მომრავლდა ჩაქვში, სალიბაურში, ფერიასა და სოუქსუში. კურორტები და სუბტროპიკული მეურნეობები გაჩნდა ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, მახინჯაურში. ფერადი მეტალურგიის განვითარების შედეგად სამრეწველო დაბა-სოფლებად გადაიქცა ჭინკათხევი, ერგე, ხოდი, კვარცხანა.

1897 წელს ქალაქ ართვინში აღირიცხა 7 061 მცხოვრები, ხოლო 1910-1914 წლებში მისი მოსახლეობა 8-დან 10 ათასამდე მერყეობდა. მნიშვნელოვანი დასახლებები იყო აგრეთვე დაბა არტაანი და არტანუჯი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში აჭარის დღევანდელი დედაქალაქი ბათუმი იქცა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად ამიერკავკასიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1902 წლის 9 მარტის ბათუმის ამბები, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ ევროპაშიც (გამოსვლას ხელმძღვანელობდა იოსებ ჯუღაშვილი).



ფართო გაქანება მიიღო რევოლუციურმა გამოსვლებმა ბათუმსა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში. ბათუმის მუშათა გამოსვლების შეუპოვრობით დაშინებული ბევრი უცხოელი მეწარმე ბათუმს გაეცალა და თავისი საწარმოები სხვა ქვეყნებში გაიტანა; ამის გამო ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ — ნიკო ნიკოლაძემ თქვა, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატიამ მოკლა ის ქათამი, რომელიც ბათუმის მუშებისათვის ოქროს კვერცხს დებდაო.

მეტად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა სამუსლიმანო საქართველოს და, კერძოდ, აჭარისათვის პირველი მსოფლიო ომის დროს აქ განვითარებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქის გუბერნატორი 1914 წლის 12 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა: ,,საეჭვოდ მიმაჩნია ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსახლეობა ომის შემთხვევაში მტრის მხარეზე აღმოჩნდება... ჩემმა მოგზაურობამ ამაში დამარწმუნა“, რუსეთის ცარიზმმა, უმთავრესად თურქეთიდან ლტოლვილ სომეხთა ერთი ნაწილის მიზანმიმართული პროვოკაციული დასმენების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მოღალატეებად გამოაცხადა, რამაც ქართველი საზოგადოების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

აჭარის მოსახლეობის ღალატში ეჭვის შეტანა ყოვლად უსაფუძვლო და დანაშაულებრივი იყო, რაც სულ მალე რუსეთის სახელმწიფოს დიდმოხელეებმაც აღიარეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის ტერიტორიაზე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ეგიდით შექმნილ „ქართულ ლეგიონში“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძოდა (ამისთვის გერმანიის ბლოკთან სათანადო ხელშეკრულებაც ჰქონდა გაფორმებული), აჭარაში საბრძოლო მოქმედების გაჩაღებისთანავე, აღნიშნული კომიტეტის მოწოდებით, ჩაეწერა ამ კუთხის ათობით პატრიოტი. ესენია: ზია აბაშიძე, მემედ, ოსმან და ყადირ თავდგირიძეები, სულეიმან ირემაძე, ფეიზულ სურმანიძე, შუქრი ხალვაში, ოსმან გვარიშვილი და სხვა.

ქართველ მუსლიმანთა დასაცავად დაირაზმა მთელი ქართველი საზოგადოება. IV სათათბიროს დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა პირადად რამდენიმეჯერ მოიარა მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და 1916 წლის 14 თებერვალს, რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — დუმაში, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა თანამოძმეთა დასაცავად და თავად რუსეთის ხელისუფლებას დასდო ბრალი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში, უნდობლობა გამოუცხადა მას და მოითხოვა მისი გადადგომა, „რომ ხალხმა თვითონ აიღოს ხელში ქვეყნის მართვა და თავად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი“. მთავრობის აღნიშნული ქმედებანი დაგმო დეპუტატმა კარლო ჩხეიძემაც.

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვით, აგრეთვე, არჩილ აბაშიძეს, სტეფანე ქემხაძეს. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების

ინიციატივით, აჭარელ ბრალდებულთ იცავდნენ ცნობილი იურისტები: მ. ფაღავა, ი. მაჭავარიანი, ა. საყვარელიძე, ა. მუატი, გ. ანჯაფარიძე და გ. სახნოვსკი; ნაფიცი ვექილები თბილისიდან: ს. მესხიშვილი, ო. ბარათაშვილი, პ. გედევანიშვილი, ნ. ქარცივაძე, გ. ანდრეევი. სასამართლო პროცესს სისტემატურად აშუქებდა ქართული პრესა.

უსამართლოდ დასჯილ თანამემამულეთა დახსნაში აქტიურობდა ქართველი სამღვდელოებაც, რომლის ინიციატივითაც არა მარტო შემოწირულობები გროვდებოდა, არამედ 1915 წელს თებერვალში, მოხერხდა საქართველოს რუსი ეგზარხოსის პიტირიმის ბათუმში ჩამოყვანა და მასთან აჭარელთა დეპუტაციის შეხვედრა, რამაც გარკვეული როლი შეასრულა „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდების მოხსნაში.

აჭარაში სპეციფიკური პირობები შეიქმნა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. აქ ისე სწრაფად გაიზარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომ 1917 წლის სექტემბრისათვის მის წევრთა რაოდენობამ 8 ათასს მიაღწია. 1917 წლის ივნისში ბათუმელი ბოლშევიკები გამოეყვნენ მენშევიკებს და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე განსაკუთრებული ეტაპი იყო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა 1917 წლის ნოემბერში, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო და მასთან შექმნა სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექცია; მასში თანამშრომლობდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ვეშაპელი, პართენ გოთუა და სხვები.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტის საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლით, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები თვითგამორკვევის საფუძველზე შეიძლებოდა ოსმალეთის ფარგლებში მოქცეულიყო, რითაც დაუყოვნებლივ სცადა ოსმალეთმა სარგებლობა და დაიწყო აშკარა ინტერვენცია ქართული მიწების მიტაცების მიზნით.

ჯერ კიდევ 1918 წლის 12 თებერვალს ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და განაახლა სამხედრო მოქმედებანი ამიერკავკასიაში, რამაც ამიერკავკასიის სეიმი აიძულა, დამოუკიდებლად ეწარმოებინა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. აღნიშნული მოლაპარაკება დაიწყო 1918 წლის 14 მარტს, მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტის ზავის პირობების არცნობის შემდეგ, ოსმალები აშკარა აგრესიაზე გადავიდნენ და აპრილის დასაწყისში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები. 14 აპრილს დაიკავეს ბათუმი, შემდეგ კი მოახდინეს მთელი ოლქის ოკუპაცია ოზურგეთამდე. 14 აპრილს ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონი დატოვა. საზავო მოლაპარაკების ახალი რაუნდი ბათუმში 1918 წლის 11 მაისიდან 4 ივნისამდე გაგრძელდა. ბათუმის კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ხოლო 4 ივნისს ოსმალეთთან გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც (13 მუხლი), ოსმალეთის ხელში, გარდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისა, გადადიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ამასთან, მას შეუფერხებლად უნდა ესარგებლა ამიერკავკასიის რკინიგზით. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1918 წლის ნოემბრამდე, როცა ანტანტის გამარჯვების გამო ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა და იგი ბათუმის ოლქში ბრიტანეთის ოკუპაციამ შეცვალა.

ჯერ კიდევ ოსმალების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში, მისი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების მიზნით, 1818 წლის მაისში, თბილისში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც მემედ აბაშიძე ჩაუდგა სათავეში.

მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების, მათ შორის, აჭარის ბათუმითურთ დაბრუნებას, მაგრამ მისი ეს ვარაუდი არ გამართლდა, რადგან დიდი ბრიტანეთი ანგარიშს უწევდა ამ რეგიონზე რუსეთის პრეტენზიებს, ხოლო გარკვეულ დრომდე თვითონ განაგრძობდა ბათუმის ოლქის ოკუპაციას. აქ მან მხარის მმართველობისათვის შექმნა „რუსული ნაციონალური საბჭო“ 9 კაცის შემადგენლობით კადეტ მასლოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰქონდა საკუთარი გაზეთი „ნაშ კრაი“. აღნიშნულ საბჭოში შედიოდა ორი რუსი, ორი ქართველი ქრისტიანი და თითო-თითო ქართველი მაჰმადიანი, ბერძენი, პოლონელი, ებრაელი და სომეხი. მხარის ფაქტობრივ გამგებელს კი ინგლისელი სამხედრო გუბერნატორი კუკ-კოლისი წარმოადგენდა.

ბრიტანული ოკუპაციის პერიოდში ქართული სახელმწიფოს გარშემო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციების გაერთიანება შეაფერხა სომხეთ-საქართველოს ომმა და ყარსში ე. წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის შექმნამ. სომხეთიცა და „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობაც“ ცდილობდა ესარგებლა მომენტით და დაუფლებოდა ბათუმს აჭარითურთ, რითაც მოიპოვებდა გასასვლელს შავ ზღვაზე. აჭარასა და ბათუმს, მათ გარდა, სხვებიც წაეპოტინნენ და იმ დროს მეტად პოპულარული მხარისათვის ავტონომიის მინიჭების შეპირებით ცდილობდნენ აქ თავიანთი გავლენის განმტკიცებას, რასაც დაუპირისპირდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ პატრიოტი მამულიშვილები: მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე, იუსუფ ქათამაძე, ქემალ ნოღაიდელი და სხვები. ორგანიზაციას გააჩნდა საკუთარი გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“. მათ აჭარის და საერთოდ, სამუსლიმანო საქართველოს სამშობლოს ფარგლებში დაბრუნების მიზნით შეიმუშავეს „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ (1919 წლის მაისი), რომლის საპროგრამო დებულებათა განხორციელების შედეგი იყო 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში ქართველ მუსლიმანთა პირველ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული რეგიონის „ამიერიდან და სამარადისოდ დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში დაბრუნების“ შესახებ.

მთელი ქართველი ხალხის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა ეცნო მისი კანონიერი უფლებები ბათუმსა და ბათუმის ოლქზე, 1920 წლის ზაფხულში აქედან ჯარები გაეყვანა და აჭარა ბათუმითურთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დაეთმო. 1920 წლის 7 ივლისს ბათუმში საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდა და აქ აღდგა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია. ამავე დღეს საგანგებო კომისართან ერთად ბათუმში ჩამოვიდნენ ცენტრალური უწყებების წარმომადგენლები და გადაიბარეს მათ დაქვემდებარებაში ასაყვანი ორგანიზაცია-დაწესებულებანი. ამ ამბებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჯერ კიდევ 1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე დიდ სახელმწიფოთა მეთაურებს წარუდგინა ვრცელი მემორანდუმი საქართველოს იურისდიქციის გავრცელების მოთხოვნით თბილისის, ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმის, ზაქათალის და ყარსის ოლქების და ტრაპიზონის ვილაიეთის გარკვეული ნაწილის ტერიტორიებზე. მართალია, ამის დე იურედ ცნობა გაჭიანურდა (1921 წლის იანვარი), მაგრამ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა საქართველო ამ საზღვრებში ცნო. ამ საზღვრებში აღიარა საქართველო ერთა ლიგამაც.

დაიწყო ბათუმის ოლქის სოფლების ადმინისტრაციული მოწყობა. პირველ რიგში შეიქმნა მილიციის უბნები. თურქეთთან სუსტად დაცული საზღვარი გზას უხსნიდა თურქული აგიტაციის წარმოებას, რაც აღვივებდა უკმაყოფილებას.

უკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის საკითხის მოუგვარებლობა. ამიტომ, მემედ აბაშიძის მეთაურობით, 1920 წლის 26 ივლისს თბილისში ჩავიდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დელეგაცია. დელეგაციას მიაჩნდა, რომ მთავრობის მიერ ავტონომიის გამოცხადების გადავადება ბათუმის ოლქის მოსახლეობაში აღიქმებოდა მასზე უარის თქმად, რაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ავტონომიის ლოზუნგით აქ მოქმედი ოსმალური, რუსული თუ აზერბაიჯანული ანტიქართული ძალების საქმიანობას.

1920 წლის 21 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ მდგომარეობის გასარკვევად ბათუმში მოავლინა თავისი წევრი პეტრე გელეიშვილი, რომელმაც აქ 12-დღიანი მუშაობის შემდეგ გააკეთა შემდეგი დასკვნა: „მთავრობას ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აქ სრულიად არაფერი გაუკეთებია... არც ერთი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაც გვყავდა, სულ ერთიანად მოგვიმდურებია“...

მდგომარეობის გამოსასწორებლად პ. გელეიშვილს აუცილებლად მიაჩნდა ეროვნულ-კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, „უვარგისი ჩინოვნიკების“ აქედან გაწვევა, სამსახურში ადგილობრივი ინტელიგენციის ჩაბმა და მათზე დაყრდნობა. ქართული პრესაც აკრიტიკებდა და მიუთითებდა მთავრობის ,,სოციალისტური ექსპერიმენტების“ უარყოფით როლზე ამ ახალშემოერთებულ რეგიონში.

ნოემბერ-დეკემბერში აჭარის სოფლებში გაიმართა სახალხო კრებები, რომლებმაც მთავრობას აღუთქვა თანადგომა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ არ მისცემდნენ ასპარეზს საქართველოს ერთიანობის მტრებს.

ასეთ ვითარებაში, 1921 წლის იანვარში, პრესაში გამოქვეყნდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მუხლები „ბათუმისა და მისი ოლქის ავტონომიის ფორმის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია, რომ „სამუსლიმანო საქართველო შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს ფართო ავტონომიური მართვა-გამგეობით“, რაც აისახა კიდეც 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლში.

დამოუკიდებლობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა – მალე საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო. 1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აჭარაშიც. იმავე წლის 16 ივლისის დეკრეტით კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. განვითარდა მრეწველობა. შეიქმნა ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, საკონსერვო, სამკერვალო და მრეწველობის სხვა დარგები. განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ბარის რაიონებში მოეწყო ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები. ჩამოყალიბდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. თავისი წვლილი შეიტანა აჭარამ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის განადგურებაშიც.

XX საუკუნის 80-იან წლებში სსრ კავშირში უაღრესად გამწვავდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინააღმდეგობები, რამაც გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და საბჭოთა კავშირის დაშლა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით სახელმწიფოს

სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი.

დამოუკიდებლობის პირველი წლები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. საქართველო სამოქალაქო ომმა და გარე ძალების მიერ მართულმა სეპარატისტულმა მოძრაობამ მოიცვა, რასაც ეთნოკონფლიქტები მოჰყვა. ამ ხანებში აჭარა, ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობით, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ცენტრისაგან და ნაკლებად იღებდა მონაწილეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში განხორციელდა ე.წ. ვარდების რევოლუცია, რასაც შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომა მოჰყვა. მოვლენათა ტალღამ აჭარაშიც შემოაღწია. 2004 წლის მაისში ადგილობრივი მთავრობის ლიდერმა ა. აბაშიძემ ძალაუფლება დაკარგა და ქვეყანა დატოვა.

დღეისათვის აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონია. მას გააჩნია საკმაო პოტენციალი სერიოზული კაპიტალის მისაზიდად და ბრუნვაში მოსაყვანად. მნიშვნელოვანია აქაური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიც.

2005 წლიდან ბათუმი შავი ზღვის ნამდვილ ტურისტულ ცენტრად იქცა. დაიწყო შემოსვლა და დამკვიდრება მსოფლიოში ცნობილი ისეთი ბრენდებისა, როგორებიცაა „შერატონი“, „ჰაიატი“, „რედისონი“ და „ჰილტონი“. აქტიურად წარიმართა ქალაქის ძველი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი. ვითარდება ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება. გაიზარდა ბათუმის ცნობილი ზღვისპირა პარკი, რომლის სიგრძეც ამჟამად უკვე 7 კმ-ია.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, რაიონები გადაკეთდა მუნიციპალიტეტებად.

აღსანიშნავია, რომ როგორც ზღვისპირა, ისე მაღალმთიან აჭარაში ხალხი მასობრივად ინათლება. ამან განაპირობა ის, რომ წმინდა სინოდის 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სხალთის ეპარქია, რომელშიც გაერთიანდა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები. 2008 წლის 10 ივნისს ეპარქიას ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელმაც ხიჭაურის ყოფილი სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაც მოინახულა. გადაწყდა, საპატრიარქოს პატრონაჟით, აქ ამოქმედებულიყო უმაღლესი სასწავლებელი. მალე, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი თანადგომითა და ხელშეწყობით, ხიჭაურის სასაზღვრო ბაზაზე გაიხსნა საპატრიარქოსთან არსებული, ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი დღეს ქართული სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრად არის ქცეული შიდამთიან აჭარაში. ეს რეგიონისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

2009 წლიდან დაიწყო ძველი ბათუმის რეაბილიტაციის პროექტი. რეაბილიტირებულ იქნა მრავალი ისტორიული შენობა და ქუჩა. ისტორიული წინსვლა და აღმშენებლობა რეგიონში სამომავლოდაც გაგრძელდება.

ქალაქი ბათუმი და მისი ღირსშესანიშნაობები
ბათუმის უძველესი დასახლებები

მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, ბათუმის ციხის მიდამოებში, პირველი დასახლება ძვ. წ. II ათასწლეულში გაჩენილა. ამავე პერიოდში ათვისებული ჩანს ბათუმის გორას მიმდებარე სხვა სოფლებიც – განთიადი, ურეხი, მახვილაური და ა.შ. სულ მალე ბათუმი ამ რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა,

რომ პირველ ხანებში გორასამოსახლოზე უცხოვრიათ თიხით შელესილ ხის ნაგებობებში. ბორცვს გარს უვლიდა ხისმესრიანი დამცველი თხრილი.

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა და ხელოსნური წარმოება. გავრცელებული ჩანს ხარისა და ცხვრის კულტი.

ძველი ბათუმის მოსახლეობა ადრეული ეპოქიდან ებმება საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში. აქ მოპოვებული იონური და ეგეოსის ზღვის კუნძულების სახელოსნო ცენტრების ნაწარმის ერთი ნაწილი ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დამდეგს მიეკუთვნება. კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეული თეთრანგორებიანი ქიოსური ამფორები ჯერჯერობით მხოლოდ ბათუმის ციხეზეა დადასტურებული. მკვლევართა (დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე) აზრით, ბათუმის მიდამოები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმოადგენდა კოლხებისა და ბერძენი მოახალშენეების პირველი შეხვედრების ადგილს, რომელსაც დასაწყისში მშვიდობიანი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. მომდევნო ეპოქებში გორასამოსახლო ადგილობრივი დასახლების სტატუსს ინარჩუნებდა და ძვ. წ. VI საუკუნიდან მას განსაკუთრებული აღმავლობა ემჩნევა. ელინურ სამყაროსთან რეგულარული კონტაქტების დამყარებამ ხელი შეუწყო ზოგიერთი ხელოსნური დარგის გაფართოებასა და სასაქონლო წარმოების ზრდას. ბათუმის დასახლება იქცა ურბანიზებულ სამოსახლოდ, რომლის საშუალებითაც ძვ. წ. VI საუკუნეში ხორციელდება კონტაქტები ანტიკური სამყაროს სხვადასხვა საწარმოო ცენტრთან (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი, საბერძნეთის იონური ცენტრები და ა.შ.).

ადრეელინისტური ხანისათვის გაუკეთებიათ ბორცვის თხემის ნიველირება. ახალ შენობათა ერთი ნაწილი ქვისაგან უნდა ყოფილიყო ნაგები; გამოიყენებოდა კრამიტიც. როგორც ჩანს, გვიანანტიკურსა და შუა საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთზე სამოსახლო ფართოვდებოდა, მისი საზღვრები მიიწევდა სამხრეთისკენ.

ბათუმის თანამედროვე რელიეფის საბოლოო ფორმირებამ და მოხერხებული ნავმისადგომის წარმოქმნამ ხელი შეუწყო ახალი დასახლებების გაჩენას საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან ბათუს-სებასტოპოლისის (ციხისძირი) უბანზე გავლით დიოსკურია-სებასტოპოლისაკენ (სოხუმი) მიემართებოდა. იგი რომის სახელმწიფოს აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. ჯერ რომაელებს, ხოლო შემდეგ ბიზანტიელებს ამ გზით გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული. ამავე გზას უკავშირდებოდა აგრეთვე ინდოეთიდან მომავალი კასპიის ზღვა-მტკვარ-რიონის საქარავნო-სანაოსნო არტერიაც, რომელზეც დიდი სავაჭრო მიმოსვლა წარმოებდა. ამ გზებს, თავიანთი მნიშვნელობის გამო, უნდა დაეჩქარებინა ქალაქ ბათუმის განვითარება. მართალია, ეს გზა უშუალოდ ბათუმზე არ გადიოდა, მაგრამ ეკონომიკურად ხელსაყრელ რაიონში მდებარეობას გავლენა უნდა მოეხდინა მის ფორმირებაზე. ამის მიუხედავად, ბათუმი მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მაინც ვერ განვითარდა. მოგვიანებით თბილისი-ახალციხე-ბათუმზე გადიოდა სავაჭრო არტერია, რომელსაც უერთდებოდა სომხეთიდან და არტანუჯიდან მომავალი გზები. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში

მრავალჯერაა მოხსენიებული. აქვეა დასახლებული პუნქტები, ფონეტიკურად ახლოს მდგომი თანამედროვე ბათუმის სახელთან, მაგრამ მათი ლოკალიზაცია დღესაც დაუდგენელია.

ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, ბათუმის შესახებ უძველესი ცნობა არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) უნდა ეკუთვნოდეს. მასთან მოხსენიებული „ბათეა“ (ბერძნულად — „სიღრმეები“) მეცნიერს ბათუმის აღმნიშვნელად მიაჩნია. ბათუმი, როგორც ქალაქი, უკვე ძვ. წ. 400 წელს რომ იყო ცნობილი, თავის დროზე ჟან მურიეც მიუთითებდა.

ბათუმს იხსენიებს პლინიუსიც (23-79 წწ.) „ბატა“ — „მატიუმის” ფორმებით. მასთან ციხე-ქალაქ აფსაროსისა (გონიო) და მდ. აფსაროსის (ჭოროხის) შემდეგ, სადღაც ახლოს, დასახელებულია მდ. ბატა. იქვე მოიხსენიება ქალაქი მატიუმიც. ამ პუნქტის ზუსტი ლოკალიზაცია ჯერ არ მოუხდენიათ, მხოლოდ არის ცდა მისი კლავდიოს პტოლემაიოსის „მადიასთან” გაიგივებისა.

მეორე რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე — არიანე, რომელმაც პლინიუსის მსგავსად, კოლხეთისა და ქართლის სანაპიროები მოიარა, აფსარუნტს გარდა არც ერთ დასახლებულ პუნქტს არ ასახელებს აჭარის ტერიტორიაზე. მასთან მოიხსენიება მდინარე, სახელით ბათისი (ყოროლისწყალი), რომელიც ფონეტიკურად ახლოს დგას ბათუმის თანამედროვე სახელთან. შესაძლებელია, არიანე იმიტომ არ დაინტერესდა ბათუმით, რომ იქ მაშინ რომაელთა სამხედრო გარნიზონი არ იდგა.

რომაულ საგზაო რუკაზე, ე.წ. ტაბულა პევტინგერიაზე (IV ს.), დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას, დატანილია გეოგრაფიული პუნქტი „პორტუს ალტუს“. ანტიკური წყაროების ანალიზის საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი ასკვნიდა, რომ მსოფლიო რუკაზე ბათუმის შეტანა ნიშნავდა, რომ იმ დროს, II საუკუნეში, იგი მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავსადგური იყო.

პასქალურ ქრონიკაში (VII ს.) მოხსენიებულია „მეგალე პოლისი“ („დიდი ქალაქი“). მას ს. ყაუხჩიშვილი ბათუმთან აიგივებს, ი. სიხარულიძე და დ. ხახუტაიშვილი კი აფსაროსთან (გონიო).

სახელწოდება „ბათუმის“ წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე შეხედულება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ტერმინში „ბათ“ ძირი უკავშირდება ფრინველის სახელს – ბატი, მეორენი – ფლორონიმის სახელს – ბათურა, მესამენი – ჭაობიან ადგილს. გვაქვს განსხვავებული შეხედულებებიც: ტერმინში გამოყოფილი „ბა“ ისეთივე პრეფიქსი უნდა იყოს, როგორიც არსებობს ძველქართულ სიტყვებში – ბალღი, ბავშვი და ა.შ., ხოლო „თომი“ უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას ტომბა, ტობა; ან კიდევ, შესაძლებელია „ბათ“ ძირი იყოს სვანური წარმომავლობის და ნიშნავდეს ქვას. ასევე არის შეხედულება, რომ ბათ//ბატა ადამიანის საკუთარი სახელია (სიტყვა მეგრულია და ქართულად ნიშნავს „ნაზი“), რასაც თითქოს აჭარაში შემონახული თქმულებაც უნდა ამაგრებდეს. ამ გადმოცემის მიხედვით ქალაქი დაუარსებია ვინმე ბათუ//ბატას.

ფეოდალურ საქართველოში ბათუმის ნავსადგურის როლისა და მნიშვნელობის შესახებ

წყაროები ძალზე ძუნწია, თუმცა ამ მხრივ იგი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს. საერთოდ, შავიზღვისპირა ქართული ქალაქების შესახებ ცნობები მცირეა. საშუალო საუკუნეებში შავიზღვისპირა ქალაქების აღწერილობის შემცველი ცნობების უქონლობა ან ნაკლებობა არავითარ უფლებას არ იძლევა მათი არსებობის შესახებ უარყოფითი დასკვნების გამოსატანად.

მრავალრიცხოვანი საბუთებიდან ჩანს, რომ ფეოდალურ საქართველოს (განსაკუთრებით, XI-XIII საუკუნეებში) უაღრესად დიდი, იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველებული ჩანს ირანთან, ინდოეთთან, შუა აზიის ქვეყნებთან (განსაკუთრებით, ხვარაზმთან), რუსეთთან, ბიზანტიასთან და საერთოდ, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან.

ფეოდალური საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, ცხადია, საზღვაო ტრანსპორტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა, რომელი უნდა ყოფილიყო ის მნიშვნელოვანი ნავსადგური, რომელიც XII-XIII საუკუნეების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი, ეკონომიკურად დაწინაურებული და მეურნეობის თვალსაზრისით მრავალდარგოვან საქართველოს სახელმწიფოს ექსპორტისა და იმპორტის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა?

XII-XIII საუკუნეების საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური შავ ზღვაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ბათუმი. მხოლოდ ბათუმს გააჩნდა ისეთი ყურე, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ სავაჭრო გზაჯვარედინზე იყო და იგი საუცხოო ბუნებრივ ნავსადგურს წარმოადგენდა გემებისათვის.

XIV საუკუნის შუა წლებში ბათუმი ქვეყნის საერთოეკონომიკურ დაცემასთან დაკავშირებით დაკნინებული ჩანს, მაგრამ მაინც ისეთი პუნქტია, რომ დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად აქ ერთმანეთს ხვდებიან მეფეები და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. ბიზანტიელი ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი მოგვითხრობს, რომ 1372 წელს ბაგრატ მეფის სანახავად ტრაპიზონის მეფე ლაზიკაში მისულა. აქ მას მოლაპარაკება ჰქონია გურიელთან, რომელიც აქვე კეისართან მოსულა თაყვანსაცემად.

ბათუმის შესახებ ახალი ცნობები ეკუთვნით ვენეციელ დესპანებს იოსიფა ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის, რომლებმაც ბათუმი 1470-1475 წლებში მოინახულეს. მათი სიტყვით, ბათუმი (ვატი) მაშინ პატარა ციხე-ქალაქი ყოფილა, რომელიც გორბოლას (ყუარყვარე – სამცხის ათაბაგი) ჰკუთვნებია. მასვე ჰქონია კიდევ ერთი ქალაქი ქალტიხეა (ციხისძირი ან ქობულეთი) შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც აბრეშუმით, ტილოს ქსოვილით, თაფლითა და სხვა საქონლით ვაჭრობდნენ.

დაახლოებით ამავე პერიოდში (1420-1426 წწ.) ბათუმში ყოფილა გერმანელი იოჰან შილტბერგერი. იგი მოგვითხრობს, რომ ბათუმის მოსახლეობა ქრისტიანობის მიმდევარია, ლაპარაკობს განსაკუთრებულ ენაზე და არის

მებრძოლი ხალხი. აქედან ხომალდები მიცურავენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნისაკენ, მათ შორის, იტალიისა და ბიზანტიის მიმართულებით. შავ ზღვას ფლობენ თურქები. საერთოდ, ბათუმი ხშირადაა მოხსენიებული ამავე პერიოდის (XIV-XV საუკუნეები) იტალიურ რუკებზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ პერიოდში აღნიშნული ქალაქი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგური და ერთ-ერთი ცნობილი სავაჭრო ცენტრი იყო საქართველოში და, საერთოდ, შავ ზღვაზე; იგი მოიხსენიება ვესკონტესთან, ბენიკაზასთან, პიციგანისთან, ანკონელისთან, ლუქსორო-სთან, ხანკონდილესთან და სხვებთან შემდეგი სახელებით — ვატი, ვარუ, ლოვარ, ლოვატი და ა.შ.

ამრიგად, XIV-XV საუკუნეებში ბათუმი პატარა ქალაქი და ნავსადგურია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოიშვა ქვეყნის ეკონომიკური დაცემის პერიოდში, როცა ხალხს თავის რჩენა უძნელდებოდა. ცხადია, ასეთი ვარაუდი არ იქნებოდა გონივრული.

მასალების გაცნობამ მკვლევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ XI-XIII საუკუნეებში საქართველოს ცხოვრებაში ბათუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც სავაჭრო ნავსაყუდელი და სატრანსპორტო პუნქტი. მომდევნო ეპოქაში მას განვითარება არ ღირსებია, პირიქით, თანდათან უფრო კნინდებოდა და ეცემოდა. ბოლოს იგი მეკობრეთა თავშესაფარი გახდა. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს ერთგვარ გამოცოცხლებას აქ ცხოვრება.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმი და მისი ნავსადგური ოსმალეთის სახელმწიფოს გავლენის სფეროშია მოქცეული. მათ 1547 წელს გონიოს ციხესიმაგრე განაახლეს, მაღალი გალავანი შემოარტყეს და შიგ სამხედრო გარნიზონი ჩააყენეს. აქედან მოყოლებული, სისტემატურად ახორციელებენ ბათუმზე თავდასხმებს. 1704 წელს ოსმალეთის სულთანმა ვეზირი ხასან-ფაშა გამოგზავნა ბათუმში ნავსადგურის სიახლოვეს, ბურუნ-თაბიეს კონცხთან, მძლავრი ციხესიმაგრის ასაგებად. აქ თურქთა 40 საბრძოლო ქვემეხი განალაგეს. მსგავსი ციხესიმაგრე აიგო მდინარე სარი-სუს, ანუ ყვითელი წყლის შესართავთან, ახლანდელი საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე, რომელსაც სარი-სუს სიმაგრე უწოდეს. ამ ორი ციხესიმაგრის აგების, ასევე, საზღვაო მიმოსვლისა და აღებმიცემობის ინტენსიური გაჩაღების შემდეგ, იწყება ქალაქის თანდათანობითი გადმონაცვლება მის ახლანდელ ტერიტორიაზე, რაც განაპირობა ბათუმის მოხერხებული და ღრმა ყურის არსებობამ, სადაც დიდი წყალწყვის გემების გაჩერების კარგი პირობები იყო. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ბათუმში დამპყრობლებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამ მხარის გამგებელი მუთესარიფია, რომლის კონტროლის ქვეშაა მოქცეული ბათუმის ნავსადგური. იგი აწესრიგებდა ვაჭრობის საქმესაც, რომელიც, უმთავრესად, უცხო სახელმწიფოთა ხელში იყო.

ბათუმისა და მისი ნავსადგურის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველო შეიერთა რუსეთმა. ეს უკანასკნელი იბრძოდა შავ ზღვაზე გაბატონებისათვის, რაშიც ბათუმის პორტის ადგილი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფოთს, ყულევსა და სოხუმს არ გააჩნდათ სათანადო ბუნებრივი მონაცემები. ბათუმის ნავსადგურის დიდ სავაჭრო ეკონომიკურ და სამხედრო მნიშვნელობას აღიარებდნენ რუსეთის მაღალი

თანამდებობის ოფიციალური პირებიც და მისი დაუფლებისათვის ენერგიული ბრძოლის გაჩაღებასაც მოითხოვდნენ. რუსეთ-საქართველოდან მოსალოდნელ საფრთხეს ითვალისწინებდა თურქეთის მთავრობა და მან ის როგორც ზღვიდან, აგრეთვე ხმელეთიდან ყოველმხრივ გაამაგრა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან „ახალი ბათომის“ მშენებლობა დაიწყო. ქალაქმშენებლობა გავრცელდა სამხრეთით და 70-იან წლებში დასრულდა ე.წ. აზიზიეს უბნის შექმნით.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების რუსეთის ხელში გადასვლით, აჭარა დედასაქართველოსთან დაბრუნდა. ბერლინის კონგრესის დადგენილებით, ბათუმი რუსეთის მფლობელობაში პორტო-ფრანკოს უფლებით შევიდა. იგი მსოფლიო სავაჭრო მიმოქცევაში ჩაება, რამაც განაპირობა მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მისი გადაქცევა. ბათუმის საპორტო მონაცემებს სათანადოდ აფასებდა რუსეთის კავკასიური ხელისუფლება, რომელმაც ოლქის შექმნის შესახებ 1878 წლის 20 სექტემბრის დებულების მეშვიდე მუხლით, ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს — ბათუმს ოფიციალურად მიაკუთვნა „ქალაქ-ნავსადგურის“ სტატუსი. ამის მიუხედავად, მას მაინც არ შეუქმნეს თვითმმართველობის ორგანო. შესაძლებელია, ეს იმიტომ, რომ მთავრობა აქ სამხედრო ციხესიმაგრის მშენებლობას გეგმავდა. ბათუმს განაგებდა პოლიცმეისტერი და მხოლოდ 1888 წელს, საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, დაფუძნდა აქ საქალაქო თვითმმართველობა. ამით საბოლოოდ დასრულდა ბათუმის, როგორც ქალაქის, ჩამოყალიბება.

ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებამ, რკინიგზით გარე სამყაროსთან დაკავშირებამ და ბაქო-ბათუმს შორის ნავთობსადენის ამოქმედებამ საგრძნობლად გაზარდა და გააფართოვა ქალაქის ტერიტორია. ბიძგი მიეცა ვაჭრობისა და კუსტარული მეურნეობის განვითარებას. შენდებოდა ბიბლიოთეკები, სკოლები, გიმნაზიები, ფაბრიკა-ქარხნები და ა.შ. 1881 წლიდან დაიწყო ნური-გელის ტბის მიდამოების ათვისება საქალაქო ბაღის მოწყობის მიზნით. 1884-1885 წლებში მიმდინარეობდა ნავსადგურის მშენებლობა. დაინერგა კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებები, კერძოდ, 1885 წლის პირველ აპრილს ბათუმში პირველი სატელეფონო ზარი გაისმა. თანდათანობით იზრდებოდა ბათუმის მოსახლეობაც. თუ 1872 წელს ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 3 000 კაცს, 1882 წლისათვის მათი რიცხვი 8 671-მდე გაიზარდა. პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ (1886 წ.) ბათუმი კიდევ უფრო განვითარდა. იგი გადაიქცა ბაქოს ნავთობის ექსპორტის მსხვილ ცენტრად. 1902 წელს აქ 22 სამრეწველო ფირმა და სავაჭრო დაწესებულება არსებობდა. XX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმი სამართლიანად ითვლებოდა მესამე ქალაქად ამიერკავკასიაში, ბაქოსა და თბილისის შემდეგ. მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც.

XIX საუკუნის ბოლო მესამედის ბათუმის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ქართველი და უცხოელი მკვლევრები და მოგზაურები, სამხედრო და პოლიტიკური

მოღვაწეები (ჯიფორდ პალგრევი, დ. ბაქრაძე, ალ. ფრენკელი, ს. მესხი, ნ. დაკიშევიჩი, ჟ. მურიე, ე. ერიქსონი, მ. დერჟავინი, ვ. ლისოვსკი, ნ. შავროვი, ნ. ვერუ და სხვ.). ისინი, მეტ-ნაკლები სიზუსტით, თითქმის ერთნაირად გვაცნობენ ამ პერიოდის ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.

ქალაქის ტერიტორიულმა გაფართოებამ, ბინათმშენებლობისა და ახალ საწარმოთა ინტენსიურმა განვითარებამ აუცილებელი გახადა ქ. ბათუმის ახლებურად დაგეგმარება.

ბათუმის განაშენიანება

1863 წელს, სულთან აბდულ-აზიზის მმართველობის დროს, გაიცა ფირმანი, რომლის მიხედვით, ტრაპიზონის ვილაიეთის ვალის ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქი უნდა აეშენებინა, რომელიც ლაზისტანის საფაშოს ცენტრი გახდებოდა.

გეგმა ითვალისწინებდა ქუჩების დაგეგმარებას გეომეტრიული წესით და დადგენილი სიფართოვით. ქალაქი უბნებად უნდა დაყოფილიყო, რომლის ცენტრში მეჩეთი უნდა აგებულიყო. 1860-იანი წლების ბოლოსთვის ახალი ქალაქის მშენებლობა ძირითადად დასრულებული იყო. ქალაქი ხუთ უბნად გაიყო – აზიზიე, ცენტრში სულთან აზიზის სახელობის მეჩეთით (მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი რუსთაველის, გორგასლის და კ. გამსახურდიას ქუჩებს შორის და წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ უბანს); ახმედიე, ცენტრში ახმედ ხიმშიაშვილის მიერ აგებული მეჩეთი, დღევანდელი ორთაჯამე (მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი ვახტანგ გორგასლის, კ. გამსახურდიას და ილია ჭავჭავაძის ქუჩებს შორის, თბილისის მოედანსა და ყოფილი ცენტრალურ ბაზარს შორის უბნებს); მუფთიე, იგივე ლიმან მეჰელე, ცენტრში რომელიღაც მუფთის სახელობის მეჩეთით (მდებარებოდა ყურის სამხრეთით და მოიცავდა იაკო გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის ქუჩებს შორის ტერიტორიას); ნურიე (მოიცავდა ტერიტორიას ნ.ბარათაშვილის ქუჩიდან ნურიეს ტბის მიდამოების ჩათვლით); სარი-სუს უბანი (რუსეთის იმპერიის პერიოდიდან გოროდოკი, მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ბარცხანას სამხრეთით, რომელსაც ესაზღვრებოდა მუფთიეს უბანი, ხოლო სამხრეთით გაუვალი ჭაობები). 1864-1866 წლებში კონცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ოსმალებმა ააგეს ქვის, ზარბაზნებით გამაგრებული სიმაგრე „ბურუნ თაბიე“.

ქალაქში ძირითადად ორსართულიანი სახლები იყო გაშენებული, სადაც ლაზისტანის საფაშოს გუბერნატორის რეზიდენცია, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულებები იყო განლაგებული. ქალაქში არსებობდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია, სომხურ-კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიები. ცენტრალური ბაზარი თანამედროვე გოგებაშვილის, მაზნიაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებს შორის მდებარეობდა.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის მიხედვით,

როგორც ავღნიშნეთ, ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა პორტო-ფრანკოს, ანუ თავისუფალი სავაჭრო პორტის სადა ქალაქის სტატუსით. 1886 წლამდე ქალაქი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა (შემდგომში ის ბათუმის ოკრუგის ნაწილია), საკუთარი ბიუჯეტით და პოლიცმეისტერის ხელმძღვანელობით. 1888 წლიდან ბათუმში საქალაქო მმართველობა შემოდის, რომლის არჩევნებიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. 1880-იანი წლებიდან ბათუმი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ამ პერიოდში ქალაქის მნიშვნელობას ძირითადად პორტი განაპირობებდა, მაგრამ მისი მოუწესრიგებლობა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს. ამიტომ, 1878 წლიდან პორტის გაფართოებისა და მოწესრიგებისათვის სამუშაოები დაიწყო. 1879 წელს დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის, განკარგულებით შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც 1885 წელს გზათა სამინისტროს მიერ შედგენილი პროექტი დაამტკიცა. პროექტი კონტრადმირალ ა. გრევეს ადრეულ პროექტს ეყრდნობოდა. საპროექტო სამუშაოები 1885 წელს დაიწყო და 1889 წლისათვის გაკეთდა ნავთობის ნავსადგური ჩამოსასხმელი ხაზებით, სანაპირო კედელი, შუქურა. 1893 წელს ნავსადგური კვლავ გააფართოეს და დამატებით მზად იყო ნავსადგურები, ნავმისადგომები, ზვირთსაქცევი. ამის შემდეგ, პორტის დატვირთვის გამო, მისი გაფართოება ეტაპობრივად მიმდინარეობდა – ემატებოდა ნაწილები, უმჯობესდებოდა ინფრასტრუქტურა. ნავთობის ექსპორტი ბათუმის პორტის ძირითად მიმართულებად იქცა.

ბათუმის განვითარებას ხელი შეუწყო რკინიგზამ. 1878 წლიდან უკვე არსებულ თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზზე ბათუმის მიმართულებით ხაზის გაყვანის სამუშაოები დაიწყო. შესაბამისი პროექტი (სამტრედია-ბათუმის ხაზი) 1880 წელს დამტკიცდა, ხოლო მშენებლობა 1883 წელს დასრულდა. რკინიგზის ტვირთბრუნვაში დიდი იყო ნავთობის წილი.

ქალაქის აქტიურმა ზრდამ ძველი დაგეგმარებისა და საზღვრების ცვლილების საჭიროება გამოიწვია. პირველი გეგმა, რომელიც ქალაქის უბნების, საზღვრების და ნაწილების ცვლილებას ითვალისწინებდა, 1878 წლის ინსტრუმენტალურად გადაღებული საყრდენი გეგმა იყო (სამხრეთით და დასავლეთით განვითარება, ტბის ამოშრობა, სასაფლაოების გადატანა, სამხედრო ზონის გამოყოფა და ა.შ.). 1887-1893 წლებში დაკიშევიჩის გეგმის მიხედვით ხდება ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით განვითარება, ფართობის ზრდა, ქალაქის ინფრასტრუქტურისა და იერსახის გაუმჯობესება. ამ პერიოდში ბათუმის საზღვრები პორტო-ფრანკოს საზღვრებში მოიაზრებოდა. შემდგომ ეტაპს წარმოადგენს უზენაესად დამტკიცებული 1898-1899 წლების ბათუმის ოლქის საპორტო ქალაქ ბათუმის მდებარეობის საპროექტო გეგმა (1902 წლის 14 იანვარი), სადაც მითითებული იყო ბათუმის ნავთობის უბნის საზღვრები. იგი დეტალურად აღწერდა ბათუმში არსებულ ვითარებას. ამ პერიოდში ბათუმის საზღვრებს წარმოადგენდა მდინარე ბარცხანა, მთისძირის სამხედრო შოსე (დღევანდელი მთისძირის ქუჩა) და მდინარე მეჯინა. ქალაქის დაგეგმარებაში მნიშვნელობა ენიჭება სადრენაჟო არხებს (ჟილინსკის არხი, პავლეს არხი და სხვა), სარკინიგზო ინფრასტრუქტურას და სამხედრო უწყების ინტერესებს. ახალი გეგმა ასევე ითვალისწინებდა ქალაქის განაშენიანებას ოთხკუთხა, გეომეტრიულად მოწყობილი კვარტალების მიხედვით. საზოგადოებრივ ფუნქციას ნიკოლოზის ბულვარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ემსახურებოდა (ბუფეტ-რესტორნები, მუსიკალური როტონდა, სამკითხველო, ველოტრეკი, კორტები და სხვა).

ბათუმის ქალაქგანვითარება საბჭოთა კავშირის პერიოდში შესაბამისი გეგმების ფარგლებში ხდებოდა, თუმცა მათ ახასიათებდა ადგილობრივი პირობების, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფა. ბათუმის განვითარების პირველი საბჭოური გეგმა 1927 წელს შემუშავდა ინჟინერ დ. სვიშჩევსკის ხელმძღვანელობით, რომელიც ქალაქის შემდგომი 25-წლიანი განვითარების ასპექტებს ითვალისწინებდა. ქალაქის განვითარება მოსახლეობის 150.000-მდე და ფართობის 700 ჰა-მდე გაზრდას ითვალისწინებდა (ბორცვებისა და მდინარეების ბარცხანა-მეჯინისწყლის ხეობების ათვისებას). გეგმა ქალაქში მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებდა. პროექტი რამდენიმე წლის შემდეგ შეჩერდა. 1933 წელს ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების 15-წლიანი სოციალისტური გეგმის მომზადება დაიწყო. გეგმა ქალაქის ზრდას ითვალისწინებდა 100.000 მოსახლემდე და ფართობის ცვლილებას სამხრეთ-დასავლეთით 1.835 ჰა-მდე. პროექტი ითვალისწინებდა ცვლილებებს დასვენებისა და რეკრეაციის მიმართულებით, ძველი ქალაქის და არსებული დასახლების მხრივ. გეგმის კორექტირება 1935 წელს შეწყდა და 1938 წელს შემუშავდა მოკრძალებული გეგმა, რომელიც ბულვარის გაფართოებას და განსახლების ახალ მიდგომებს ითვალისწინებდა. ამ პროექტზე დაყრდნობით 1947 წელს ქალაქის ახალი გენერალური გეგმა შემუშავდა. შემდგომი ცვლილებები 1978 წლის საქქალაქმშენსახპროექტში დამუშავებული ქალაქის ცენტრის დაგეგმარების პროექტის ფარგლებში ხდებოდა. ის ქალაქის ცენტრის გამოყოფას და განვითარებას გულისხმობდა.

1990-იანი წლებიდან ქალაქში ცვლილებები ძირითადად ეხება ძველი შენობებისა და უბნების რეკონსტრუქციას. ამ წლებში ქალაქში გადაკეთდა ან განადგურდა ძველი შენობების ნაწილი (ბურუნ-თაბიე, სამხედრო ჰოსპიტალი და ა.შ.). ქალაქში შეიცვალა ბულვარის მიმდებარე ტერიტორია.

2004 წლის შემდეგ ქალაქის განვითარებამ და მეზობელი მუნიციპალიტეტების ცალკეული მჭიდრო დასახლებების ბათუმთან სიახლოვემ, მათი შემდგომი და სწრაფი განვითარების მიზნით, ქალაქის ტერიტორიაზე მიერთების იდეა წარმოშვა. ქალაქის საზღვრები რამდენჯერმე შეიცვალა. თუ 2009 წლამდე ქალაქის ფართობი 19,5 კვკმ-ს შეადგენდა, 2011 წელს ის 25 კვკმ-მდე გაიზარდა. ქალაქის საზღვრების ბოლო ცლილება, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე, საქართველოს პარლამენტისათვის მიმართვის საფუძველზე მოხდა, რასაც ბათუმისათვის ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების ნაწილის მიერთება მოჰყვა. ქალაქის ფართობმა 2011 წლის ივლისიდან 64,94 კვკმ შეადგინა. ბათუმის შემადგენლობაში შედის მერიის 13 ტერიტორიული ორგანო: აეროპორტის, კახაბრის, სამრეწველო, გონიო-კვარიათის, მწვანე კონცხის, ძველი ბათუმის, რუსთაველის, აღმაშენებლის, ჯავახიშვილის, თამარის, ბაგრატიონის, ხიმშიაშვილის, ბონი-გოროდოკის უბნები.

თეატრები

ქალაქში კულტურული ცხოვრება ბათუმის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა. პირველი წარმოდგენა 1879 წლის 20 ივლისს გაიმართა. ეს იყო ზ. ანტონოვის „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ თეატრის შენობა თავდაპირველად 1881 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე (დღევანდელი გამსახურდიას ქუჩა) გაიხსნა და გათვლილი იყო 400 მაყურებელზე. შემდეგ წლებში მან რამდენჯერმე შეიცვალა მისამართი. 1916 წელს არქიტექტორმა

შმაევსკიმ ააგო თეატრის ახალი შენობა (ყოფილი ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი, რომელიც 1989 წელს დაანგრიეს).

საბჭოთა პერიოდში თეატრალური დასი 1921 წელს შეიქმნა. მალე მას აკადემიური თეატრი ეწოდა. 1929-1931 წლებში ბათუმელი მაყურებლის მომსახურება თავის თავზე აიღო ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა, რომელიც „ქუთაის-ბათუმის" თეატრის სახელით იხსენიებოდა. 1937 წლის გაზაფხულზე ბათუმში დაბრუნდა რუსთაველის თეატრის სტუდიაში სპეციალურად მომზადებული 22 ახალგაზრდა. სწორედ მათი ძალებით ჩამოყალიბდა ახალი შემოქმედებითი კოლექტივი — ბათუმის სახელმწიფო თეატრი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

რაც შეეხება თოჯინების თეატრს, ის პირველად 1936 წელს გაიხსნა, შემდეგ რამდენ-ჯერმე დაიხურა. ბოლოს 1980 წელს აღადგინეს და დღემდე მოქმედებს.

2011 წლის მონაცემებით, ქალაქს ემსახურება 3 თეატრი და 4 საკონცერტო-სანახაობითი დაწესებულება, რომელთა შორის გამორჩეულია ბათუმის ხელოვნების ცენტრი. 2009-2011 წლებში თეატრებში მაყურებელთა საშუალო რაოდენობა 18 000-ზე მეტი იყო.

მუზეუმები

პირველი მუზეუმი ბათუმში 1908 წლის 19 მარტს გაიხსნა. ეს იყო საქალაქო სასწავლებელთან არსებული საბავშვო მუზეუმი, რომელიც 1912 წლის 15 ოქტომბრიდან საქალაქო მუზეუმად, ხოლო 1925 წლიდან მხარეთმცოდნეობის მუზეუმად იწოდებოდა. 1994 წლის პირველ მარტს შეიქმნა აჭარის სამუზეუმო გაერთიანება, ხოლო 2011 წლისათვის ბათუმში 6 სამუზეუმო ორგანიზაცია მოქმედებდა — ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი (4 ფილიალი), გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და აჭარის ხელოვნების მუზეუმი.

კულტურული მემკვიდრეობა

დღევანდელი აჭარა საქართველოს იმ ვრცელ ისტორიულ-კულტურულ არეალს მიეკუთვნება, რომელიც XIV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს სახელწოდებითაა

ცნობილი. მთელი ეს მხარე — მესხეთი ანუ ზემო ქართლი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში და ქართულ განათლება-ხელოვნებაში, რასაც დღემდე შემორჩენილი ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა მოწმობს. XVI საუკუნიდან მხარე ოსმალურ მმართველობაში გადადის, რამაც გავლენა მოახდინა აქ არსებულ მატერიალურ კულტურაზე.

დღეისათვის აჭარაში სულ დარეგისტრირებულია კულტურული მემკვიდრეობის 223 ძეგლი, ამათგან 142 ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზეა.

დელფინარიუმი

ბათუმის დელფინარიუმი საზეიმოდ გაიხსნა 1975 წელს. მაშინ ეს იყო პირველი სადემონსტრაციო დელფინარიუმი ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უდიდეს დელფინარიუმებს განეკუთვნებოდა. დელფინარიუმის არსებობა, სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, ქალაქს და მთლიანად რეგიონს ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველს ხდიდა. დელფინების წარმოდგენას, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გარდა, ბათუმში ამისათვის სპეციალურად ჩამოსული მსურველებიც ესწრებოდნენ. სწორედ ამ ობიექტის უსაზღვრო პოპულარობამ განაპირობა დელფინის ქალაქის სიმბოლოდ დამკვიდრება. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ობიექტმა ფუნქციონირება შეაჩერა.

ბათუმის დელფინარიუმი კვლავ მხოლოდ 20-წლიანი პაუზის შემდეგ, 2011 წლის 6 მაისს გაიხსნა. ქალაქის მერიის ინიციატივითა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ძალისხმევით, ბათუმში ამოქმედდა სრულიად ახალი დელფინარიუმი. იგი შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტირება და მონტაჟი ეკუთვნის ცნობილ ამერიკულ ფირმებს: TJP Engineering-სა და RCK-ს. ობიექტი საქველმოქმედო ფონდ „ქართუსთან“ ერთად ასოციაცია „ატუ“-მ აღჭურვა. იგი თანამედროვე დიზაინის შენობაა, რომელიც ზღვის ცხოველების ხელოვნურ პირობებში შენახვის ყველა უახლეს მოთხოვნას ითვალისწინებს.



დელფინარიუმის ამფითეატრი შედგება 4 სექტორისაგან და გათვლილია 703 მაყურებელზე. ინფრასტრუქტურაში შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურება პანდუსითა და ლიფტებით.

აკვარიუმი

ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი 1966 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა. თავდაპირველად აქ წარმოდგენილი იყო წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ფეხფარფლიანი ძუძუმწოვარი ცხოველები, ძვირფასბეწვიანი წავები და კასპიის ზღვის სელაპები. მნახველებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ინდოეთის ოკეანის მობინადრე გიგანტური კუ, ე.წ. ცრუ კარეტა, რომელიც დაახლოებით 100 კგ-ს იწონიდა. დეკორატიული თევზების მრავალფეროვნება მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. აკვარიუმში მტკნარი წყლების, სხვადასხვა ზღვისა და ოკეანის ცხოველთა 60-მდე სახეობა ბინადრობდა.

ბათუმის აკვარიუმში არსებული თევზების უმრავლესობა ადგილობრივად არის გამოყვანილი და გამრავლებული. აღსანიშნავია, რომ თუ თევზებს არა აქვთ შექმნილი ბუნებრივი პირობების შესაფერისი გარემო, მათი გამრავლება შეუძლებელია.

ამჟამად აკვარიუმში შავი ზღვის, საქართველოს მტკნარი წყლების ბინადართა ზოგიერთი და დეკორატიული თევზების 100-მდე სახეობაა წარმოდგენილი: ზღვის კატა, ზღვის მელა, ზღვის ენა, კეფალისებრნი, ცხენთევზა, ხონთქარა, ნაგვერდალა და სხვა უნიკალური ჯიშის თევზები. ეგზოტიკური სახეობებიდან აღსანიშნავია ამაზონის ბინადარი პირანია, ციხლიდები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თევზები – გურამი, ბარბუსი, ბოცია, ლაბეო და ულამაზესი დისკუსები. სელექციური მუშაობის შედეგად აკვარიუმში გამოყვანილია იაპონური კობრი (კოი).

თავდაპირველად აკვარიუმი „ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების" ბაზაზე შეიქმნა. 2008 წლიდან ქ. ბათუმის ა(ა)იპ „6 მაისის პარკის" დაქვემდებარებაში გადავიდა, 2011 წლის 1-ლი იანვრიდან კი – ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი შ.პ.ს. „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" ერთ-ერთი შემადგენელი ობიექტია.

ბათუმის საკულტო არქიტექტურის ძეგლები

ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილი შედგებოდა მეტ-ნაკლებად თანაბარი არქიტე-ქტურული მნიშვნელობის მქონე ურბანული ელემენტებისაგან – უბნებისა და კვარ-ტალებისაგან, თუმცა, XX საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქში არსებობდა შედარებით

მასშტაბური ხუროთმოძღვრული აქცენტები საკულტო შენობების სახით. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმი მულტიკონფესიური ქალაქი იყო, აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა ქრისტიანული, მუსლიმური და ებრაული სალოცავები.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ბათუმი, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქები, XIX-XX საუკუნეების მიჯნის რუსეთისა და ევროპის ქალაქების სპეციფიკას მისდევს. XIX საუკუნეში ეროვნული ხუროთმოძღვრება კარგავს თვითმყოფადობას, არქიტექტურა იძენს „ევროპეიზებულ" და „კოსმოპოლიტურ" ხასიათს, რაც გამოხატულებას მოდერნისა და ფსევდოსტილების დამკვიდრებაში პოვებს. ბათუმის საკულტო შენობებიც წარმოაჩენენ ეკლექტიზმის ნიშნებს და ამავე დროს XIX-XX საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში სუსტად გამოვლენილ ეროვნულ ტრადიციებს.

ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ბათუმის არქიტექტურაში ქრისტიანული ტაძრების აღმშენებლობის შემდეგი სურათი იკვეთება:

ბათუმის ბერძნულ-მართლმადიდებლური (წმ. ნიკოლოზის სახელობის) ტაძარი აიგო ბათუმში მცხოვრები ბერძნების დაკვეთით 1867-1871 წლებში. ამჟამად ეკლესია დგას ფარნავაზ მეფისა და ზ. გამსახურდიას ქუჩების კვეთაში. წმინდა ნიკოლოზის ტაძარი ე.წ. ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა. მისი გუმბათი ემყარება წრიული ფორმის ოთხ სვეტს, საკურთხევლის აფსიდს ერთვის სამკვეთლო და სადიაკვნე, დასავლეთი მკლავის მონაკვეთში პატრონიკე და სამრეკლოა გამართული. ტაძრის გარე მასები მსგავსებას ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებთან იჩენს. მისი ხუროთმოძღვრება ითვალისწინებს საქართველოში პონტოელ ბერძენთა მიერ აგებული ტაძრების თავისებურებებს. კერძოდ, პონტოელთა ეკლესიების მსგავსად, მას ახასიათებს საკმაოდ დიდი ზომა, ხალვათი შიდა სივრცე, შვერილი აფსიდები, ბიზანტიური ყაიდის მრგვალი, ნახევარსფერული ფორმის გუმბათი და მწირი საფასადო დეკორი. ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის არქიტექტურა წარმოადგენს პოსტბიზანტიური და ახალბერძნული კულტურული ტრადიციების გამოვლენის ნიმუშს. ის ძველი ქალაქის საკულტო არქიტექტურის ერთ-ერთი ადრეული და საინტერესო ნიმუშია.

ბათუმის ყოფილი სომხურ-კათოლიკური ეკლესია მდებარეობს კ. გამსახურდიასა და ვახტანგ გორგასლის ქუჩების გადაკვეთაზე. იგი აგებული უნდა იყოს 1874-1876 წლებში. ნაგებობა წარმოადგენს მოგრძო უგუმბათო შენობას, აღმოსავლეთის შვერილი აფსიდითა და დასავლეთის პორტიკით. ნიშანდობლივია, რომ, თავდაპირველად, საკურთხეველი გადახურული იყო ტაძრის კორპუსთან შედარებით მაღალი, დამოუკიდებელი დეკორატიული, „ყვავილის" ფორმის გუმბათით, რომელსაც აგვირგვინებდა მცირე მოცულობის, ასევე გუმბათით დასრულებული „სამრეკლო". ნაგებობას ატყვია შედარებით გვიანი განახლების კვალი, რაც შესაძლოა XIX საუკუნის დასასრულს უკავშირდებოდეს. ტაძრის ინტერიერი და ფასადები ხასიათდება რამდენადმე ტლანქი, უხეში ფორმებითა და სადა მხატვრული გადაწყვეტით. ამჟამად ეკლესია არ ფუნქციონირებს.

ბათუმის სომხურ-გრიგორიანული (ახლანდელი სომხეთის სამოციქულო) ეკლესია

მდებარეობს კ. გამსახურდიას ქუჩაზე (№25). ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ინტერიერის გადაწყვეტითა და გარეგნული იერით იგი ეფუძნება შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურის ტრადიციებს, თუმცა XIX-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ეკლექტიკური ნიშნებით. გეგმით ტაძარი წარმოადგენს სწორკუთხედს, რომელსაც აღმოსავლეთით ერთვის სამი შვერილი წახნაგოვანი აფსიდი, ხოლო დასავლეთით სამნაწილიანი ნართექსი და კარიბჭე, რომლის თავზე გამართულია სამრეკლო. საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და აგური. ტაძრის კედლები ძირითადად აგებულია აგურით, ხოლო ჯვრის მკლავების ცენტრალური არეები, პორტალები, თაღები, ნიშები, სარკმლის საპირეები, კარნიზები მოპირკეთებულია თეთრი და ვარდისფერ ქვის კვადრებით. ერთგვარი სიმსუბუქის მიუხედავად, ნაგებობა მაინც დაბალი პროპორციებითა და კამერული მასშტაბებით გამოირჩევა. საინტერესოა ტაძრის შიდა სივრცე. ცენტრალურ დარბაზს კედლებსა და საბჯენ თაღებზე დაფუძნებული ჯვარედინი კამარა აგვირგვინებს, რომლის ცენტრში აღმართულია მაღალ ყელს დამყარებული გუმბათი. ზომიერად განათებული ინტერიერის ფონზე გუმბათი ყველაზე მსუბუქ და ნათელ აქცენტად წარმოგვიდგება. არქიტექტურული თავისებურებების მიხედვით ტაძრის აგება XIX საუკუნის 80-90-იან წლებს უნდა უკავშირდებოდეს.

ბათუმის წმინდა ბარბარეს ეკლესია XIX საუკუნის დასასრულს აგებული ჰოსპიტლის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთნავიანი სალოცავი რიგით საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენს. ქალაქგეგმარების თვალსაზრისით, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა 1990-იან წლებში, ძველი ჰოსპიტლის შენობების დანგრევის შემდეგ შეიძინა (რუსთაველის ქუჩა).

მისი სამლოცველო თაღოვანი გალერეით დაკავშირებული ორი ნაგებობისაგან შედგება. მისი გეგმა სწორკუთხა მოხაზულობისაა, რომელსაც აღმოსავლეთიდან ერთვის ნახევარწრიული შვერილი აფსიდი. დასავლეთით მცირე ზომის კარიბჭეა მიდგმული, ხოლო ზევით ეკლესიის ფრონტონის არეში შეჭრილი, ოთხივე მხრივ თაღებით გახსნილი სამრეკლო დგას. ეკლესიის ინტერიერი უხვადაა განათებული მოზრდილი სარკმლებიდან შემოსული შუქით. ფასადის მხარეს სარკმლების ღიობებს შემოუყვება პროფილირებული საპირე. ფასადების

დეკორატიული მორთულობის ერთადერთ სახეს კარნიზის ძირში გაყოლებული კბილანისებური სარტყელი ქმნის.

ზღვის სანაპიროზე, ბათუმის ბულვარში, დღევანდელი სასტუმრო „ინტურისტის" ადგილას, იდგა სამხედრო მართლმადიდებლური ტაძარი — წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის. ტაძარს საფუძველი ჩაუყარეს 1888 წელს, ხოლო მშენებლობა დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში. მშენებლობას ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ვლადიმერ სიმონსონი. მასზე მსჯელობა მხოლოდ რამდენიმე ფოტოთი შეიძლება. XX საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტენდენციის თანახმად, ბათუმის სამხედრო ტაძრის არქიტექტურა ეფუძნებოდა გვიანი შუა საუკუნეების რუსული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს. ტაძარი გარეგნულად წარმოადგენდა მრავალგუმბათიან ჯვრულ ნაგებობას სწორკუთხა მკლავებით, აღმოსავლეთის შვერილი აფსიდებით, დაბალი კუთხის სათავსებითა და დასავლეთ მხარეს მიშენებული თანადროული სამრეკლოთი. ბათუმის საეკლესიო არქიტექტურის სხვა ნიმუშებთან შედარებით, ალ. ნეველის ეკლესია თავისი ადგილმდებარეობით, მასშტაბითა და სიდიდით წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დომინანტს.

ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი — ბათუმის ყოფილი კათოლიკური (ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო) ეკლესიის მშენებლობას საძირკველი 1898 წელს ჩაეყარა, ხოლო ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1902 წელს. ტაძრის აგება შესაძლებელი გახდა სტეფანე ზუბალაშვილის დაფინანსებით. პირველი წირვა-ლოცვა ქართველმა კათოლიკე ბერმა – პადრე ანსელმო მღებრიშვილმა ჩაატარა. საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში მაღალი ძაბვის ლაბორატორია განათავსეს. 1989 წლიდან ტაძარში მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ტარდება.

ტაძარი ნაშენია ბეტონით, ქუთაისის ვარდისფერი და ყვითელი ქვით. ეკლესია აგებულია „ფსევდოგოთურ" სტილში. ნაგებობის გეგმა ეფუძნება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ტაძრის ტიპს. სამნავიანი ბაზილიკის დასავლეთით გოთიკური კოშკურებიანი კარიბჭეა, ხოლო ტაძრის ცენტრალურ ნაწილსა და სამნაწილიან საკურთხეველს შორის – ერთნავიანი ტრანსეპტი. ასეთი გეგმარების შედეგად ტაძარი ჯვრის მოხაზულობას იძენს. ეკლესია აღმართულია მაღალი ცოკოლის სართულზე. შენობა გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებით, არქიტექტურული მასების, ფორმების, სამშენებლო მასალისა და პოლიქრომიული ეფექტების გამომსახველობით. ტაძრის ინტერიერი ხასიათდება ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის – კედლის მხატრობისა და ვიტრაჟის ანსამბლით. მისი არქიტექტურა ავლენს ფსევდოგოთური სტილისათვის დამახასიათებელ ეკლექტიკურ ნიშნებს, შემოქმედებით თავისუფლებასა და სითამამეს

არქიტექტურული დეტალების, ფერადოვანი აქცენტების განაწილებისა და ფასადის დეკორატიული გააზრების თვალსაზრისით. ტაძარი რესტავრირებულია XX საუკუნის 80-იან წლებში.

ძველი ბათუმის ერთ-ერთ უბანში — „ნურიეში", მდებარეობდა ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. იგი იდგა დღევანდელი პ. მელიქიშვილისა და ზ. გორგილაძის (ყოფილი ლ. ასათიანისა და ვოზნესენსკის) ქუჩების გადაკვეთაზე. სავარაუდოდ, ტაძრის მშენებლობის დაწყება XIX საუკუნის დასასრულს უკავშირდება. ტაძარი მშენებლობის დასრულებამდე — გასული საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს. ნაგებობის არქიტექტონიკა ეფუძნებოდა შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი ტაძრების სტრუქტურას. ქალაქის ისტორიულ უბანში მდებარე ეს მართლმადიდებლური ტაძარი ბათუმის საკულტო არქიტექტურაში ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების გამოხატულება იყო.

ებრაული სალოცავები – სინაგოგა

ბათუმის აშკენაზების სინაგოგა მდებარეობს ვაჟა ფშაველას (ყოფილი შეპელევის) ქუჩაზე. იგი აგებულია ბათუმელი არქიტექტორის სიმონ ვოლკოვიჩის (1879-1937 წწ.) პროექტის მიხედვით – 1913 წელს. თავდაპირველად სინაგოგა ითვალისწინებდა საღვთისმსახურო და დაწყებითი სასწავლებლისათვის საჭირო სათავსებს. თუმცა, დღევანდელი სახე მოწმობს, რომ პროექტი განხორციელდა გარკვეული ცვლილებებით და უპირატესობა მხოლოდ სამლოცველო დარბაზს მიენიჭა. ნაგებობა ყურადღებას იქცევს თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით. მისი დასავლეთი ფასადი გოთური და ისლამური სტილის დეტალებითაა მორთული. სამლოცველო დარბაზის სივრცეში ხაზგასმულია გრძივი ღერძი. სივრცის არქიტექტონიკით დარბაზი სამნავიან სალოცავებს მოგვაგონებს. სამი წყვილი წრიული სვეტი, რომელთაც ქალთა გალერეა — აზარა უჭირავს, სივრცეს სამ ნავად ყოფს. მიუხედავად ცვლილებებისა, ბათუმის აშკენაზების სამლოცველო წარმოადგენს საგანგებოდ სინაგოგად აგებული შენობის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს საქართველოში. იგი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ავთენტურობას.

მუსლიმანური სალოცავები — მეჩეთები

ბათუმის მულტიკონფესიურ სივრცეში თავისი ადგილი ეჭირა მუსლიმანურ სალოცავებსაც. 1909 წლის რუკის მიხედვით ბათუმში ფუნქციონირებდა „აზიზიეს", „ახმედიესა" და „მუფთიეს" მეჩეთები.

ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ადრეულია ე.წ. აზიზიეს მეჩეთი, რომელიც 1860-იან წლებში აიგო სულთან აზიზის დედის, ვალიდე ხანუმის ინიციატივით ნავსადგურის მიდამოებში. იგი, ძირითადად, ოსმალო სამხედროებისათვის იყო განკუთვნილი და 1878 წლიდან, როცა ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მან დაკარგა როგორც ფუნქცია, ისე თავისი საკუთრებაც. მეჩეთი მდებარეობდა აზიზიეს მოედანთან ახლოს, დღევანდელი ზ. გამსახურდიასა და ი. გოგებაშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთში, სადაც ამჟამად დგას საბჭოთა პერიოდში აგებული საცხოვრებელი სახლი. იგი წარმოადგენდა ზომიერი მასშტაბის ნაგებობას, მისი სიმაღლე არ აჭარბებდა ირგვლივ მდებარე ორსართულიან შენობებს. „აზიზიეს" მეჩეთის გეგმა ეფუძნებოდა ოქტოგონს, რომელსაც აგვირგვინებდა პროფილირებული სადა კარნიზი და ასევე რვაფერდა კონუსური სახურავი. ნაგებობის ერთ-ერთ წახნაგზე მიდგმული იყო პორტიკი. მეჩეთს მიშენებული ჰქონდა აივნიანი მინარეთი. მუსლიმანური სალოცავისათვის ტიპური ამ მინაშენის გარდა, ნაგებობის ფასადები აღმოსავლური სტილისათვის დამახასიათებელ რაიმე განსაკუთრებულ ნიშანს ან ორნამენტულ დეტალს არ შეიცავდა. გეგმითა და მხატვრული გადაწყვეტით „აზიზიეს" მეჩეთი ეფუძნებოდა XIX საუკუნის ოტომანური არქიტექტურის ტრადიციებს.

ბათუმის „ორთა ჯამე" აგებულია უფრო ძველი მეჩეთის — ე.წ. ახმედიეს ადგილას. „ახმედიეს" ხის მეჩეთი ყურეს მახლობლად, თავისივე რეზიდენციასთან ახლოს აღუმართავს ახმედ ფაშა ხიმშიაშვილს. XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხანძრით განადგურებული ძველი მეჩეთის ადგილას, აგებული იქნა ქვის ახალი მეჩეთი, რომელსაც „ორთა ჯამე" უწოდეს, რადგან იგი ორ მეჩეთს – „აზიზიესა" და „მუფთიეს" შორის მდებარეობდა. გადმოცემით, აღნიშნული ჯამე მოუხატავს ლაზ ოსტატს — მურად უსტას. XIX საუკუნის დასასრულს ბათუმში მოქმედი ორი მეჩეთისგან, რომლებიც ქართველ მუსლიმანებს ემსახურებოდა, დღეისათვის მხოლოდ ეს ნაგებობა შემორჩა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი ითავსებს როგორც საკრებულო, ისე სამუფთოს ცენტრალური მეჩეთის ფუნქციას.

„ორთა ჯამე" წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა ორსართულიან შენობას. მისი მთავარი ფასადი გამოდის ჩკალოვის ქუჩაზე. მეჩეთის კომპლექსი მოიცავს: მთავარ სამლოცველო დარბაზს, ქალთა სამლოცველოს, სამეურნეო სადგომებს, ადმინისტრაციულ ფართს, სასადილოს, მედრესეს, 1995 წელს აგებულ მინარეთს და შიდა ეზოს. კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ნაგებობები თანადროული არ არის. ამათგან ყველაზე ძველია მეჩეთის ძირითადი სამლოცველო დარბაზი. ნაგებობის ექსტერიერში ისლამური არქიტექტურის გავლენა ფანჯრებისა და პორტალების მორთულობაში იგრძნობა. ფასადებისაგან განსხვავებით ინტერიერი მოკლებულია ავთენტურობას. მისი განახლების მიუხედავად, ნათელია, რომ ჭერის კონსტრუქცია, ისევე როგორც ინტერიერში

წარმოდგენილი ორნამენტული ჩუქურთმა, ნაწილობრივ, ქართული ხითხუროობის ტრადიციებს ავლენს და საცხოვრებელ სახლებსა და ხის მეჩეთებში გამოყენებულ ფორმებს ეფუძნება. ქართულ ტრადიციებს ავლენს აივნის, მიმბარისა და კარების ჩუქურთმა, სადაც გეომეტრიულ მოტივებთან ერთად უხვად გვხვდება მცენარეული ორნამენტები. ბათუმის „ორთა ჯამე“ ქართული და ისლამური კულტურული ტრადიციების სინთეზის ერთგვარი ნიმუშია.

მუფთის ჯამე მდებარეობდა ბათუმის ძველ უბანში, დღევანდელი აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ჯორჯიაშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთში. იგი აგებული იყო 1870-1873 წლებში ვინმე მუფთის მიერ. სავარაუდოდ, მისი არქიტექტურული გადაწყვეტა ეფუძნებოდა ქართული ხის მეჩეთების ტრადიციებს.

ამდენად, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის საკულტო ძეგლების მაგალითზე თვალსაჩინოა, ისტორიული ვითარების შესაბამისად, თუ როგორ ვითარდებოდა ქალაქის ეთნიკური და სარწმუნოებრივი სურათი. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმში ფუნქციონირებდა ბერძნულ-მართლმადიდებლური, სომხურ-გრიგორიანული, სომხურ-კათოლიკური ეკლესიები და მეჩეთები. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნეების დასაწყისში აშენდა ქართველ კათოლიკეთა სამლოცველო, სამხედრო მართლმადიდებლური ეკლესია, სინაგოგა და ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. ბათუმის სხვადასხვა რელიგიური მრწამსის სალოცავები ხასიათდება ტიპებისა და სტილისტური გადაწყვეტის მრავალფეროვნებით. ისინი, ძირითადად, წარმოაჩენენ ეკლექტიზმისა და სხვადასხვა მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ასევე, XIX-XX საუკუნეების არქიტექტურაში სუსტად გამოვლენილ ეროვნულ ტრადიციებს. მაგალითად, მართლმადიდებლური (ბერძნულ-რუსული) ტაძრები ავლენს რუსულ-ბიზანტიური არქიტექტურის თავისებურებებს, კათოლიკური სალოცავის მხატვრული მხარე ეფუძნება ფსევდოგოთურ არქიტექტურას, სომხური სალოცავები მეტად ავლენს ეკლექტიკის ქაოსურ სურათს, მეჩეთების ხუროთმოძღვრულ იერსახეში, მეტ-ნაკლებად, თავს იჩენს აღმოსავლური და ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, სინაგოგის არქიტექტურა ატარებს ეკლექტიკურ და კოსმოპოლიტურ ხასიათს, ქართული მართლმადიდებლური სალოცავი კი ახლოსაა შუა საუკუნეების ეროვნული არქიტექტურის ტრადიციებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

ნ. კვარაცხელია, ე. არჩვაძე
„გიდის ხელოვნება“
გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2012.

ნ. კვარაცხელია
„საექსკურსიო საქმე“
(სსიპ) განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტური
„აჭარა - ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“,
გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“, ბათუმი 2016.

დაიბეჭდა შპს გამომცემლობა „კოლორში”
ე. ბაღდავაძის 20; +995 32 2 71 76 45

gobatumi.com